არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნოდარ არდოტელი

ნაზმნარი სახელები დიდოურ ენებში



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

მონოგრაფიაში წარმოდგენილია დიდოურ ენათა ნაზმნარი სახელების — მასდარისა და მიმღეობის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. საკითხის დიაქრონიული თვალსაზრისით კვლევისას მოხმობილია როგორც დიდოურ ენათა, ისე მონათესავე ენათა მონაცემები. ნაშრომში განხილულია მასდარისა და მიმღეობის წარმოების, ბრუნებისა და ფუნქციონირების საკითხები, მოცემულია მათი სისტემატიზაციის სურათი (თითოეულ თავს თან ერთვის სათანადო პარადიგმები). გარდა ამისა, გამოვლენილია არაერთი ახალი სახელზმნური ფორმა, რომლებსაც ახლავს სათანადო კვალიფიკაციის ცდა.

წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევართათვის, ენის თეორიის სპეციალისტთა, კომპარატივისტთა და კავკასიური სპეციალობის სტუდენტთათვის. იგი დახმარებას გაუწევს ლექტორ-მასწავლებლებს სათანადო საკითხთა სწავლებისას.

В монографии представлен описательный и историко-сравнительный анализ отглагольных имен в дидойских языках. При диахроническом обзоре данного вопроса последовательно учтены данные как исследуемых, так и родственных языков. В труде рассмотрены вопросы образования, склонения и функционирования масдара и причастия, дана картина систематизации отглагольных имен (к каждой главе прилагаются соответствующие парадигмы образования). В некоторых случаях выявлены до сих пор неизвестные грамматические формы и делается попытка соответствующей квалификации этих форм.

Книга предназначена для исследователей иберийско-кавказских языков при разработке историко-сравнительных грамматик, при составлении школьных учебников аварского языка и изучении отдельных вопросов, связанных с глаголом и именем. Она представляет интерес для компаративистов и студентов специальности кавказских языков.

რეცენზენტები: პროფ. **ზ. ჭაფარიძე**
პროფ. **გ. კიკილაშვილი**

რედაქტორი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **გაჯა შენგელია**
Редактор – Член-корреспондент национальной Академии наук Грузии проф. **В. Г. Шенгелиа**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ნ. არდოტელი

გამომცემლობა „უნივერსალი", 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge
ISBN 978-9941-12-860-8

წიგნი ეძღვნება ძვირფასი კოლეგისა
და მასწავლებლის, აკადემიის
წევრ-კორესპონდენტ, პროფესორ
გურამ თოფურიას ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

ნაშრომში წარმოდგენილ ნაზმნარ (resp. წარმოქმნილ) სახელთა პრობლემები აქტუალურია როგორც იბერიულ-კავკასიური, ისე ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით.

მასდარისა და მიმღეობის საკითხები განიხილება სინქრონიულადაც და დიაქრონიულ პლანშიც. საკითხის დიაქრონიული თვალსაზრისით კვლევისას მოხმობილია დიალექტებისა და თქმების მონაცემები. იშვიათად, როცა ამა თუ იმ საკითხის ახსნა დიდოურ ენათა მასალაზე დაყრდნობით ვერ ხერხდება, ვითვალისწინებთ დაღესტნის სხვა მონათესავე ენათა ჩვენებებსაც.

სახელზმნის საკითხებიდან ზოგიერთი რამ წინათაც განიხილებოდა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ წარმოდგენილი პრობლემები მონოგრაფიულად პირველად მუშავდება. მასთან, პირველად ხდება დიდოურ ენათა ნაზმნარი სახელების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი.

დიდოურ ენებში სახელზმნებიდან მიმღეობა, როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ერთეული, სავსებით ჩამოყალიბებულია, თუმცა სხვა საკითხებთან შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. ამას ვერ ვიტყვით მასდარის შესახებ, რომელიც ყველა საკვლევ ენაში ერთნაირად არ არის წარმოდგენილი და მის ფუნქციას ხშირად სხვა სახელები (მიმღეობა, აბსტრაქტული სახელები) ასრულებენ. ცალკეულ წერილებსა და მონოგრაფიებში სახელზმნათა შესწავლას მე-

ტად მცირე ადგილი ეთმობა. ეს ერთგვარად მათი იშვიათი ხმარებით და სტრუქტურის სირთულით ჩანს შეპირობებული — ისინი შეიცავენ როგორც ზმნურ, ასევე სახელურ ნიშან-თვისებებს, რაც ძალზე აძნელებს მათ დამუშავებას. ამ სირთულის შესახებ ქართული ენის მასალის ნაირგვარობის საფუძველზე ა. შანიძე წერს: „არსად არ არის არეული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღეობის ფორმებში“ [შანიძე 1980: 569].

დიდოურსა და ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენებში შეუმჩნეველი რჩებოდა მოფადი დროის მიმღეობა; არ იყო განხილული მიმღეობის განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმები, მათი ბრუნება, გამოუკვლეველი იყო ფორმანტთა გენეზისის საკითხები, კლასისა და რიცხვის კატეგორიები სახელზმნებში და მრ. სხვ.

წინამდებარე ნაშრომში ყველა ეს საკითხი განიხილება დაწვრილებით. მასთან, წარმოდგენილია მასდარისა და მიმღეობის წარმოების პარადიგმები სქემატურად. გარდა ამისა, მოცემულია სახელმზნათა დიაქრონიული შესწავლის ცდა.

საკვლევი პრობლემების დასამუშავებლად და გადასაჭრელად გამოიყენება აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

საანალიზო მასალა მოპოვებულია უშუალოდ ავტორის მიერ 1985-1990 წ.წ. დაღესტნის ასსრ-ში სამეცნიერო მივლინებებში ყოფნის დროს. გარდა ავტორისეული მასალისა, გამოყენებულია რ. ერკერტის [ერკერტი 1985], ა. დირის [დირი 1090; 1928] და სხვა ცნობილ მკვლევართა თითოეულ წერილსა თუ მონოგრაფიაში არსებული მასალა.

ნაშრომი შესრულდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში 1988-1990 წ.წ. და მისი ერთი ნაწილი (მიმღეობა) დაცულ იქნა საკანდიდატო დისერტაციის სახით. ნა-

შრომის ამ ვარიანტში გათვალისწინებულ იქნა 1990 წლის შემდეგ გამოქვეყნებული სპეციალური ლიტერატურა და საილუსტრაციო მასალა შემოწმდა სიზუსტის თვალსაზრისით, თუმცა სხვა მხრივ ნაშრომს არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ნაშრომში მოყვანილი დასკვნითი დებულებები შეიძლება გამოვიყენოთ დიდოურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი გრამატიკების დამუშავებისას, სახელისა და ზმნის კვლევისას ახლომონათესავე ენებში, ცალკეული საკითხების აღწერითი ანალიზისას და სხვა.

ავტორი განხილულ საკითხებზე ყველა საქმიან შენიშვნას მადლობით მიიღებს შემდეგი მისამართით: არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ინგოროყვას ქ. 8, 0108, თბილისი, საქართველო. E-mail: nardoteli@yahoo.com

შესავალი

დიდოურ ენათა წრე, როგორც ცნობილია, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში ერთიანდება. თავის მხრივ, დიდოურ ენათა წრის წევრებია:. დიდოური (resp. ცეზიური) ენა (მისი დიალექტებია: ა. ქიდიროულ-ასახური, ბ. საჰადური), ჰინუხური ენა (ვრცელდება ერთ აულში), ხვარშიული ენა (დიალექტებით: ა. ინხოყვარული, ბ. საკუთრივ ხვარშიული), ბეჟტურ-ჰუნზიბური ენა (შესაბამისად: ა. საკუთრივ ბეჟიტური, ბ. ჰუნზიბური დიალექტებით).

ზოგი მკვლევარი ბეჟიტურსა და ჰუნზიბურს დამოუკიდებელ ენებად მოიხსენიებს [ბოკარიოვი 1959: 5; მადიევა 1965: 3; ხალილოვი, ისაყოვი 2001: 12...], ხოლო ე. ლომთაძე მათ ერთი ენის დიალექტებად მიიჩნევს, რასაც ჩვენც ვიზიარებთ [ლომთაძე 1994: 90; არდოტელი 2009: 33].

1. მასდარი შეიძლება ამგვარად განიმარტოს: **მასდარი არის ზმნური სემანტიკის შემცველი ისეთი არსებითი სახელი, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში აბსტრაქტულ სახელთა ანალოგიურად გამოიყენება.**

აკ. შანიძის განმარტებით: „საწყისი (მასდარი — ნ. ა.) ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად...“ [შანიძე 1980: 558].

მასდარს, როგორც ნაზმნარ სახელს, შეიძლება მოეპოვებოდეს როგორც ზმნური (კლასი, რიცხვი, გარდამავლობა...), ისე სახელური (ბრუნვის კატეგორია) ნიშნები [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 298]. ამასთანავე, წინადადებაში მასდარი არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება.

მიუხედავად ამისა, მასდარი მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით შეიძლება განირჩეოდეს არსებითი სახელისგან [ცხადაძე 1984: 8].

სპეციალურ ლიტერატურაში ხაზს უსვამენ მასდარისა და მიმღეობის მცირე დიფერენციაციას, რასაც მასდარის ფუნქციით მიმღეობის ხშირი გამოყენება ადასტურებს [იმნაიშვილი 1963: 235-240].

მართალია, მასდარის წარმოება, ინფინიტივისაგან განსხვავებით, ნაკლებპროდუქტიულია და ამა თუ იმ ენობრივ ერთეულთა მიხედვით შეზღუდულიც, მაგრამ მას მაინც მოეპოვება სინთეზური ფორმები, რომელთა ანალიზსაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

2. მიმღეობის დეფინიცია მეცნიერთა უმრავლესობას მიახლოებით ერთნაირად ესმის. აკ. შანიძე მიმღეობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მიმღეობა ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი“ [შანიძე 1980: 567].

ამ განსაზღვრებაში „ზმნის უუღლებელი ფორმა“ ზოგადი შინაარსის შემცველია. იგი კონკრეტდება სხვა განმარტებებში: „მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია და მას აქვს კატეგორიები ზმნისაც (გრამატიკული კლასისა, რიცხვისა და დროის კატეგორიები) და სახელისაც, კერძოდ, ზედსართავი სახელისა (გრამატიკული კლასისა, რიცხვისა და ბრუნვის კატეგო-

რიები)“ [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 302]. „მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია... გამოხატავს საგნის თვისებას“ [მაჰმეტოვი, ცერცვაძე 1985: 295]. „მიმღეობა, მიაღწევს რა განვითარების მაღალ საფეხურს, ნაზმნარ ზედსართავად გადაიქცევა“ [ტენიერი 1988: 468] და სხვა.

ირკვევა, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი გახაზავს მიმღეობის ზმნიდან წარმომავლობას. გარდა ამისა, სპეციალისტები მას, წარმოებისა და ფუნქციების მიხედვით, ზედსართავ სახელს უთანაბრებენ.

ჩვენი დაკვირვებით, თვალთახედვის გარეშე რჩება მიმღეობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი, რომ იგი გამოხატავს არსებისა და საგნის მოქმედებას ან მდგომარეობას, რითაც იგი მკვეთარდ განირჩევა ზედსართავი სახელისაგან. უ. მეილანოვა სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიმღეობა „გამოხატავს მოქმედებას ან საგნის თვისებას“ [მეილანოვა 1989: 169]. მიმღეობა და ნაზმნარი ზედსართავი ერთმანეთს ვერ ფარავენ. ისევე, როგორც მასდარი არის მოქმედების გამომხატველი არსებითი სახელი, ისე მიმღეობა შეიძლება იყოს მოქმედების გამომხატველი ზედსართავი სახელი.

მაშასადამე, ზემოთქმულის საფუძველზე მიმღეობა შეიძლება ასე განიმარტოს: **მიმღეობა ეწოდება საგნის მოქმედების ან მდგომარეობის გამომხატველ ნაზმნარ ზედსართავ სახელს, რომელიც იბრუნვის[1] და წინადადებაში სხვადასხვაგვარ (ატრიბუტულ, პრედიკატულ, ზმნიზედურ...) ფუნქციას ასრულებს.**

[1] შესაძლოა, ზოგი მიმღეობა გაქვავებული სახით არსებობდეს და არ იბრუნვოდეს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მიმღეობა (განსაკუთრებით, მყოფადის დროს მიმღეობა) შედარებით გვიან ჩამოყალიბებული მორფოლოგიური ოდენობაა. ამის დასტურად გამოდგებოდა აფხაზური ენის ვითარება, რომელშიც მიმღეობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია, ჯერაც არ მოგვეპოვება.

დიდოურ ენებში მიმღეობა მორფოლოგიური საშუალებით გვარს ვერ განარჩევს, რაც შეპირობებულია თვით ზმნური ფუძის ნეიტრალურობით გვარის მიმართ, თუმცა იშვიათად ზოგ ძირეულსა და ნასახელარ ზმნათა მიმღეობებში ესეც შესაძლებელი ხდება.

ხსენებულ ენათა მიმღეობაში ყველაზე მკვეთრად გამოხატული დროის გრამატიკული კატეგორიაა. შესაბამისად, დასტურდება ნამყოს, აწმყოსა და მყოფადი დროის მიმღეობები.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ხომ არაა დროის გრამატიკული კატეგორია მიმღეობათა წარმოებაში შემდეგ ჩამოყალიბებული?

ე. ოსიძე, ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით, ამ კითხვას დადებითად უპასუხებს [ოსიძე 1956: 177].

დიდოურ ენათა მიმართ ანალოგიური ვარაუდის დაშვება გამორიცხულია, რადგან აქ მიმღეობა ძირითადად ზმნური დროის შესაბამისი ფორმებიდან იწარმოება. ეს კი გვაფიქებინებს, რომ საკვლევ ენებში მიმღეობა, ფორმირების თვალსაზრისით, დროის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებასთან შედარებით მერმინდელია.

ჩვენი დაკვირვებით, მიმღეობის ევოლუცია ძირითადად სამ სტადიას მოიცავს, რომელიც ფორმულის სახით ასე გამოიხატება: **ზმნა + მაატრიბუტივებელი ფორმანტი = მიმღეობა, ზმნური ფუძე + მასუბსტანტივებელი ფორმანტი = არსებითი სახელი** (resp. **მიმღეობა-სუბსტანტივი**).

მიმღეობურ ფორმათა ქმნადობისა და ფუნქციონირების ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საკვლევი ობიექტის სისტემატიზაცია დროის გრამატიკული კატეგორიის მიხედვით გვეწარმოებინა.

მიმღეობის კვლევისას გამოიყენება შინაგანი და გარეგანი რეკონსტრუქციის ხერხები. ეს უკანასკნელი მონათესავე ენათა ვითარების გათვალისწინებას გულისხმობს.

საკითხის ისტორიისათვის

სახელზმნასა და მასთან დაკავშირებულ მორფოლოგიურ საკითხებს სხვადასხვა დროს ეხებოდნენ დიდოურ ენათა წინამორბედი მკვლევრები. მასთან, ზოგი მოკლედ ეხებოდა ამა თუ იმ დროის მასდარულსა და მიმღეობურ ფორმებს, ზოგი კი უფრო ვრცლად მიმოიხილავდა მათ წარმოებასა თუ ფუნქციებს. ორსავე შემთხვევაში არაერთი საკითხი სპეციალისტთა თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა, ვინაიდან სახელზმნა უპირატესად მორფოლოგიის სხვა პრობლემებთან ერთად შეისწავლებოდა და, ამდენად, იგი საგანგებო კვლევის საგნად არასოდეს ქცეულა.

ამისდა მიუხედავად, სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მასდარისა და მიმღეობის აღწერითი ანალიზის ცდები, რომელთაც წარმოვადგენთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

თავდაპირველად ნამყოს მიმღეობა I რ. ერკერტის შრომაში დასტურდება, ისიც მხოლოდ ორ წინადადებაში [ერკერტი 1895: 206].

დიდოურ ენაში ნამყოს მიმღეობას (resp. მიმღეობა შედეგობითს) თეორიული თვალსაზრისით ი. მეგრელიძე განიხილავს. იგი წერს: „**-ააᲑი(ნი)** სუფიქსიანი აწმყო დროის მიმღეობა **რიწაასი** (ას.) — სავსე, გავსებული (შრ. **რიწეესი**, ხმ. **რიწეესი**, შტ. **რიწოოსი** გადატანითი მნიშვნელობით — **რიწაასი** თუფი „დატენილი თოფი"), **ჰუჰაასი** (ას. **ჰუჰეესი**, შრ.) — გამშრალი..." [მეგრელიძე 1955: 240; 1940: 141].

მიმღეობის ძირითად საკითხებს განიხილავს ე. ბოკარევი თავის ცნობილ მონოგრაფიაში „დაღესტნის ცეზური (დიდოური) ენები" [ბოკარევი 1959: 47]. დიდოურ ენაში იგი

გამოყოფს ნამყოს I და II მიმღეობებს, აწმყოს მიმღეობას, რომელიც ხშირად მყოფადის მიმღეობის როლსაც ასრულებს. ე. ბოკარევი შეცდომით **რაწნორსი** („ჰამის შემდეგ") ტიპის ფორმებს ნამყოს მიმღეობად მიიჩნევს.

ავტორი ჰინუხურ ენაში გამოყოფს ნამყოსა და აწმყოს მიმღეობებს. მასთან, ჰინუხურ ენაში ისტორიულად აწმყოს მიმღეობის საკუთარი ფორმის არსებობას უარყოფს. აქვე ყურადღება მახვილდება მიმღეობის ფუნქციით ზმნურ ფორმათა ხმარებაზე [ბოკარევი 1959: 136-137].

მართალია, ე. ბოკარევი ხვარშიული ენის ანალიზისას ძირითადად ინხოყვარულ დიალექტს ეხება, მაგრამ ფაქტობრივ დამოწმებული აქვს ორივე დიალექტის მონაცემები. აღწერილია ყველა დროის მიმღეობათა ფორმები [სკსრხე 1967: 482].

ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის ჰუნზიბურ დიალექტში[1] ე. ბოკარევს გამოყოფილი აქვს ნამყოსა და აწმყოს მიმღეობათა ფორმები. აწმყო დროს შეიძლება გააჩნდეს ორი მიმღეობური ფორმა — სრული და უსრული [ბოკარევი 1959: 53]. რაც შეეხება საკ. ბეჟიტურ დიალექტს, გამოყოფილია მხოლოდ აწმყოს მიმღეობა და შენიშნულია ნამყო I ხმარება ნამყოს მიმღეობის მნიშვნელობით [ბოკარევი 1959: 102-103; ბოკარევი, მადიევა 1967: 464].

დ. იმნაიშვილის კაპიტალურ მონოგრაფიაში „დიდოური ენა ჰინუხურ და ხვარშიულ ენებთან შედარებით" [იმნაიშვილი 1963: 60] მიმღეობის წარმოება და ფუნქციები მეტ-ნაკლები სისრულით არის განხილული. დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს სამივე ენის მასალაზე დაყრდნობით როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმღეობის ფორმათა ანალიზი აღწერითი თუ ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით. მასთან, ყველა დიალექტისა და თქმის თავისებურება გათვალისწინებულია.

[1] ე. ბოკარევი ჰუნზიბურ დიალექტს დამოუკიდებელ ენად მიიჩნევს.

დიდოურ ენაში, დ. იმნაიშვილის მოსაზრებით, ნამყო დროის მიმღეობა I, უბრუნველობის გამო, ნამყო დროის ნაზმნარ ზედსართავ სახელად უნდა ჩაითვალოს. ნაზმნარ ზედსართავად მიიჩნევა აგრეთვე **-ლი** სუფიქსიანი სპორადული ხმარების უბრუნველი ნაზმნარი ზედსართავი სახელი [იმნაიშვილი 1963: 214-216].

დიდოურ ენაში ყურადღება მახვილდება მიმღეობის აღწერით და იშვიათი ფორმების წარმოებაზე, გარდამავლობისა და გარდაუვლობის სემანტიკის გარჩევაზე მიმღეობაში, მეორეულ ფუნქციებზე [იმნაიშვილი 1963: 219-221] და სხვ.

მეტად საყურადღებოა, რომ ჰინუხურ ენაში მოგვეპოვება **გოლ'ე** („არის") მეშველი ზმნისა და აწმყოს საშუალებით ნაწარმოები მიმღეობის აღწერითი ფორმა, რომელსაც მოეპოვება როგორც აწმყოს, ისე ნამყოს მიმღეობის შინაარსი.

დ. იმნაიშვილის დაკვირვებით, ჰინუხურ ენაში გამოიყოფა **-ტოს** სუფიქსიანი აწმყოს მიმღეობა და **-რუ** სუფიქსიანი ნამყოს მიმღეობა [იმნაიშვილი 1963: 221]. ჰინუხურ ენაში დიდოური ენის **რიკი-ხო-სი** („მიმავალი") ტიპის აწმყოს მიმღეობის ბადალი ფორმები არ დასტურდება.

დასახელებულ მონოგრაფიაში ვრცლადაა მსჯელობა ხვარშიული ენის ორსავე დიალექტში გავრცელებულ დადებით და უარყოფით მიმღეობებზე, შენიშნულია მათი განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვარიანტები, წარმოდგენილია მიმღეობის აღწერითი ფორმები [იმნაიშვილი 1963: 223].

დიდოურ ენათა მიმღეობა, მთის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, გვარს ვერ განარჩევს — იგი ნეიტრალურია (ინდიფერენტულია) გვარის კატეგორიის მიმართ. შესაბამისი გვარის შინაარსი, ავტორის აზრით, წინადადებაში სუბიექტისა და ობიექტის გარკვეული დისტრიბუციით (resp. ადგილმდებარეობით) გადმოიცემა [იმნაიშვილი 1963: 218].

ე. ლომთაძე „კაპუჭურ-ჰუნზიბური ენის ანალიზში“ [ლომთაძე 1956: 369-412] ყურადღებას ამახვილებს მიმღეობაში გრამატიკული კლასის ასახვაზე, საზღვრულ სახელთან მსაზღვრელად გამოყენებული მიმღეობის ურთიერთობაზე მხოლობით და მრავლობით რიცხვში. ამ ვრცელ წერილში გამოთქმულია საგულისხმო მოსაზრება, რომ „ისტორიულად მიმღეობებს უნდა ჰქონოდათ კლასის როგორც პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება, ისე მხოლოდ სუფიქსური“ [ლომთაძე 1956: 38]. საილუსტრაციო მაგალითებად დასახელებულია ნამყოსა და აწმყოს მიმღეობური ფორმები.

ე. ლომთაძის ნაშრომში „დიდოური ენის ჰინუხური დიალექტი“ [ლომთაძე 1963: 148-152][1] გაანალიზებულია ორი სახის აწმყო დროის მიმღეობა: აწმყოს აღწერითი მიმღეობა და აწმყო ზოგადის მიმღეობა. გამახვილებულია ყურადღება ნამყოს მიმღეობის წარმოებასა და წარმომავლობაზე.

მიმღეობის საკითხს მახვილთან დაკავშირებით ე. ლომთაძე ეხება აგრეთვე სხვადასხვა ადგილას სპეციალურ მონოგრაფიაში „სიტყვათმახვილი დიდოურ ენებში“ [ლომთაძე 1984]. ავტორი ძირითადად მსჯელობს ნამყოს მიმღეობაზე საკუთრივ ხვარშიულ დიალექტსა და ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენაში.

ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის საკ. ბეჟტური დიალექტის აწმყოსა და ნამყოს მიმღეობებზე მოკლედ მსჯელობს გ. მადიევა ნაშრომში „ბეჟტური ენის გრამატიკული ნარკვევი“ [მადიევა 1965: 129-130].

ა. აბდულაევი სადისერტაციო ნაშრომში სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებით ეხება დიდოური ენის აწმყოსა და იშვიათი ხმარების მიმღეობებს [აბდულაევი 1979: 131; 1981: 15].

ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში აწმყოს, ნამყოსა და იშვიათი ხმარების გასუბსტანტივებულ

[1] ე. ლომთაძე ჰინუხურს დიდოური ენის დიალექტად მიიჩნევს.

მიმღეობებს სპეციალური წერილი უძღვნა მ. ხალოლვმა [ხალილოვი 1988: 89].

მიმღეობის წარმოებას გაკვრით ეხება მ. ხალილოვი ბეჟიტურ-რუსულ ლექსიკონს დართულ მოკლე გრამატიკულ მიმოხილვაში [ხალილოვი 1995: 405].

ნამყოსა და აწმყო დროის მიმღეობათა ფორმებზე მსჯელობს თავის ვრცელ მონოგრაფიაში ვან დენ ბერგი [ვან დენ ბერგი 1995: 92-95].

ზმნასა და ნაზმნარ სახელებს სპეციალურად ეხება მის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომში ე. ლომთაძე [ლომთაძე 2000: 294-213]. ავტორი იფარგლება ოდენ აწმყოსა და ნამყო დროის მიმღეობათა ფორმების განხილვით.

ჰუნზიბური დიალექტის მასდარის სინთეზურ ფორმებზე, აწმყოსა და ნამყო დროის მიმღეობებზე ამახვილებენ ყურადღებას ი. ისაყოვი და მ. ხალილოვი [ისაყოვი, ხალილოვი 2001: 272-276].

აწმყოს, ნამყოსა და მყოფადი დროის ფორმათა წარმოება და მათი ფუნქციები განიხილება ამ სტრიქონების ავტორის ერთ-ერთ მონოგრაფიაში, რომელშიც დიდოური ენის გრამატიკული ანალიზია წარმოდგენილი [არდოტელი 2007: 100-103].

ამგვარად, მართალია, დიდოურ ენათა ცალკეული მკვლევრები სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდნენ მიმღეობასაც (ზოგი — ვრცლად, ზოგიც — მოკლედ), მაგრამ საბოლოოდ მასდარისა და მიმღეობის მათეული კვლევა ფრაგმენტული ხასიათისა იყო.

პირველი ნაწილი

მასდარი დიდოურ ენებში

I თავი

მასდარის წარმოება და ბრუნება

§ 1. მასდარი ზოგადად. მასდარი, როგორც აღინიშნა, არის ნაზმნარი აბსტრაქტული სახელი, რომელსაც შერჩენილი აქვს ზმნური ნიშნები (ლექსიკური მნიშვნელობა) და, ამასთანავე, მოეპოვება სახელის თვისებებიც (ბრუნვის კატეგორია). მას სახელზმნური სემანტიკა აქვს და წინადადებაში სახელური ფუნქციით გამოიყენება. ამ თვალსაზრისით, დიდოური ენები თავისებურებას ამჟღავნებენ — ნიშანდობლივია მასდარის, ინფინიტივისა და მიმღეობის ფუნქციური გაუდიფერენცირებლობა. მასთან, ყველა საკვლევ ენას მასდარული წარმოება ერთნაირად განვითარებული არც აქვს. სინთეზური მასდარული ფორმები დასტურდება საკუთრივ დიდოური ენის საჰადურ დიალექტში,[1] ხვარშიულ ენასა და ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში, დანარჩენ დიდოურ ენებს მასდარის საკუთარი ფორმები არ მოეპოვება. როგორც ცნობილია სპეციალური ლიტერატურიდან, მასდარის ფუნქციას ასრულებენ მიმღეობა და ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები [იმნაიშვილი 1963: 235-236].

არცთუ იშვიათად მასდარად მიჩნეულია ისეთი ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები, რომლებიც ნაწარმოებია შესაბამისი

[1] ცალკეულ ზმნებს მასდარი ქიდიროულ-ასახურ დიალექტშიც ეწარმოება, მაგრამ იგი სპორადული ხასიათისაა. მასდარის დერივაცია არც საჰადურ დიალექტშია ბოლომდე გატარებული.

დროის (მეტწილად ნამყოს) მიმღეობისაგან **-ლ'ი** მასდარული წარმომავლობის სუფიქსის დართვით [ლომთაძე 2000: 291-293; ვან დენ ბერგი 1995: 89-90]. მიახლოებით ანალოგიურ აზრს ავითარებენ ი. ისაყოვი და მ. ხალილოვი იმ განსხვავებით, რომ **-ლ'ი** სუფიქსიან ნაზმნარ სახელებს მასდაროიდებად მიიჩნევენ [ისაყოვი, ხალილოვი 2001: 272].[1]

მაშასადამე, ნაზმნარ აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად მასდარული გენეზისის სუფიქსი გამოიყენება [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 175-176],[2] მაგრამ, ი. ისაყოვისა და მ. ხალილოვის მიხედვით, მასდარი ემყარება აორისტის ფორმას, რაც ძნელად გასაზიარებელი ჩანს. ბეჟიტურ ენაში ნამყოსა და ნამყო დროის მიმღეობათა ფორმები ერთმანეთს ემთხვევა.[3] როგორც ჩანს, ეს გარემოება ქმნის იმის ილუზიას, თითქოს ამოსავალი აორისტის ფორმები იყოს. სინამდვილეში „მასდაროიდული"[4] ფორმები ისევე, როგორც სხვა დიდოურ ენებში (საკ. დიდ. **ბატ̌Ჾრუ-ლ'ი** „მოტყუება", ზედმიწ. „მოტყუებულობა", შდრ. **ბატ̌Ა-რუ** „მოტყუებული"; ჰინ. **ესეᲲორუ-ლ'ი** „თქმა", ზედმიწ. „თქმულება", შდრ. **ესეᲲო-რუ** „თქმული"), იწარმოება სათანადო დროის მიმღეობური (resp. ატრიბუტიული) ფორმებისაგან. სწორედ შესაბამისი დროის მიმღეობის სემანტიკაა ასახულ ნაზმნარ ზედსართავ სახელში — მასდარში.

---

[1] საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ანალოგიურ ფორმებს მ. ხალილოვი მასდარად მიიჩნევს [ხალილოვი 1995: 406].

[2] შესაძლებელია **-ლ'ი** სუფიქსის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც (ამაზე სხვა დროს).

[3] ჰუნზიბურ დიალექტში მიმღეობის ფორმას **-უ** აწარმოებს, რომელიც ნაზმნარ აბსტრაქტულ სახელებში **-ლ'ი** სუფიქსისეული **ი**-ს გავლენით რედუცირებული ჩანს.

[4] ტერმინი „მასდაროიდული" გამოყენებულია ი. ისაყოვისა და მ. ხალილოვის მიერ [იხ. ისაყოვი, ხალილოვი 2001: 272].

§ 2. მასდარის წარმოება დიდოურ ენაში. საკუთრივ დიდოურ ენაში მასდარის ორგანულად ნაწარმოები ფორმები ძირითადად საჰადურ დიალექტს მოეპოვება [იმნაიშვილი 1963: 239; არდოტელი 2007: 99-100]. მასდარული ფორმები ნაწარმოებია სათანადო ზმნის ფუძისაგან **-ნი** სუფიქსის დართვით, მაგ.: **ცახ-ნი** (შდრ. ფუძ. **ცახ-**) „წერა“, **ბაწ-ნი** (შდრ. ფუძ. **ბაწ-**) „ჭამა“, **ქეც-ნი** (შდრ. ფუძ. **ქეც-**) „დაძინება“, **ჳეკ-ნი** < ***ჳეკუ-ნი** (შდრ. ფუძ. **ჳეკ-** < ***ჳეკუ-**) „ცემა“, **ტ̣აპ-ნი** (შდრ. ფუძ. **ტ̣აპ-**) „დარტყმის ხმიანობა“, **რესუ-ნი** (შდრ. ფუძ. **რესუ-**) „პოვნა“, **ხან-ნი** (შდრ. ფუძ. **ხან-**) „კბენა“, **ხეც-ნი** (შდრ. ფუძ. **ხეც-**) „თავის დანებება“, „გაშვება“ **რიქუაჲ-ნი** (შდრ. ფუძ. **რიქუაჲ-**) „ხედვა“ და მრ. მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მასდარის ზემომოყვანილი ფორმები როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე გაბმულ ტექსტებში ძალიან იშვიათად გამოიყენება. ამით ჩანს გამოწვეული ის ფაქტი, რომ ამგვარ ფორმათა კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

მართალია, ქიდიროულ-ასახურ დიალექტშიც შეინიშნება ანალოგიურ ფორმათა გამოყენების თითო-ოროლა შემთხვევა (**ცახ-ნი** „წერა“, **როლ-ნი — რაწ-ნი** „წეწვა-გლეჯა“...), მაგრამ ჩვეულებრივ ორსავე დიალექტში მასდარის ფუნქციას ასრულებენ: ა) ინფინიტივი: დე̄რ რეთიხრ̄ნუ რიგ **ოშუა** „მე არ მინდა კარგად ჭამა“; ბ) მიმღეობა: ტეტე̄რუდ ცადალ Ø-ოჯ̄ი (საჰ.) „კითხვით (ზედმიწ. „წაკითხულით“) ჭკვიდან შეიშალა („სულელი გახდა“)“; მი ჲოკ̄აკრუ Ø-ინო დ̄არ (მოყ.) „შენი მოტაცება (ზედმიწ. „მოტაცებული“) გავიგე მე“; ცახხოზოს ფაჲდა შეუ? [იმნაიშვილი 1963: 227] „წერის („ნაწერის“) სარგებლობა რაა?“ და სხვ.

გარდა ზემომოყვანილი საშუალებებისა, მასდარის უქონლობის საკომპენსაციო ფუნქციას მეტწილად სახელობით ბრუნვაში მდგარი ნაზმნარი (ნამიმღეობარი) აბსტრაქტული

სახელები ასრულებენ [იმნაიშვილი 1963: 238-239; შდრ. ლომთაძე 2000: 293]. ამ დანიშნულებით ჩვეულებრივ ნამყო დროის მიმღეობა გამოიყენება, რომელსაც დაერთვის აბსტრაქტულ სახელთა საერთო სუფიქსი **-ლ'ი**: ზამან ბიკინოსი დარ რინო ობიშ მოჩი **ბალ'ირულ'ი** „ცოტა ხნის შემდეგ მე გავიგე, რომ მამამ ყანა მოხნა („მამის მიერ მიწის მოხვნა")"; დისირ რიშ ჟა ბარუ **დოკე̄კრულ'ი** [იმნაიშვილი 1963: 239, 1] „მან გაიგო იმ ცოლის მოტაცება".

რაც შეეხება საჰადურ დიალექტში გამოვლენილ, **ცახ-ნი** („წერა") ტიპის მასდარულ ფორმათა ბრუნებას, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ დასტურდება მათი ბრუნვაცვალების არცერთი ფაქტი, ამიტომ კვლევის ამ ეტაპზე ვერ წამოვჭრით მათი ბრუნების საკითხს, თუმცა თეორიულად ეს სავსებით შესაძლებელია (საკითხი დამატებით ძიებას მოითხოვს).

§ 3. მასდარის გამოხატვის საკითხისათვის ჰინუხურ ენაში. თუ ზედმიწევნით ზუსტად ვიმსჯელებთ, მასდარის ფორმები ჰინუხურში არ გვხვდება. მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში **რუხიშ-ლ'ი** („აღება", „ყიდვა") ტიპის ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები მასდარის ფორმებად არის მიჩნეული [ლომთაძე 1963: 148; შდრ. იმნაიშვილი 1963: 236; 240], მაგრამ ისინი უფრო აბსტრაქტულ სახელებს წარმოადგენენ, ვინემ მასდარულ ფორმებს. კერძოდ, **-ლ'ი** აბსტრაქტულობის სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, მიმღეობურ ფორმებს იყენებენ ფუძედ. საილუსტრაციო მაგალითები სქემატურად:

ნამყო ძირითადი (resp. ნამყოს მიმღეობა)		აბსტრაქტული სახელი	
ცახი-შ	„დაწერა“, „დაწერილი“	**ცახიშ-ლ'ი**	„დაწერილობა“
რაწი-შ	„შეჭმა“, „შეჭმული“	**რაწიშ-ლ'ი**	„შეჭმულობა“,[1] „ნაჭმეობა“
ბელ'ე-ს	„მოხნა“, „მოხნული“	**ბელ'ეს-ლ'ი**	„მოხნულობა“
ტოტერი-შ	„ისწავლა“, „ნასწავლი“	**ტოტერიშ-ლ'ი**	„ნასწავლობა“
ქექი-შ	„გაგზავნა“, „გზავნილი“	**ქექიშ-ლ'ი**	„გზავნილება“

ნამყო დროის მიმღეობა II		მასდარი	
ბუშიდო-რუ	„ნაჭამი“	**ბუშიდორუ-ლ'ი**	„ნაჭმეობა“
ბიჭიდო-რუ	„გათხრილი“	**ბიჭიდორუ-ლ'ი**	„გათხრილობა“
ბოწწო̄-რუ	„გაჭრილი“	**ბოწწო̄რუ-ლ'ი**	„გაჭრილობა“
რუტედო-რუ	„ნაკრები“	**რუტედორუ-ლ'ი**	„ნაკრებობა“
გოროდო-რუ	„დადგმული“	**გოროდორუ-ლ'ი**	„დადგმულობა“
ზოკო̄-რუ	„ნაცემი“	**ზოკო̄რუ-ლ'ი**	„ნაცემობა“
კილიკო̄-რუ	„დაბანილი“	**კილიკო̄რუ-ლ'ი**	„დაბანილობა“

[1] თარგმანი ზედმიწევნითია და ქართულისათვის გარკვეულწილად ხელოვნური, თუმცა ზუსტად გამოხატავს არსებულ თავისებურებას.

ანალოგიური ფორმები განყენებულ შინაარსს შეიცავენ, რადგანაც აბსტრაქტულობის **-ლ'ი** სუფიქსით[1] იწარმოებიან და, აქედან გამომდინარე, იოლად ხდება მათი მეშვეობით მასდარულ ფორმათა ჩანაცვლება. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა **-ლ'ი** აბსტრაქტულობის სუფიქსით ისედაც განყენებული შინაარსის სახელის — მასდარის წარმოება.

არცთუ იშვიათად მასდარის როლს ინფინიტივი ასრულებს, რაც სხვა ახლომონათესავე ენათა სინამდვილისთვისაც ნიშანდობლივია, მაგ.: დიჟ **უჰა** დაჰაუ ზამან გოლ' [იმნაიშვილი 1963: 295, 14] „ჩემ სიკვდილამდე („ჩემი მოკვდომა") ცოტა დრო დარჩა („არის")"; ზერი̄ ბეცცი ბუჲტო ღ'ვადი ვოხზი ბიᵒყ'ნო, **ქეჭ ცელ'ა** ბაჲბიქი ბუს [ლომთაძე 1963: 203, 26] „მელიის შექებაზე ყვავი გამხიარულდა და სიმღერა („სიმღერის თქმა") დაიწყო".

ჰინუხური ენა, გარდა ამ საშუალებებისა, მასდარის უქონლობის საკომპენსაციოდ მიმართავს ყველა იმ ფორმას, რომლებიც საკუთრივ დიდოური ენისთვის არის გამოყენებული [იმნაიშვილი 1963: 236-240].

§ 4. მასდარის წარმოება ხვარშიულ ენაში. სხვა დიდოურ ენათაგან განსხვავებით, ხვარშიული ენის ორსავე დიალექტში დასტურდება მასდარის სინთეზური ფორმები, რომლებიც იწარმოება შესაბამისი ზმნური (მარტივი ან რთული) ფუძისაგან **-ნუ** სუფიქსის დართვით [იმნაიშვილი 1963: 240-242]. საილუსტრაციო მაგალითები სქემატურად:

[1] ეს სუფიქსი, როგორც მიუთითებენ, წარმოშობით ხუნძ. **ლ'ი**-ზე („გახდომა") ზმნის მასდარია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 176].

ინხოყვარული დიალექტი		საკუთრივ ხვარშიული დიალექტი		
ზმნის ფუძე	მასდარი	ზმნის ფუძე	მასდარი	ლექსიკური მნიშვნელობა
ბეზ-	ბეზ-ნუ	ბეზ-	ბეზ-ნუ	„ალება“, „ყიდვა“
გოტʰ-	გოტʰ-ნუ	გოტʰა-	გოტʰა-ნუ	„ძახილი“
ბაწ-	ბაწ-ნუ	ბაწ-	ბაწ-ნუ	„შეშა“
ჭულ-	ჭულ-ნუ	ჭულ-	ჭულ-ნუ	„ტყორცნა“, „სროლა“
ლალ'-	ლალ'-ნუ	ლოლ'-	ლოლ'-ნუ	„ხვნა“
ბაჭ'-	ბაჭ'-ნუ	ბაჭე-	ბაჭე-ნუ	„დაწოლა“
ჰაგოლ'-	ჰაგოლ'-ნუ	ჰაგოლ'ა-	ჰაგოლ'ა-ნუ	„გაცოცხლება“

მასდარის უარყოფითი ფორმები იწარმოება სათანადო ზმნის აწმყო კონკრეტულის უარყოფითი ფორმისაგან იმავე (**-ნუ**) სუფიქსის მეშვეობით, მაგ.: აწმყ. კონკრ. **ნალეკა-თე** „არ ლესავს“ — **ნალეკათე-ნუ** „არგალესვა“, **ბაწა-თე** „არ ჰამს“ — **ბაწათე-ნუ** „არშეშმა“, **Øეზა-თე** „არ ყიდულობს“ — **Øეზათე-ნუ** „არყიდვა“, **Øე'ხეჲა-თე** „არ დადის“ — **Øე'ხეჲათე-ნუ** „არწასვლა“, **ჭერაჲა-თთე** „არ თამაშობს“ — **ჭერაჲათთე-ნუ** „ართამაშობა“ და მისთ.

ამგვარი უარყოფითი ფორმები გაბმულ მეტყველებაში სპორადულად გვხვდება და სტილური თავისებურებით ჩანს გამოწვეული.

§ 5. მასდარის ბრუნებისათვის. საგულისხმოა, რომ ხვარშიულ ენაში მასდარი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება და თითოეულ ბრუნვის ფორმას სხვა ფორმათაგან მკაფიოდ გამიჯნული ფუნქცია მოეპოვება [იხ. იმნაიშვილი 1963: 240-242].

მასდარი ბრუნებისას თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ ერგატივში გამოავლენს ძველ ნიშანს **-დი** (> **-ზი**) და საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში დამატებით დაირთავს **-ჟო** ელემენტს. საბოლოოდ ამ დიალექტში ერგატივის მარკერად **-დიჟო** გვექნება. შემოვიფარგლები ერთი მაგალითის ილუსტრაციით:

	ინხოყვარული დიალექტი	საკუთრივ ხვარშიული დიალექტი	
სახ.	დაჴ'ნუ	დაჴენუ	„დაწოლა“
ერგ.	დაჴ'ნუ-დი/-ზი	დაჴენუ-დიჟო	
მიც.	დაჴ'ნუ-ლ	დაჴენუ-ლ	
ნათ.	დაჴ'ნუ-ს	დაჴენუ-ს	
ინსტრ.	დაჴ'ნუ-დ	დაჴენუ-დ	

მიუხედავად იმისა, რომ ხვარშიული ენა მასდარულ ფორმებს მოკლებული არ არის, ალტერნატიულ საშუალებად მაინც გამოიყენება ინფინიტივი, მიმღეობა და ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები, რომელთა ხმარება ამა თუ იმ კონკრეტულ კონტექსტში სტილური თავისებურებებით ჩანს შეპირობებული.

§ 6. მასდარის წარმოება ბეჟიტურ ენაში. ბეჟიტური ენის მასდარის შესახებ სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ე. ლომთაძე, მ. ხალილოვი და ჰ. ვან დენ ბერგი ნაზმნარ აბსტრაქტულ არსებით სახელს მასდარად მიიჩნევენ [ლომთაძე 2000: 291-293; ხალილოვი 1995: 406; ვან დენ ბერგი 1995: 89], ხოლო მოგვიანებით ი. ისაყოვი და მ. ხალილოვი სავსებით სამართლიანად ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში გამოყოფენ მასდარულ ფორმებს და **ბექერ-ლ'ი** („ჩამოვარდნა“) ტიპის ფორმებსაც სათანადო სემანტიკურ-ფუნ-

ქციური კვალიფიკაცია ეძლევა [ისაყოვი, ხაილოვი 2001: 272].

განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ჰუნზიბურ დიალექტში თავჩენილი მასდარული ფორმები იქცევენ, რომლებიც ნაწარმოებია უცვლელი (თანხმოვანფუძიანი) ან მოდიფიცირებული (ხმოვანფუძიანი) ზმნური ფუძისაგან **-ი** ფორმანტით.[1] მასდარის სუფიქსი **-ი**, ინფინიტივის **-ა**-ს მსგავსად, ხმოვანფუძიანი ზმნების ბოლოკიდურ ხმოვანს კვეცს. საილუსტრაციო მასალა სქემის სახით ასე წარმოგვიდგება:

ა) ხმოვანფუძიანი ზმნები

ზმნის ფუძე	მასდარი	ლექსიკური მნიშვნელობა
Øეჩე-	**Øეჩ-ი**	„დგომა“
Øე^{ნ}ტ^{ი}ე-	**Øე^{ნ}ტ^{ი}-ი**	„წასვლა“
რუუ̄ო-	**რუუ̄-ი**	„კეთება“
ჰუუ̄ო-	**ჰოო̄-ი** (‖ **ჰუ-ი**)	„კითხვა“
Øუჰო-	**Øუჰ-ი**	„სიკვდილი“
თო̄წა-	**თო̄წ-ი**	„ყურება“
Øიტ^{ი}ე-	**Øიტ^{ი}-ი**	„მოკვლა“
ნიჟო̄-	**ნიჟ-ი**	„თესვა“

[1] საკ. ბეჟიტურ დიალექტში სპორადულად გვხვდება **-ნი**, **-ი** სუფიქსებით ნაწარმოები ხმაბაძვითი მასდარები: **ღაფ-ნი** „ყეფა“, **დაფ-ნი** „ტყაპანი“, **დაც-ნი** „ცემა-ტყეპის ხმა“, **ჩიხი-ჩახ-ი** „წერა-მერა“ (ზედმიწ. „? + წერა“), **ლ'იჯი-ლ'აჯ-ი** „მიდებ-მოდება“ და მისთ. **-ნი** სუფიქსიან ერთ (**გერ-ნი** „გინება“) ფორმას მ. ხალილოვიც იმოწმებს [ხალილოვი 1995: 406].

ბ) თანხმოვანფუძიანი ზმნები

ზმნის ფუძე	მასდარი	ლექსიკური მნიშვნელობა
ჩახ-	**ჩახ-ი**	„წერა“
ბეშ-	**ბეშ-ი**	„ჭამა“
ბუჭ-	**ბუჭ-ი**	„ჭრა“
ბაჴ-	**ბაჴ-ი**	„მოხდენა“
ტუტ-	**ტუტ-ი**	„სროლა“
ხულ'-	**ხულ'-ი**	„სმა“
ჸილ'-	**ჸილ'-ი**	„თქმა“
ო'ქ-	**ო'ქ-ი**	„ცემა“
როხ-	**როხ-ი**	„ყიდვა“

მასდარი სუბიექტ-ობიექტთან მიმართებით არსებითი სახელის ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებს — გარდაუვალ ზმნაში იგი სუბიექტად, ხოლო გარდამავალ ზმნაში შესაბამის ობიექტად გვევლინება. მასთან, მასდარს შერჩენილი აქვს ზმნური ნიშნები — კლასისა და რიცხვის კატეგორიები. მასდარსა და ზმნაში მათი აღნიშვნის წესი მსგავსია. გარდა ამისა, მას მოეპოვება გარდამავლობისა და კაუზატივის კატეგორიები, რაც სათანადოდ აისახება წინადადებაში სუბიექტისა და ობიექტის (resp. ობიექტების) ურთიერთმიმართებისას. მასდარს, როგორც ნაზმნარ აბსტრაქტულ არსებით სახელს, შეიძლება ჰქონდეს ნომინატიური, ერგატიული, დატიური, პოსესიური და ლოკატიური კონსტრუქციები, მაგრამ მათი რეალიზება გარკვეულ სინტაქსურ პირობებს მოითხოვს. რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი: დგბაჴ **ჩახი** კოტტუ ლი (ნაჰ.) „შენი ხელწერა („წერა“) კარგია („არის“)“; რგყყუ **ნუჴი-ხულ'ი** ზუყურ „დიდი სმა-ჭამა („ჭამა-სმა“) იყო“; ...თოფი **ტუტი** კოტტუ ლი (ნაჰ.) „თოფის სროლა კარგია („არის“)“; დგ **ხულ'ი** ბეჩანიდერ (ნაჰ.) „მე დალევა დავამთავრე“; ოყყუ სუკუს **Øეჟი** ზაჰ-მათაბ ლი (ღარ.) „მძიმე კაცის წაღება ძნელია („არის“)“; დგბაჴ ბაჴი **ზუყი** ლი (ნაჰ.) „შენი აქ ყოფნა კარგია („არის“)“; **ოლ'ულ ფიჴ როხი** დი რიყერ (ნაჰ.) „მის მიერ ხილის ყიდვა მე ვიცო-

დი“, შდრ. **ოლ'ულ ფიჴ როხორ** „მან ხილი იყიდა“.

მასდარის ადგილას ზემოგაანალიზებულ საკუთრივ ფორმებთან შედარებით ტექსტებში უფრო ხშირად გამოიყენება ნამყოს მიმღეობისაგან **-ლ'ი** სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები. ამგვარი სახელები ერთნაირად დამახასიათებელია ორივე — საკ. ბეჟიტური და ჰუნზიბური — დიალექტისათვის, მაგ.:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
ნამყო დროის მიმღეობა (resp. აორისტი)	მასდარი	ნამყო დროის მიმღეობა (resp. აორისტი)	მასდარი
ჩახ-ალ „წერა“		ჩახ-ა „წერა“	
ჩახი-რო	ჩახირო-ლ'ი	ჩახე-რ	ჩაზერ-ლ'ი
Ѳიტѫ-ალ „მოკვლა“		Ѳიტѫ-ა „მოკვლა“	
Ѳიტѫი-რო	იტѫირო-ლ'ი	Ѳიტѫე-რ	იტѫერ-ლ'ი
რუჳ-ალ „ჭამა“		ბალ'-ა „ხვნა“	
რუჳი-რო	რუჳირო-ლ'ი	ბალ'ა-რ	ბალ'არ-ლ'ი
ზუყ-ალ „ყოფნა“		ზუყ-ა „ყოფნა“	
ზუყო-დო	ზუყოდო-ლ'ი	ზუყუ-რ	ზუყურ-ლ'ი
ჴოჰდ-ალ „სწავლა“		ჴოდ-ა (ღარ. ჴრდ-ა) „სწავლა“	
ჴოჰდა-დო	ჴოჰდადო-ლ'ი ‖ ჴოჰდა-ლ'ი	ჴოდა-რ	ჴოდარ-ლ'ი
Ѳატѫელ-ალ „ცემა“		Ѳეჟ-ა „წაღება“, „წაყვანა“	
Ѳატѫელ-ლო (<*Ѳატѫელ-რო)	Ѳატѫელლო-ლ'ი (<*Ѳატѫელრო-ლ'ი)	Ѳეჟე-რ	Ѳეჟერ-ლ'ი

ამგვარ მასდარებს შეიძლება **მეორეული მასდარებიც** ვუწოდოთ იმის გამო, რომ მათში აბსტრაქტულობა ორმაგად არის გამოხატული: ჰუნზ. ინფ. ზუყ-ა „ყოფნა“ — მასდ. ზუყ-ი „ყოფნა“ — ზუყუ-რ „ყოფილი“ — ზუყურ-ლ'ი „ყოფილობა“, ინფ. როხ-ა „ყიდვა“ — მასდ. როხ-ი „ყიდვა“ — როხ-ორ „ნაყიდი“ — როხორ-ლ'ი „ნაყიდობა“ და მისთ.

ზემომოყვანილ მასდარულ ფორმათა გარდა, მასდარის ფუნქციით ფართოდ გამოიყენება ინფინიტივი, მიმღეობა და ზოგიერთი საგარემოებო ფორმა, ე. ი. ამ ენაშიც იგივე ვითარება გვაქვს, რაც სხვა დიდოურ ენათა სინამდვილისათვის არის ნიშანდობლივი (იხ. § 35).

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ **ჩახერლ'ი** („წერა“) ტიპის მასდარს ბრუნვის კატეგორია მოეპოვება. მასდარული სახელები, როგორც განყენებული სემანტიკის შემცველნი, IV გრამატიკულ კლასს მიეკუთვნებიან და პირველი (მარტივფუძიანი) ტიპის მიხედვით იბრუნვიან. მათ, როგორც წესი, მრავლობითი რიცხვი (თუ გასუბსტანტივებული არაა) არ გააჩნიათ. ერთი მაგალითი ჰუნზიბური დიალექტიდან:

სახ.	**ალერლ'ი**	„შეერთება“
ერგ.	**ალერლ'ი-ლი**	
ნათ.	**ალერლ'ი-ს**	
მიც.	**ალერლ'ი̄**	
ინსტ.	**ალერლ'ი-დ**	

II თავი

მიმღეობა დიდოურ ენაში

1. მიმღეობის წარმოება

§ 7. აწმყოს მიმღეობის წარმოება. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით [ბოკარევი 1959: 210, 216; მადიევა 1965: 217-218; აბდულაევი 1981: 15], დიდოურ ენაში აწმყოს მიმღეობას მოეპოვება დადებითი და უარყოფითი ფორმები; გარდა ამისა, ზედსართავი სახელის ანალოგიურად დასტურდება მიმღეობის განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმები [იხ. ბურჭულაძე 1982: 163-170].

ინფინიტივის **-ა** სუფიქსიანი ზმნებისაგან აწმყოს მიმღეობის დადებითი ფორმები იწარმოება აწმყო კონკრეტულის ფორმაზე **-სი** მაატრიბუტივებელი ფორმანტის დართვით [იმნაიშვილი 1963: 217; ბოკარევი 1959: 210], მაგალითად: **Ø-აჩი-ხო-სი** „მყოფი, მცხოვრები, გაჩერებული“, **Ø-აწხო-სი** „მჭამელი“, **Ø-ოკეკხო-სი** „[მო]მტაცებელი, რასაც იტაცებენ“, **Ø-ეთი-ხო-სი** „საყვარელი“, **Ø-ოჟიხო-სი** „წამყვანი, წამღები“, **ქოსიხო-სი** „მთიბველი, რასაც თიბავენ“, **ბაჰნაჲხო-სი** „მაწანწალა, აქეთ-იქით მოსიარულე“, **ტეტერხო-სი** „მოსწავლე, მკითხველი“, **ლ'ოჩიატ᷄ კოლ'იხო-სი** „მოცეკვავე“ (ზედმიწ. „ცეკვაზე მხტომელი“), **ქურხო-სი** „მსროლელი“, **ესირხო-სი** „მთხოვნელი“ (ზედმიწ. „მომკითხველი“), **ლელატ᷄ კოლ'იხო-სი** „მფრინავი“ (ზედმიწ. „ფრთაზე მხტომელი“), **რილ'იხო-სი** „მხვნელი, სახნავი“...

დასახელებული ტიპის მიმღეობის წარმოების მხრივ დიდოური ენის დიალექტებსა და თქმებს შორის სხვაობა არ შეიმჩნევა — სურათი საკმაოდ ნათელი და ერთფეროვანია.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთივ დიდოურ დიალექტში ორფუძიან ზმნათა აწმყო კონკრეტულის ფორმებს **-ხი** ფორმანტის დართვისას რედუცირებული **-ო** ხმოვანი, რაც წინამავალი მახვილის ინტენსიური გავლენის შედეგია [იმნაიშვილი 1956: 417], ყოველთვის აღუდგება, მაგალითად: **Ø-оқо-ხო-ხი** (შდრ. აწმყო კონკრ. **Ø-оқо-ხ**) „მიმავალი“, **ლ'ისი-ხო-ხი** (შდრ. აწმყო კონკრ. **ლ'ისი-ხ**) „მწეველი“ და სხვა.

დიალექტებისა და თქმების მიხედვით, მცირე ფონეტიკურ განსახვევებებს გვიჩვენებს **-დ-ა** ინფინიტივზე დასრულებული იტერატიული სემანტიკის ზმნათა მიმღეობები. ფონეტიკური ცვლილებები ძირითადად აწმყოს ფუძეში ხდება [იმნაიშვილი 1963: 167, 179] და მიმღეობის **-ხი** ფორმანტის დართვა ფორმობრივ განსხვავებას ვერ იწვევს, მაგალითად: **კეშანახო-ხი** (საჰ.) „მოთამაშე“, **Ø-ეხუხო-ხი** „საკლავი, რასაც კლავენ“, **Ø-оქუადხო-ხი** „მნახველი, რაც ჩანს“... ეს ფორმები, სავარაუდოა, მომდინარეობდეს [იმნაიშვილი 1963: 170] შესაბამისი წინარე ფორმებიდან, რომელთა გენეზისი ასე გვესახება: **კეშანადხო-ხი** ←***კეშანაიხოხი** ←***კეშანადიხო-ხი** „ხშირად მოთამაშე“, **Ø-оქუ-ადხო-ხი** ←***Ø-оქუაიხოხი** ←***Ø-оქუადიხო-ხი** „ხშირად მხედველი, მაყურებელი“... ფუძისეული **დ**-ს რეკონსტრუქცია ხდება ინფინიტივის (შდრ. **Ø-оქუა-დ-ა** „ნახვა“) ფორმის მიხედვით, სადაც ინფინიტივის **-ა** ნიშანს **-დ-** უძღვის წინ.

---

[1] თუ, რა თქმა უნდა, არ გავითვალისწინებთ დიალექტების მიხედვით ზმნის ფუძის ფონეტიკურ ცვალებას, მაგალითად: **Øоқохо-хი** (საკ. დიდ.), **Øоტიхო-хი** (საჰ.) „მიმავალი“; **Øэхო-хи** (საკ. დიდ.), **Øоყ'ихо-хи** (საჰ.) „მცოდნე, მცნობელი“ და მისთ.

აწმყოს კაუზატიური მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულის კაუზატიურ ფორმაზე მიმღეობის საწარმოებელი **-სი** სუფიქსის დართვით [ზვიადაური 1990: 226]. საილუსტრაციო მაგალითები: **ცახრახო-სი** ←***ცახერახო-სი** (შდრ. აწმყო კონკრ. **ცახერ-ხო** „აწერინებს“) „დამწერინებელი“, **Ø-იშერხო-სი** „მჭმეველი“, **Ø-ეხურერხო-სი** ←***Ø-ეხუერერხო-სი** (შდრ. აწმყო კონკრ. **Ø-ეხუერ-ერ-ხო** „აკვლევინებს“) „მომკვლევინებელი“, **ნეხრერხო-სი** ←***ნეხერერხო-სი** (შდრ. აწმყო კონკრ. **ნეხერერ-ხო** „მოაყვანინებს“) „მომყვანინებელი“ და მრ. სხვ.

აწმყოს მიმღეობა (როგორც კაუზატური, ასევე ჩვეულებრივი) შეიძლება შეგვხვდეს განსაზღვრულიც და განუსაზღვრელიც. მეტწილად იგი განუსაზღვრელი სახით დასტურდება, მაგრამ გარკვეულ კონტექსტებში მას, როგორც საერთოდ ზედსართავ სახელს, განსაზღვრულობის სემანტიკა აქვს. ეს ეხება ისეთ კონტექსტებს, რომლებშიც ხდება ერთი რომელიმე საგნის ან არსების გამოყოფა-გამოცალკევება სხვა საგანთა ან არსებათა სიმრავლიდან და მასზე საგანგებო ხაზგასმა. განსაზღვრული ფორმები ნაწარმოებია **-ნი** განსაზღვრებითი ნაწილაკით,[1] თუმცა, უნდა ითქვას, ხშირად ამ ნაწილაკს არავითარი სემანტიკური დატვირთვა არ გააჩნია. საილუსტრაციო მაგალითები: **ცახხოსი-ნი** „საწერი, მწერელი რომელიცაა“: ისთოლიტ᷄ დოლ᷄ ყ᷄ანო რუჩქა: სის — **ცახხოსი**, სისსი — **ცახხᾱნუსი**; **ცახხოსინი** რუჩქა ნელ᷄ დᾱრ „მაგიდაზე არის ორი კალამი: ერთი — წერს (ზედმიწ. „მწერელი“), ერთიც — არ წერს (ზედმიწ. „არმწერელი“); სახელდობრ ის, რომელიც წერს (ზედმიწ. „ის, რომელიც მწერელია“), მომეცი მე“; ელო დოლ᷄ ლ᷄ონო გულუ: სის — ტ᷄იდორ **ბიკიხოსი**, სის — სოდერ **ბიკიხოსი**, სისინიგონ — ბითთორ; ბითთორ **ბიკიხოსინი** ხიზორ ბუთის „იქ არის სამი ცხე-

[1] ი. მეგრელიძე საანლიზო ნაწილაკს **გაძლიერებითს** უწოდებს, ხოლო ე. ბოკარევი — **ემფატიკურს** [იხ. მეგრელიძე 1940: 150; ბოკარევი 1959: 195].

ნი: ეთი — ქვევით მიმავალი, მეორე (ზედმიწ. „ერთი“) — ზევით მიმავალი, მესამე (ზედმიწ. „ერთიც“) კი — იქით; იქით მიმავალი რომელიცაა, უკან დაბრუნდა“.

დიდოურ ენაში ზემოგანხილულ აწმყოს მიმღეობათა გვერდით დასტურდება საგარემოებო ფორმაზე, კერძოდ, დროული მიმდევრობის გამომხატველ ფორმაზე **-სი** სუფიქსდართული აწმყოს მიმღეობა [იმნაიშვილი 1963: 220]. საილუსტრაციო მაგალითები: **ჭურტ꙳ო-სი** || **-სი-ნი**[1] „მსროლელი“ (შდრ. **ჭურ-ტ꙳ო** „სროლაზე, სროლისას“), **Ø-იკიტ꙳ო-სი** || **-სი-ნი** „მიმავალი“ (შდრ. **Ø-იკიტ꙳** ←***Ø-იკიტ꙳ო** „წასვლაზე, წასვლისას“), **Ø-ოზიტ꙳ო-სი** „ამდგომი“ (შდრ. **Ø-ოზიტ꙳** ←***Ø-ოზიტ꙳ო** „ადგომაზე, ადგომისას“), **ნეხტ꙳ო-სი** „მომავალი“ (შდრ. **ნეხტ꙳ო** „მოსვლაზე, მოსვლისას“) და სხვ.

ასეთი ტიპის აწმყოს მიმღეობა მეტად კონკრეტული შინაარსის შემცველია და შედარებით ნაკლებად იხმარება. იგი მიუთითებს ისეთ კონკრეტულ მოქმედებაზე, რომელიც მხოლოდ მთხრობელის თანდასწრებით ხდება, დროში მკაცრადაა განსაზღვული და სივრცეში კი — მტკიცედ ლოკალიზებული.

საკუთრივ დიდოურ დიალექტში აწმყოს უარყოფითი მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულის უარყოფით ფორმაზე მიმღეობური **-სი** სუფიქსის დართვით [იმნაიშვილი 1963: 218], მაგალითად: შაიტლ. **Ø-ᾱხ̄ნუ-სი** „უცოდინარი, უმეცარი“, **Ø-აწხ̄ნუ-სი** „უჭმელი“, **Ø-ეგირხ̄ნუ-სი** „გაუშვებელი, ვისაც არ გაუშვებენ“, **Ø-იჟიხ̄ნუ-სი** „რაც ვერ მიჰყავთ, მიაქვთ“...; დანარჩენ თქმებში: **Ø-ᾱხ̄ნუ-სი** „უმეცარი“, **ლ'ᾱხ̄ნუ-სი** „გაუთავებელი, რასაც ვერ ათავებენ“, **Ø-იჩიხ̄ნუ-სი** „რაც არ რჩება“, **Ø-აწხ̄ნუ-სი** „რაც არ იჭმება“, **ცახხ̄ნუ-სი** „რაც არ იწერება“, **Ø-იკიხ̄ნუ-სი** „რაც არ მიდის“, შდრ. **Ø-იკილ'ხ̄ნუ-სი** || **-სი-ნი** „რასაც წასვლა არ ძალუძს“: ღაზარ ხოტო

[1] განსაზღვრული ფორმები მოგვყავს პარალელურად.

ᲓᲝᲚ'ᲠᲣ — **ᲑᲘᲙᲘᲚ'ᲮᲐᲜᲣᲡᲘᲜᲘ** (გამოც.) „ასი ფეხის მჭონეა — ვერ მიდის“, **ᲠᲝᲓᲘᲚ'ᲮᲐᲜᲣᲡᲘ** „გაკეთება არ შეუძლია“...

ბოლო ფორმები პოტენციალისის სემანტიკის შემცველია, რაც ერთგვარ ინტერესს იწვევს იმით, რომ ხელშესახებია „შესაძლებლობა მიმღეობის პოტენციალისის კილოთი ხმარებისა“ [ტენიერი 1988: 468].

დასტურდება უარყოფითი მიმღეობის განსაზღვრული ფორმები: **ᲪᲐᲮᲮᲐᲜᲣᲡᲘ-ᲜᲘ** „ის, რასაც არ წერენ“, **Ø-ᲐᲬᲮᲐᲜᲣᲡᲘ-ᲜᲘ** „ის, რასაც არ ჰამენ“...

-ნი განსაზღვრებით ნაწილაკს ხშირად თავისი ძირითადი ფუნქცია შესუსტებული ან მთლად მოშლილი აქვს და, ბუნებრივია, ამგვარ ფორმებში მას ემფატიკური ნაწილაკის ფუნქცია გააჩნია [ბოკარევი 1959: 195]. ყოველივე ეს ნათლად ვლინდება მყარ გამოთქმებში, ანდაზებსა და გამოცანებში, სახელდობრ: **ᲮᲐᲚ'ᲘᲮᲐᲜᲣᲡᲘᲜᲘ**, **ᲮᲐᲜᲮᲝᲐᲜᲣᲡᲘᲜᲘ**, **ᲗᲔᲚ'ᲔᲠ** ᲟᲔᲙᲣ **Ø ᲔᲒᲔᲘᲠᲮᲐᲜᲣᲡᲘᲜᲘ** „არ ყვირის (ზედმიწ. „მყვირალი არაა“), არ იკბინება (ზედმიწ. „მკბენარი არაა“), შიგნით კაცს არ უშვებს (ზედმიწ. „გამშვები არაა“)“ (კლიტე); ნეშირუხად — ჯუჯა **ᲠᲘᲩᲘᲮᲝᲡᲘᲜᲘ**, ჯაშოდხად — **ᲠᲘᲨᲮᲝᲡᲘᲜᲘ** „ღამე — მშიერი, შუადღისას — მაძღარი (ზედმიწ. „მჭამელი“)“ (ფეხსაცმელი).

ე. ბოკარევი ფიქრობს, რომ ზემოაღნიშნულ მიმღეობური ფორმები ნაწარმოებია აწმყო კონკრეტულის დადებით ფორმაზე **ᲖᲔᲕᲐ** („ყოფნა“) ზმნის უარყოფითი მიმღეობის (**ᲐᲜᲣᲡᲘ**) საშუალებით [ბოკარევი 1959: 216], რაც რეალურ ვითარებას ვერ ასახავს.

საანალიზო ფორმები აწმყო კონკრეტულის უარყოფითი ფორმებისაგან რომაა ნაწარმოები, ამას სათანადო ფორმათა შედარებაც ცხადყოფს: **Ø-ᲔᲮᲐᲜᲣ-ᲡᲘ** (შდრ. უარყ. აწმყო კონკრეტ. **Ø-ᲐᲮ-ᲐᲜᲣ** ← **Ø<ᲐᲮᲛ-ᲐᲜᲣ**) „უცოდინარი“, **ᲗᲔᲚ'ᲮᲐᲜᲣ-ᲡᲘ** (შდრ. უარყ. აწმყო კონკრეტ. **ᲗᲔᲚ'Ხ-ᲐᲜᲣ** ←***ᲗᲔᲚ'-ᲮᲛ-ᲐᲜᲣ**) „არმიმცემი, ვინც არ იძლევა“, **ᲠᲘᲚ'ᲘᲮᲠᲜᲣ-ᲡᲘ** [იმნაიშვილი

1963: 187] (შდრ. უარყ. აწმყო კონკრეტ. **რიღ'იხ-რნუ** ←***რიღ'იხო-რნუ**) „რასაც ვერ ხნავენ“ და მრ. სხვ.

საგულისხმოა, რომ მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმის დართვისას აწმყოს ნიშნისეული **-ო** ყველა შემთხვევაში რედუცირდება, რაც უკანამავალი **-ო** ან **-ა** მახვილიანი ხმოვნის გავლენის შედეგი ჩანს.

დიდოური ენის საჰადურ დიალექტში აწმყოს უარყოფითი მიმღეობა ნაწარმოებია ანალოგიურად, იმ განსხვავებით, რომ აწმყოს უარყოფითი ფორმის მაწარმოებელ მეშველ (**ᲓᲐᲚ'** „არ არის“) ზმნას განსხვავებული სტრუქტურული შედგენილობა აქვს, მაგალითად: **Ø-იტ-იხᲔᲚ'-სი** (შდრ. უარყ. აწმყო კონკრ. **Ø-იტ-იხ-ᲔᲚ'** ← **Ø-იტ-იხო-ᲓᲐᲚ'**) „ვინც ან რაც არ მიდის“, **ცახხᲔᲚ'-სი** (შდრ. უარყ. აწმყო კონკრ. **ცახხ-ᲔᲚ'** ←***ცახხო-ᲓᲐᲚ'**) „დაუწერელი, რაც არ იწერება“, **Ø-აწხᲔᲚ'-სი** (შდრ. უარყ. აწმყო კონკრ. **Ø-აწხ-ᲔᲚ'** ← **Ø-აწხო-ᲓᲐᲚ'**) „ვინც არ ჭამს“ და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ აწმყოს როგორც დადებით, ისე უარყოფით მიმღეობას უფრო ზოგადი მნიშვნელობა მოეპოვება და ხანდახან მყოფადის გაგებასაც ითავსებს. ამითაა გამოწვეული, რომ ბევრი მკვლევარი მას განიხილავს, როგორც აწმყო-მყოფადის მიმღეობას. ასეთ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, სემანტიკას ეწევა დიდი ანგარიში. ზემონახსენები მიმღეობა აღნიშნავს ან ისეთ მოქმედებას, რომელიც მთქმელის თანდასწრებით ხდება, ანდა ისეთს, რომელიც ამ წუთას არ ხდება, მაგრამ ახლო მომავალში იგულისხმება მისი განხორციელება.

§ 8. ნამყოს მიმღეობის წარმოება. ნამყოს მიმღეობა, წარმოების მხრივ, სამ ფორმას განარჩევს. სტრუქტურული სხვაობა ხელშესახებია ფუძეშიც და საწარმოებელი აფიქსების მიხედვითაც. რაც შეეხება სემანტიკურ დიფერენციაციას, იგი შორს არ მიდის და, ამდენად, ნიუანსური ბუნებისაა.

ნამყოს მიმღეობას პრეფიქსად სათანადო ზმნიდან გადმოყოლილი გრამატიკული კლასის ექსპონენტი უძღვის წინ (თუ ზმნა კლასნიშნიანია), ხოლო ბოლოკიდურად მიმღეობის სათანადო სუფიქსები მოსდევს.

წარმოების თვალსაზრისით, ნამყოს მიმღეობა პირობითად შეიძლება სამ ტიპად დაიყოს: 1) **-სი || -სი-ნი** სუფიქსიანი, 2) **-რუ || -რუ-ნი** სუფიქსიანი და 3) **-ლი || -ლი-ნი** სუფიქსიანი.

1) **პირველი ტიპის -სი || -სი-ნი სუფიქსიანი ნამყოს მიმღეობა** ი. მეგრელიძეს აწმყოს მიმღეობად მიაჩნია. გი წერს: „აწმყო დროის მიმღეობა ბოლოვდება -აასი-ნი- სუფიქსით რიწაასი (ას.) — სავსე (შრ. რიწეესი, ხმ. რიწეესი, შტ.: რიწოოსი...“ [მეგრელიძე 1955: 240].

ე. ბოკარევის მართებული მოსაზრებით, საანალიზო ფორმები ნამყოს მიმღეობა პირველად მიიჩნევა, თუმცა ავტორის მიერ მის მაწარმოებლად **-ъsи** სუფიქსის გამოყოფა ეჭვს იწვევს [ბოკარევი 1959: 210].

საყურადღებოა, რომ ზემოწარმოდგენილი მიმღეობის განუსაზღვრელი ფორმა არ იბრუნვის, რადგან იგი გაქვავებული სახით გვხვდება. ამიტომ დ. იმნაიშვილი ასეთ ფორმას მიმღეობად არ მიიჩნევს. ამის შესახებ იგი წერს: „მოცემული ზმნური ფორმა (ნამყოს **-სი** სუფიქსიანი მიმღეობა — ნ. ა.) არ იბრუნვის, მაგრამ მნიშვნელობითა და ხმარებით ნამყოს მიმღეობას უახლოვდება და ამიტომ მას ვუწოდებთ ნამყოს -სი სუფიქსიან ნაზმნარ ზედსართავს“ [იმნაიშვილი 1963: 214].

კითხვა ისმის: იბრუნვის თუ არა საანალიზო ფორმა და მიიჩნევა თუ არა უბრუნველი ნაზმნარი ზედსართავი სახელი მიმღეობად?

უნდა ითქვას, რომ ნამყოს მიმღეობა I იბრუნვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის განსაზღვრულია, ე. ი. დაერთვის **-სი-ნი** სუფიქსი. ოდენ **-სი** სუფიქსიანი ფორმები უბრუნ-

ველია, რაც ბუნებრივად მეორე ზოგად საკითხს სვამს და სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ამჟამად შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს მის ზმნურ სპეციფიკასთან ჩანს დაკავშირებული. იგი ყურადღებას იმ მხრივაც იქცევს, რომ ძირითადად შედგენილი შემასმენლის (ზმნის აღწერით ფორმათა) საწარმოებლად გამოიყენება.

ჩვენი აზრით, უბრუნველი ნაზმნარი ზედსართავი სახელი, რომელიც წინადადებაში მიმღეობის ფუნქციებს ასრულებს, შესაძლებელია მიმღეობის სტატუსის მქონედ ვცნოთ. თუკი აღნიშნულ ფორმას ნაზმნარ ზედსართავ სახელს დავარქმევდით, მაშინ გაურკვეველი დარჩებოდა ზედსართავი სახელის უბრუნველობაც, რაც მისი მეტად ნიშანდობლივი თვისებაა.

მაშასადამე, ნამყოს მიმღეობა I იწარმოება ნამყო განსაზღვრულის არქაულ ფორმაზე **-სი** (განუსაზღ.), **-სი-ნი** (განსაზღ.) სუფიქსების დართვით [იმნაიშვილი 1963: 214]. გარდა ამისა, მაატრიბუტივებელი **-სი** ფორმანტის წინ სხვადასხვა დიალექტში ჩაერთვის **ა̄, ჲ̄, ე̄, ო̄** ხმოვნები, რომლებიც გენეზისურად ნამყო განსაზღვრულის არქაული ფორმის ნიშნებს წარმოადგენენ. დიალექტებისა და თქმების მიხედვით, ფორმანტთა დისტრიბუცია ასეთია: თუ ზმნის ფუძე **ი** ხმოვნით ან თანხმოვნით ბოლოვდება, მაშინ ქიდიროულში გვაქვს **-ჲ̄-სი**, შაიტლურში — **-ო̄-სი**, საჰადურში — **-ე̄-სი**, ხოლო ასახურში — **-ა̄-სი**. საილუსტრაციო მაგალითები: **Ø-ოკე̄-სი** „წასული“, **ქურე̄-სი** „ნასროლი“, **ქეცა̄-სი** „დაწოლილი, დაძინებული“, **Ø-ოწჲ̄-სი** „გავსებული“, **ჩალ'ჲ̄-სი** „დაფლული, დათესილი, დარგული“, **Ø-ილ'ჲ̄-სი** „მსგავსი“, **ლ'ეხჷა̄-სი** (← **ლ'ეხჷჲ̄-სი**) „დარჩენილი“, **ჰადურ როჯჲ̄-სი** „მომზადებული“, **Ø-ოდჲ̄-სი** „გაკეთებული“, **Ø-ოკკე̄-სი** „მოპარული, მოტაცებული“, **Ø-ოჩჲ̄-სი** „გაჩერებული“, **ყიდა Ø-ოჩჲ̄-სი** „დამჯდარი“ (ზედმიწ. „ძირს გაჩერებული“), **Ø-ეხჷა̄-სი** „მკვდარი“ (ანდაზა: ქეცა̄-სი ჟეკუ —

Ø-ეხუ̆ში ჟეკუ „მძინარე კაცი — მკვდარი კაცი“), **შიშ̆-ხი** „დამარხული“, **ცახ̆-ხი** „დაწერილი“...

იტერატიული შინაარსის შემცველი ზმნისაგან ნაწარმოები ნამყოს მიმღეობა ინფინტივისეულ **-დ**-ს ინარჩუნებს, რაც შესაძლოა იმას მიუთითებდეს, რომ იგი ფუძეს განეკუთვნება, მაგალითად: **Ø-იქუადა̆-ხი** „დანახული“, **Ø-ეხუადა̆-ხი** „დაკლული“...

ნამყო დროის მიმღეობა I იხმარება დამოუკიდებლადაც და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაც, სადაც მას, მეშველი ზმნის დროის შესაბამისად, აწმყოსა და ნამყო შედეგობითის მნიშვნელობები აქვს. ბოლო თვისებით იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება **-რუ** ფორმანტიანი მიმღეობისაგან.

ნამყოს მიმღეობა I ძირითადად **დოლ'** („არის“), **ზეუა** („ყოფნა“) და **Ø-ესუა** („ნახვა, აღმოჩენა“) მეშველზმნებთან იხმარება.

მართალია, ეს მიმღეობა მნიშვნელობით ძალიან ჰგავს **-რუ || -რუ-ნი** ფორმანტიან მიმღეობას, მაგრამ მათი ურთიერთშედარებისას მნიშვნელოვანი განსხვავებები ჩნდება.

ავიღოთ შემდეგი წინადადებები: 1. მან დაძინებული კაცი ნახა და 2. მან ის კაცი დაძინებული ნახა, ე. ი. მძინარე მდგომარეობაში ნახა. პირველ წინადადებაში უფრო ბუნებრივი იქნება **ჭა̆ცრუ** („დაძინებული“) ფორმა, ხოლო მეორეში კი — **ჭეცა̆ში** („მძინარე“), მაგალითად: ჟა ჟეკუ ვალ'ხორ **Øიკა̆ში** დოლ' „ის კაცი ქვევით წასულია (ზედმიწ.: „წასული არის“)“; გულუზაჭ **Øიჩირე̆ში** ზეუუნ ჟა უჟი „ცხენებთან გაჩერებული იყო ის ბიჭი“; ელო ზეუნო აღეს მუჟი **ბოდე̆ინი** „იქ იყო ჩიტის ის ბუდე, რომელიც გაკეთებულია (ჩიტის მიერ)“; ცალ'ა̆ ხაბარ ბიგუ დოლ' ლ'ინ: **Øეხ̆ში** ანუ, **Øოდა̆ში** ანუ. ყუდაზა **რატომ̆ში**, ყუდაზა ცალ'ასი აყი ჟეკოთეუ **Øადა̆ში** დოლ'ა̆? „სოფელში კარგი ამბავია: მკვდარი არავინაა, დაბადებული (ზედმიწ.: „გაკეთებული“) არაა. სხვა ქვეყნის (ზედმიწ. „მიწის“),

სხვა სოფლის უცხო კაცი მოსული არის?"; დისირ ისუა ქერა **რეხესი** რესუნ „მან (ქალმა) ხარები ხევში დახოცილები ნახა" (სიტყვასიტყ. „მას ხევში დახოცილი ხარები აღმოუჩნდა"); ...რესუნ რიწყის **რიწწესი** ილ'ნონ ქაჟ [იმნაიშვილი 1963: 277, 12] „იპოვა ქონებით გავსებული ხუთი კარი"; ობიუნ Øეხუნ ლ'ეხესი უჟინ-ენიუნ ზოუნ „მოკვდა თუ არა მამა, დარჩა დედა და შვილი" (სიტყვასიტყ. „დარჩენილი დედა და შვილი იყო, ჩანს").

ზოგჯერ ეს მიმღეობა მსაზღვრელადაც გამოიყენება, თუმცა მეტად იშვიათად: ბიქჟუან ნელ'ორ **ბეხოსი** ბოწი „დაინახა მან მკვდარი მგელი"; ნესიხორთოუ **ქეცესინი** ჟეკუ Øიქჟუაქნო „მასთანვე დაწოლილი კაცი დაინახა".

მეშველზმნასთან ერთად: ხიზიდო ნესი ხანა მადაჰ **ბიჩირესი** ზოუნო ვაზირბი „შემდეგ ის მეფე ქუჩაში აჩერებდა (ზედმიწ.: „გამჩერებელი იყო") ვაზირებს"; ნარ **Øიკესი** დოლ' ჟო ჟეკუ „საითაა წასული (ზედმიწ. „წასული არის") ის კაცი"; დები ხეხბი ნაღორ **ბიკესი** დოლ' „შენი შვილები საით წასულები არიან" და მისთ.

აღნიშნული ტიპის მიმღეობა ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც, მართალია, შორეულ წარსულში მოხდა, მაგრამ მისი შედეგი, როგორც ამას სპეციალისტებიც აღნიშნავენ [იმნაიშვილი 1963: 215, 43, 85], აწმყოშიც გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ მას ნამყოს სხვა მიმღეობებისაგან თავისებური მნიშვნელობა განარჩევს. სხვა მხრივ მათ შორის არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა.

ნამყოს კაუზატიური მიმღეობა I წარმოებისას ნამყო განსაზღვრულის კაუზატივის არქაულ ფორმას უშუალოდ ერთვის მიმღეობის საწარმოებელი **-სი** ფორმანტი, მაგალითად: **ნეხრერეს-სი** „მოყვანინებული", **შიშირეს-სი** „დაფვლევინებული, დამარხვინებული", **Ø-ეხურერეს-სი** „მოკვლევინებული", **ქურერე-**

სი „ნასროლინებელი“ და მრ. სხვ.

მსგავსი ფორმები, მათი სპეციფიკის გამო, მეტად იშვიათად იხმარება და ამით ჩანს შეპირობებული მათი შეუსწავლელობა.

საკუთრივ დიდოურ დიალექტში ნამყოს მიმღეობა პირველის უარყოფითი ფორმები იწარმოება ინფინიტივისაგან **-ნი || -ნი-სი** სუფიქსების დართვით [იმნაიშვილი 1963: 216], მაგალითად: **Ø-იშა** „ჭამა“ > **Ø-იშა-ნი || -ნი-სი** „უჭმელი“, ქოსა „თიბვა“ > **ქოსა-ნი || -ნი-სი** „მოუთიბავი“, **Ø-იკა** „წასვლა“ > **Ø-იკა-ნი || -ნი-სი** „წაუსვლელი“, **Ø-ეხუა** „მოკვდომა“ > **Ø-ეხუა-ნი || -ნი-სი** „ვინც მკვდარი არაა“, **რისა** „აღება“ > **რისა-ნი || -ნი-სი** „აუღები“, **Ø-ოდა || Ø-ოუა** „გაკეთება“ > **Ø-ოდა-ნი || -ნი-სი** „გაუკეთებელი“, **თელ'ა** „მიცემა (III პირისთვის)“ > **თელ'ა-ნი || -ნი-სი** „მიუცემელი (III პირისთვის)“, **Ø-ეჟა** „წაყვანა, წაღება“ > **Ø-ეჟა-ნი || -ნი-სი** „წაუყვანელი, წაუღებელი“, **Ø-ეჭუა** „დაჭრა“ > **Ø-ეჭუა-ნი || -ნი-სი** „დაუჭრელი“ და სხვ.

საილუსტრაციო მაგალითები ტექსტებიდან: ფეჩმაჲ ბოღტჲორერ ესინნო ნელ'ა: — შები — ქეცაში, შები — **ქეცანი**? „ღუმლიდან მოცილებისას შეეკითხა იგი (ქალი): — ვის ღვიძავს, ვის არ ღვიძავს?“ (ზედმიწ.: „ვინ — დაძინებული, ვინ — დაუძინებელი?“); ნესირ მოლ'ახორეჲ **Øიზანისი** უჟი Øესუნ „მან („მას“) ნახა („ეჩვენა“) გამოუღვიძებელი (ზედმიწ. „ძილიდან აუდგომელი“) ვაჟი“; — ბაღნო [დეჲ რუჭ] ბეტერჰანდერ **ჲიკანი** ჲოლ' „— ნუ ამომხდი სულს, გაუთხოვარი ვარ“ (ზედმიწ. „პატრონთან წაუსვლელი ვარ“); შილაჰჲ შილაჰრ რალ'ად ბოხხოსინი **ქეცანი** ზოუნ „ყანწიდან ყანწში ზღვის ჩამსხმელი დაუწოლელი იყო“; ტო ცადათ ჲოლ': ადეზა ბარუ ჲეხურნაჲ, ბარუდე სადაჯ **Øეხუანისითოუ** ხედიჲნო შუდაღორ ქურხოსი „აქ ჩვეულება არის: თუ უწინ ცოლი მოკვდა, ცოლთან ერთად ცოცხლადვე (ზედმიწ. „მოუმკვდარადვე“) ქმარსაც საფლავში

დებენ (ზედმიწ. „საფლავში მსროლელი“)“.

დიდოური ენის საჰადურ დიალექტში **-ნი || -ნი-სი** სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია მისი ფონეტიკური ვარიანტი **-ლო || -ლო-სი** [იმნაიშვილი 1963: 216], მაგალითად: **Ø-ეხშა-ლო || -ლო-სი** „უკვდავი, მოუკვდომი“, **ცახშა-ლო || -ლო-სი** „დაუწერელი“, **Ø-უშა-ლო || -ლო-სი** „გაუკეთებელი“.

სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე წინადადებას: ჟი მი **რუვალო** შემენ შეუ? „ახლა შენ რას იზამ?“ (ზედმიწ. „შენი გასაკეთებელი || გაუკეთებელი რაა?“); ჟო ნესირ რუქ̌ადრუ ტ̌აარიდაბ ზიდბი, რეზრუნი ტ̌აარიაბინ — ხალყირ **რაყალო** ცოლ'ირა ლ'ებალ'ხორ „ის მისი დანახული მსუქანი ძროხები და სავსე ტაროები — ხალხის მოსავალი, ოთხ წელიწადს საკვები“; — დებერ რუყ'ა ჲოლ'ე ღუდე მი შეუ **რუვალო**, ნა მი **Øეხშალო**? „— შენ იცი ხვალ რას იზამ (ზედმიწ.: „რაა საქნელი, გასაკეთებელი“), სად მოკვდები შენ? (ზედმიწ. „სადაა შენ მოსაკვდომი“)“.

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, **რაყალო, ბეხშალო** ტიპის ფორმები ძირითადად მყოფადის მიმღეობის შინაარსს შეიცავენ. გარდა ამისა, იმავდროულად ეგევე ფორმები საჰადურ დიალექტში ნამყოს უარყოფითი მიმღეობის მნიშვნელობითაც გამოიყენებიან; ამ მხრივ, ისინი საკუთრივ დიდოური დიალექტის **Øიკანი** („წაუსვლელი“) ტიპის მიმღეობებს ეთანაბრებიან. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ საჰადურში მყოფადის მიმღეობის დადებითი ფორმები ნამყოს უარყოფით მიმღეობას ეფუძნება. ტიპოლოგიური თვალსაზრისით საგულისხმო ფაქტია, რომ ქართულშიც „უარყოფითისა და აწმყო-მყოფადის მიმღეობებს საერთო საწარმოებელი სუფიქსები აქვთ“ [ოსიძე 1956: 64; ჩიქობავა 1956: 30]. **Øიკანი** ტიპის მიმღეობა მყოფადის დადებითი მნიშვნელობით ნამყოს უარყოფითი მიმღეობისაგან მომდინარეობს. ამ ტიპის მიმღეობა ძირითადად მეორე მნიშვნელობით დასტურდება, თუმცა იშვიათად

პირველი მნიშვნელობაც აქვს, მაგალითად: **ბიშანი** „საჭმელი“.

დ. იმნაიშვილის დაკვირვებით, ზოგიერთი აულის (მოყოყი, ხუშეთი) მეტყველებაში ნამყოს მიმღეობა პირველის უარყოფით ფორმას ნამყო განსაზღვრულის **-ს** სუფიქსიანი უარყოფითი ფორმა ცვლის, მაგალითად: **Øაწჭუ-ს** (← *Øაწჭუ-სი) „შე'უჭმელი“.

ჩვენ მასალაში დასახელებულ აულთა მეტყველებაში ზემონახსენები ფორმები მიმღეობის მნიშვნელობით არ დასტურდება, მას ნამყო განსაზღვრულის სემანტიკა აქვს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ **Øაწჭუ-ს** ტიპის ფორმები ისეთივე ზმნური ფორმებია და იმავე შინაარსის შემცველი, როგორიც ჩვეულებრივ ნამყო განსაზღვრულის უარყოფითი ფორმები დანარჩენ თქმებში.

მართალია, **-ს** ← **-სი** თავისი გენეზისით მიმღეობური წარმომავლობისა შეიძლება იყოს [ტრუბეცკოი 1987: 328; გონიაშვილი 1970: 16], მაგრამ ამჟამად მას ნამყო განსაზღვრულის ჩვენება ეკისრება [ბოკარევი 1959: 206, 216; იმნაიშვილი 1963: 177, 184].

2. **ნამყოს მეორე ტიპის დადებითი მიმღეობა**, შეიძლება ითქვას, ყველაზე ხშირად იხმარება და, ამდენად, შესწავლილიც შედარებით უკეთაა. ე. ბოკარევის მიხედვით, იგი ნაწარმოებია ზმნის ფუძისეული ხმოვნის უმლაუტიან **ӕ**-დ ქცევითა და **-რუ** დაბოლოებით [ბოკარევი 1959: 210]. დ. იმნაიშვილის მართებული მოსაზრებით კი, ნამყოს მიმღეობა || იწარმოება აწმყო ზოგადის ფორმაზე **-რუ** (**-რუ-ნი**) სუფიქსის დართვით [იმნაიშვილი 1963: 210].

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ბოკარევი ერთდროულად გულისხმობს **-სი** სუფიქსის დართვასაც და ფუძისეული ხმოვნის გაუმლაუტებასაც, რომელთაგან უკანასკნელი არსებულ სინამდვილეს ვერ ასახავს. ფუძისეული ხმოვნის გაუმლაუტება ხდე-

ბა ზოგადი აწმყოს წარმოებისას,[1] რასაც ე. ბოკარევიც იზიარებს [ბოკარევი 1959: 210; შდრ. იმნაიშვილი 1963: 174-176], მაგალითად: ქ̆აც „წევს, წვება ხოლმე“, ბ̆აკ „დადის“, ბ̆აწ̄ „ჯამს ხოლმე“... აწმყო ზოგადის ამ, დიალექტებისა და თქმების მხრივ განსხვავებულ, მზამზარეულ ფორმებს ერთვის **-რუ** (განუსაზღ.), **-რუ-ნი** (განსაზღ.) სუფიქსი და ვღებულობთ ნამყო დროის დადებით მიმღეობა მეორეს, მაგალითად: **Ø-ჳ̆წ̄-რუ || -რუ-ნი**[2] „შეჭმული || ის, რომელიც შეჭმულია“, **ცჳ̆ხ-რუ || -რუ-ნი** „დაწერილი || ის, რაც დაწერილია“, **ქ̄ეც-რუ || -რუ-ნი** „დაძინებული || ის, რომელიც დაძინებულია“, **Ø-ჳ̆ყი-რუ || -რუ-ნი** „წაღებული || ის, რაც წაღებულია“, **Ø-ჳ̆ს-რუ || -რუ-ნი** „აღებული, ნაყიდი || ის, რაც აღებულია, ნაყიდია“, **ღაღუ ე̄ზი-რუ || -რუ-ნი** „გახარებული || გახარებული რომელიცაა“, **ცჳ̆ლ′ი-რუ || -რუ-ნი** „მსროლელი || ის, ვინც მსროლელია“, **Ø-ჳ̆თი-რუ || -რუ-ნი** „შეყვარებული || ის, ვინც საყვარელია“, **ხჳ̆ცი-რუ || -რუ-ნი** „დატოვებული || ის, ვინც დატოვებულია“, **Ø-ჳ̆ჷ-რუ || -რუ-ნი** „გაკეთებული || ის, რაც გაკეთებულია“ და მრ. სხვ.

შესაძლებელია ამ ტიპის ნამყოს მიმღეობის რედუპლიკაცია, რის საშუალებითაც მრავალგზისობა გამოიხატება, მაგალითად: **კოლ′-კ̄ოლ′ი-რუ** „გადამხტარი ხშირად“, **ბეთი-ბე̄თი-რუ** „შეყვარებული ხოლმე“ (ზედმიწ. „შეყვარებულ-შეყვარებული“) და მისთ.

განსაზღვრული ფორმები ჩვეულებრივ ნაკლებად იხმარება გაბმულ ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაში. საფიქრებელია, ამით იყოს შეპირობებული **-ნი** განსაზღვრებითი ნაწილა-

---

[1] ფუძისეული ხმოვანი არ უთმლაუტდება მეშველზმნას და მასაც აწმყოს მნიშვნელობა გააჩნია: დოლ′რუ (საკ. დიდ.), დალ′რუ (საჰ.), „არმყოფი“.

[2] საილუსტრაციო მაგალითების დამოწმებისას ჯერ მოყვანილია განუსაზღვრელი მიმღეობა, ხოლო შემდეგ, პარალელურად, განსაზღვრული ფორმები. თარგმანიც შესაბამისად ხდება.

კის გაფერმკრთალება, რომლის შესაბამისი ფუნქციის დადგენა საგანგებო ძიებას მოითხოვს. დ. იმნაიშვილი ამგვარ სიძნელეზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას და წერს: „დიდოურ ენაში -ნი ნაწილაკი შესაძლებელია დაერთოს -სი, -ლ'ირი სუფიქსებს და ზოგიერთ სხვასაც, მაგრამ აქ მისი ძირითადი ფუნქციის დადგენა ჭირს“ [იმნაიშვილი 1963: 71].

ვფიქრობთ, ქვემომოყვანილ მაგალითებში ნათლად წარმოჩნდება **-ნი** ნაწილაკის განსაზღვრებითი ფუნქცია: სისთევ სის ჰოვჟო უჟი ნელ'არ **თელ'რუნი** ლ'ეხუზატხორსი ქინაუნიგი ხალყი ბუთერენ ზენნირ ნელ'არ დარუ ბუვა [იმნაიშვილი 1963: 292, 23] „მხოლოდ მისთვის („გოგოსთვის“) ვაშლის მიმცემის (ზედმიწ. „იმის, ვინც ვაშლი მისცა“) გარდა, მთელი ხალხი შეკრიბა მეფემ მისთვის („გოგოსთვის“) წამლის მოსატანად“; ელოშ ბიჩასი ჲოლ' ლ'ონო ჩანაჯანბი: სის-ზედ ბეხუარუ, სის-ბოწი ბეხუარუ, სისგონ — ალ'ა; მი იკი, გოტხო ალ'ა ბეხუარუნი „აი, იქ დგას სამი მონადირე: ერთი — დათვის მკვლელი, ერთი — მგლის მკვლელი, ერთიც — ჯიხვის; შენ წადი და დაუძახე ჯიხვის მომკვლელს (ზედმიწ. „სახელდობრ მას, რომელიც ჯიხვის მომკლავია“)“.

მაგრამ განხილული კონტექსტების გვერდით ისეთებიც დასტურდება, რომლებშიც **-ნი** ნაწილაკის ფუნქცია მთლიანად დაჩრდილულია, სახელდობრ: ცაცნო ჲაღინ, Ѳიჟინ **Ѳაჰხურუნი** ცეჟენი ესიჲუ „ქარი გააღო რა, წაიღო მკვდარი უფროსი ძმა“; დებეზ ბარუს შეტხუ, მი **რაღრუნი**, სოსსი ლ'ოჩიატხ კოლ'აცე ნელ' დაჰორ ლ'ინ, — ჰარიზი როჲნო ხანეს ქიდბაჰ „შენი მეუღლის ტანსაცმელი, შენი („შენს მიერ“) გახდილი, ცეკვამდე მე მომეცით, — შეუთანხმდა მეფის ასული“.

ნამყო დროის კაუზატიური მიმღეობა მეორე კაუზატიური ზოგადი აწმყოს ფორმაზე **-რუ || -რუ-ნი** ფორმანტის დართვით იწარმოება, მაგალითად: **ქეცრა-რუ** „დაწვენილი, დაძინებული“, **როღარ-რუ** „ჩამოცილებინებული, მოხდევინებული“,

Ø-ეხ̄არ-რუ „მოკლული“, **Ø-აწ̄ა̄რ-რუ** „ნაჭმევი“, **Ø-უყუე̄რ-რუ** „მომრჩენელი, განმკურნებელი“, **Ø-აწერა̄რ-რუ-ნი** „ის, ვინც შეჭმევინებულია“ და სხვ.

დ. იმნაიშვილის სწორი დებულებით, აწმყო ზოგადის წარმოებისას მარტივ ზმნებში ცვლილებას განიცდის ფუძის პირველი ხმოვანი, ნაწარმოებ ზმნებში კი — ბოლო [იმნაიშვილი 1963: 174]. კაუზატიურ მიმღეობათა საპირისპიროდ, მართალია, სპორადულად, მაგრამ მაინც დასტურდება პოტენციალისის სემანტიკის შემცველი მიმღეობები, რომელთა ზოგადი აწმყო **ლ'** პასიურობის გამომხატველი ელემენტით ბოლოვდება და მას მოსდევს მიმღეობის სუფიქსი, მაგალითად: **Ø-ოჭ̄ა̄-ლ'-რუ** „ვისი მოყვანაც შეიძლება“, **Ø-ოკ̄ა̄-ლ'-რუ** „რისი დაკვრაც შეიძლება, რაც ვარგისია დასაკრავად“, **ქოსა̄-ლ'-რუ** „რისი თიბვაც შესაძლებელია“...

წარმოვადგენთ ორიოდე წინადადებას: ჟე ელაჲ **ჲოკ̄ალ'რუნ**, ნესა̄-ნესის ესნაბინ ბიზირნო „ის იქიდან გაქრა რა (ზედმიწ.: „გამქრალია რა“), თავისი და-ძმებიც აიყვანა“; დებეზ ენიჲჯო **როჭ̄ალ'რუ** დაჯა როველ'ხ̄ანუ — ლ'ინნო ელ'ინ „შენი დედის მოყვანილი (ზედმიწ. „რისი მოყვანაც შეიძლება“), ჩემს მიერ ვერ მოიყვანება, — თქვა და გაათავა“.

ნამყოს მიმღეობა მეორის უარყოფითი წარმოების მიხედვით დიდოური ენის დიალექტები თვალსაჩინოდ განსხვავდებიან. თავისებურებებს მეტწილად საჰადური დიალექტი იჩენს.

საკუთრივ დიდოურ დიალექტში ნამყოს მეორე მიმღეობის უარყოფითი ფორმები აწმყო ზოგადის უარყოფით ფორმებზე **-რუ** || **-რუ-ნი** მიმღეობის სუფიქსის დართვით იწარმოება [ბოკარევი 1959: 216; იმნაიშვილი 1963: 218]. თქმების მიხედვით, მცირედ განსხვავებულ აწმყო ზოგადის უარყოფით ფორმებს უშუალოდ ერთვის ზემონახსენები სუფიქსი. მაგალითები: **ცა̄ხ̄-ჰი** „ვერ წერს, ვერ დაწერს“ > **ცა̄ხ̄ჰი-რუ** „დაუწერელი, ვინც დამწერი არაა“, **Ø-ჳ̄სი-ჰი** „ვერ ამბობს, ვერ იტყვის“ >

Ø-ჴსიჭი-რუ „მოუყოლელი, ვინც არ მოყვა“, **Ø-ჴჩი-ნ-ჭი** „არ არის ხოლმე, არ იქნება“ > **Ø-ჴჩინჭი-რუ** „არარსებული, არნამყოფი“, **Ø-უქჳდ-ნ-ჭი** „ვერ ხედავს, ვერ ნახავს“ > **Ø-უქჳდნჭი-რუ** „ˈდაˌუნახავი“, **Ø-ჴკი-ჭი** „ვერ მიდის, ვერ წავა“ > **Ø-ჴკიჭი-რუ** „წაუსვლელი, ვინც ვერ წავიდა“, **ცჴხი-ნ-ჭი** „ვერ წერს, ვერ დაწერს“ > **ცჴხინჭი-რუ** „დაუწერელი“ და მრ. სხვ.

საჰადურ დიალექტში ნამყოს უარყოფითი მიმღეობა მეორის ფორმები იწარმოება აწმყო ზოგადის დადებითი ფორმებისაგან **-ერ-ჭუ** (საჰ. მეტყ.), **-ელ-ჭუ** (ტლაც. მეტყ.) სუფიქსის საშუალებით [იმნაიშვილი 1963: 218], მაგალითად: **Ø-ეზუ-ერ-ჭუ** (საჰ.), **Ø-ēზუ-ელ-ჭუ** (ტლაც.) „რასაც ვერ უყურებენ“, **Ø-ჳწერ-ჭუ** (საჰ.) **Ø-ჳწ-ელ-ჭუ** (ტლაც.) „უჭმელი“, **ᲓᲐᲚˈ-ერ-ჭუ** „არმყოფი, ვინც არ არის“...

დ. იმნაიშვილი ამ საკითხის შესახებ წერს: „აღნიშნული (ნამყო — ნ. ა.) დროის მიმღეობის უარყოფითი ფორმის ელემენტები -ერ, -ელ მასალობრივ -ენ, -ინ ნაწილაკებს შეესატყვისება“... მეტად საინტერესოა, თუკი წარმოდგენილი მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, რომ საჰადურ დიალექტში ნამყოს მიმღეობა მეორეს ბოლოკიდურად საკუთარი ფორმანტი არ მოეპოვება.

კითხვა ისმის: ხომ არ არის ინფიქსებში წარმოდგენილი **-რ → -ლ** სუფიქსისეული და მეტათეზისის საფუძველზე ინლაუტურ პოზიციაში დამკვიდრებული?

ვვარაუდობთ, რომ ზემომოყვანილი მიმღეობური ფორმები ფონეტიკური პროცესის შედეგად ძლიერ სახეცვლილია; კერძოდ, ამ ფორმათა გენეზისი ასე წარმოიდგინება: **Øჳწ-ერ-ჭუ ←*ჳწ-ეჭ-რუ**.

დიდოური ენის საკუთრივ დიდოურ დიალექტში დასტურდება ნამყოს მიმღეობის კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც ამ ენის მკვლევართაგან მხოლოდ დ. იმნაიშვილი ეხება. იგი

მას ისევე, როგორც ნამყოს მიმღეობა პირველს, ნაზმნარ ზედსართავს უწოდებს და უბრუნველ ოდენობად თვლის [იმნაიშვილი 1963: 218].

ნამყოს მიმღეობის ამგვარ სახესხვაობას ჩვენ, პირობითად, ნამყოს მიმღეობა მესამეს ვუწოდებთ. ასეთი ფორმები ნაწარმოებია ინფინიტივის ფორმებისაგან, რომელთაც უშუალოდ დაერთვის **-ლი** (განუსაზღ.), **-ლი-ნი** (განსაზღ.) ფორმანტი, მაგალითად: **Ø-იკა-ლი || -ლი-ნი** „წასული“, **ცახვა-ლი || -ლი-ნი** „დამწერი, დაწერილი“, **Ø-იშირა-ლი || -ლი-ნი** „ნაჭმევი, შეჭმული“, **დოლ'შა-ლი**[1] **|| -ლი-ნი** „ნამყოფი, არსებული“, **Ø-იტრა-ლი || -ლი-ნი** „დამწვარი“, **Ø-ეხშა-ლი || -ლი-ნი** „მკვდარი“, **Ø-აწა-ლი || -ლი-ნი** „შეჭმული“, **ჭეცა-ლი || -ლი-ნი** „დაძინებული“, **ჰალ'შა-ლი || -ლი-ნი** „შესმული“, **Ø-იტრირა-ლი || -ლი-ნი** „დაწვევინებული“, **ციმ ბიზირალი || -ლი-ნი** „გაბრაზებული“, **ბულ'ირირა-ლი || -ლი-ნი** „დამყოფინებელი“...

საილუსტრაციო მაგალითები ტექსტებიდან: ჟა ჭეცნო, **Øესშალი** ჟუკუ ელოთოშ ლ'ეხუს „მან დაიძინა რა, ნაპოვნი კაცი იქვე დარჩა“; დისირ ნესიხ **ზეშალინი** ბარუ დესუნ მეშიზახ დიჩესი „მას მისი ყოფილი (ზედმიწ. „მასთან ყოფილი“) ცოლი უნახავს ხბოების მწყემსად (ზედმიწ. „ხბოებთან მდგარი“)“; ჟედალ' თელ' ჰობოჟა სურათიოლ' **დოლ'შალი** ღანაბინ ზოშს „მათ შორის ამ სურათში გადაღებული ქალი იყო“.

კითხვა დგას: რა გადმოსცემს აორისტის სემანტიკას?

ვფიქრობთ, წარსული დროის გადმოცემა, რა უცნაურობადაც არ უნდა გვეჩვენოს, მთლიანად სუფიქსს ეკისრება, რადგან ინფინიტივს, რომელსაც ამ ტიპის მიმღეობის წარმოება ემყარება, დროულ გაგებასთან საერთო არაფერი აქვს.

---

[1] საგულისხმოა, რომ **დოლ'** („არის“) მეშველზმნას საკუთარი ინფინიტივი ჩვეულებივ არ მოეპოვება. ეს მიმღეობა აღგვადგენინებს ინფინიტივის (***დოლ'შა**) ფორმას.

ნამყოს მიმღეობა პირველის ფორმებისაგან განსხვავებით, ზემომოყვანილი ფორმები უმთავრესად მსაზღვრელადაა გამოყენებული. მსაზღვრელი კი დიდოურ ენებში, სხვა მონათესავე ენათა მსგავსად, ბრუნვათა მიხედვით უცვლელია, უფრო ზუსტად, სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ისინი იბრუნვიან, ოღონდ ძალიან იშვიათად. უნდა არსებობდეს საზღვრულგამოტოვებული (რადგან ბრუნვის ნიშნები მას ერთვის!) კონტექსტები, რომლებშიც უბრუნველად აღიარებულ ფორმებს გასუბსტანტივებისას ბრუნვის ნიშნები დაერთვის, მაგალითად: ჰ-ულ' **Ø-იკალი ჟეკუს** კუქ ტო ლ'ეხუს „გუშინ წასული კაცის ქუდი აქ დარჩა".

თუ გამოვტოვებთ შესიტყვების **Ø-იკალი ჟეკუს** „წასული კაცის" საზღვრულს „ჟეკუ", მაშინ მსაზღვრელი გასუბსტანტივდება და მიიღებს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: **ჰ-ულ' Ø-იკალი-ს || -ლი-ნი-ს** კუქ ტო ლ'ეხუს „გუშინ წასულის ქუდი აქ დარჩა".

ანალოგიური მაგალითები: დედუ ბელ'აჲ ადᲒზა **Øიკალი-ნი-ს** (ნათ. ბრ.) ჲოლ', ჰოყონი ბელ'აჲ ხიზრზა **Øიკალის** ჲოლ' „ეს ხანჯალი ადრე წასულისაა, სხვა ხანჯალი კი გვიან წასულისა არის"; იჭჭა ადᲒზა **Øაჲალირ** (მიც. ბრ.) საჲღათ ბრს „ყველაზე წინ მოსულს საჩუქარი მისცეს (ზედმიწ. „გაუკეთეს"); სის გულუ იჭჭა ადᲒზა **Ø-აჲალინი** ჟეკუს ჲოლ', სისსი — ხიზზრზა **Ø-აჲალის** (ნათ. ბრ.)" „ერთი ცხენი ყველაზე წინ მოსული კაცისაა, მეორე კი (ზედმიწ. „ერთიც") — გვიან მოსულისა"...

უნდა აღინიშნოს, რომ ნამყოს მიმღეობები, წარმოების მხრივ, თვალსაჩინოდ განსხვავდებიან, ხოლო სემანტიკურად მათ შორის განსხვავების დადგენა ჭირს. ეს ითქმის, უწინარეს ყოვლისა, **Øიკა-ლი** და **Øჴკი-რუ** („წასული") ტიპის მიმღეობათა მიმართ. თუმცა **Ø-იკალი** ტიპის მიმღეობას ნიუანსურად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს — იგი აღნიშნავს უნახავ,

სავარაუდო მოქმედებას, როცა მთქმელი დაეჭვებულია მომხდარის სინამდვილესა და უტყუარობაში.

§ 9. მყოფადის მიმღეობის წარმოება. სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ დიდოურ ენაში მყოფადის მიმღეობის შინაარსის გადმოსაცემად ხშირად გამოყენებულია აწმყოს მიმღეობა, რომელსაც განუსაზღვრელი, ზოგადი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: **Øიკიხოსი ჟეკუ** „მიმავალი კაცი“ ან „კაცი, რომელიც ამ წუთას არ მიდის, მაგრამ წასვლას ეპირება“ [იმნაიშვილი 1963: 220].

თქმულის გათვალისწინებით, აწმყოს მიმღეობის **Øიკიხოსი** („მიმავალი“) ტიპის ფორმები ბიფუნქციურია და მათ პირობითად შეიძლება აწმყო-მყოფადის მიმღეობა ეწოდოს [ფანჩვიძე 1948: 242; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 309; ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967: 684].

მართალია, ზემოთ მოხმობილი მიმღეობის ფორმები აწმყო კონკრეტულს ემყარება, მაგრამ დროთა განმავლობაში შინაარსობრივი გადააზრიანებითა და სემანტიკური ველის გაფართოებით მათ ზოგადი აწმყოს მიმღეობის ფუნქცია დაჰკისრებია. მომდევნო ეტაპზე კი შესაძლებელი იქნებოდა მყოფადის მიმღეობის შინაარსის გადმოცემა, რადგან „ზოგადი აწმყო თავისი მნიშვნელობით ნაწილობრივ მყოფად დროს ფარავს... ამას ემყარება შესაძლებლობა ამ ფორმათა ურთიერთშენაცვლებისა“ [გუდავა 1973: 215]. ანალოგიური ვითარება დასტურდება მიმღეობაშიც, რადგან მისი მნიშვნელობა აწმყოს ზმნურ ფორმას ეყრდნობა.

მყოფადის მიმღეობის გადმოსაცემად საკუთრივ დიდოურ დიალექტში ორგანული (სინთეზური) წარმოების შემდეგი ფორმები დასტურდება: ქიდ., ასახ. და შაფ. **ცახანირსი** „დასაწერი“, **ტეტრანირსი** „სასწავლი“, **ბეხუადანირსი** „დასაკლავი“, **რეჭანირსი** „დასაჭრელი“, **როლ'ანირსი** „სატკენი, რაც ეტკინე-

ბა“... ასახურ თქმაში მიმღეობის ფუძე აუსლაუტში **-რ** სონორის ნაცვლად ყრუ სპირანტ **-ხ**-ს გვიჩვენებს, მაგალითად: **ცახანიხსი** „დასაწერი“, **ტეტრანიხსი** „სასწავლი“, **ბეხუადანიხსი** „დასაკლავი“, **ბოლუანიხსი** „მოსახსნელი“ და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ ასახურ თქმაში **Ø-იკანირსი** ტიპის ფორმებიც შეიმჩნევა, მაგრამ ეს თქმათა უნიფიკაციის ნიადაგზე მომხდარი ჩანს, რაც მეტად ხელშესახებია დიდოურ ენაში.

საჰადურ დიალექტში ხსენებულ ფორმათა ბადლად დასტურდება შემდეგი ფორმები: **ბეხუალორსი** „მოსაკვდომი“, **რუუალორსი** „გასაკეთებელი“, **ბაყალორსი** „მოსავალი“ და სხვ.

ზემოთ წარმოდგენილი მიმღეობური ფორმები იწარმოება მიზნის ზმნიზედაზე, რომელიც მნიშვნელობით ინფინტივს უახლოვდება, **-სი** (განუსაზღ.), **-სი-ნი** (განსაზღ.) მაადიექტივებელი ფორმანტის დართვით [ზვიადაური 1990: 139-140]: ქიდ.-ასახ. **Ø-აჲრანირ-სი** „სასწავლი“ (შდრ. Ø-აჲრანირ „სასწავლად“), **ჟეკვანირ-სი** „საცემი“ (შდრ. ჟეკუანირ „საცემად“), **Ø-იკანირ-სი** „წასასვლელი“ (შდრ. Ø-იკანირ „წასასვლელად“), **ხეცანიხ-სი** „გასაშვები“ (შდრ. ხეცანიხ „გასაშვებად“), **თელ'ანიხ-სი** „მისაცემი“ (შდრ. თელ'ანიხ „მისაცემად“) და მისთ.; საჰ. **Ø-ეხუალორ-სი** „მოსაკვდომი“ (შდრ. Ø-ეხვალორ „მოსაკვდომად“), **Ø-უუალორ-სი** (შდრ. Ø-უუალორ „გასაკეთებად“), **ქეცალორ-სი** „დასაწოლი, დასაძინებელი“ (შდრ. ქეცალორ „დასაწოლად, დასაძინებლად“), **Ø-აწალორ-სი** „შესაჭმელი“ (შდრ. Ø-აწალორ „შესაჭმელად“), **ჭარიკალორ-სი** „გასაღვიძებელი“ (შდრ. ჭარიკალორ „გასაღვიძებლად“)...

რამდენიმე წინადადება ტექსტებიდან: ქიდ.-ასახ. ჲედუ ჯაცა **რეჭანირსი** ჲოლ' „ეს შეშა დასაჭრელია („არის“)“; **ბეჭუანირსი** ბეტ'ღუ ხეცის რეჩულ' „გასაპარსი ცხვარი გომურში დავტოვე“...; საჰ. სიდალ'ეჲ სისი **ბეხუალორსი** ლ'ორი ბოჯენ ჟედუას „მათ ერთმანეთს გაუმართეს (ზედმიწ. „მოხდა“) სამკვდრო-სასიცოცხლო (ზედმიწ. „მოსაკვდომი“) ბრძოლა“;

ელურ **ბუქადალორსი** ღ'უაჲ ჟეყე ბაყერჭი „ჩვენი სანახავი ძაღლი ჯერ არ მოუყვანიათ"...

მიზნის ზმნიზედა, რომელსაც ემყარება მყოფადის მიმღეობა, თავის მხრივ, ნაწარმოებია ინფინიტივის ფორმისაგან **-ნი-ხ** (ასახურ თქმაში), **-ნი-რ** (დანარჩენ თქმებში) რთული ფორმანტების დართვით, მაგალითად: **Ø-იკა-ნი-ხ** „წასასვლელად" (შდრ. Ø-იკა „წასვლა"), **ტეტრა-ნი-ხ** „სასწავლად" (შდრ. ტეტრა „სწავლა"), **ქეცა-ნი-რ** „დასაწოლად, დასაძინებლად" (შდრ. ქეცა „დაწოლა, დაძინება")...; ასევეა საჰადურ დიალექტში: **Ø-ეხუა-ლო-რ** „მოსაკვდომად" (შდრ. Ø-ეხუა „⌜მო⌝კვდომა"), **ტეტრა-ლო-რ** „წასაკითხავად, სასწავლად" (შდრ. ტეტრა „კითხვა, სწავლა"), **თელ'ა-ლო-რ** „მისაცემად III პირისთვის" (შდრ. თელ'ა „მიცემა III პირისთვის")...

მიზნის ზმნიზედა სემანტიკურადაც რომ განირჩევა ინფინიტივისაგან, ამას შემდეგი მაგალითებიც ცხადყოფენ: ჲედუ ჲის ხეცან ბეხვადანირ „ამ ხარს დასაკლავად დავტოვებ"; ნეშირუ ჟე ქეცანიხ Øეგირნო ბითაზ იდუღორ „საღამოთი იგი დასაძინებლად ქვედა სართულზე გაგზავნეს"; ცალი Øიტჲიჲ ჟო ღ'ულ ქურალორ „ალი წავიდა იმ ქვის გადასაგდებად"...

ჭიდიროულ-ასახურ დიალექტში საანალიზო ფორმათა პარალელურად დასტურდება ამგვარი ფორმებიც: **ქურა Øაჲხოსი** „გასასროლი" (ზედმიწ. „სროლა მომავალი"), **როდა რაჲხოსი** „გასაკეთებელი" (ზედმიწ. „გაკეთება მომავალი") და სხვ. ასეთი ფორმები ნაწარმოებია ინფინიტივისა და აწმყოს მიმღეობათა შესიტყვებით; იგი მნიშვნელობით მეტი კატეგორიულობის შემცველია, „⌜გა⌝კეთებად მომავალი", ე. ი. რაც უსათუოდ უნდა გაკეთდეს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რას ეფუძნება მყოფადი დროის გამოხატვა — მიმღეობის **-სი** ფორმანტს თუ მის ფუძედ გამოყენებულ მიზნის ზმნიზედას?

ჩვენის აზრით, დროული განსხვავების აღნიშვნა მიმღეო-

ბის საწარმოებლად გამოყენებულ ფუძეს (resp. მიზნის ზმნიზედას) უნდა ეკისრებოდეს. ეს კი შეპირობებული ჩანს მისი სემანტიკით — მიზანი მომავალ დროს გულისხმობს და ამიტომ გახდა შესაძლებელი მყოფადი დროის გამოხატვა. ამას გარდა, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს იმასაც, რომ **Øიკანი** (ქიდ.-ასახ.), **Øიტიალო** (საჰ.) ტიპის ნამყო დროის უარყოფითი მიმღეობები, რომლებიც იმავდროულად მყოფადის დადებით მიმღეობებადაც (ქიდ.-ასახ. დიალექტში სპორადულად, ხოლო საჰადურში, სისტემებრ) გვევლინებიან, მიზნის ზმნიზედის საწარმოებლად გამოიყენებიან. უფრო ნათლად: ამ მიმღეობათა მიცემითი ბრუნვის ფორმა მიზნის ზმნიზედას წარმოადგენს, მაგალითად: **Øიტიალო** „გაუკეთებელი, გასაკეთებელი“, აქედან: **Øიტიალო-რ** (მიც.) „წასასვლელად“ (ზედმიწ. „წასასვლელს“), **ბიშვანი** „საჭმელი“, აქედან: **ბ-იშვანი-რ** (მიც.) „საჭმელად“ (ზედმიწ. „საჭმელს“) და სხვ.

მაშასადამე, დროის გამოხატვის ფუნქცია მიმღეობის საწარმოებლად გამოყენებულ ფუძეს აქვს დაკისრებული. **მაზედსართავებელი -სი დროულ გაგებას რომ იძლეოდეს, მაშინ ნამყოსა და აწმყოს მიმღეობები, რომელთაც ერთი და იგივე ფორმანტი ერთვის, დროის მხრივ, გაუდიფერენცირებელი იქნებოდა.**

მყოფადის მიმღეობას აბსოლუტურ ბოლოში **-ნი** მსაზღვრელი ნაწილაკი ემატება. იგი ორჯერ ერთვის ამ ფორმებს — ერთხელ რთული ფორმანტის (**ნი-რ**) ერთ-ერთი ელემენტის სახით, მეორედ კი — აუსლაუტში. ბოლო შემთხვევაში მას მსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, თუმცა გარკვეულწილად დაჩრდილული და საკმაოდ შერყეული. შეინიშნება კონტექსტები, რომლებშიც მისი ამოსავალი ფუნქციის დადგენა ძნელდება. მსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებისას იგი ერთ საგანსა თუ მოვლენას გამოაცალკევებს სხვა მსგავსი საგნებისა თუ მოვლენებისაგან და მათ მეტი ინტენსი-

ვობით წარმოაჩენს, ხაზს უსვამს მათ რაიმე ნიშან-თვისებას, მაგალითად: ელო ɑოლ' ლ'ონო ბეტ♭ღუ: ყანო **ბეჭუშ̌ანი** ɑოლ', სისგონ — **ბეჭუანირსი**; **ბეჭუანირსინი** ბეტ♭ღუ ხეც რეჩულ' „აქ არის სამი ცხვარი: ორი გაპარსულია, ერთი კი — გასაპარსი; გასაპარსი (ზედმიწ. „რომელიც გასაპარსია") გომურში დატოვე".

„ბეჭვანირსი" ტიპის მიმღეობებს საოპოზიციოდ უარყოფითი ფორმები არ გააჩნია. საფიქრებელია, რომ ეს შეპირობებულია მისი მნიშვნელობით — იგი ხომ შესასრულებელ მოქმედებას გულისხმობს, ისეთს, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა და, ამდენად, უარყოფითობის ელფერის მქონე მიმღეობამ საკორელაციო წყვილი აღარ გაიჩინა, რადგან იგი თავისთავად ნამყოს უარყოფით მიმღეობას უპირისპირდებოდა.

მყოფადის მიმღეობას მოეპოვება აუცილებლობითი შინაარსი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. სემანტიკურად ეს ფორმები ახლო დგანან ხუნძური ენის (**წ♭ალიზესᲐე** „სასწავლი", **ყოტიზესᲐე** „გასაჭრელი"...) სათანადო ფორმებთან [იმნაიშვილი 1963: 217], თუმცა საწარმოებლად გამოყენებული მორფოლოგიური საშუალებებით მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: ხუნძური ინფინიტივის წმინდა ფორმას ემყარება, დიდოური კი — მიზნის ზმნიზედას.

§ 10. მიმღეობის ოშვიათი ფორმები. ძირითად მიმღეობათა გვერდით გვხვდება იშვიათად ხმარებული მიმღეობათა ფორმები: **აწმყოს მიმღეობები** და **სუბსტანტივ-მიმღეობები**.

დიდოურ ენაში ძალიან იშვიათად იხმარება პოტენციალისის სემანტიკის (პასიური გაგების) აწმყოს მიმღეობის ფორმები: **რისალ'ხოᲓ** „საყიდი, რისი ყიდვაც შეიძლება", **Ø̌იკალ'ხოᲓ** „მიმავალი, წასასვლელად ვარგისი", **Øეხუალ'ხოᲓ** „მომაკვდავი" და მისთ.

ამგვარივე ფორმები ასახის თქმაში შენიშნული აქვს დ. იმნაიშვილს და იგი მათი წარმოების განხილვისას წერს:

„ასახური კილოკავის რიგი აულის მეტყველებაში გვხვდება **-ხოჷ** სუფიქსიანი აწმყოს მიმღეობა... ის, როოგორც ჩანს, აწმყო ზოგადისაგან (Øიკაλ' — ნ. ა.) იწარმოება“ [იმნაიშვილი 1963: 220]. უნდა აღინიშნოს, რომ ხმოვნის სიგრძე ამ რიგის ფორმებში არ შეიმჩნევა. გარდა ამისა, ანალოგიური მიმღეობები დასტურდება სხვა თქმებშიც. ქიდიროულ თქმაში გვხვდება **-ხო-უ** სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, მაგალითად: **ბ-იშრალ'-ხო-უ** „საკვები“, **ბ-აწალ'-ხო-უ** „საჭმელი, რისი ჭამაც შეიძლება“, **ღიღალ'-ხო-უ** „მფქველი, რასაც დაფქვა შეუძლია“... საყურადღებოა, რომ შაიტლის მეტყველებაში ასეთ ფორმათა ტოლფარდად **-ხო-რ** სუფიქსიანი მიმღეობები შეინიშნება, მაგალითად: **ბ-იშრალ'-ხო-რ**, **ბ-აწალ'-ხო-რ**, **ღიღალ'-ხო-რ**...

ასეთი ტიპის მიმღეობები, როგორც ეს თარგმანიდანაც ჩანს, პასუხირი გაგების შემცველია. იგი მიანიშნებს ისეთ მოვლენაზე, რომელიც რაიმე ნიშან-თვისებას შეიცავს და პოტენციურად მისი გამოვლენის შესაძლებლობას გვიჩვენებს.

ასახურ თქმაში შეინიშნება **-ჷ-უ** სუფიქსზე დასრულებული ნამყოს მიმღეობები. ამ რიგის მიმღეობები, რომელთაც ხშირად აწმყოს გაგებაც აქვთ, ნაწარმოები უნდა იყვნენ აწმყო კონკრეტულისაგან **-ჷ-უ** ფორმანტის დართვით, მაგალითად: **ბ-ოხიხო-ჷ-უ** (შდრ. აწმყო კონკრ. ბ-ოხი-ხ ←*ბ-ოხ-ი-ხო) „გაქცეული, გარიდებული“), **Ø-იკიხო-ჷ-უ** (შდრ. აწმყო კონკრ. Ø-იკი-ხ ←*Ø-იკი-ხო) „წასული, მიმავალი“ და სხვ.

დიდოურ ენაში ხელშესახებია მიმღეობის გასუბსტანტივების ტენდენცია. ამას ნათელყოფს იტერატიული ზმნური ფუძეებისაგან **-კუ**,[1] **-მუ**, **-ჴუ** და **-ხუ**[2] სუფიქსებით ნაწარმოები მიმღეობა-სუბსტანტივები,[3] მაგალითად: **Ø-უტიხა-კუ** (შდრ.

[1] შდრ. ნახ. **-ოკ**, **-ოგ** მაარსებითებელი სუფიქსები [გონიაშვილი 1970: 16].

[2] შესაძლოა **-ხუ** უფრო არქაული **-ჴუ** სუფიქსის ფონეტიკურ (**-ხუ** ← **-ჴუ**) სახესხვაობას წარმოადგენდეს.

[3] ტერმინი ალებულია ქ. ლომთათიძის შრომიდან [ლომთათიძე 1979: 216].

Ø უტ ъნა-და „შეშინება“) „მშიშარა“, **цახნა-კუ** (შდრ. цახნა-და „ხშირად წერა“) „მწერალი“, **წოკინა-კუ** (შდრ. წოკინა-და „ხშირად ლანძღვა“) „მლანძღველი“, **цедана-კу** (შდრ. цедана-და „ხშირად სახელდება“) „ნათლია“, **колʼана-кӀу** (შდრ. колʼана-და „ხშირად ხტომა“) „მხტომელი“, **кӀалʼана-кӀу** (შდრ. кӀалʼана-და „ხშირად ყვირილი“) „მყვირალა“, **рӀонӀо-ъу || рӀонӀа-ъу** (შდრ. ØӀнӀо-და || ØӀнӀа-და „ცოდნა“) „მეცნიერი, ბრძენი“, **кӀешӀона-кӀу || кӀешӀана-кӀу** (შდრ. кӀешӀона-და || кӀешӀана-და „ხშირად თამაში“) „მოთამაშე“, **кӀалʼана-ъу** (შდრ. кӀалʼана-და „ხშირად ყვირილი“) „მყვირალა“, **оъаӀӀнӀо-ъу** (შდრ. оъаӀӀнӀо-და „ჩხუბი, ჩხუბობს“) „მოჩხუბარი“ და სხვ.

დამოწმებული მაგალითები მსაზღვრელად თითქმის აღარ გამოიყენებიან (იშვიათი შემთხვევების გარდა), რაც იმას მიუთითებს, რომ მათი არსებით სახელებად ქცევის პროცესი დასრულებულია.

ამ ტიპის წარმოებაზე ა. აბდულაევი წერს: „-კუ, -ъу... სუფიქსებს ახასიათებს ე. წ. გრამატიკული სინკრეტიზმი, ე. ი. ერთი და იგივე სუფიქსი სხვადასხვა მეტყველების ნაწილის ფუძეთაგან აწარმოებს ახალ სიტყვებს და, ამასთან ერთად ახალ მნიშვნელობებს ანვითარებს, მაგალითად: расаъу „მზომელი“ (расадо-а „გაზომვა“) და цӀӀъу „цაცია“ (цӀӀъос „მარცხენა“)“ [აბდულაევი 1981: 13].

უნდა ითქვას, რომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით ამ რიგის მიმღეობები შედარებით ახალი ჩანს.

ზემოდასახელებული მაგალითების გარდა, დიდოურ ენაში დასტურდება მრავალგზისი სემანტიკის მქონე ზმნათა ფუძეებისაგან იმავე სუფიქსების მეშვეობით ნაწარმოები მიმღეობები. მათ შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს ჰქონდეთ არსებითი სახელისა და ზედსართავის სემანტიკა, რასაც ა. აბდულაევი კონვერსიას უწოდებს [აბდულაევი 1981: 131]. ასეთი წარმოება მეტად პროდუქტიულია. მოგვყავს საილუსტრაციო

მაგალითები: **ციდა-კუ** (შდრ. ციდა-და „ხშირად ტირილი“) „მტირალი“ (მიმღ.), „მტირალა“ (სუბსტ.); **იჰა-კუ** (შდრ. იჰა-და „ხშირად ჩხუბი“) „მოჩხუბარი“ (მიმღ., სუბსტ.); **უტ₀ნა-კუ** (შდრ. ცუტ₀ნა-და „ხშირად შეშინება“) „მშიშარი“ (მიმღ.), „მშიშარა“ (სუბსტ.)...

ზემომოყვანილი მიმღეობები, **ცახნაკუ** („მწერალი“) ტიპის მიმღეობებისაგან განსხვავებით, მსაზღვრელადაც გამოიყენება, მაგალითად: ბაჲდანჴ ᲃოლ' **შაქეჱრამუ ჟეკუ** „მოედანზე არის ნერვიული კაცი“; ლ'არა **ბოლ'ნოხუ უჟი** იშქოლაჲ Ⲫიკის იდუღორ „მუცელმტკივანი ყმაწვილი სკოლიდან სახლ'ში წავიდა“ და მისთ.

დიდოური ენის მიმღეობათა წარმოება სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ა. ქიდიროულ-ასახური დიალექტი

აწმყო კონკრეტული		აწმყო-მყოფადის მიმღეობა	
დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-იჟი-ხ „მიჰყავს, მიაქვს“	Ø-იჟიხ-ᾱნუ[1]	Ø-იჟიხო-სი||-სი-ნი[2]	Ø-იჟიხᾱნუ-სი||-სი-ნი
Ø-იჩი-ხ „არის, იმყოფება“	Ø-იჩიხ-ᾱნუ	Ø-იჩიხო-სი||-სი-ნი	Ø-იჩიხᾱნუ-სი||-სი-ნი
ქოსი-ხ „თიბავს“	ქოსიხ-ᾱნუ	ქოსიხო-სი||-სი-ნი	ქოსიხᾱნუ-სი||-სი-ნი
ქურ-ხო „ისვრის“	ქურხ-ᾱნუ	ქურხო-სი||-სი-ნი	ქურხᾱნუ-სი||-სი-ნი
ნეხ-ხო „მოდის“	ნეხხ-ᾱნუ	ნეხხო-სი||-სინი	ნეხხᾱნუ-სი||-სი-ნი

ბ. საჰადური დიალექტი

აწმყო კონკრეტული		აწმყო-მყოფადის მიმღეობა	
დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-იტ♭ი-ხ „მიდის“	Ø-იტ♭იხ-ᾱლ‘	Ø-იტ♭იხო-სი||-სინი	Ø-იტ♭იხᾱლ‘-სი||-სი-ნი
Ø-აწ-ხო „ჰამს“	Ø-აწხ-ᾱლ‘	Ø-აწხო-სი||-სი-ნი	Ø-აწხᾱლ‘-სი||-სი-ნი
ცახ-ხო „წერს“	ცახხ-ᾱლ‘	ცახხო-სი||-სი-ნი	ცახხᾱლ‘-სი||-სი-ნი
ქოსი-ხ „თიბავს“	ქოსიხ-ᾱლ‘	ქოსიხო-სი||-სი-ნი	ქოსიხᾱლ‘-სი||-სი-ნი

[1] სიმატივისათვის დიალექტური და კილოკაური ფორმები აღარ მოგვყავს.

[2] ყველგან, სადაც კი **-ნი** ნაწილაკი დაერთვის, განსაზღვრული ფორმა იგულისხმება.

ინფინიტივი	ნამყო განსაზღ. არაწყვეტი ფორმა	ინფინიტივი	ნამყოს მიმღეობა I	
			დაღ. ფორმ.	უარყ. ფორმ.
Ø-იწ-ა „ბავშვება“	Ø-იწ-ე	Ø-იწ-ა	Ø-იწვ-ილ-ი-ნი	Ø-იწვა-ნილ-ნი-სი
Ø-ეხვ-ა „მოკვდომა“	Ø-ეხ-ე	Ø-ეხ-ა	Ø-ეხვ-ილ-ი-ნი	Ø-ეხა-ნილ-ნი-სი
ქცევ-ა „დაძინება“	ქცევ-ე	ქცევ-ა	ქცევ-ილ-ი-ნი	ქცევა-ნილ-ნი-სი
ლ'ეხვ-ა „დარჩენა“	ლ'ეხ-ე	ლ'ეხ-ა	ლ'ეხვ-ილ-ი-ნი	ლ'ეხა-ნილ-ნი-სი

ა. ქიდიჰოდულ-ასპუტი დიალექტი

ინფინიტივი	ზოგადი აწმყო		ნამყოს მიმღეობა II	
	დაღ. ფორმ.	უარყ. ფორმ.	დაღ. ფორმ.	უარყ. ფორმ.
Ø-ასა „ლეღება, ყიდვა“	Ø-ას	Ø-ას-ი-ჭი	Ø-ას-ილ-ი-ნი	Ø-ასიჭი-ლი-ნი
Ø-აწა „ჭამა	Ø-აწ	Ø-აწ-ჭი	Ø-აწ-ილ-ი-ნი	Ø-აწჭი-ლი-ნი
ქცა „დაძინება“	ქც	ქც-ჭი	ქც-ილ-ი-ნი	ქცჭი-ლი-ნი
ცახა „წერა“	ცახ	ცახ-ჭი	ცახ-ილ-ი-ნი	ცახჭი-ლი-ნი
ნეხა „მოსვლა“	ნეხ	ნეხ-ჭი	ნეხ-ილ-ი-ნი	ნეხჭი-ლი-ნი

ბ. საჰადური დიალექტი

ინფინიტივი	ზოგადი აწმყო	ნამყოს მიმღეობა II	
		დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-აწა„ჭამა“	Ø-ა̄წ	Ø-ა̄წ-რუ‖-რუ-ნი	Ø-ა̄წ-ერ-ჭუ (საჰ.), Ø-ა̄წ-ელ-ჭუ (ტლაც.)
Ø-ეთა „ᵓმეᵓყვარება“	Ø-ე̄თი	Ø-ე̄თი-რუ‖-რუ-ნი	Ø-ე̄თი-ერ-ჭუ (საჰ.), Ø-ე̄თი-ელ-ჭუ (ტლაც.)
ცახა „წერა“	ცა̄ხ	ცა̄ხ-რუ‖-რუ-ნი	ცა̄ხ-ერ-ჭუ (საჰ.), ცა̄ხ-ელ-ჭუ (ტლაც.)

ა. ქიდიროულ-ასახური დიალექტი

ინფინიტივი	მიზნის ზმნიზედა	მყოფადის მიმღეობა
Ø-ოლ'-ა „ტკივილი“	Ø-ოლ'ა-ნი-ხ	Ø-ოლ'ანიხ-სი‖-სი-ნი
Ø-აჲ-ა „მოსვლა“	Ø-აჲა-ნი-რ	Ø-აჲანირ-სი‖-სი-ნი
ხეც-ა „გაშვება“	ხეცა-ნი-ხ	ხეცანიხ-სი‖-სი-ნი
ჟეკუ̄-ა „ცემა“	ჟეკა-ნი-რ	ჟეკანირ-სი‖-სი-ნი

ბ. საჭიდაო დიალექტი

ინფინიტივი	მიზანის ზმნიზედა	მყოფადის მიმდეობა
Ø-ენტე-ა „მოკვდომა“ Ø-ოტე-ა „ჭაკეთება“ ნენ-ა „მოსვლა“ Ø-ქქილ-ა „ნახვა“	Ø-ენტა-ლო-ო Ø-ოტა-ლო-ო ნენა-ლო-ო Ø-ქქილა-ლო-ო	Ø-ენტანალო-სი||-სი-ნი Ø-ოტანალო-სი||-სი-ნი ნენანალო-სი||-სი-ნი Ø-ქქილანალო-სი||-სი-ნი

2. მიმღეობის ბრუნება

ცნობილია, რომ მიმღეობა ნაზმნარ ზედსართავ სახელს წარმოადგენს და, ბუნებრივია, იგი ზედსართავი სახელის მსგავსად იბრუნვოდეს.

დიდოურ ენაში მსაზღვრელად გამოყენებული ზოგი მიმღეობა არ იბრუნვის, ზოგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, ძირითადად უცვლელია. ბრუნვის ნიშნებს ირთავს მხოლოდ და მხოლოდ ესა თუ ის საზღვრული სახელი, რომელიც ჩვეულებრივ მსაზღვრელს მოსდევს.

დიდოურ ენაში მიმღეობის ბრუნება, როგორც მორფოლოგიური პროცესი, ძირითადად ერთია, განსხვავებებს ფუძის რაგვარობა ქმნის.

დამოუკიდებლად გამოყენებული მიმღეობა, ბრუნების მიხედვით, შეიძლება ორ ტიპად დაიყოს: ა) ერთფუძიანი, რომლის დროსაც ბრუნვის ნიშანი მიმღებურ ფორმას (resp. სახელობითის ფორმას, როგორც საბრუნებელ ფუძეს) უშუალოდ ერთვის; ბ) ორფუძიანი, როცა მიმღეობას ერგატივში ჩაერთვის **-ზო-** ნიშანი და ირიბ ბრუნვებშიც გადაჰყვება [ბრუნების ტიპების შესახებ იხ. ჩიქობავა 1941; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 106].

განსაზღვრული მიმღეობა მხოლოობით რიცხვში მზამზარეულ ფორმებზე დაირთავს ბუნვის ნიშნებს და იგი ერთფუძიანობა-ორფუძიანობის განურჩევლობით ხასიათდება. დასტურდება ისეთი მიმღეობები, რომელთაც მხოლოდ განსაზღვრული (**-ნი** ნაწილაკდართული) ფორმები ებრუნება. ასეთებია: ნამყოს **Øიკ̄ასი** („წასული“) და **Øიკალი** („წასული“) ტიპის მიმღეობები, მყოფადის **Øიკანირსი** („წასასვლელი“) ტიპის მიმღეობა.

§ 11. ერთფუძიანი ბრუნება. ერთფუძიანი ბრუნება (არსებითის ანალოგიური) ახასიათებს ნამყოს განუსაზღვრელ მიმღეობა მეორეს და **-კუ, -ხუ, -შუ, -ჴუ** იშვიათი ხმარების მიმღეობა-სუბსტანტივებს. ამ მიმღეობებს არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას, რომელსაც ისინი ჩვეულებრივ წინ უსწრებენ, მხოლობით რიცხვში უშუალოდ დაერთვის ბრუნვის ნიშანი. მრავლობითში მიმღეობის სახელობითის ფორმას ერგატივში დაერთვის **-ზ̄ა** მეორე ფუძის მარკერი და გადაჰყვება მიცემითსა და ნათესაობითში [ლომთაძე 1856: 304-305]. თუკი მიმღეობა არსებით სახელთან ერთად იხმარება, მაშინ მხოლობით რიცხვში სახელობითის ფორმით (resp. ფუძის სახით) არის წარმოდგენილი. მრავლობით რიცხვში სახელობითს **-ბი** ნიშანი მოუდის, დანარჩენ ბრუნვებს კი — ზემოხსენებული **-ზ̄ა** მეორე ფუძის (resp. საბრუნებელი ფუძის) ფორმანტი. ორსავე შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს არსებითი სახელი ირთავს, პრეფიქსული კლას-ნიშანი კი სათანადო სახელის კლასზე მიუთითებს.

ნამყოს მიმღეობა II დამოუკიდებლად:

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-, ი-, ბ-, რ-ვთირუ** „შეყვარებული“	**ბ-, რ-ვთირუ-ბი**
ერგ.	**Ø-, ი-, ბ-, რ-ვთირ-ვ̄** (← **-უ+ა**)	**ბ-, რ-ვთირუ-ზ̄ა** (←-**ზ̄ა+ა**)
მიც.	**Ø-, ი-, ბ-, რ-ვთირუ-რ**	**ბ-, რ-ვთირუ-ზ̄ა-რ**
ნათ.	**Ø-, ი-, ბ-, რ-ვთირუ-ს**[1]	**ბ-, რ-ვთირუ-ზ̄ა-ს**

[1] როგორც ცნობილია, ინსტრუმენტალისი შეიძლება ჰქონდეთ უგონო ცოცხალ არსებებსა და საგნებს [იხ. იმნაიშვილი 1963: 55]. მიმღეობაში უმთავრესად III, IV კლასის სახელებთან გვხვდება ინსტრუმენტალისი, რაზეც ჩვენ საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

სუბსტანტივ-მიმღეობათა ბრუნების ნიმუშნები:

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**цахӀакӀу** „მწერალი“	**цахӀакӀу-бо**
ერგ.	**цахӀакӀ-ӑ** (← -у+а)	**цахӀакӀу-зӑ**
მიც.	**цахӀакӀу-р**	**цахӀакӀу-за-р**
ნათ.	**цахӀакӀу-с**	**цахӀакӀу-за-с**
სახ.	**кӀ'ал'анамӀу** „მყვირალა“	**кӀ'ал'анамӀу-бо**
ერგ.	**кӀ'ал'анамӀӑ**	**кӀ'ал'анамӀу-зӑ**
მიც.	**кӀ'ал'анамӀу-р**	**кӀ'ал'анамӀу-за-р**
ნათ.	**кӀ'ал'анамӀу-с**	**кӀ'ал'анамӀу-за-с**

ერთფუძიან ბრუნებას მიჰყვება აგრეთვე განსაზღვრული მიმღეობა. მხოლობით რიცხვში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუძეთა მიხედვით არ იცვლება და შედარებით ერთგვაროვანია. განსაზღვრებითი **-но** ნაწილაკი, ზედსართავის მსგავსად, ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში გადაჰყვება. მრავლობით რიცხვში იგი ორფუძიანობით ხასიათდება.

აწმყოს განსაზღვრული მიმღეობა

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-, д-, б-, р-оӀкъосиано**	**б-, р-оӀкъосиано-бо**
ერგ.	**Ø-, д-, б-, р-оӀкъосиан-ӭ** (← -о+а)	**б-, р-оӀкъосиано-зӭ**
მიც.	**Ø-, д-, б-, р-оӀкъосиано-р**	**б-, р-оӀкъосиано-за-р**
ნათ.	**Ø-, д-, б-, р-оӀкъосиано-с**	**б-, р-оӀкъосиано-за-с**

ნამყოს მიმღეობა I

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**ქეცჳსინი** „დაძინებული რომელიცაა“	**ქეცჳსინი-ბი**
ერგ.	**ქეცჳსინ-ჳ**	**ქეცჳსინი-ზჳ**
მიც.	**ქეცჳსინი-რ**	**ქეცჳსინი-ზა-რ**
ნათ.	**ქეცჳსინი-ს**	**ქეცჳსინი-ზა-ს**

ნამყოს მიმღეობა III

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-, ჲ-, ბ-, რ-იზირრალინი** „ამღებინებელი, მყიდვინებელი ვინცაა“	**ბ-, რ-იზირრალინი-ბი**
ერგ.	**Ø-, ჲ-, ბ-, რ-იზირრალინ-ჳ̈** (← -ი+ა)	**ბ-, რ-იზირრალინი-ზჳ̈**
მიც.	**Ø-, ჲ-, ბ-, რ-იზირრალინი-რ**	**ბ-, რ-იზირრალინი-ზა-რ**
ნათ.	**Ø-, ჲ-, ბ-, რ-იზირრალინი-ს**	**ბ-, რ-იზირრალინი-ზა-ს**

§ 12. ორფუძიანი ბრუნება. განუსაზღვრელი მიმღეობა ორფუძიანი ბრუნებისას სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით არის წარმოდგენილი, ერგატივში მას ჩაერთვის **-ზო-** ფორმანტი, რაც ფუძის ცვლილებას იწვევს და ეს სახეცვლილი ფუძე ირიბ ბრუნვებში მეორდება. აქედან ნათელი ხდება, რომ ამ ტიპის მიმღეობათა ბრუნება მიმართებით და კუთვნილებით ზედსართავთა ანალოგიურია. ამ წესით იბრუნვის ძირითადად დამოუკიდებლად ხმარებული აწმყო-მყოფადის მიმღეობა:

სახ.	**Ø-, დ-, ბ-, რ-ოშხოსი**	**ქურხოსი** „მსროლელი“ „მჭამელი“
ერგ.	**Ø-, დ-, ბ-, რ-ოშხო-ზო́**	**ქურხო-ზო́**
მიც.	**Ø-, დ-, ბ-, რ-ოშხო-ზო-რ**	**ქურხო-ზო-რ**
ნათ.	**Ø-, დ-, ბ-, რ-ოშხო-ზო-ს**	**ქურხო-ზო-ს**

აწმყო-მყოფადის მიმღეობის არსებითთან ერთად (resp. ატრიბუტული სინტაგმა) ბრუნებისას, ბრუნვის ნიშანს საზღვრული სახელი იღებს, მიმღეობა კი ერგატივიდან მოკიდებული **-ზო** მეორე ფუძის ფორმანტით ბოლოვდება:

სახ.	**Ø-იკიხოსი**	**ჟეკუ** „მიმავალი კაცი“
ერგ.	**Ø-იკიხო-ზო**	**ჟეკ̃ᵘ**
მიც.	**Ø-იკიხო-ზო**	**ჟეკუ-რ**
ნათ.	**Ø-იკიხო-ზო**	**ჟეკუ-ს**

ნამყოს მიმღეობის არქაულ ფორმათა ბრუნება

სახ.	***თელ'სი**	„მისცა“ ← „მიცემული“
ერგ.	**თელ'-ზ̃ᵘ**	
მიც.	**თელ'-ზი-რ**	
ნათ.	**თელ'-ზი-ს**	

აწმყოს კონკრეტული მიმღეობის ბრუნება

სახ.	**ნეხტ₀ოსი**	„მომავალი, მოსვლად მყოფი“
ერგ.	**ნეხტ₀ო-ზო́**	
მიც.	**ნეხტ₀ო-ზო-რ**	
ნათ.	**ნეხტ₀ო-ზო-ს**	

მყოფადი დროის მიმღეობის ბრუნების ნიმუში

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**ნეხუანირსი** „მოსასვლელი“	**ნეხუანირსი-ბი**
ერგ.	**ნეხუანირ-ზო**	**ნეხუანირ-ზო**
მიც.	**ნეხუანირ-ზო-რ**	**ნეხუანირ-ზო-რ**
ნათ.	**ნეხუანირ-ზო-ს**	**ნეხუანირ-ზო-ს**

§ 13. უბრუნველი მიმღეობები. უწინარეს ყოვლისა, უბრუნველ მიმღეობათა რიცხვს განეკუთვნება პოტენციალისის სემანტიკის აწმყოს მიმღეობის **რისალ'ხოდ** (ასახ.) „საყიდი, რისი ყიდვაც შეიძლება“, **ბიშრალ'ხოუ** (ქიდ.) „შესაჭმევი, რისი ჭამაც შეიძლება“, **ნეხალ'ხორ** (შაიტლ.) „მომავალი, ვისაც მოსვლა შეუძლია“ ტიპის ფორმები. ასეთი მიმღეობები, როგორც წესი, სახელობითის ფორმით დასტურდება და ბრუნვათა მიხედვით უცვლელია.

რა განაპირობებს მათ უბრუნველობას?

აღნიშნული რიგის მიმღეობას აუსლაუტში მოუდის **-უ, -დ, -რ** თანხმოვნითი ელემენტები, რომლებიც წარმომავლობით კლასის ექსპონენტებს უნდა უკავშირდებოდეს. ეს კი მათ არქაულობას უჩვენებს, უფრო სწორად, მიუთითებს ენის განვითარების იმ საფეხურზე, როცა ბრუნება კლასოვანი იყო. კლას-ნიშნებისა და კლასოვანი ბრუნების მოშლის მომდევნო ეტაპზე, საანალიზო მიმღეობა სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგა, რადგან სახელური ბრუნების ჩამოყალიბება ვეღარ მოასწრო.

უბრუნველ მიმღეობათა რიცხვს განეკუთვნება ნამყოს **ნეხ̄სი** და **ნეხალი** („მოსული“) ტიპის განუსაზღვრელი მიმღეობები. მართალია, ისინი გაქვავებული სახით არსებობენ და ბრუნვათა მიხედვით რაიმე ცვლილებას არ განიცდიან, მაგრამ წინადადებაში ფუნქციურად მიმღეობის იდენტურ ოდენობად გვევლინებიან. ამისდა მიხედვით, შესაძლებელია, ზოგადად მათ **ბრუნებანაკლი** მიმღეობები ვუწოდოთ.

III თავი

მიმღეობა ჰინუხურ ენაში

1. მიმღეობის წარმოება

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰინუხური ენა, საკუთრივ დიდოურთან შედარებით, მიმღეობური ფორმებით საგრძნობლად ღარიბია. საფიქრებელია, რომ ეს გარკვეულწილად შეპირობებული იყოს აწმყოსა[1] და ნამყოს ზმნურ ფორმათა გამოყენებით შესაბამისი მიმღეობის გადმოსაცემად [ლომთაძე 1963: 149]. წინ მდგომი ზმნური ფორმა ძირითადად ატრიბუტულ ფუნქციას ასრულებს,[2] რაც მიმღეობურ ფორმათა სიმცირის კომპენსაციას ახდენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰინუხური ენის მიმღეობის ჩვენება შესაძლოა არქაულ ვითარებას ასახავდეს. კერძოდ, სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია [ტრუბეცკოი 1987: 328; იმნაიშვილი 1963: 148], რომ ნამყო განსაზღვრულის ფორმები ისტორიულად მიმღეობურ ფორმებს წარმოადენენ. ამისდა კვალად, სავარაუდოა, ამ ფორმებს შემონახული ჰქონდეთ ძველი სემანტიკა, რაც რიგ შემთხვევაში მკაფიოდ მჟღავნდება.

აწმყო კონკრეტული აწმყოს მიმღეობის ფუნქციით: **Øიტიჰო** რეკუე „მიმავალი კაცი“, **ჭიჭირჰო** ბეხ ცურაუ გოლ' „მოსათიბი ბალახი ბევრია“...

ნამყო ძირითადი ნამყოს მიმღეობის მნიშვნელობით: **თოლ'რიშ** ცუშ „გაყიდული (ზედმიწ. „მიცემული“) ხარი“; **ბა-**

---

[1] აწმყოს ფორმათა მიმღეობური ბრუნება შენიშნული აქვს ჯერ კიდევ ა. დირს [დირი 1928: 85].

[2] ზმნის პირიანი ფორმის გამოყენება მიმღეობის ფუნქციით ჩვეულებრივია ძველ ქართულსა და ჰანურში [იხ. ოსიძე 1956: 71, 74; შანიძე 1980: 582].

წიშ მაგალუ „შეჰმული პური“; ჰადდუ ქედ ხოდდოჰო ქიტიიშ გოლ' „ეს გოგო გათხოვილი (ზედმიწ. „ქმართან წასული“) არის“.

ე. ბოკარევი ჰინუხურში აწმყოს მიმღეობის არსებობას უარყოფს [ბოკარევი 1959: 138].

ჩვენი აზრით, ჰინუხური ენის აწმყოს მიმღეობას მოეპოვება ორგანული (სინთეზური) და აღწერითი (ანალიზური) ფორმები. ამ უკანასკნელს გამოყენების ფართო არეალი აქვს [იმნაიშვილი 1963: 221].

§ 14. აწმყოს ორგანული მიმღეობა. ა. აწმყოს ორგანულად ნაწარმოები დადებითი მიმღეობა წარმოქმნილია **-ტიო** („-ზე“) სუფიქსიანი ზმნის საგარემოებო ფორმისაგან, უფრო კონკრეტულად, დროის ზმნიზედისაგან (რომელიც მოქმედების თანადროულობას გამოხატავს) **-ს** ფორმანტის დართვით [იმნაიშვილი 1963: 221; ლომთაძე 1963: 150; ბოკარევი 1959: 137). კონტექსტისდა მიხედვით, ამგვარი მიმღეობა მყოფადის გაგებასაც შეიცავს (შდრ. დიდ. **ბიკიხოსი** „მიმავალი“) და, ამდენად, მიზანშეწონილია მას სახელად **აწმყო-მყოფადის მიმღეობა** დაუმკვიდრდეს. მით უფრო, როცა საკვლევ ენაში მყოფადის მიმღეობის სხვა ფორმა არ მოგვეპოვება. ამ რიგის მიმღეობათა მაგალითებია: **ნოხტიო-ს** „მომავალი, მოსასვლელი“, **ტოტერტიო-ს** „საკითხავი, წასაკითხავი“, **უყეროტიო-ს** „მკურნალი, რაც იკურნება, რაც განიკურნება“, **Ø-оჩიტიო-ს** „მყოფი, არსებული“, **Ø-ატიიტიო-ს** „მოსაუბრე, რაც ითქმება“, **Ø-ოტტიო-ს** „მწოლარე, მძინარე“, **Ø-აწტიო-ს** „საჭმელი, რაც იჭმება“, **Ø-ӱქეტიო-ს** „სანახავი, რაც ინახება“, **Ø-უტიო-ს** „მკეთებელი, რაც კეთდება, გასაკეთებელი“ და მრ. სხვ.

ნიმუშები გაბმული მეტყველებიდან: **оჩიტიოს** ბულ'ე, **რაწტიოს** ბიᵒშა, **გᾱტიოს** ლ'ე, **,ოტტიოს** მუჟი, **ლიტიოს** რეტელ ბაწადაბ რიᵒყ'ომე ინსანმოტიო ,უნთი გაჯიდ ქეზი ბიᵒჴ'ო [ლომთა-

ძე 1963: 196, 20] „საცხოვრებელი სახლი, საშმელი (ზედმიწ. „საშმელი საკვები“), სასმელი წყალი, ტანსაცმელი თუ სუფთა არაა, ადამიანს ავი ავადმყოფობა უვითარდება“; ჰაᲓლ'ოზ ჟიჴ'უ დაჰ **რაწტოოს** თოლ'იᲝშ [ლომთაძე 1963: 150, 28] „მას დღეს ცოტა საშმელი მისცეს“; **რილ'ატოოს** აჰლუ თოხთურდერ ბიტიᲝშ „ავადმყოფი კაცები ექიმთან წავიდნენ“; დებეზ **რაცეტოოს** ჟო დე ელ'იშმე „შენ რაც გტკივა (ზედმიწ. „შენს სატკივარს“), მე ვერ გეტყვი“; **ტოტერტოოს** ჰალტეზი ბუჴ'ო „მოსწავლე მუშაობს“...

ჰინუხურ ენას მყოფადის მიმღეობის დამოუკიდებელი ფორმა არ გააჩნია. მის ფუნქციას ჩვეულებრივ აწმყოს ორგანულად ნაწარმოები **ბიკიტოოს** („მიმავალი“, „წასასვლელი“) ტიპის მიმღეობა ასრულებს. აწმყოს მიმღეობა შესაბამის ენაზე მეტყველათა მიერ ფაკულტატიურად ფასდებოდა და გამოიყენებოდა მყოფადის მიმღეობად, ვინაიდან მყოფადის მიმღეობა გრამატიკულად არ იყო ჩამოყალიბებული. ამას მოწმობს ქვემოდასახელებული მაგალითები: დე **ბეხვადატოოს** ბეტოყუ ხეცეს „მე დავტოვე დასაკლავი ცხვარი“; ჰადუ **ბაწტოოს** მაგალუ გოლ' „ეს შესაშმელი პური არის“ და ა. შ.

ბ. აწმყოს ორგანული მიმღეობის უარყოფითი ფორმების წარმოებისას აწმყოს მიმღეობის ზმნურ ფუძესა და ესივის **-ტოო** ფორმანტს შორის ინფინქსად ჩნდება უარყოფითობის გამომხატველი **-შე-** (←*გომე) ნაწილაკი, მაგალითად: **ბუხ-შე-ტოო-ს** „რაც არ იყიდება, რაც არ გაიყიდება“, **Ø-Ოშ-შე-ტოო-ს** „ვინც არ ჭამს, ვინც არ შეჭამს“, **ტოტერ-შე-ტოო-ს** „რაც არ იკითხება, რაც არ წაიკითხება“, **Ø-აწ-შე-ტოო-ს** „რაც არ იშმება, რაც არ შეიშმება“, **უყერ-შე-ტოო-ს** „რაც არ იკურნება, უკურნებელი“, **Ø-Უქ-შე-ტოო-ს** „უნახავი, რაც არ ინახება, რაც არ დაინახება“ და მრ. სხვ.

უარყოფით ფორმათა წარმოებისას ყურადღებას იქცევს ზმნის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქცია, რაც წინამავალი მახვილის გავლენის შედეგი ჩანს. უარყოფითობის ნაწილაკის ჩართვა მარცვალთა ზრდას იწვევს, რაც საფუძველი ხდება ფონეტიკური ცვლილებისა, მაგალითად: **როწი-ტოო-ს** „დასაჭრელი“ — **როწ-მე-ტოო-ს** ←***როწი-მე-ტოო-ს** „რაც არ იჭრება“, **უყე-რო-ტოო-ს** „მკურნალი, რაც იკურნება“ — **უყერ-მე-ტოო-ს** ←***უყერო-მე-ტოო-ს** „რაც არ იკურნება“, **ბ-ელ'ე-ტოო-ს** „სახნავი“ — **ბ-ელ'-მე-ტოო-ს** ← **ბ-ელ'ე-მე-ტოო-ს** „რაც არ იხვნება“...

აქვე უნდა ითქვას, რომ ჰინუხურ ენაში პოტენციალისის სემანტიკის შემცველ მიმღეობებს დამოუკიდებელი ფორმა არ მოეპოვება და ისინი ჩვეულებრივ სხვა ზმნათა ანალოგიურად იწარმოებიან. მოქმედების შესრულების შესაძლებლობაზე ფუძისეული **-ლ'-** ლატერალი მიუთითებს, მაგალითად: **ბიტოილ'ტოოს** ჰუნე გოლ' „წასასვლელად ვარგისი (შეიძლება სიარული) გზა არის“; აცმა გოლ' **ბიქელ'ტოოს** აქი „კარებთან არის საცქერლად ვარგისი (რომლიდანაც დაინახავ, ისეთი) სარკმელი“ და სხვ.

§ 15. აწმყოს აღწერითი მიმღეობა. ა. აწმყოს აღწერითი მიმღეობა ნაწარმოებია აწმყო კონკრეტულისა და მეშველი ზმნის (**გოლ'** „არის“) მიმღეობური ფორმის (**გოლ'ა** „მყოფი, არსებული“) საშუალებით [ლომთაძე 1963: 140; იმნაიშვილი 1963: 221], მაგალითად: **ელ'იდო გოლ'ა** „მთქმელი“, **Ø-აცცო გოლ'ა** „საჭმელი, რაც იჭმება“, **Ø-ჭჰო გოლ'ა** „მკეთებელი, გაკეთებული“, **Ø-უხო̄ გოლ'ა** „შემკრები, რაც იკრიბება“, **Ø-ეყიდო გოლ'ა** „მცოდნე“ და მრ. სხვ.

სავსებით შესაძლებელია, აწმყოს აღწერით მიმღეობას განსაზღვრული (**-ნი** ნაწილაკდართული) ფორმებიც გააჩნდეს, მაგალითად: **Ø-უხო̄ გოლ'ა-ნი** „მყიდველი რომელიცაა“, **Ø-ჭჰო გოლ'ა-ნი** „მკეთებელი რომელიცაა“ და მისთ.

საილუსტრაციო მაგალითები ტექსტებიდან: ჰადდუ ბელ'აჲ **Ø-იტ-იჲო გოლ'ას** გოლ' „ეს ხანჯალი წასულისაა (ვინც წავიდა, იმისაა)"; ჰადდო რეკუე რეგი როჟბი **ელ'იჲო გოლ'ა** „ეს კაცი კარგად ლაპარაკობს (ზედმიწ. „კარგი სიტყვების მთქმელი არის)"; ,ალ'ას **,აყრ გოლ'ა** რეკუჲ დიჟ ნელ'იᵊშ ტექ [ლომთაძე 1963: 149, 34] „სოფლიდან მომავალმა კაცმა მე ფული? (წიგნი — ნ. ა.) მომცა"...

აწმყოს აღწერითად ნაწარმოებ მიმღეობას, დ. იმნაიშვილის მართებული მოსაზრებით, ნამყოს მნიშვნელობაც მოეპოვება. ამას შემდეგი წინადადებები ადასტურებს: ჰობოჟი ჰაჲლ'უჲ **ჯოდრ გოლ'ა** ჟო ,ალაჰლრ რუნ... [ლომთაძე 1963: 205, 4] „შემდეგ მისი თხოვნა (ზედმიწ. „მის მიერ ნათქვამი რაღაცა") ღმერთმა აღასრულა („გააკეთა")"; ...ჰიბაგზე ზე-ბო-წიჲ **,ელ'იო გოლ'ა** ჟო როკტᵊო რიჩინნო... [ლომთაძე 1963: 210, 4] „...დათვისა და მგლის ნათქვამი ყველაფერი დაიმახსოვრა..."; ...ჰულ' ,ელი ,ელ'იო გოლ'ა როჟბენ თოჯ'ენნო მᵊრაბ ხაჲრ ბუნ ჰაჲლ'ო რეკუჲ [ლომთაძე 1963: 210, 29] „...საღამოთი ჩვენი ნათქვამი სიტყვები გაიგონა რა, ბევრი სარგებელი მიიღო („გააკეთა") ამ კაცმა"...

ბ. აწმყოს ანალიზური მიმღეობის უარყოფითი ფორმები დადებითი მიმღეობის ფორმათა ანალოგიურად იწარმოება, ოღონდ მეორე კომპონენტად **გოლ'** („არის") ზმნის ნამყოს უარყოფითი მიმღეობა (**გოჲო-მე-რუ** „არ მყოფი, არარსებული") გამოიყენება, მაგალითად: **ტოტერჰო გოჲომერუ** „ვინც არ კითხულობს, ვინც არ კითხულობდა", **გორჰო გოჲომერუ** „ვინც არ დებს, ვინც არ დებდა", **Ø-უჰრ გოჲომერუ** „რაც არ იკვლება, რაც არ დაიკლა", **Ø-ეყიჲო გოჲომერუ** „უმეცარი, რაც არ იცოდნენ", **Ø-ოჭილ'ო გოჲომერუ** „რაც არ იყინება, რაც არ იყინებოდა", **კოლ'ო გოჲომერუ** „ვინც არ ხტება, ვინც არ ხტებოდა" და მისთ.

§ 16. ნამყოს მიმღეობის წარმოება. სპეციალისტები ნამყოს მიმღეობის კვლევისას სხვადასხვა თვალსაზრისებს აყენებენ. ე. ბოკარევის აზრით, აღნიშნული მიმღეობა უპირატესად ზმნის ფუძისაგან იწარმოება, თუმცა **ი** ხმოვანფუძიანი ზმნები აწმყოს ფორმაზე უშუალოდ დაირთავენ მიმღეობის მაწარმოებელ **-რუ** ფორმანტს [ბოკარევი 1959: 136; 1967: 449].

ე. ლომთაძის მიხედვით, ნამყოს მიმღეობა იწარმოება აწმყო ზოგადის ფორმას დამატებულ **-ჲ-ო** ოდენობაზე **-რუ** ფორმანტის დართვით [ლომთაძე 1963: 151]. დ. იმნაიშვილის აზრით კი, იგი ნაწარმოებია ზმნის მესამე ფუძისაგან [იმნაიშვილი 1963: 221].

ა. ჩვენი აზრით, ნამყოდროიანი დადებითი მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულისაგან მიმღეობური (**-რუ**) ფორმანტის დართვით, მაგალითად: **Ø-ატიჲო** „ლაპარაკობს“ > **Ø-ატიჲო-რუ** „ნალაპარაკევი“, **Ø-იჩიჲო** „არის, იმყოფება“ > **Ø-იჩიჲო-რუ** „ნამყოფი, გაჩერებული“, **Ø-უჟიჲო** „მიჰყავს, მიაქვს“ > **Ø-უჟიჲო-რუ** „წაყვანილი, წაღებული“, **Ø-იტიჲო** „მიდის“ > **Ø-იტიჲო-რუ** „წასული“, **Ø-უჲო** „აკეთებს“ > **Ø-უჲო-რუ** „გაკეთებული“, **Ø-უყ̄ო** (← || **Ø-უყოჰო**) „ჯანმრთელდება“ > **Ø-უყ̄-რუ**, „გამოჯანმრთელებული“, **ცახხო** (← || **ცახჰო**) „წერს“ > **ცახხო-რუ** „დაწერილი“ და მრ. სხვ.

აწმყო კონკრეტულის საუღლებელმა ფორმამ შესაძლოა სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესი განიცადოს [ლომთაძე 1963: 136], რაც მეტწილად სათანადო ნიშნის დამატებითაა გამოწვეული, მაგრამ მიმღეობური **-რუ** ფორმანტი აწმყოს გამარტივებულ (კონკრეტული აწმყოს ფორმანტის **-ჰ-** თანხმოვანდაკარგულ) პარალელურ ფორმას უშუალოდ დაერთვის. სავარაუდოა, რომ მთლიანად აღნიშნულ ფორმანტს ეკისრებოდეს ნამყოს მიმღეობის შინაარსის გადმოცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰინუხურში მიმღეობურ ფორმებს (თუ არ გავითვალისწინებთ ლოკატიური წარმომავლობის აწმყოს მიმღეობას), დიდოური ენის ანალოგიურად, განსაზღვრულობის **-ნი** ნაწილაკი დაერთვის, მაგალითად: **Ø-იტიჲორუ-ნი**

„ის, რაც ან ვინც მიმავალია“, **გორორუ-ნი** „ის, რაც დადებულია“, **Ø-უდორუ-ნი** „ის, რაც გაკეთებულია“...

მართალია, ზემოხსენებული **-ნი** ნაწილაკი იშვიათად იჩენს თავს, მაგრამ ესეც საკმარისია იმის მისანიშნებლად, რომ უწინ ჰინუხური ენასაც უნდა ჰქონოდა მიმღეობის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მიხედვით დაპირისპირებული ერთეულები.

ბ. ნამყოდროიანი უარყოფითი მიმღეობა იწარმოება ფუძედ გამოყენებულ აწმყო კონკრეტულსა და **-რუ** მიმღეობურ ფორმანტს შორის უარყოფითობის **-მე-** ნაწილაკის ჩართვით, მაგალითად: **გოდო-მე-რუ || -მე-რუ-ნი** „არარსებული, უქონელი“, **Ø-უჟიდო-მე-რუ || -მე-რუ-ნი** „წაუყვანელი, წაუღებელი“, **Ø-ატიირრო-მე-რუ || -მე-რუ-ნი** „მოუტყუებელი“, **Ø-ატიდო-მე-რუ || -მე-რუ-ნი** „წაუსვლელი“...

ვფიქრობთ, ნამყოს მიმღეობის საწარმოებელ ფუძედ წარმომავლობით აწმყო კონკრეტულის გამარტივებული (**გო-** ინგრედიენტი არამუდმივია, შდრ. **Ø-ატიდო-გო-მე**) უარყოფითი ფორმა უნდა იყოს გამოყენებული. მსგავსი (**გო-** ელემენტდაკარგული) ფორმები სპორადულად დასტურდება, მაგალითად: მე Ø-უთიდო-მე, Øუთიდომეზ იჩი! „თუ არ გინდა, ნუ დაბრუნდები!“

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, კონკრეტული აწმყო აღწერითად იწარმოება: აწმყოს დადებით ფორმას ერთვის უარყოფითობის გამომხატველი ნაწილაკი **გომ** (← **გომე** „არ არის“) [იმნაიშვილი 1956: 445; ლომთაძე 1963: 154; ბოკარევი 1959: 140]. ამ ნაწილაკის ზმნის ფუძეზე მიხორცება აწმყო კონკრეტულის აღწერით ფორმას ორგანულად ხდის, რის შემდგომაც შეიძლება ამ ნაწილაკის **გო-** ელემენტი ცვეთის ნიადაგზე კიდეც დაიკარგოს. ამ უკანასკნელ ფორმაზე **-რუ** სუფიქსის დართვა კი ნამყოს მიმღეობის უარყოფითი ფორმების წარმოქმნას იწვევს.

რაც შეეხება ჰინუხური ენის კაუზატიურ მიმღეობებს, ისინი დიდოური ენის ანალოგიურად იწარმოება (იხ. § 7, § 8).

ჰინუხურ ენაში მიმღეობათა წარმოების პარადიგმები სქემატურად ასე წარმოგვიდგება:

ინფინიტივი	დროის ზმნიზედა		აწმყოს ორგანული მიმღეობა	
	დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-უჰერ-ა „მოკვლა“	Ø-უჰერ-ტ₺ო	Ø-უჰერ-მე-ტ₺ო	Ø-უჰერტ₺ო-ს	Ø-უჰერ-მე-ტ₺ოს
Ø-აწ-ა „რისამე ჭამა“	Ø-აწ-ტ₺ო	Ø-აწ-მე-ტ₺ო	Ø-აწტ₺ო-ს	Ø-აწ-მე-ტ₺ოს
Ø-ეთ-ა „ნდომა, ყვარება“	Ø-ეთი-ტ₺ო	Ø-ეთი-მე-ტ₺ო	Ø-ეთიტ₺ო-ს	Ø-ეთი-მე-ტ₺ოს
ბელ'-ა „ხვნა“	ბელ'ე-ტ₺ო	ბელ'ე-მე-ტ₺ო	ბელ'ეტ₺ო-ს	ბელ'ე-მე-ტ₺ოს
ტოტერ-ა „კითხვა“	ტოტერ-ტ₺ო	ტოტერ-მე-ტ₺ო	ტოტერტ₺ო-ს	ტოტერ-მე-ტ₺ოს

ინფინიტივი	აწმყოს აღწერითი მიმღეობა			
	დად. ფორ.		უარყ. ფორ.	
	განუსაზღ.	განსაზღ.	განუსაზღ.	განსაზღ.
Ø-ეთ-ა „ნდომა, ყვარება“	Ø-ეთიდო გოლ'ა	Ø-ეთიდო გოლ'ა-ნი	Ø-ეთიდო გოდო-მე-რუ	Ø-ეთიდო გოდო-მე-რუ-ნი
Ø-იტ₺-ა „წასვლა“	Ø-იტ₺იდო გოლ'ა	Ø-იტ₺იდო გოლ'ა-ნი	Ø-იტ₺იდო გოდო-მე-რუ	Ø-იტ₺იდო გოდო-მე-რუ-ნი
Ø-აწ-ა „ჭამა“	Ø-აცცო გოლ'ა	Ø-აცცო გოლ'ა-ნი	Ø-აცცო გოდო-მე-რუ	Ø-აცცო გოდო-მე-რუ-ნი
ელ'-ა „თქმა“	ელ'იდო გოლ'ა	ელ'იდო გოლ'ა-ნი	ელ'იდო გოდო-მე-რუ	ელ'იდო გოდო-მე-რუ-ნი
კოლიკდრ-ზ „ბანაობა“	კოლიკდრჰო გოლ'ა	კოლიკდრჰო გოლ'ა-ნი	კოლიკდრჰო გოდო-მე-რუ	კოლიკდრჰო გოდომე-რუ-ნი

ინფინიტივი	აწმყო კონკრეტული		ნამყოს მიმღეობა	
	დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-ეთ-ა „ნდომა, ყვარება“	Ø-ეთიდო	Ø-ეთიდო-გომ‖Ø-ეთიდო-მე	Ø-ეთიდო-რუ‖-რუ-ნი	Ø-ეთიდო-მე-რუ‖მე-რუ-ნი
Ø-უუ-ა „ჯეთება“	Ø-უდო	Ø-უდო-გომ‖Ø-უდო-მე	Øუდო-რუ‖-რუ-ნი	Ø-უდო-მე-რუ‖მე-რუ-ნი
Ø-ეყ-ა „ცოდნა“	Ø-ეყიდო	Ø-ეყიდო-გომ‖Ø-ეყიდო-მე	Ø-ეყიდო-რუ‖-რუ-ნი	Ø-ეყიდო-მე-რუ‖მე-რუ-ნი
გორ-ა „დადება“	გორ-ჰო	გორჰო-გომ‖გორჰო-მე	გორჰო-რუ‖-რუ-ნი	გორჰო-მე-რუ‖მე-რუ-ნი
ცახ-ა „წერა“	ცახ-ხო	ცახხო-გომ‖ცახხო-მე	ცახხო-რუ‖-რუ-ნი	ცახხო-მე-რუ‖მე-რუ-ნი

2. მიმღეობის ბრუნება

§ 17. ერთფუძიანი ბრუნება. ერთფუძიანი ბრუნება ახასიათებს: ა) აწმყოს აღწერითად ნაწარმოებ მიმღეობას მხოლობითში, ბ) ნამყოს მიმღეობას, გ) **ცახდამუ** („მწერალი“) ტიპის გასუბსტანტივებულ მიმღეობას მხოლობით რიცხვში.

ა) როგორც დადებითი, ისე უარყოფითი აწმყოს აღწერითი მიმღეობა მხოლობით რიცხვში ხმოვანფუძიან არსებით სახელთა მსგავსად იბრუნვის — ფუძეს უშუალოდ ერთვის ბრუნვის ნიშნები, მაგალითად:

სახ.	**Øიტიიდო გოლ'ა** „წასული, მიმავალი“ (I კლ.)
ერგ.	**Øიტიიდო გოლ'ა-დ**
მიც.	**Øიტიიდო გოლ'ა-ზ**
ნათ.	**Øიტიიდო გოლ'ა-ს**

ანალოგიურადვე იბრუნვის სათანადო მიმღეობის განსაზღვრული ფორმები, მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობითში **-ნი** განსაზღვრებითი ნაწილაკის მომდევნოდ ბრუნვის ნიშნები ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან: მიც. **-ზ** → **-ჟ**, ნათ. **-ს** → **-შ**.

ბ) ნამყოს მიმღეობაც მარტივი წესით იბრუნვის — სახელობითი ბრუნვის ფორმას, რომელიც საბრუნებელ ფუძეს ეტოლება, პირდაპირ დაერთვის ბრუნვის ნიშნები:

სახ.	**Øიტიიდორუ** „ მიმავალი“ (I კლ.)
ერგ.	**Øიტიიდორუ-დ**
მიც.	**Øიტიიდორუ-ზ**
ნათ.	**Øიტიიდორუ-ს**

ამ მიმღეობის ადეკვატურად იბრუნვის **ცახდამუ** („მწერალი“) ტიპის გასუბსტანტივებული მიმღეობა მხოლობით რიცხვში.

§ 18. ორფუძიანი ბრუნება. დამოუკიდებლად გამოყენებული აწმყოს სინთეზური მიმღეობა ორფუძიანობის პრინციპით იბრუნვის, მაგრამ რომელიმე ბრუნვაზე დამყარებული ორფუძიანობა არ გვაქვს. მეტად საინტერესოა, რომ მიმღეობის საწარმოებელი **-ს** ფორმანტის ადგილას ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში **-ზო-** დასტურდება, რომელიც მეორე ფუძეს აყალიბებს და მიმღეობას საზღვრულ სახელთანაც უნარჩუნდება. ამასთან ერთად, მრავლობითის ფორმას სახელობითში საკუთარი მახასიათებელი არ აქვს და მრავლობითობა კლასიფიკატორის საშუალებით გადმოიცემა, მაგალითად:

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-იტიტოს** „მიმავალი“ (I კლ.)	**ბ-იტიტოს** (I, II კლ.)
ერგ.	**Ø-იტიტო-ზო-დ**	**ბ-იტიტო-ზო-დ**
მიც.	**Ø-იტიტო-ზო-ზ**	**ბ-იტიტო-ზო-ზ**
ნათ.	**Ø-იტიტო-ზო-ს**	**ბ-იტიტო-ზო-ს**

ჰინუხურ ენაში მეტად საგულისხმო ფაქტს ვაწყდებით, როდესაც **цахиш** („დაწერა“) ტიპის მსაზღვრელად გამოყენებული ნამყო განსაზღვრულის ფორმა მიმღეობასავით იბრუნვის. ბრუნებისას ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი სახელობითში დასტურდება, დანარჩენ ბრუნვებში კი, ჩანს, **-ზა-** დეტერმინანტის ხმოვნის გავლენით უკვალოდ იკარგება.

დამოუკიდებლად ბრუნების ნიმუში

სახ.	**цахиш** „დამწერი, დაწერა“
ერგ.	**цах-за-д** (<*цахо-за-д)
მიც.	**цах-за-з** (<*цахо-за-з)
ნათ.	**цах-за-с** (<*цахо-за-с)

როგორც აღნიშნულია, მრავლობით რიცხვში ორფუძიანობის პრინციპით იბრუნვის აწმყოს აღწერითი მიმღეობა და ნამყოს მიმღეობა. ამ სახის მიმღეობათა ბრუნებისას განუსაზღვრელ ფორმას ერგატივიდან მოკიდებული ირიბ ბრუნვებში ფუძესა (resp. მხოლოობითი რიცხვის სახელობითის ფორმასა) და ბრუნვის ნიშანს შორის საბრუნებელი ფუძის **-ზა-** ფორმანტი იჩენს თავს:

აწმყოს აღწერითი მიმღეობა
(განუსაზღვრელი ფორმა)

სახ.	**ბ-უჰრ გოლ'ა-ბე**	„მკვდრები, ვინც კვდებიან“ (I, II კლ.)
ერგ.	**ბ-უჰრ გოლ'ა-ზა-დ**	
მიც.	**ბ-უჰრ გოლ'ა-ზა-ზ**	
ნათ.	**ბ-უჰრ გოლ'ა-ზა-ს**	

ნამყოს მიმღეობა

სახ.	**ბ-იტიდორუ-ბე**	„წასულები“ (I, II კლ.)
ერგ.	**ბ-იტიდორუ-ზა-დ**	
მიც.	**ბ-იტიდორუ-ზა-ზ**	
ნათ.	**ბ-იტიდორუ-ზა-ს**	

აწმყოს აღწერითი მიმღეობის განსაზღვრულ ფორმათა ბრუნებისას მეორე ფუძის საწარმოებელი ფორმანტი **-ზა-** ფუძესა და **-ნი** განსაზღვრებით ნაწილაკს შორის მოექცევა. ასეთ ვითარებაში მეორე ფუძეს რთული სუფიქსი **-ზა-ნი** აწარმოებს, მაგალითად:

სახ. **ბ-უჰრ გოლ'ა-ნი-ბე** „მკვდრები ან მომკვდომები რომლებიცაა“ (I, II კლ.)

ერგ. **ბ-უჰრ გოლ'ა-ზა-ნი-დ**

მიც. **ბ-უჰრ გოლ'ა-ზა-ნი-ჟ**

ნათ. **ბ-უჰრ გოლ'ა-ზა-ნი-შ**

როგორც ვხედავთ, **-ნი-** ნაწილაკის მომდევნოდ ბრუნვის ნიშნები ცვლილებას განიცდიან: მიც. **-ზ** → **-ჟ**, ნათ. **-ს** → **-შ**.

თავისებურებას გვიჩვენებს **ცახდამუ** („მწერალი“) ტიპის განსაზღვრული მიმღეობის ბრუნება მრავლობითში. ამჯერად მეორე ფუძის საწარმოებელი **-ზა** ფორმანტი, რომელიც განსაზღვრებითობის **-ნი** ნაწილაკსა და ბრუნვის ნიშანს შორის ექცევა, **-ჟა**-დ სახეცვლილებას განიცდის. კერძოდ, **ზ** სპირანტი სონორთან მეზობლობაში იმავე სერიის შიშინა **ჟ** სპირანტში გადადის [შდრ. ლომთაძე 1956: 304].

სახ. **ცახდამუნი-ბე** მწერლები რომლებიცაა“ (I-IV კლ.)

ერგ. **ცახდამუნი-ჟა-დ**

მიც. **ცახდამუნი-ჟა-ზ**

ნათ. **ცახდამუნი-ჟა-ს**

ჰინუხურ ენაში ორფუძიანობა ტრადიციულ ფორმულირებას ერგვარად არღვევს. კერძოდ, ერგატივის ფორმა, რომელიც საბრუნებელ ფუძედ უნდა გამოიყენებოდეს, არ მისდევს ამ წესს. მართალია, მეორე ფუძის საწარმოებელი **-ზა** ფორმანტი მეორდება მომდევნო ბრუნვებში, მაგრამ ერგატივის **-დ** ნიშნის გარეშე, ე. ი. ერგატივის ფუძე (resp. პალეოერგატიული ფორმა) საბრუნებელ ფუძედ არის გამოყენებული.

IV თავი

მიმღეობა ხვარშიულ ენაში

1. მიმღეობის წარმოება

ხვარშიულ ენაში მიმღეობის წარმოება, როგორც წესი, ორ ჯგუფად იყოფა: ორგანული (სინთეზური) და აღწერითი (ანალიზური).

§ 19. აწმყო კონკრეტულის მიმღეობის წარმოება. ა. ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში აწმყო კონკრეტულის მიმღეობის დადებითი ფორმები იწარმოება აწმყო კონკრეტულის ფორმაზე (ფუძისდა მიუხედავად) მაზედსართავებელი **-სო** ფორმანტის დართვით [ბოკარევი 1959: 168; იმნაიშვილი 1963: 222], მაგალითად: **Ø-ოკუშე-სო** „მწველი“, **Ø-უხეშე-სო** „მომავალი“, **უშშე-სო** „მომაკვდავი“, **ქერაშე-სო** „მოთამაშე“, **ლიჩჩე-სო** „მჭრელი“ **თილ'შე-სო** „მიმცემი“, **შუკშე-სო** „მცემელი“, **ისსე-სო** „მთხრობელი“ და მრ. სხვ.

საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში აწმყო კონკრეტულის მიმღეობა, წარმოების მხრივ, არსებითად ინხოყვარულ დიალექტს მიჰყვება. ამ მიმღეობის დადებითი ფორმები ნაწარმოებია აწმყო კონკრეტულისაგან **-სა** ფორმანტის დართვით [ბოკარევი 1959: 168], მაგალითად: **Ø-ეჩაჰა-სა** „მყოფი, არსებული“, **Ø-უჰო-სა** „მკეთებელი“, **ჴუაჲაჰა-სა** „მწერელი“, **გოჴაჰა-სა** „მოყვარული, საყვარელი“, **ჰოცაჰა-სა** „ˌდა˺მტოვებელი“, **აქელ'ო-სა** „ვინც იღლება“, **ლ'ესეხხო-სა** „დაწვენინებული, დაძინებინებული“, **Ø-ესსო-სა** „ამღები, მყიდველი“, **Ø-ულ'ლ'ო-სა** „მშიშარი“, **კოლ'აჰა-სა** „მხტომელი“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ ხვარშიულ ენაში საკუთრივ დიდოურისა და ჰინუხურის ტოლფარდი განსაზღვრებითი მიმღეობები

შეინიშნება, რომლებიც ნაწარმოებია **-სო** (ინხ.), **-სა** (საკ. ხვარშ.) ფორმანტის რედუპლიკაციით [იმნაიშვილი 1963: 222-223], მაგალითად: ინხ. **Ø-ოკუშე-სო-სო** „მწველი რომელიცაა“, **Ø-უხშე-სო-სო** „მომავალი რომელიცაა“, **ლიჩე-სო-სო** „მჭრელი რომელიცაა“...; საკ. ხვარშ. **Ø-ეჩაჭა-სა-სა** „მყოფი რომელიცაა, არსებული რაცაა“, **Ø-უჯო-სა-სა** „მკეთებელი რომელიცაა“, **ჯუაღაჭა-სა-სა** „მწერელი რომელიცაა, ის, ვინც წერს“ და სხვ.

ბ. აწმყო კონკრეტულის უარყოფითი ფორმები ორსავე დიალექტში ნაწარმოებია დიდოური ენის ანალოგიურად, კონკრეტული აწმყოს უარყოფითი ფორმისაგან სათანადო სუფიქსების (ინხ. **-სო**, საკ. ხვარშ. **-სა**) საშუალებით: ინხ. **შუკათე-სო** „ვინც არ სცემს“, **Ø-უხათე-სო** „არმომავალი“, **ისათე-სო** „არმომყოლი, ვინც არ ყვება“...; საკ. ხვარშ. **Ø-ეზათე-სა** „ვინც არ იღებს, არ ყიდულობს“, **ჯუაღათე-სა** „ვინც არ წერს“, **დურდათე-სა** „ვინც ან რაც არ დარბის“ და მისთ.

კაუზატიური მიმღეობების წარმოების მხრივ ხვარშიული ახლომონათესავე ენებს ეთანაბრება. წარმოების პრინციპი ასეთია: აწმყო-კონკრეტულის კაუზატიურ ფორმას (დადებითსაც და უარყოფითსაც) მიმღეობის საწარმოებელი სუფიქსი უშუალოდ ერთვის: ინხოყვარული: დად. ფორ. **Ø-აქხუახგკშე-სო** „მაჩვენებინებელი“, **Ø-აწხახგკშე-სო** „მჭმევინებელი, შე¯საჭმევინებელი“...; უარყ. ფორ. **Ø-აქხუახკათე-სო**, **Ø-აწხახგკათე-სო**...; საკ. ხვარშიული: დად. ფორ. **ბ-აწხახექქო-სა** „საჭმევინებელი“, **ლ'ესხახექქო-სა** „დმწვენინებელი, დამძინებინებელი“...; უარყ. ფორ. **ბაწხახათე-სა**, **ლ'ესახახკათე-სა** და მისთ.

§ 20. ზოგადი აწმყოს მიმღეობის წარმოება. ზოგადი აწმყოს მიმღეობას საკუთარი ფორმა მხოლოდ ინხოყვარულ დიალექტში აქვს, საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში აწმყო ზოგადისა და ნამყოს მიმღეობები ფორმობრივად ერთმანეთს ემთხვევა [იმნაიშვილი 1963: 222].

ა. ინხოყვარულ დიალექტში **აწმყო ზოგადის დადებითი მიმღეობა** იწარმოება ზმნის სადა ფუძეზე **დოუ** (|| ← **-დოგუ**) სუფიქსის დართვით [იმნაიშვილი 1963: 222], მაგალითად: **ლიყ-დოუ** || **-დოგუ** „მცოდნე“, **ის-დოუ** || **-დოგუ** „მთხრობელი, მოუბარი“, **ჲ-აწ-დოუ** || **-დოგუ** „საჭმელი“, **Ø-ოტუყ-დოუ** || **-დოგუ** „მომავალი“, **ēციც-დოუ** || **-დოგუ** „მაქებარი“, **ხულ'-დოუ** || **-დოგუ** „მსმელი“, **ბიჭ-დოუ** || **-დოგუ** „მჭრელი, რაც იჭრება“ და სხვ.

როგორც ჩანს, აქ წარმოდგენილ ფორმათა მაწარმოებელი სუფიქსის **გ** ხშირად იკარგვის, რაც იწვევს აუსლაუტური **-უ** ხმოვნის **-უ̯** ნახევარხმოვნად შეცვლას — მის სონანტურ რეალიზაციას. **გ** თანხმოვანდაკარგული ფორმები უფრო ხშირად გვხვდება საკვლევი დიალექტის ცოცხალ მეტყველებაში.

დ. იმნაიშვილი წერს: „აღნიშნული (**გ** — ნ. ა.) თანხმოვანი მხოლოდ აულ ინხოყვარის მეტყველებაში ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში არ განიცდის ცვლილებას“ [იმნაიშვილი 1963: 222]. უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული მეტყველების ერგატივსა და ირიბ ბრუნვებშიც დასტურდება გამარტივებული **-დოუ̯** სუფიქსიანი ფორმები: სახ. **ხულ'დოუ̯** „მსმელი“, ერგ. **ხულ'დოუ̯-ლა**, მიც. **ხულ'დოუ̯-ლა-ლ**, ნათ. **ხულ'დოუ̯-ლა-ს**.

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ბოკარევი ზემომოყვანილ **-დოგუ** სუფიქსიან მიმღეობებს მყოფადის მიმღეობებს განაკუთვნებს [ბოკარევი 1967: 430]. ეს შეპირობებული ჩანს მათი შედარებით ზოგადი სემანტიკით — აწმყო ზოგადის მიმღეობა მომავალი დროის გაგებასაც შეიცავს, ე. ი. აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც აწმყოში იწყება და გრძელდება მომავალში. შინაარსობრივად იგი დაახლოებით ხუნძური **ტოლეб** („მისაცემი“) ტიპის მიმღეობების ბადალია.

ბ. **აწმყო ზოგადის უარყოფითი მიმღეობა** იწარმოება უარყოფითი აწმყო კონკრეტულისაგან **-უ || -გუ** ფორმანტის მეშვეობით [იმნაიშვილი 1963: 222]. **-უ**, როგორც აღინიშნა, ამოსავალი **-გუ** სუფიქსის გამარტივებული სახეა. თვალშისაცემია ფუძისეული (resp. უაყოფითი აწმყო კონკრეტულის სუფიქსისეული) ხმოვნის გაორმაგება, რაც შესაძლოა მახვილის გავლენას მიეწეროს, მაგალითად: **ქერაძა-თე-გუ || ქერაძა-თთე-გუ** „ვინც არ თამაშობს“, **ლეჩა-თთე-უ** „არარსებული“...

ზოგადი აწმყოს უარყოფითი მიმღეობის საილუსტრაციო მაგალითები: **ლეპუათე-უ || -გუ** „რაც არ ხდება“, **Ø-ე^{ъ}ხეათე-უ || -გუ** „ვინც ან რაც არ დადის“, **დურიდათე-უ || -გუ** „ვინც ან რაც არ დარბის“...

სანტლადის მეტყველებაში აწმყო ზოგადის მიმღეობას სუფიქსად **-გუ**-ს ფარდად **-გო || -დო** მოეპოვება, მაგალითად: **Ø-ე^{ъ}ტ^{ъ}ედო-გო || -დო** „მიმავალი“ — **Ø-ე^{ъ}ტ^{ъ}ათთე-გო || -დო** „ვინც არ მიდის“, **ქერადო-გო || -დო** „მოთამაშე“ — **ქერაძათ-თე-გო || -დო** „ვინც არ თამაშობს“ და მისთ.

ვფიქრობთ, სანტლადის მეტყველებაში დადასტურებული **-დო** სუფიქსიანი მიმღეობის ფორმა გვიჩვენებს **გ** თანხმოვნის გაქრობის პროცესს და სრული ფორმიდან გამარტივებული ფორმისაკენ გარდამავალ საფეხურს ასახავს. რაც შეეხება **-ო**-ს იგი **-უ**-ს ამოსავალ ოდენობად ჩაითვლება.

აწმყო ზოგადს განსაზღვრებითი მიმღეობა მოეპოვება. იგი ნაწარმოებია **-სო** სუფიქსის საშუალებით, მაგალითად: **პუადოგუ-სო** „ის, ვინც მწერალია“, **Ø-აცდოგუ-სო** „ის, ვინც მჭამელია“, **ქულდოგუ-სო** „ის, ვინც მტყორცნელია“ და სხვ.

ანალოგიურად იწარმოება განსაზღვრულობა დანარჩენი თქმების მიხედვით განსხვავებულ ფორმებშიც.

§ 21. ნამყოს მიმღეობის წარმოება. ა. ხვარშიული ენის ინხოყვარულ დიალექტში ნამყოს დადებითი მიმღეობა ზმნის წმინდა ფუძეზე **-გუ** სუფიქსის დართვით იწარმოება. ხმოვანზე დასრულებულ ზმნურ ფუძეებს ზემოდასახელებული სუფიქსი უცვლელად შემორჩება, ხოლო თანხმოვანფუძიან ზმნებთან მისი თანხმოვნითი ელემენტი ზმნური ფუძის აუსლაუტურ თანხმოვანთან შეხვედრისას სრულ პროგრესულ კონტაქტურ ასიმილაციას განიცდის [ბოკარევი 1959: 168-169; იმნაიშვილი 1963: 34, 223; 1956: 260-261]. საილუსტრაციო მაგალითები:

1. ხმოვანფუძიანი ზმნები: **Ø-ა$^{\text{ნ}}$ჩა-გუ** „მოწყურებული“, **Ø-ე$^{\text{ნ}}$ხე-გუ** „ნავალი“, **შიშა-გუ** „შენჯღრეული“, **ლი-გუ** „გაკეთებული“, **ქერა-გუ** „ნათამაშები“, **ჯუა-გუ** „დაწერილი“, **ხე-გუ** „გახერხილი“ და სხვ.

2. თანხმოვანფუძიანი ზმნები: **Ø-აწ-წუ** (←*Ø-აწ-გუ) „შეჭმული“, **Ø-უოხ-ხუ** (←*Ø-უოხ-გუ) „მოკლული“, **Ø-აქ-ქუ** (←*Ø-აქ-გუ) „ნანახი“, **ხულ'-ლ'უ** (←*ხულ'-გუ) „დალეული“, **Ø-უხად-დუ** (←*Ø-უხად-გუ) „დაკლული“, **Ø-ეზ-ზუ** (←*Ø-ეზ-გუ) „ნაყიდი“, **გულ-ლუ** (←*გულ-გუ) „დადებული“, **თუჯ-ჯუ** (←*თუჯ-გუ) „მოსმენილი, გაგონილი“, **ჯუახიკ-კუ** ‖ **ჯუახგკ-კუ** (←*ჯვახიკ-გუ ‖ *ჯუახგკ-გუ) „დაწერინებული“ და მრ. სხვ.

ამ რიგის განსაზღვრული მიმღეობა სხვა მიმღეობათა მსგავსად იწარმოება და მიტომ საგანგებოდ აღარ შევჩერდებით მის ანალიზზე.

ბ. ინხოყვარულ დიალექტში ნამყოს უარყოფითი მიმღეობა იწარმოება ნამყოს უარყოფითი ფორმისაგან **-სო** მაატრიბუტივებელი ფორმანტითა და ნამყოს საწარმოებელი სუფიქსისეული ხმოვნების (**უ, ი**) დაგრძელებით [იმნაიშვილი 1963: 223], მაგალითად: **გობუ̄-სო, გობი̄-სო** (კილოკ. ვარ.) „არარსებული“, **Ø-უხადბუ̄-სო, Ø-უხადბი̄-სო** (კილოკ. ვარ.) „დაუკვლელი“, **ლიყბუ̄-სო, ლიყბი̄-სო** (კილოკ. ვარ.) „უცოდინარი, ვინც არ

იცოდა“, **დურიდბუ-სო, დურიდბი-სო** (კილოკ. ვარ.) „ვინც არ ირბინა“ და სხვ.

საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში ნამყოს მიმღეობის დადებითიც და უარყოფითი ფორმებიც, როგორც ცნობილია, აწმყო ზოგადის მიმღეობას ემთხვევა [იმნაიშვილი 1963: 222]. ამტომ რასაც ვიტყვით ამგვარ მიმღეობაზე, იგი ზოგადი აწმყოს მიმღეობასაც ეკუთვნის. ნამყოს მიმღეობის წარმოების პრინციპი კი ასეთია:

ა. ნამყოს მიმღეობის დადებითი ფორმები, დ. იმნაიშვილის მოსაზებით, ნაწარმოებია ზოგადი აწმყოსაგან **-და** სუფიქსის მეშვეობით [იმნაიშვილი 1963: 222]. ე. ბოკარევი კი მის მაწარმოებლად **ა**-ს მიიჩნევს, თან ფუძისეული ხმოვნის დაგძელებასა და დიფთონგიზაციასაც არ უშვებს მხედველობიდან [ბოკარევი 1959: 169].

ე. ლომთაძე ნამყოს მიმღეობაში სიგრძეს, როგორც რელევანტური ფუნქციის მქონეს, უარყოფს და მას ნამყო ძირითადის ფორმას უთანაბრებს [ლომთაძე 1984: 65].

ჩვენი აზრით, ნამყო განსაზღვრულის მიმღეობა იწარმოება ნამყო განსაზღვრულისაგან ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით, მაგალითად: **Ø-ჴაწა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **Ø-აჲწა**) „შეჭმული“, **Ø-ჴაზა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **Ø-ეჲზა**) „აღებული, აყვანილი“, **Ø-ჴაჩა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **Ø-ეჲჩა**) „ნამყოფი“, **ლუჲა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **ლუეა**) „გაკეთებული“, **ხუჴაჲა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **ხუაჲა**) „დაწერილი“, **ლაჴჴა** (შდრ. აწმყო განსაზღ. **ლაჴჴა**) „ნაპოვნი“, **ჰრაცა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **ჰოაცა**) „დატოვებული“ და მისთ.

რაც შეეხება ნამყო განსაზღვრულის წარმოებას, მის სუფიქსად, დ. იმნაიშვილის სწორი მოსაზრებით [იმნაიშვილი 1956: 420], **-და** უნდა მივიჩნიოთ.

რიგ შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის ცვლა შეიმჩნევა, მაგალითად: **ნალრაკა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **ნალეაკა**) „გალე-

სილი“, **აქრაძლ'ა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **აქეაძლ'ა**) „დაღლილი“, **Ø-აწრხხა** (შდრ. ნამყო განსაზღ. **Ø-აწეხხა**) „ნაჭმევინები“ და მისთ.

ასეთი რიგის მაგალითებში შინაგანი ფლექსიის მიზეზად (რამდენადაც ეს ზმნები გართულებულია სპეციალური მაწარმოებლებით) ფონეტიკური ფაქტორი უნდა ვივრაუდოთ.

ბ. ნამყოს მიმღეობის უარყოფითი ფორმები ნამყო განსაზღვრულის უარყოფით ფორმაზე **-თი** სუფიქსის დართვით იწარმოება [იმნაიშვილი 1963: 222], მაგალითად: **Ø-აწ'აჲ-თი** „შეუჭმელი“, **Ø-ეჩ'აჲ-თი** „არნამყოფი, რაც არ იყო“, **ლუუშ'აჲ-თი** „გაუკეთებელი“, **შუარდაჲ-თი** „გადაუხტომელი“, **ჴუადაჲ-თი** „დაუწერელი“ და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნამყოს მიმღეობის განსაზღვრული ფორმები, სხვა დროის მიმღეობათა ტოლფარდად, **-სა** მაატრიბუტივებელი ფორმანტის დართვით იწარმოება. საილუსტრაციო მაგალითები: **ლალაჲთი-სა** „მოხაშული რომელიცაა“, **ჴუაჲაჲთი-სა** „დაწერილი რომელიცაა“, **ლ'ესხახკ'აჲთი-სა** „დაწვენინებული რომელიცაა“ და სხვ.

§ 22. მყოფადის მიმღეობის წარმოება. ხვარშიულ ენაში მყოფადის მიმღეობის წარმოება, დიალექტებისდა მიხედვით, რელიეფურად განსხვავებულია, ამიტომ მათი წარმოების თავისებურებებს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

1. მყოფადის მიმღეობა ინხოყვარულ დიალექტში. ინხოყვარულ დიალექტში ე. ბოკარევი აწმყო ზოგადის მიმღეობას მყოფადის მიმღეობად მიიჩნევს [ბოკარევი 1959: 168], რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მოგვიანებით ამ მოსაზრების უზუსტობა დ. იმნაიშვილმა გაარკვია [იმნაიშვილი 1963: 222]. ამ უკანასკნელის მიხედვით, ინხოყვარულ დიალექტში მყოფადის მიმღეობის მხოლოდ აღწერითი ფორმები დასტურდება.

ჩვენი მასალის მიხედვით, დასახელებულ დიალექტში მყოფადის მიმღეობის სინთეზური ფორმებიც გვხვდება, რომლებიც მიღებულია აღწერითად ნაწარმოები მიმღეობის კომპონენტების შერწყმის საფუძველზე, კერძოდ, ინფინიტივისა და მეშველი ზმნის **გოლი** („არის“), **გობი** („არ არის“) მიმღეობური ფორმის ურთიერთშერწყმით. ამ რიგის მიმღეობები ჩამოყალიბების პროცესშია.

მყოფადის აღწერითი მიმღეობის წარმოებისას მეორე (**გოლლუ** „მყოფი, არსებული“, **გობშსო** || **გობუსო** „არარსებული“) კომპონენტის თავკიდურა **გო-** რედუცირდება და საკომპენსაციოდ ინფინიტივის მარკერი გრძელდება. მოვიყვანთ მყოფადის მიმღეობის დადებით ფორმებს: **Ø-აწა-ლლუ** (< **Ø-აწა გოლლუ**) „შესაჭმელი“, **Ø-იხიდა-ლლუ** (< **Ø-იხიდა გოლლუ**) „შესაგინებელი“, **Ø-ეზა-ლლუ** (< **Ø-ეზა გოლლუ**) „გასაყიდი“, **ქერაძა-ლლუ** (< **ქერაძა გოლლუ**) „სათამაშები“, **დურიდდა-ლლუ** (< **დურიდა გოლლუ**) „გასაქცევი, ˹გა˺სარბენი“, **წალიდა-ლლუ** (< **წალიდა გოლლუ**) „წასაკითხი“, **ჰუაძა-ლლუ** (< **ჰუაძა გოლლუ**) „დასაწერი“...

ბ. მყოფადის მიმღეობის უარყოფითი ფორმები: **Ø-აწა-ბუსო** || **-ბისო** (< **Ø-აწა გობუსო** || **გობისო**) „რაც არ შეიჭმება“, **ლეზა-ბუსო** || **-ბისო** (< **ლეზა გობუსო** || **გობისო**) „რაც არ აიღება“, **ჰუაძა-ბუსო** || **-ბისო** (< **ჰუაძა გობუსო** || **გობისო**) „რაც არ დაიწერება“ და მრ. სხვ.

2. მყოფადი დროის მიმღეობა საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში. ა. საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში **მყოფადი დროის დადებითი მიმღეობა** იწარმოება მყოფადი განსაზღვრულისაგან **-სა** სუფიქსის მეშვეობით [ბოკარევი 1959: 168], მაგალითად: **Ø-აწალა-სა** „შესაჭმელი“, **Ø-ეზალა-სა** „ასაღები, საყიდი“, **ლაქუალა-სა** „სანახავი“, **ლ'ესალა-სა** „დასაძინებელი“, **წალიდალა-სა** „წასაკითხავი“, **ჰუაძალა-სა** „დასა-

წერი“, **Ø-უშალა-სა** „გასაკეთებელი“, **ლაჴუშალა-სა** „საპოვნი“...

ორიოდე საილუსტრაციო მაგალითი ტექსტიდან: დილ **ლაქუშალასა** აჴ გოლ'ე „ჩემი (ზედმიწ. „ჩემდა“) სანახავი სახლია“; ჟიდუჴო **ლაწხახეკალასა** ლილ' ლატტაᲫკა „მათი შესაჭმევინებელი ხორცი წავიღეთ“.

ბ. **მყოფადი დროის მიმღეობის უარყოფითი ფორმები** იწარმოება ანალიზურად — ნამყოს მიმღეობის უარყოფითი ფორმისა და **ჰოცა** („დატოვება“) ზმნის მყოფადის დადებითი ფორმის შესიტყვების საფუძველზე, მაგალითად: **Ø-აწაბჴუ ჰოცალასა** „რაც არ შეიჭმება“ (ზედმიწ. „არ შეჭამა დასატოვებელი“), **ლუშაბჴუ ჰოცალასა** „რაც არ გაკეთდება“ (ზედმიწ. „არ გააკეთა დასატოვებელი“), **ჴუაᲫაბჴუ ჰოცალასა** „რაც არ დაიწერება“ (ზედმიწ. „არ დაწერა დასატოვებელი“)...

§ 23. გასუბსტანტივებული მიმღეობა. საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სუბსტანტივად ქცეული ი'შვიათი ხმარების მიმღეობები, რომლებიც ნაწარმოებია ზმნის წმინდა ფუძისაგან ან ინფინიტივისაგან **-ზაკუ** სუფიქსის დართვით, მაგალითად: **უტ₁-ზაკუ** „მშიშარა“, **ჴუაᲫა-ზაკუ** „მწერალი“, **კოლ'ა-ზაკუ** „მორბენალი“ (ზედმიწ. „მხტომელი“) და მისთ.

ჩვენი შეხედულებით, გასუბსტანტივებულ მიმღეობათა საწარმოებელი სუფიქსი რთული შედგენილობისა უნდა იყოს: პირველი (**-ზა-**) სეგმენტი მიმღეობის მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში წარმოდგენილ პალეოერგატიული ფუძის **-ზა** აფიქსს შეიძლება დაუკავშირდეს, ხოლო მეორე (**-კუ**) კომპონენტი იმავე ოდენობას უნდა წარმოადგენდეს, რასაც ახლომონათესავე ენათა სათანადო (შდრ. დიდ. **-კუ**) სუფიქსი [იმნაიშვილი 1963: 222].

§ 24. მიმღეობის აღწერითი ფორმების წარმოება. უნდა ითქვას, რომ ხვარშიული ენა მიმღეობის აღწერითი ფორმებით მდიდარია.

ა. აწმყოს აღწერითი მიმღეობა. ორსავე დიალექტში აწმყოს აღწერითი მიმღეობის დადებითი ფორმა იწარმოება აწმყო კონკრეტულისა და **გოლი** (ინხ.), **გოლ'ე** (ხვარშ.) „არის“ მეშველი ზმნის მიმღეობის საშუალებით, მაგალითად: ინხ. **Ø-უხშე გოლლუ** „მოლაპარაკე“ **Ø-აჯშე გოლლუ** „მწოლარე“...; საკ. ხვარშ. **Ø-ესსო გოდლ'ა** „ამღები, მყიდველი“, **Ø-აცცო გოდლ'ა** „მჭამელი“, **სილაჰა გოდლ'ა** „გამღებელი“ და სხვ.

ზემომოყვანილი მიმღეობის უარყოფითი ფორმებიც ზუსტად ასევე იწარმოება, ოღონდ მიმღეობის მეორე წევრად უარყოფითი ფორმა გვაქვს: ინხ. **Ø-უხშე გობუსო || გობᾱსო** „არმომავალი“, **ოსსე გობუსო || გობᾱსო** „ვინც არ ლაპარაკობს“, **ქოქუხშე გობუსო || გობᾱსო** „ვინც არ აჭმევს“...; საკ. ხვარშ. **Ø-ოᵑტაჰა გობიჭუ** „არმიმავალი, ვინც არ მოდის“, **ბადᾱ გობიჭუ** „უმუშევარი“, **ჯუადაჰა გობიჭუ** „ვინც არ წერს“ და სხვ.

ბ. მყოფადის ანალიზური მიმღეობა. მყოფადის ანალიზური მიმღეობის დადებითი ფორმები იწარმოება ინფინიტივისა და **გოლი** (ინხ.), **გოლ'ე** (საკ. ხვარშ.) „არის“ მეშველზმნის მიმღეობის საშუალებით [იმნაიშვილი 1963: 222]: ინხ. **Ø-უხეჲა გოლლუ** „მოსასვლელი“ (ზედმიწ. „მოსვლად მყოფი“), **Ø-ეჰეჲა გოლლუ** „საჩხუბარი“, **Ø-აწა გოლლუ** „შესაჭმელი“ (ზედმიწ. „ჭამად მყოფი“)...; საკ. ხვარშ. **Ø-აწა გოდლ'ა** „შესაჭმელი“, **Ø-ეზა გოდლ'ა** „ასაღები“, **ლ'ესა გოდლ'ა** „დასაძინები“...

უარყოფითი ფორმების წარმოებისას ინფინიტივის ფორმას მოსდევს მეშველზმნის მიმღეობის სათანადო უარყოფითი ფორმა: ინხ. **Ø-აწა გობუსო || გობᾱსო** „რაც არ იჭმება“, **გუტა გობუსო || გობᾱსო** „არდასასხმელი, რაც არ ისხმება“, **ლაქუა**

გობუსო || გობი̄სო „არდასანახი“...; საკ. ხვარშ. **Ø-ეკუ̄ლა გობიჭჭუ** „არჩამოსავარდნი“, **Ø-იხუ̄ადა გობიჭჭუ** „ვინც არ დაკლავს“ და მისთ.

გ. ნამყო უსრულის ანალიზური მიმღეობა. ნამყო უსრულის აღწერითი მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულისა და **Ø-იჩა** („ყოფნა“) ზმნის ნამყოს მიმღეობის საშუალებით. საილუსტრაციო მაგალითები: ინხ. **Ø-უხშე Ø-ეჩჩუ** „მომავალი, ვინც ან რაც მოდიოდა“, **Ø-ეჭოყშე Ø-ეჩჩუ** „ნაგვიანები“, **შუკშე Ø-ეჩჩუ** „ნაცემი“...; საკ. ხვარშ. **Ø-აკუ̄აჭა Ø-ე̄ჸჩა** „ნამწვევი“, **Ø-აცცო Ø-ე̄ჸჩა** „ნაჭამი“, **ზეთთო Ø-ე̄ჸჩა** „ნაპარსი“ და მისთ.

ამ მიმღეობის უარყოფითი ფორმები შესაბამისადვე იწარმოება იმ განსხვავებით, რომ მიმღეობას მომდევნო კომპონენტად უარყოფითი ფორმა ექნება: ინხ. **Ø-აცცე Ø-ეჩბუ̄სო || Ø-ეჩბი̄სო** „შეუჭმელი“, **ჭიჭ'შე Ø-ეჩ-ბუ̄სო || Ø-ეჩბი̄სო** „დაუგვიანებელი“...; საკ. ხვარშ. **Ø-აცცო Ø-ეჩა̄ჸთი** „შეუჭმელი“, **Ø-ულ'ლ'ო Ø-ეჩა̄ჸთი** „შეუშინებელი“, **ყაჸდაჭა Ø-ეჩა̄ჸთი** „დაუმორჩილებელი“ და მრ. სხვ.

ხვარშიულ ენაში, დიალექტთა ჩვენების მიხედვით, მიმღეობის წარმოება სქემატურად ასეთ სახეს იღებს:

ა. ინხოყვარული დიალექტი

აწმყო კონკრეტული		აწმყო კონკრეტულის მიმღეობა	
დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-უხ-შე „მოდის“	Ø-უხა-თე	Ø-უხშე-სო‖-სო-სო[1]	Ø-უხათე-სო‖-სო-სო
Ø-ოკუ-შე „წვავს, იწვება“	Ø-ოკუა-თე	Ø-ოკუშე-სო‖-სო-სო	Ø-ოკუათე-სო‖-სო-სო
Ø-აწხახგკ-შე „აჭმევინებს“	Ø-აწხახგკა-თე	Ø-აწხახგკშე-სო‖-სო-სო	Ø-აწხახგკათე-სო‖-სო-სო
ჰალ-შე „ესმის“	ჰალა-თე	ჰალშე-სო‖-სო-სო	ჰალათე-სო‖-სო-სო
ხეშ-შე „კეტავს“	ხეშა-თე	ხეშშე-სო‖-სო-სო	ხეშშეთე-სო‖-სო-სო

ინფინიტივი	ზმნის ფუძე	აწმყო კონკრეტ. უარყ. ფორ.	ზოგადი აწმყოს მიმღეობა	
			დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-ეზ-ა „აღება, ყიდვა“	Ø-ეზ	Ø-ეზა-თე	Ø-ეზ-დო-გუ‖-დო-უ	Ø-ეზათე-გუ‖-უ
Ø-აწ-ა „ჭამა“	Ø-აწ	Ø-აწა-თე	Ø-აწ-დო-გუ‖-დო-უ	Ø-აწათე-გუ‖-უ
ლოლ-ა „ხარშვა“	ლოლ	ლოლა-თე	ლოლ-დო-გუ‖-დო-უ	ლოლათე-გუ‖-უ
ხულ'-ა „სმა“	ხულ'	ხულ'ა-თე	ხულ'-დო-გუ‖-დო-უ	ხულ'ათე-გუ‖-უ

[1] სუფიქსგაორმაგებული ფორმები განსაზღვრული მიმღეობებია.

ინფინიტივი	ზმნის ფუძე	ნამყოს მიმღეობა	
		დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-აქუ-ა „ხედვა“	Ø-აქ	Ø-აქ-ქუ||-ქუ-სო[1]	Ø-აქბუ-სო||-სო-სო
Ø-ეზ-ა „აღება“	Ø-ეზ	Ø-ეზ-ზუ||-ზუ-სო	Ø-ეზბუ-სო||-სო-სო
გულ-ა „დადება“	გულ	გულ-ლუ||-ლუ-სო	გულბუ-სო||-სო-სო
ჴუაჲ-ა „წერა“	ჴუა	ჴუა-გუ||-გუ-სო	ჴუაბუ-სო||-სო-სო
გუტ-ა „დასხმა“	გუტ	გუტ-ტუ||-ტუ-სო	გუტბუ-სო||-სო-სო

მყოფადის ანალიზური მიმღეობა	მყოფადის სინთეზური მიმღეობა	
	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-აწა გოლლუ „საჭმელი“	Ø-აწა-ლლუ	Ø-აწა-ბუსო
Ø-იხიდა გოლლუ „შესაგინები“	Ø-იხიდა-ლლუ	Ø-იხიდა-ბუსო
წალიდა გოლლუ „წასაკითხი“	წალიდა-ლლუ	წალიდა-ბუსო
ჴუაჲა გოლლუ „დასაწერი“	ჴუაჲა-ლლუ	ჴუაჲა-ბუსო
ხულ'ა გოლლუ „შესასმელი“	ხულ'ა-ლლუ	ხულ'ა-ბუსო

[1] -სო სუფიქსიანი ფორმები განსაზღვრულია.

ბ. საკუთრივ ხვარშიული დიალექტი

აწმყო კონკრეტული		აწმყო კონკრეტულის მიმღეობა	
დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-ეჩაჰა „არის, იმყოფება“	Ø-ეჩა-თე	Ø-ეჩაჰა-სა	Ø-ეჩათე-სა
Ø-ესსო „იღებს, ყიდულობს“	Ø-ეზა-თე	Ø-ესსო-სა	Ø-ეზათე-სა
Ø-ეკეხხო „აგდებინებს“	Ø-ეკხა-თე	Ø-ეკეხხო-სა	Ø-ეკხათე-სა
ჰუაჲჰა „წერს“	ჰუაჲა-თე	ჰუაჲაჰა-სა	ჰუაჲათე-სა
ზეთთო „კრეჭს“	ზეტა-თე	ზეთთო-სა	ზეტათე-სა

ინფინიტივი	ნამყო განუსაზღვრელი		აწმყო ზოგადისა და ნამყოს მიმღეობა	
	დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-აწ-ა „ჭამა“	Ø-აჲწა	Ø-აწაჲ	Ø-ა̄ჲწა	Ø-აწაჲ-თი
Ø-ეზ-ა „აღება, ყიდვა“	Ø-ეჲზა	Ø-ეზაჲ	Ø-ე̄ჲზა	Ø-ეზაჲ-თი
Ø-აჳ-ა „დაწოლა“	Ø-აჲჳა	Ø-აჳაჲ	Ø-ა̄ჲჳა	Ø-აჳაჲ-თი
გიტ-ა „დასხმა“	გიტტა	გიტაჲ	გი̄ტტა	გიტაჲ-თი
ჰუაჲ-ა „წერა“	ჰუაჲა	ჰუაჲაჲ	ჰუ̄აჲა	ჰუაჲაჲ-თი

ინფინიტივი	მყოფადი განსაზღვრული	მყოფადის მიმღეობა	
		დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-აჯა „წოლა“	Ø-აჯა-ლა	Ø-აჯალა-სა	Ø-აჯაბჭუ ჰოცალასა
Ø-აწ-ა „ჭამა“	Ø-აწა-ლა	Ø-აწალა-სა	Ø-აწაბჭუ ჰოცალასა
Ø-ეზ-ა „ყიდვა“	Ø-ეზა-ლა	Ø-ეზალა-სა	Ø-ეზაბჭუ ჰოცალასა
შუარდ-ა „ხტომა“	შუარდა-ლა	შუარდალა-სა	შუარდაბჭუ ჰოცალასა
ჴუაჲ-ა „წერა“	ჴუაჲა-ლა	ჴუაჲალა-სა	ჴუაჲბჭუ ჰოცალასა

2. მიმღეობის ბრუნება

ხვარშიული ენის მიმღეობებს, ზოგი სხვა ახლომონათესავე ენის მსგავსად, ახასიათებს როგორც ერთფუძიანი, ისე ერგატივზე დამყარებული ორფუძიანი ბრუნება.

§ 25. მიმღეობის ბრუნება ინხოყვარულ დიალექტში. ა. აწმყო კონკრეტულის მიმღეობას ერთფუძიანი ბრუნება ახასიათებს. დ. იმნაიშვილის დაკვირვებით, აწმყო კონკრეტულის **Øაცცესო** („მჭამელი“) ტიპის მიმღეობებს „...აქვთ მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმები, სხვა ფორმათა უქონლობას კი ივსებენ აწმყოს აღწერითი მიმღეობის ფორმებით, რომელთაც მოეპოვებათ ყველა ბრუნვის ფორმა და უფრო მეტად იხმარებიან ცოცხალ მეტყველებაში“ [იმნაიშვილი 1963: 224].

უნდა ითქვას, რომ აწმყო კონკრეტულის მიმღეობას, სახელობითის გარდა, სხვა ბრუნვის ფორმებიც გააჩნია, მაგალითად:

სახ.	**ხულ'ლ'ესო** „მსმელი“
ერგ.	**ხულ'ლ'ესრ**
მიც.	**ხულ'ლ'ესო-ლ**
ნათ.	**ხულ'ლ'ესო-ს**

ბ. აწმყო კონკრეტულის მიმღეობა მრავლობით რიცხვში, რომელიც ნაწარმოებია **-ბო** სუფიქსით, ორფუძიანი ბრუნებით ხასიათდება: ერგატივში სახელობითის ბრუნვის ფორმას (resp. წმინდა ფუძეს) ერთვის **-ზე** დაბოლოება და აყალიბებს მეორე, პალეოერგატიულ [თოფურია 1986: 220-221] ფუძეს, მიცემით ბრუნვაში ერთვის **-ზუ-ლ**, ნათესაობითში — **-ზო-ს** (I კლ.). დანარჩენი კლასის სახელებთან ყველა ბრუნვაში ბრუნვის ფლექსიათა წინ წარმოდგენილია **-ზა**:

სახ.	**ხულ'ლ'ესო-ბო**
ერგ.	**ხულ'ლ'ესო-ზე** (I კლ.), **-ზა** (დანარჩ. კლ.)
მიც.	**ხულ'ლ'ესო-ზუ-ლ**
ნათ.	**ხულ'ლ'ესო-ზო-ს** (I კლ.), **-ზა-ს** (დანარჩ. კლ.)

ამგვარად, ინხოყვარულ დიალექტში კონკრეტული აწმყოს მიმღეობა მიმართებითი ზედსართავების ანალოგიურად იბრუნვის.

ორფუძიანი ბრუნება მოეპოვება ნამყოსა და მყოფადის მიმღეობებს. ბრუნებისას სახელობითი ფორმის აუსლაუტური **უ** ერგატივიდან მოკიდებული ირიბ ბრუნვებში, ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე, **ო**-ს გვაძლევს თუმცა მრავლობით რიცხვში სათანადო ფუძეს ყველგან **უ** გაჰყვება. ბრუნების ნიმუშები:

ნამყოს მიმღეობა

	მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-იხიდდუ** „მგინებელი“	**ბ-იხიდდუ-ბო**
ერგ.	**Ø-იხიდდო**	**ბ-იხიდდუ-ზა**
მიც.	**Ø-იხიდდო-ლ**	**ბ-იხიდდუ-ზა-ლ**
ნათ.	**Ø-იხიდდო-ს**	**ბ-იხიდდუ-ზა-ს**

მყოფადის მიმღეობა

	მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-იხიდჳლლუ** „შესაგინებელი“	**ბ-იხიდჳლლუ-ბო**
ერგ.	**Ø-იხიდჳლლო**	**ბ-იხიდჳლლუ-ზა**
მიც.	**Ø-იხიდჳლლო-ლ**	**ბ-იხიდჳლლუ-ზა-ლ**
ნათ.	**Ø-იხიდჳლლო-ს**	**ბ-იხიდჳლლუ-ზა-ს**

ორფუძიანობის პრინციპით იბრუნვის აწმყო ზოგადის მიმღეობა მხოლოობით რიცხვში. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ეს მიმღეობა ვითარებითი ზედსართავი სახელის იდენტურად იბრუნვის:

	მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**ხულ'დოუ** „მსმელი“	**ხულ'დოუ-ბო**
ერგ.	**ხულ'დოუ-ლა**	**ხულ'დოუ-ზა**
მიც.	**ხულ'დოუ-ლა-ლ**	**ხულ'დოუ-ზა-ლ**
ნათ.	**ხულ'დოუ-ლა-ს**	**ხულ'დოუ-ზა-ს**

§ 26. მიმღეობის ბრუნება საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში. ა. საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში ყველა სახის მიმღეობა ორფუძიან ბრუნებას მიჰყვება. მათგან, აწმყო კონკრეტულის მიმღეობა მიმართებითი ზედსართავი სახელების ანალოგიურად იბრუნვის [იმნაიშვილი 1963: 79, 224]. მას ერგატივზე დამყარებული ორფუძიანობა ახასიათებს: პალეოერგატიულ ფუძეს აყალიბებს **-ეჟო** მარკერი, რომელიც **-სა** მიმღეობის ფორმანტის ადგილს იჭერს. მრავლობით რიცხვში II ფუძეს (resp. ერგატივის ფორმას) ერთვის მრავლობითის **-ზა** სათანადო ბრუნვის ნიშნებით, კლას-ნიშნის მქონე ზმნებიდან ნაწარმოები მიმღეობები კი თავკიდურად მრავლობითის შესაბამისი გრამატიკული კლასის ნიშანს გამოავლენენ. ბრუნების ნიმუში:

	მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-ესსო-სა** „ამღები, მყიდველი“	**ბ-ესსო-სა-ბა**
ერგ.	**Ø-ესსო-ეჟო**	**ბ-ესსო-ეჟო-ზა**
მიც.	**Ø-ესსო-ეჟო-ლ**	**ბ-ესსო-ეჟო-ზა-ლ**
ნათ.	**Ø-ესსო-ეჟო-ს**	**ბ-ესსო-ეჟო-ზა-ს**

წარმოდგენილი მიმღეობის განსაზღვრული ფორმების ბრუნებისას სახელობითისეული **-სა** წმინდა ფუძეს მიეკედლება, განსაზღვრულობის **-სა** ნაწილაკი პალეოერგატივის **-ჲჟო** მარკერით შეიცვლება. სხვა მხრივ, განსაზღვრულ და განუსაზღვრელ ფორმათა შორის ბრუნებისას სრული თანხვდენა გვაქვს.

ბ. აწმყო ზოგადისა და ნამყოს მიმღეობები, რომლებიც სტრუქტურულად ერთმანეთს ფარავენ, ორფუძიან ბრუნებას მისდევენ. მასთან, სახელობითის ფორმასა და ირიბ ბრუნვათა ფუძეს შორის მინიმალური განსხვავებაა, რასაც აუსლაუტური ხმოვნის ცვლილება იწვევს, მაგალითად:

	მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**ჴუშაჲა** „რაც იწერება ხოლმე, დაწერილი“	**ჴუშაჲა-ბა**
ერგ.	**ჴუშაჲო**	**ჴუშაჲო-ზა**
მიც.	**ჴუშაჲო-ლ**	**ჴუშაჲო-ზა-ლ**
ნათ.	**ჴუშაჲო-ს**	**ჴუშაჲო-ზა-ს**

ამ რიგის განსაზღვრული (**-სა** სუფიქსიანი) მიმღეობა აწმყო კონკრეტულის მიმღეობის ანალოგიურად იბრუნვის. ამგვარადვე იბრუნვის **ჴვაჲალასა** („დასაწერი“) ტიპის მიმღეობური ფორმები.

V თავი

მიმღეობა ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენაში

1. მიმღეობის წარმოება

§ 27. აწმყოს მიმღეობის წარმოება. აწმყოს მიმღეობის წარმოების ანალიზისას სპეციალისტთა შორის აზრთა ნაირგვარობაა. ე. ბოკარევის დაკვირვებით, აწმყოს მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულისაგან **-ს || -შ** ფორმანტით (თუ აწმყო **-ცა || -ჩა** სუფიქსზე ბოლოვდება) ან **-ას || -აშ** მაწარმოებლით (თუ აწმყოს აწარმოებს **-ც || -ჩ** სუფიქსი) [ბოკარევი 1959: 102].

გ. მადიევას აზრით, ზემონახსენები მიმღეობა ნაწარმოებია ზმნურ ფუძეზე **-ცას** სუფიქსის დართვით [მადიევა 1965: 130].

მოგვიანებით ამ მოსაზრებებმა გარკვეული ევოლუცია განიცადა და ორივე მკვლევარმა ერთობლივ ნაშრომში [ბოკარევი, მადიევა 1967: 464] აწმყოს მიმღეობის წარმოების შედარებით სრულყოფილი სურათი წარმოგვიდგინა. ამ ნაშრომის მიხედვით, ხსენებული მიმღეობა ძირითადად აწმყოსაგან **-ს** დაბოლოებით იწარმოება, ხოლო თუ აწმყო ბოლოვდება **-ს** ნიშნით, მაშინ **-ცას** სუფიქსი გამოიყენება.

მ. ხალილოვის ვარაუდით, ბეჟიტის თქმაში აწმყოს მიმღეობა იწარმოება შესაბამისი ზმნური ფორმისაგან **-ს || -შ, -ცას || -ჩაშ** აფიქსების საშუალებით [ხალილოვი 1988: 90; 1995: 405]. რაც შეეხება ტლადალის თქმას, ავტორის მოსაზრება თანხვდება ე. ბოკარევის თვალსაზრისს [იხ. ბოკარევი 1959: 102].

ჩვენი აზრით, აწმყოს მიმღეობის დადებთი ფორმების წარმოება ბეჟიტურ დიალექტში ასე წარმოგვიდგება: ბეჟიტის თქმაში

იგი იწარმოება აწმყო კონკრეტულისაგან მეტწილად **-ს** → || **-შ** სუფიქსის საშუალებით,[1] მაგალითად: **Ø-ე^{ნ}ტ-ეცა-ს** „მიმავალი“, **Ø-უტცა-ს** „მძინარე“, **Ø-აცცა-ს** „შეყვარებული, ვისაც უყვარს“, **Ø-რლლიცა-ს** „გაკეთებინებული“, **ნილ'ცა-ს** „მიმცემი, ვინც აძლევს“, **მიხეცა-ს** „ჩასაცმელი“, **ტუტცა-ს** „მსროლელი“... თუ აწმყო **-ს** სუფიქსით სრულდება, მაშინ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აწმყოს მიმღეობა **-ცას** სუფიქსით ბოლოვდებოდეს, რაც ვერ ასახავს სინამდვილეს [იხ. ლომთაძე 2000: 294].

ე. ლომთაძის გასაზიარებელი შეხედულებით, **-ს** სპირანტი მიღებულია **ც** აფრიკატისაგან სპირანტიზაციის საფუძველზე [ლომთაძე 1956: 379]. ვფიქრობთ, რომ აწმყოს **-ცა** სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტი გასპირანტებულა, ხოლო მისი მიმყოლი ხმოვანი რედუცირებულა ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის გავლენით [ლომთაძე 1984: 56-59]. ფონეტიკური პროცესი ასე გვესახება: **Ø-ოჰდა-ცა** → ***-ოჰ-და-ც** → **Øოჰდა-ს**. მიმღეობურ ფორმებში არქაული ვითარება ნათლად ვლინდება, როცა მიმღეობის საწარმოებელი **-ს** სპირანტის ზეგავლენით **-ც** ისევ აღდგება, მაგალითად: **ჯოჰდა-ცა-ს** → **ჯოჰდა-სა-ს** „მკითხველი“, „მსწავლელი“.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბეჟიტის თქმაში აწმყოს მიმღეობა ნაწარმოებია **-ს** → || **-შ** სუფიქსის მეშვეობით. არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს აწმყო დროის მიმღეობის მრავლობითი რიცხვის ფორმებში შესაძლებელი იყოს ***ც** (> **ს**), **ჩ** (> **შ**) არქიფონემათა რეკონსტრუქცია [ლომთაძე 2000: 94]. **ჩახდა-ბა-ცა-ს** („დაწერილები“) ტიპის მიმღეობებში **-ცა** (> **-ც**) არის აწმყო დროის სუფიქსი და არა მიმღეობისა (შდრ. **ჩახდა-ბა-ც** <***ჩახდა-ბა-ცა** „წერენ“...). მიმღეობის ფორმანტად ამ შემთხვევაშიც **-ს** გვაქვს.

[1] არსებითად ამავე აზრს ავითარებს ე. ლომთაძე [ლომთაძე 2000: 294].

რაც შეეხება ტლადალის თქმას, აქაც მიმღეობა აწმყოს ფორმისაგან ანალოგიურადვე **-ს** → || **-შ** ფორმანტით იწარმოება: **ბოლ'ოცა-ს** „მხვნელი“, **გელცა-ს** „მყოფი“, **ნისოცა-ს** „მოსაუბრე“, **ჯოჰცა-ს** „მკითხველი“, „მოსწავლე“, **Ø-ე^{ъ}ტ-ეჩა-შ** „მიმავალი“...

აქ ერთი კანონზომიერება შეიმჩნევა: როცა აწმყოს **-ცა** აწარმოებს, მიმღეობის ფორმანტად **-ს** გვხვდება, ხოლო როცა აწმყოს **-ჩა** მოუდის სუფიქსად, მაშინ მიმღეობის ბოლოკიდურად **-შ** დასტურდება, რაც ასიმილაციით ჩანს შეპირობებული. ფაკულტატურად **-ჩა||-ჩ** სუფიქსდართულ აწმყოს ფორმისაგან ნაწარმოებ მიმღეობაში **-ს** დასტურდება [ლომთაძე 2000: 295], მაგრამ ეს ძირითადი მორფონოლოგიური პროცესის არსს ვერ ცვლის.

ჰუნზიბურ დიალექტში აწმყოს მიმღეობის დადებითი ფორმები ერთგვაროვნად აწმყოს ფორმაზე **-ს** სუფიქსის დართვით იწარმოება [ლომთაძე 1956: 379; ბოკარევი 1959: 53], მაგალითად: **Ø-оყეჩო-ს** „მცოდნე“, **Ø-ოხჩო-ს** „ამღებელი, მყიდველი“, **Ø-ატჩო-ს** „მოყვარე, ვინც უყვართ“, **Ø-ე^{ъ}ტეჩო-ს** „მიმავალი“, **კ'ოშაჩო-ს** „მოთამაშე“, **ლ'ოშეჩო-ს** „მომწიფებული“... საილუსტრაციო წინადადებები ტექსტებიდან: შაციტ' მაცი'შათ **ბუოჩოს** ცადამლა ლახი ლო „შაიტლში მცხოვრები (ზედმიწ. „ცხოვრების მკეთებელი“) ხალხი ბევრია“; ნიდოდო **Øე^{ъ}ტეჩოს** ლო „საით მიდიხარ?“ (ზედმიწ. „საით მიმავალი ხარ?)“; სარდოს კოტ ჰელ' **რატეელჩოს** უსთარ Øა^{ъ}ყერ „ცხენის კარგად დამჭედი კაცი მოვიდა“...

უნდა აღინიშნოს, რომ ე. ბოკარევი ჰუნზიბურში გამოყოფს მიმღეობის სრულ და მოკლე ფორმებს. მოკლე ფორმად დასახელებულია აწმყოს I და II პირის ფორმა, რომელიც ჩანასახის სახით არსებობს ჰუნზიბურ დიალექტში [ლომთაძე 1956: 379; 1984: 58-59; ბოკარევი 1959: 49].

საკ. ბეჟიტურ დიალექტში აწმყოს მიმღეობის უარყოფით ფორმებს აწარმოებს **-აც-** → || **-ᾰც-** ინფიქსი,[1] რომელიც ზმნის საუღლებელ ფუძესა და აწმყო კონკრეტულის ფორმანტს შორის ჩაერთვის, მაგალითად: **Ø-აყ-აც-ცას** „უმეცარი“, **ჴოჰდ-აც-ცას** „ვინც არ სწავლობს“, **გოუ-აც-ცას** „ვინც არ მოდის“...

მეტად საყურადღებოა, რომ ჰუნზიბურ დიალექტში ამ რიგის მიმღეობათა უარყოფითი ფორმები აწმყო კონკრეტულის ნიშნის ბიფურკაციითა და **-ატ-** ინფიქსის ჩართვით იწარმოება [ბოკარევი 1959: 60]. აწმყოს **-ს** (←***-სო**) ნიშნისეული ხმოვნითი ელემენტი უარყოფითობის ნაწილაკს მოსდევს და მიმღეობურ ფორმანტს ეკედლება, მაგალითად: **რუშოჩ-ატ-ო-ს** (შდრ. აწმყო კონკრეტ. **რუშოჩ** ← **რუშოჩო**) „არმკეთებელი, ვინც არ აკეთებს“, **Ø-ატჩ-ატ-ო-ს** „ვისაც არ უყვარს“, **Ø-უჰუჩ-ატ-ო-ს** „უკვდავი“, **ნგლ'ეჩ-ატ-ო-ს** „ვინც არ აძლევს“ (|| პირს), **ნგსაჩ-ატ-ო-ს** „ულაპარაკო, ვინც არ საუბრობს“...

§ 28. ნამყოს მიმღეობის წარმოება. ა. საკვლევი ენის ბეჟიტურ დიალექტში სპეციალისტიები ნამყოს მიმღეობის არსებობას გამორიცხავენ [ბოკარევი 1959: 103; მადიევა 1965: 129]. მართლაც ნამყოსა და ნამყოს მიმღეობის დერივაცია, ზოგ დაღესტნურ (ხუნძურ, წახურულ...) ენათა მსგავსად, იდენტურია, ერთმანეთს ემთხვევა, რაც მეორეული მოვლენაა და სათანადო ახსნას საჭიროებს. ფორმანტად: **-ᲓᲝ** (ბეჟ.), **-რო** (ხაშ., ტლად.) გვევლინება, რომელთაგანაც, როგორც ფიქრობენ [ლომთაძე 1956: 382; გუდავა 1979: 58], ამოსავალს **-რ** თანხმოვნიანი ვარიანტი (**-რო** ← **-ᲓᲝ**) უნდა წარმოადგენდეს. საილუსტრაციო მაგალითები: **Ø-ო^{ნ}ყო-ᲓᲝ** || **-რო** „მოვიდა, მოსული“, **მ-ი^{ნ}ლა-ᲓᲝ** || **-რო** „მოათრია, მოთრეული“, **Ø-უღო-ᲓᲝ** ||

[1] გ. მადიევა ზემოაღნიშნული მიმღეობის მაწარმოებლად მთლიან **-აცცას** სუფიქსს ასახელებს [მადიევა 1965: 135].

-რო „მოკვდა, მკვდარი“, **ნისო-დო** || **-რო** „თქვა, თქმული“, **ჩახი-დო** || **-რო** „დაწერა, დაწერილი“, **როხი-დო** || **-რო** „იყიდა, ნაყიდი, აიღო, აღებული“ და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში ნამყოს საწარმოებელ სუფიქსის რამდენიმე სახესხვაობას ასახელებენ [ბოკარევი 1959: 103; მადიევა 1965: 120], რომელთაც წინამავალი ხმოვანი განარჩევს. ჩვენი აზრით, ყველა ეს ხმოვანი ზმნის ფუძეს უნდა განეკუთვნოს და არა ხსენებულ ფორმანტს.

რიგ შემთხვევაში, როცა ზმნური ფუძე ხაშალხუტურსა და ტლადაურ თქმებში **ლ** სონორით მთავრდება, **-რო** ფორმანტის გავლენით სრული პროგრესული ასიმილაცია ხდება [ბოკარევი 1959: 193]: **ჭოჭოლ-ლო** (←***ჭოჭოლ-რო**) „გამხმარი“, **თუშშლ-ლშ** (←***თუშშლ-რშ**) „შეღებილი“, **დოკოლ-ლო** (←***დოკოლ-რო**) „შეკრებილი“, **ჰრლ-ლო** (←***ჰრლ-რო** ←***ჰოოლ-რო** ←***ჰოცოლ-რო**) „აღებული“...

ნამყოს მიმღეობის წარმოების თავისებურებით ჩვენ ყურადღებას იქცევს ჰუნზიბური დიალექტი, რომელშიც ზემოწარმოდგენილი ორი მორფოლოგიური ოდენობა დიფერენცირებულია. ნამყოს დადებითი მიმღეობა ამ დიალექტში ნამყო ძირითადის ფორმაზე **-უ** ფორმანტის დართვით იწარმოება, ხოლო ნამყოს მაწარმოებლად ოდენ **-რ** სონორი გამოიყენება, მაგალითად: **Ø-ოკო-ლერ-უ** (შდრ. ნამყო **Ø-ოკოლე-რ**) „შეგროვილი“, **Ø-ოლლერ-უ** (შდრ. ნამყო **Ø-ოლლე-რ**) „გათავებული“, **Ø-ოლ'ელჳრ-უ** (შდრ. ნამყო **Ø-ილ'ელჳ-რ**) „დაძახებული“, **ნგსგრ-უ** (შდრ. ნამყო **ნგსგ-რ**) „თქმული“, **კიშჳრ-უ** (შდრ. ნამყო **კიშჳ-რ**) „ნათამაშები“ და სხვ. მისთ.

მკვლევართა დიდი ნაწილი, მიმღეობის (resp. ნამყოს) საწარმოებელი აფისქების ხმოვნითი ელემენტებიდან (ბეჟ. **-ო**: ჰუნზ. **-უ**) არქაულად ბეჟიტურის ვითარებას მიიჩნევს [ლომთაძე 1956: 378; ბოკარევი 1959: 282], რაც გასაზიარებელი ჩანს. **უ** ← **ო** ფონეტიკურ პროცესს ირიბ ბრუნვათა ჩვენებაც

ცხადყოფს, სადაც მიმღეობის ფორმანტი **ო** ხმოვანს გამოავლენს.

ბ. საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ნამყოს უარყოფითი მიმღეობა **-ცე-** [ხალილოვი 1988: 90; ბოკარევი 1959: 107] ინფიქსით იწარმოება, მაგალითად: **ნილ'ე-ცე-ს** „მიუცემი, რაც არ მისცეს“, **ტუტე-ცე-შ** „გაუსროლელი“, **Ø-უტიე-ცე-ს** „დაუძინებელი“...

ჰუნზიბურ დიალექტში ნამყოს მიმღეობას **-უ** სუფიქსი აწარმოებს,[1] რომელიც უარყოფითი ნამყოს მზა ფორმას დაერთვის, მაგალითად: **რუშ̄ის-უ** (შდრ. უარყ. ნამყო **რუშ̄ის**) „გაუკეთებელი“, **Ø-ე^{ъ}ტ̄ის-უ** (შდრ. უარყ. ნამყო **Ø-ე^{ъ}ტ̄ის**) „წაუსვლელი“ და მრ. სხვ.

კაუზატიური მიმღეობები შესაბამისი დროის კაუზატიურ ფორმაზე მაატრიბუტივებელი (**-ს**) ფორმანტის დართვით იწარმოება: აწმყ. მიმღ. **Ø-ოკოლცა-ს** „შემკრებინებელი“, **რეგალილცა-ს** „მაჩვენებინებელი“, **Ø-რ̄ლიცა-ს** „გამკეთებინებელი“...; ნამყ. მიმღ. **ნისოლლილ-ლო** (←***ნისოლლილ-რო**) „ნათქმევინებელი“, **Ø-იუღოლლილ-ლო** (←***Ø-იუღოლლილ-რო**) „მომკვლევინებელი“ და მისთ.

§ 29. მყოფადის მიმღეობის წარმოება. ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენაში დასტურდება მყოფადი დროის მიმღეობის შემდეგი ფორმები:

ა) საკ. ბეჟიტური დიალექტის კაპუჭურ თქმაში: **ჩახალლ'იდო** „დასაწერი“, **ჴოჴოლალლ'იდო** „გასაშრობი, გასახმობი“, **მუხალლ'იდო** „დასაკლავი“, **დოშ̄ალლ'იდო** „ასაშენებელი“ (ზედმიწ. „გასაკეთებელი“) და მისთ. ხაშალხუტურ და ტლადალურ თქმებში შესატყვისი ფორმები ოდნავ განსხვავებული ვაიანტი-

[1] ე. ბოკარევი ხსენებული სუფიქსის ბადლად **-ō̄ს** ასახელებს [იხ. ბოკარევი 1959: 60].

თაა წარმოდგენილი: **ჩახალლ'ირო, ჯოჯოლალლ'ირო, მუხალლ'ირო, დოშალლ'ირო**...

ბ) იგივე ფორმები ჰუნზიბურ დიალექტში ორი ვარიანტით დასტურდება: **ჯოშალ'ერ || ჯოშალ'ერუ** „წასაკითხი", **ნაწალ'ერ || ნაწალ'ერუ** „სანახავი" **ნგსალ'ერ || ნგსალ'ერუ** „სათქმელი" და მისთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემონახსენებ მიმღეობურ ფორმათა ფორმანტს **-ლ'იდო** დიდოურ ენათა მკვლევართაგან მხოლოდ მ. ხალილოვი ეხება კაპუჭურ თქმაში, თუმცა მკვლევარი ერთგვარი ეჭვის თვალით უყურებს ამ ფორმანტით ნაწარმოებ ფორმათა მიმღეობურობას. იგი წერს: „მიმღეობის სახით შეიძლება იხმარებოდეს — -გი, -გო, -ლ'იდო სუფიქსების მეშვეობით ნაწარმოები ზმნური ფორმები..., ეს იშვიათად იხმარება" [ხალილოვი 1988: 89].

ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის ბეჟიტური დიალექტის კაპუჭურ თქმაში მყოფადი დროის მიმღეობის ფორმები იწარმოება ინფინიტივის ფორმაზე (რომელიც იმავდროულად მყოფადი დროის ფუნქციასაც ასრულებს, მაგ: **ჩახალ** „წერა, დავწერ") **-ლ'იდო** ფორმანტის დართვით, მაგ., **ჯოშალ-ლ'იდო** „წასაკითხი", **Øე'ტიალ-ლ'იდო** „წასასვლელი", **ნისალ-ლ'იდო** „სათქმელი" და სხვ.

საგულისხმოა, რომ ბეჟიტური დიალექტის ხაშალხუტურსა და ტლადალურ თქმებში მყოფადი მიმღეობის მაწარმოებლად გვევლინება **-ლ'ირო** ფორმანტი. სონორ **-რ**-ს გადასვლა ნახევარხმოვან **-ჲ**-ში, რაც რეალიზებულია კაპუჭის თქმაში, მეტად დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია, ზოგადად, დიდოურ ენათათვის, ხოლო, კონკრეტულად, ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენისათვისაც [ლომთაძე 1956: 382; ბოკარევი 1959: 71], მაგ.:

ჰუნზ.	ხაშ.-ტლად.	ბეჟ.
ჰრრო	უარა	უაჲა „ძროხა“
მაყე-რ	მოყო-რო	მოყო-ჲო „მოვიდა, მოსული“
რრჟე	რაჟე	ჲაჟე „სიტყვა“

დასახელებული ფონეტიკური პროცესი (-რ- → -ჲ-) სისტემური ხასიათისაა და იგი კლას-კატეგორიის ექსპონენტებშიც ხდება [ლომთაძე 1956: 386; ბოკარევი 1959: 71].

ჰუნზიბური დიალექტის მყოფადი დროის სათანადო ფორმები იწარმოება **-ლ'ერ ‖ -ლ'ერუ** სუფიქსის დართვით, მაგ.: **Øეტ₁ა-ლ'ერ ‖ -ლ'ერუ** „წასასვლელი“, **ნაწა-ლ'ერ ‖ -ლ'ერუ** „სანახავი“, **ნჳსა-ლ'ერ ‖ -ლ'ერუ** „სათქმელი“, **ჰოშა-ლ'ერ ‖ -ლ'ერუ** „წასაკითხი“ და მრ. სხვ.

როგორც ირკვევა, ჰუნზიბური დიალექტის მყოფადი დროის მიმღეობები ბეჟიტურის მსგავსადაა ნაწარმოები. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჰუნზიბურში ინფინიტივისა და მყოფადი დროის ფორმობრივი დამთხვევა არ ხდება. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ბეჟიტური მყოფადი დროის მიმღეობის სუფიქსი ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის.

ვვარაუდობთ, რომ იგი რთული შედგენილობისა უნდა იყოს. კერძოდ, ამ ფორმანტის მეორე კომპონენტი **-რო** (→ ‖ **-რუ**) იმავე ოდენობას უნდა წარმოადგენდეს, რაც ნამყო დროის ფორმებში დასტურდება და რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში მაადიექტივებელი ფუნქცია აქვს, მაგ.: ბეჟ. **Øე'ტ₁ე-რო** „წავიდა, წასული“, **ნისო-რო** „თქვა, თქმული“...; ჰუნზ. **რუუშო-რ ‖ რუუშო-რუ** „გააკეთა ‖ გაკეთებული“ და მისთ. ამას ერთგვარად ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ნამყო დროის ფორმათა სუფიქსის შედარებისას მყოფადი დროის მიმღეობის სუფიქსთან, საერთო სურათი გვეძლევა. საფიქრებელია, **-რო, -რ ‖ -რუ** კომპონენტი, თავდაპირველად ნამყო დროის საწარმოებ-

ლად გამოიყენებოდა, ხოლო ამ ფორმანტზე კლას-კატეგორიის ექსპონენტების დართვა სათანადო ფორმებს ზედსართავებად (resp. მიმღეობებად) აქცევდა. კლას-ნიშნების გაუჩინარების შემდეგ კი ამ ფორმებმა მაინც შეინარჩუნეს მიმღეობური სემანტიკა. ამას გარდა, წყობასაც უნდა ჰქონოდა გარკვეული მნიშვნელობა: ა) ნიშანდობლივია, რომ ბეჟიტურ დიალექტში პრეპოზიციური წყობისას ნამყო დროის ფორმას მიმღეობის ფუნქცია აქვს, მაგალითად: **Øუღორო სუკო** Øიჯოლალლ'იროგეჲ „მკვდარი კაცი დასასაფლავები არის"; ტოამატოას **ექირო სუკო** Øუღორო „სახურავიდან გადმოვარდნილი კაცი მოკვდა"...; ბ) პოსტპოზიციური წყობისას მას მხოლოდ ზმნური სემანტიკა აქვს, მაგალითად: დო ქიბბალ **ალ'ოდოწოდო** „მე გოგონას მოვეხვიე"; სუკო **ექირო** ტოამატოას „კაცი გადმოვარდა სახურავიდან" და სხვ. თუ რა წარმომავლობისაა საანალიზო ფორმანტის პირველი კომპონენტი **-ლ'ო-** (|| **-ლ'ე-**), ამის დადგენა ჯერჯერობით ჭირს. წინასწარ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: საფიქრებელია, იგი იყოს **-ლ'** ლატერალის შემცველი ზმნური ძირი,[1] რომელიც ენკლიტიკურად დაერთვოდა ინფინიტიურ ფორმებს და ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად ამ სახით შემოგვრჩა.

იბადება კითხვა: მყოფადი დროის მიმღეობის ფორმანტის ფონეტიკური ნაირსახეობებიდან რომელია ამოსავალი?

ვფიქრობთ, მყოფადი დროის მიმღეობის ფორმანტის ფონეტიკური ვარიანტებიდან (**-ლ'ოდო**, **-ლ'ორო**, **-ლ'ერუ**) ამოსავალი უნდა იყოს **-ლ'ორო**. ამას ფორმანტის მეორე **-რო** კომპონენტი მიგვანიშნებს, რომლის არქაულობა **-რუ** კომპონენტთან შედარებით სარწმუნო ხდება ცნობილი ხმოვანთშესატყვისობის

[1] ხომ არ არის ეს **ლ'** იგივე ძირეული ელემენტი, რაც დასტურდება დიდოურ ენათა მეშველ „არის" ზმნაში, მაგალითად: ბეჟ. გა-**ლ'**-ი (ხაშ.), საკ. დიდ. დო-**ლ'**, ჰინ. გო-**ლ'**, ხვარშ. გო-**ლ'**-ე?

საფუძველზე (ბეჟ. **ო**: ჰუნზ. **უ**), რომელშიც ამოსავლად **ო** არის მიჩნეული [ლომთაძე 1955: 25], რაც გასაზიარებელი ჩანს. ამას ისიც ნათელყოფს, რომ ირიბ ბრუნვებში **-უ** ხმოვნის ადგილას ყოველთვის **-ო** აღდგება, მაგ.: Øეტ*ალ'ეროს შუგუ-სგრ*ადო ჰ*ადურ ბუუონ გრ*ჩ „წასასვლელის (იმ კაცის, რომელიც წავა) ცხენი მზად არის“.

ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის მყოფადი დროის მიმღეობის ფორმებს კატეგორიულობის სემანტიკა აქვს. იგი მიუთითებს ისეთ მოქმედებაზე, რომელიც უსათუოდ უნდა შესრულდეს. შინაარსობრივად საანალიზო ფორმები ახლო დგანან დიდოური ენის (**ტეტრანირსი** „სასწავლი“) და ხუნძური ენის (**ყოტოზესიე** „გასაჭრელი“) მყოფადის მიმღეობურ ფორმებთან, თუმცა წარმოების თვალსაზრისით მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა.

ამრიგად, ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის დიალექტებში დადასტურდა მყოფადი დროის მიმღეობა. იგი ნაწარმოებია ინფინიტივისაგან **-ლ'იდო**, **-ლ'ი-რო**, **-ლ'ერუ** (დიალ. ვარ.) ფორმანტის მეშვეობით. ეს ფორმანტი რთული შედგენილობისა ჩანს. ამოსავლად ნაგულვებია **-რო** კომპონენტიანი ვარიანტი.

§ 30. განსაზღვული მიმღეობა. ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის საკ. ბეჟიტურ დიალექტში დასტურდება განსაზღვრული მიმღეობები, რომლებიც **-სო** განსახღვრებითი ნაწილაკის დართვით იწარმოება. ანალოგიური წარმოება ზედსართავ სახელებში შენიშნული აქვს გ. მადიევას [მადიევა 1965: 96]. ნამყო მიმღეობას, რომელიც იმავდროულად ნამყო განსაზღვრულის შინაარსსაც შეიცავს, **-სო** ნაწილაკი ერთვის მაშინ, როცა მიმღეობური სინტაგმა პოსტპოზიციურია, ე. ი. მაშინ, როცა მას ადიექტივის ფუნქცია მოეპოვება [ხალილოვი 1989: 194-195], მაგალითად: სუკო Øე*ტ*ერო „კაცი წავიდა“, მაგრამ: Øე*ტ*ერო სუკო „წასულ კაცი“.

განსაზღვრული მიმღეობის ნიმუშები: **როკოლცას-სო** „შეკრებილი რომელიცაა“, **Აუტცას-სო** „შეყვარებული რომელიცაა“, **ბიტᲐერო-სო** „მოკლული რომელიცაა“, **Øეჩერო-სო** „ნამყოფი, გაჩერებული რომელიცაა“...

ყურადღებას იქცევს **-სო** მსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქცია — იგი საგანთა სიმრავლიდან გამოყოფს ერთ რომელიმე მათგანს და ხაზს უსვამს მის რაიმე ნიშან-თვისებას.

§ 31. გასუბსტანტივებული მიმღეობები. ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენაში გვხვდება მიმღეობა-სუბსტანტივები, რომლებიც ნაწარმოებია **-ალ** სუფიქსის **-ლ** სონორრედუცირებული ინფინიტივისაგან **-გი, -გო** სუფიქსების დართვით [ხალილოვი 1981: 11], მაგალითად: **Ø-იტᲐელა-გი** „მკვლელი“, **Აოჰდა-გი** „მუშა“ (ქალი), **ოლ'ოლა-გი** „მხვნელი“, **გიჰლა-გი** „ქურდი“, **ხულ'Ი-გი** „მსმელი“, **ო"ტოლა-გი** „მატყუარა“, **ნილ'Ი-გო** „მიცემადი“ და მისთ.

ამ ტიპის მიმღეობებიდან **-გო** სუფიქსიანი მიმღეობები ძალზე იშვიათად იხმარება. იგი, როგორც მ. ხალილოვიც წერს [ხალილოვი 1988: 90], გვხვდება მხოლოდ ფოლკლორში. ამ რიგის მიმღეობები პარალელებს სხვა დიდოურ ენებშიც პოულობს (შდრ. დიდ. **ცახანა-კუ**, ინხ. **ჰვადო-გუ** „მწერალი“).

ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენაში მიმღეობათა წარმოების მთლიანი სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

ა. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

აწმყო კონკრეტული		აწმყოს მიმღეობა	
		დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-ე$^{\text{ъ}}$ტъე-ცა	„მიდის“	Ø-ე$^{\text{ъ}}$ტъეცა-ს‖-ს-სო[1]	Ø-ე$^{\text{ъ}}$ტъ-აც-ცა-ს
ბ-იყე-ჩ/-შ	„იცის“	ბ-იყეჩა-შ ‖ -შ-შო	ბ-იყ-აც-ჩა-შ ‖ Ø-იყ-აც-ცა-ს
ტუტ-ცა	„ისვრის	ტუტცა-ს‖-ს-სო	ტუტ-აც-ცა-ს
ნილ'-ცა	„გაძლევს“	ნილ'ცა-ს‖-ს-სო	ნილ'-აც-ცა-ს

ბ. ჰუნზიბური დიალექტი

აწმყო კონკრეტული		აწმყო კონკრეტულის მიმღეობა	
		დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-იყე-ჩო	„იცის“	Ø-იყეჩო-ს	Ø-იყეჩ-ატ-ო-ს
Ø-ატ-ჩო	„უყვარს“	Ø-ატჩო-ს	Ø-ატჩ-ატ-ო-ს
კიშა-ჩო	„თამაშობს“	კიშაჩო-ს	კიშაჩ-ატ-ო-ს
ლ'იშე-ჩო	„აწუებებს“	ლ'იშეჩო-ს	ლ'იშეჩ-ატ-ო-ს

[1] **-ხ-სო** სუფიქსიანი ფორმები განსაზღვრული მიმღეობებია.

ა. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

ინფინიტივი	ზმნის ფუძე	ნამყოს მიმღეობა	
		დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-ოკოლ-ალ „შეგროვება“	Ø-ოკოლე	Ø-ოკოლე-ᲓᲝ‖-რო	Ø-ოკოლე-ᲫᲔᲡ‖-ᲫᲔᲨ
Ø-უტ-ალ „დაწოლა, დაძინება“	Ø-უტი	Ø-უტი-ᲓᲝ‖-რო	Ø-უტე-ᲫᲔᲡ‖-ᲫᲔᲨ
ტუტ-ალ „სროლა“	ტუტი	ტუტი-ᲓᲝ‖-რო	ტუტე-ᲫᲔᲡ‖-ᲫᲔᲨ
ნილ'-ალ „მიცემა“ (‖ პირისთვის)	ნილ'ი	ნილ'ი-ᲓᲝ‖-რო	ნილ'ე-ᲫᲔᲡ‖-ᲫᲔᲨ

ბ. ჰუნზიბური დიალექტი

ინფინიტივი	ნამყო ძირითადი	უარყ. ნამყო	ნამყოს მიმღეობა	
			დად. ფორ.	უარყ. ფორ.
Ø-უუ̄-ა „ქეთება“	Ø-უუ̄ო-რ	Ø-უუ̄-ი̄ს	Ø-უუ̄ორ-უ	Ø-უუ̄ი̄ს-უ
Ø-ექ-ა „დაცემა“	Ø-ექე-რ	Ø-ექ-ი̄ს	Ø-ექერ-უ	Ø-ექი̄ს-უ
Ø-ე^{ნ}ტ$_{ი}$-ა „წასვლა“	Ø-ე^{ნ}ტ$_{ი}$ე-რ	Ø-ე^{ნ}ტ$_{ი}$-ი̄ს	Ø-ე^{ნ}ტ$_{ი}$ერ-უ	Ø-ე^{ნ}ტ$_{ი}$ი̄ს-უ
ჩახ-ა „წერა“	ჩახე-რ	ჩახ-ი̄ს	ჩახერ-უ	ჩახი̄ს-უ

ინფინიტივი	მყოფადის მიმღეობა
Ø-ე^{ნ}ტ-ალ (ბეჟ.), Ø-ე^{ნ}ტ-ა (ჰუნზ.) „წასვლა“	Ø-ე^{ნ}ტალ-ლ'იდო‖-ლ'იროო (ბეჟ.), Ø-ე^{ნ}ტა-ლ'ერ‖-ლ'ერუ (ჰუნზ.)
ჩახ-ალ (ბეჟ.), ჩახ-ა (ჰუნზ.) „წერა“	ჩახალ-ლ'იდო‖-ლ'იროო (ბეჟ.), ჩახა-ლ'ერ‖-ლ'ერუ (ჰუნზ.)
ნის-ალ (ბეჟ.), ნგს-ა (ჰუნზ.) „თქმა, საუბარი“	ნისალ-ლ'იდო‖-ლ'იროო (ბეჟ.), ნგსა-ლ'ერ‖-ლ'ერუ (ჰუნზ.)
ბოწ-ალ (ბეჟ.), ბაწ-ა (ჰუნზ.) „გავსება“	ბოწალ-ლ'იდო‖-ლ'იროო (ბეჟ.), ბაწა-ლ'ერ‖-ლ'ერუ (ჰუნზ.)

2. მიმღეობის ბრუნება

§ 32. მიმღეობის ბრუნება საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში. საკ. ბეჟიტურ დიალექტში დამოუკიდებლად ხმარებული ყველა სახის მიმღეობა ორფუძიანი ბრუნების პრინციპს მიჰყვება. მიმღეობის ბრუნებისას უნდა გაირჩეს: **ა. ხმოვანფუძიანი** და **ბ. თანხმოვანფუძიანი ბრუნება**.

ა. ხმოვანფუძიანი მიმღეობის ბრუნება განუსაზღვრელი ვითარებითი ზედსართავი სახელების ბრუნებას მისდევს [მადიევა 1965: 94]. ნამყოსა და მყოფადის მიმღეობათა საბრუნებელი ფუძის აუსლაუტური **-ო** ხმოვანი ერგატივის ნიშნისეული ხმოვნის გავლენით რედუცირდება და მის ადგილს მარედუცირებელი **ა** იჭერს, რომელიც გაჰყვება „ირიბ“ ბრუნვებს, მაგალითად:

ნამყოს მიმღეობა

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-ენტედო** „მიმავალი“	**მ-ენტედო**
ერგ.	**Ø-ენტედ-ა**	**მ-ენტედ-ა**
მიც.	**Ø-ენტედ-ა-ლ**	**მ-ენტედ-ა-ლ**
ნათ.	**Ø-ენტედ-ა-ს**	**მ-ენტედ-ა-ს**
ინსტრ.	**Ø-ენტედ-ა-დ**	**მ-ენტედ-ა-დ**

შესაძლოა, ერგატიულ ბრუნვაში მიმღეობის **-დო** ფორმანტის ადგილი **-შა** ნიშანმა დაიჭიროს, მაგალითად: სახ. **კოკო-დო** „ავადმყოფი“ — ერგ. **კოკო-შა**, მიც. **კოკო-შა-ლ**...

მყოფადის მიმღეობა

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდო** „წასასვლელი“	**მ-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდო**
ერგ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა**	**მ-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა**
მიც.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა-ლ**	**მ-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა-ლ**
ნათ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა-ს**	**მ-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა-ს**
ინსტრ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა-დ**	**მ-ე^{ნ}ტ^{ა}ალლ'ოდ-ა-დ**

აწმყოს მიმღეობა, როგორც თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი, მხოლობით რიცხვში მიმღეობის **-ს** ფორმანტს კარგავს და საბრუნებელი ფუძე „აწმყოს წმინდა ფორმაზე“ **-ლა** სუფიქსის დართვით იწარმოება [ლომთაძე 1956: 406]. მრავლობით რიცხვს კი იმავე ფორმისაგან **-რა** ფორმანტი აწარმოებს.

აწმყოს განუსაზღვრელი მიმღეობა

	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**ნისოლცას** „შემკითხველი“	**ნისოლცას-ა**
ერგ.	**ნისოლცა-ლა**	**ნისოლცა-რა**
მიც.	**ნისოლცა-ლა-ლ**	**ნისოლცა-რა-ლ**
ნათ.	**ნისოლცა-ლა-ს**	**ნისოლცა-რა-ს**
ინსტრ.	**ნისოლცა-ლა-დ**	**ნისოლცა-რა-დ**

აწმყოსა და ნამყოს განსაზღვრული მიმღეობის ბრუნებისას **-სო** განსაზღვრებითი ნაწილაკის (რომელიც საბრუნებელ ფუძეს გასდევს) მიმყოლი ერგატივისეული **-ლა** ნიშანი რედუპლიცირებულია და ყველა ირიბ ბრუნვაში გვხვდება. ნამყოს მიმღეობის ფორმანტის ბოლო **-ო** ხმოვანი ირიბ ბრუნვებში არ იცვლება.

საილუსტრაციოდ მოგვყავს აწმყოს განუსაზღვრელი მიმღეობის ბრუნების ნიმუში:

სახ.	**ნისოცას-სო** „მოსაუბრე რომელიცაა“
ერგ.	**ნისოცა-სო-ლლა**
მიც.	**ნისოცა-სო-ლლა-ლ**
ნათ.	**ნისოცა-სო-ლლა-ს**
ინსტრ.	**ნისოცა-სო-ლლა-დ**[1]

როგორც ვხედავთ, ერგატივის ნიშნის გაორმაგებისას (რასაც **-სო** განსაზღვრებითი ნაწილაკის დართვა იწვევს), პირველი (**-ლა**, შდრ. მხ. რ.) ფორმანტისეული ხმოვანი მომდევნო ფორმანტის ხმოვნის ზეგავლენით იკარგება.

§ 33. მიმღეობის ბრუნება ჰუნზიბურ დიალექტში. ჰუნზიბურ დიალექტში დამოუკიდებლად გამოყენებულ (გასუბსტანტივებულ) მიმღეობას (განსაზღვრულსაც და განუსაზღვრელსაც) ახასიათებს ორფუძიანი ბრუნება.

მყოფადის მიმღეობა, რომლის ფორმანტის ხმოვნითი **-უ** ელემენტის ნაცვლად ირიბ ბრუნვებში (ნათ., ერგ., ინსტრ.), დაჩნდება **-ო** ხმოვანი, ხოლო მიცემითში — **-ა**. ბრუნვათა ფლექსიის მხრივ, იგი **სᲐრიᲓო** („ცხენი“) ტიპის არსებით სახელთა ბრუნებას მიჰყვება:

ბრუნების ნიმუში:

სახ.	**ბ-უუალ'ერუ** „ნამუშავარი“ (III კლ.)
ერგ.	**ბ-უუალ'ერო-ლ**
მიც.	**ბ-უუალ'ერᲐ**
ნათ.	**ბ-უუალ'ერო-ს**
ინსტრ.	**ბ-უუალ'ერო-დ**

[1] მიმღეობას მოეპოვება ლოკატიური ბრუნვებიც, რაც ცალკე კვლევის საგანია.

დაახლოებით ასეთსავე ხმოვანთმონაცვლეობას ამჟღავნებს ნამყოს განუსაზღვრელი მიმღეობა მხოლოობით რიცხვში. მრავლობით რიცხვში, კლას-კატეგორიის ქონა-უქონლობის მიუხედავად, მიმღეობის ფორმანტსა და ფუძეს შორის ინფიქსად ჩაერთვის მრავლობითობის **-ბა̄** ნიშანი. ბრუნების ნიმუში:

	მხოლოობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	**კიშა̄რუ** „ნათამაშები“	**კიშა-ბა̄-რუ**
ერგ.	**კიშა̄რო-ლ**	**კიშა-ბა̄-რო-ლ**
მიც.	**კიშა̄რა̄**	**კიშა-ბა̄-რა-ლ-ა̄**
ნათ.	**კიშა̄რ-ო-ს**	**კიშა-ბა̄-რო-ს**
ინსტრ.	**კიშა̄რ-ო-დ**	**კიშა-ბა̄-რო-დ**

მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს აწმყოს მიმღეობის ბრუნება, რომელიც არქაული ბრუნების ქვეტიპს შეიძლება განეკუთვნოს.

საბრუნებელ ფუძეს აყალიბებს ერგატივის (**-დო**) ნიშანი, რომელსაც **-ლ** სონორი ერთვის. შესაძლოა, **-ლ** არც ერთვოდეს და **-დო** მისდევდეს ირიბ ბრუნვებს. პარალელურ ფორმათა არსებობა იმას მიგვანიშნებს, რომ ისტორიულად ერგატივს (resp. საბრუნებელ ფუძეს) **-დო** ფორმანტი აფორმებდა და **-ლ** სონორი გვიანდელი წარმონაქმნია. მაშასადამე, ამოსავალში მარტივი ბრუნვის პარალელურ ფორმათა არსებობა ივარაუდება. ბრუნების ნიმუში:

სახ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩოს**	‖	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩოს** „მიმავალი“ (I კლ.)
ერგ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-დო**	‖	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-დო-ლ**
მიც.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-და̄**	‖	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-და̄-ლა̄**
ნათ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-დო-ს**	‖	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-და-ლა-ს**
ინსტრ.	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-დო-დ**	‖	**Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ეჩო-და-ლა-დ**

უნდა ვივარაუდოთ, რომ ერგატივის ძველი სარელაციო **-დო** ნიშანი მეორე **-ლ** ნიშნის დართვის შემდეგ უფუნქციოდ დარჩა და ფუძეს მიეკედლა. ეს კი იმას მიგვანიშნებს, რომ აწმყოს მიმღეობის ჩამოყალიბება წინ უსწრებს ერგატივის არქაული **-დო** ნიშნის (იგი ბეჟიტურ დიალექტში ორ სახელსღა უდასტურდება), გაუჩინარებას.

არსებით სახელთან ერთად ნახმარი მიმღეობა, როგორც მიუთითებენ, საკვლევ ენაში ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება [ლომთაძე 1956: 409].

VI თავი

მიმღეობის ფუნქციები დიდოურ ენებში

იმისდა მიხედვით, თუ მიმღეობა წინადადებაში როგორ გამოიყენება (არსებითთან ერთად იხმარება თუ დამოუკიდებლად, პოსტპოზიციურია წყობა თუ პრეპოზიციური, რა სადერივაციო ოდენობად გვევლინება), პირობითად შეიძლება განირჩეს ძირითადი და არაძირითადი ფუნქციები [ბოკარევი 1959: 214-215].

§ 34. მიმღეობის ძირითადი ფუნქციები. ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება: ა) **ატრიბუტიული** (მსაზღვრელად გამოყენებული), ბ) **სუბსტანტიური** (არსებით სახელად გამოყენებული).[1]

ა) ატრიბუტიული ფუნქცია გულისხმობს მიმღეობის, როგორც მსაზღვრელის დამოკიდებულება-მიმართებას საზღვრულთან (resp. არსებით სახელთან). უნდა ითქვას, რომ მიმღეობის ეს ფუნქცია საზიაროა სხვა მსაზღვრელ სახელებთან, მეტადრე კი — ზედსართავ სახელთან.

დიდოურ ენებში მიმღეობა ძირითადად არსებით სახელთან გამოიყენება, მაგალითად: საკ. დიდ. თუფი **ქურხოსი აჰო Øაჲს** „თოფის **მსროლელი მწყემსი** მოვიდა“; ცაც **ჰიშიხოსი ბურკულინ** რეხუროლ'! „კარის **მკეტავი საკეტიც** დაიმტვრეს!“; ობიჲუჯ **ჰსიჭირუ მოლ'უ** დევჭო დი ესიხ? [ბოკარევი 1959: 216, 55] „მამისთვის **უთქმელ სიზმარს** (ზედმიწ. „ძილს“) მე

[1] დაყოფა: **„ძირითადი — არაძირითადი“** პირობითია. შესაძლოა, კონკრეტულად რომელიმე მიმღეობისათვის არაძირითადი ფუნქცია იყოს ძირითადი, მაგალითად, ნამყოს მიმღეობა პირველისათვის სწორედ პრედიკატული ფუნქცია ჩანს ძირითადი.

შენ გეტყვი?"; **ცახალი ქაღათ** ლ'აჰინნო, ქურსი **„დაწერილი წერილი** დავხიე რა, გადავადგე"...; ბეჟ. დიდ დუჭა **ნასალლ'ირო რაჟეღ** „მე შენთვის **სიტყვა** მაქვს **სათქმელი**"; უაჰდი **ჯოშალლ'ირო** ტექ გელი „ეს წიგნი **წასაკითხია**"...; ხვარშ. ილ'ეს ა^ხ **ლუწდოშ მოკო** ბეჩლ'ო, ილ'ელ ბეტერჰანენ ხეხლ'ინ შუგოტო „თავისი მუცლის **გამძღები ადგილი** თუ არის, თავის პატრონსაც მალე ივიწყებს"; მე დილ **ბეღღუ სეძრო** ბიქინ მოკუნ „შენს მიერ ჩემთვის **მოყიდული ცხენი** გაიქცა და დაიკარგა"...

მიმღეობის (resp. მსაზღვრელის) მიმართება არსებითი სახელისადმი (resp. საზღვრულისადმი), ადგილმდებარეობისდა მიხედვით, შეიძლება იყოს უშუალო (კონტაქტური) ანდა გაშუალებული (დისტანციური).

კონტაქტური მიმართებისას მიმღეობას არსებითი სახელი უშუალოდ მოსდევს, მაგალითად: ...ჟედრ **ბრურუ ხაბარ** ნესიჯ ესანირ [იმნაიშვილი 1963: 280, 9] „...მათ მიერ **თქმული ამბის** მისთვის სათქმელად"; ეღუენი ჟოდნ ქაფრათიშდ დისნო **დეზუხოსინი ჰიქად** „უმცროსმა ვაჟმა მაღაზიაში იყიდა **საყურებელი** („საყურებელი რომელიცაა") **სარკე**"; ჰუნზ. ქიდბოლ **მაჭელშჩოდ მაშინალდო** ხალათი დაწვე „ქალიშვილი („ქალიშვილმა") **საკერავი მანქანით** ხალათს („ხალათი") კერავს"...

დისტანციური მიმართებისას მიმღეობას არსებითი სახელისაგან (საზღვრულისაგან) სხვა სახელი თიშავს. გათიშული მიმღეობა შეიძლება არსებითს წინ უძღოდეს და შეიძლება მოსდევდეს.

წინ უძღვის: საკ. დიდ. დლ'ა ქიდბე **ბრღრუ** ჭეჭოლ'ეღ **მუს** ენნო „იმ გოგომ **ამოძრობილი** ყინწიდან **ბუმბული** დადო"; დშრ **Ობქუშხოსი** Ობგუ **ჟეკუ** მაჯი დოლ' „ჩემს მიერ **დანახული** კარგი **კაცი** შორს არის"; ჰინ. ჰალ'ო ბარუს ზეყუნე **Ობთიტოოს** ყუდა **რეკუე** „ამ ცოლს ჰყოლია საყვარლად (ზედმიწ. „**საყვარელი**") სხვა **კაცი**"; ყონონ ჯაცატო **ბიტიტოოს**

ზონესთოუ **ქედბი**... „ორივე შეშაზე **მიმავალი** თავისივე **გოგონები...**“ და მრ. სხვ.

მოსდევს: საკ. დიდ. იჭჭა ადაჲ ცეჟენი ჟარ ბესუს ქაფრათდა **ჭედოს ყუტუ** ლ'მორა ღურუშდოლ' **თელ'ხოსი** [იმნაშვილი 1963: 284, 16] „ყველაზე წინ უფროს ძმას გამოუჩნდა მაღაზიაში **თიხის თუნგი** სამ მანეთად **გასაყიდი**“; ელუზ **უჩითელე** ქედური **ბეციზე ბუხოსი** „ჩვენი **მასწავლებელი** (ზედმიწ. „მასწავლებელმა“) მათ აქებს (ზედმიწ. **„მქებელი**“)“; ხვარშ. აბდუ **გენი** გოლ'ე ალიჯო **ბაწხახექქოსა** „ეს **მსხალი** არის ალის **შეჭმევინებული**“; ქანდის **სგლ** გოლი დე თოხთურხო **დაქხუხგკშესო** „გოგონას **კბილი** მე ექიმს უნდა ვაჩვენებინო (ზედმიწ. „ექიმს არის **საჩვენებელი**“)“ და სხვ. მისთ.

ბ) მიმღეობა გამოიყენება არსებითი სახელის ფუნქციითაც. ასეთ შემთხვევაში მიმღეობა არსებითად სუბსტანტივდება. ეს მაშინ ხდება, როცა არსებითი სახელი, რომელთანაც ამა თუ იმ დროის მიმღეობა იხმარება, გამოტოვებულია. გამოტოვებული არსებითი სახელი პოტენციურად არსებობს და შესაძლოა საჭიროების შემთხვევაში თავიც კი იჩინოს. მისი, როგორც საზღვული სახელის გამოტოვება, სტილით ჩანს შეპირობებული — იგი ამარტივებს და მეტ სისადავეს მატებს მეტყველებას.

საილუსტრაციო მაგალითები ტექსტებიდან: საკ. დიდ. ელულ' თელ'ეჲ **როკკესი** რიჩა რაჲ [იმნაიშვილი 1963: 279, 26] „ჩვენს შორის უნდა იყოს **ჭურდი** (ზედმიწ. **„მომპარავი**“)“; დარ ბაზარიაჲ იჭჭა რიგუ შებინ **რადარრუხ** დიკა დოლ' დი „ჩემთვის ბაზრიდან ყველაზე კარგი რამის **მომტანელს** წავყვები მე (ზედმიწ. **„მომტანელთან** წავალ მე“)“; ჰინ. ჯიბაგზე ზე-ბოწიჲ **ცელ'იდო გოლ'ა** როკტო რიჩინნო „დათვისა და მგლის **ნათქვამი** დაიმახსოვრა“...

§ 35. მიმღეობის არაძირითადი ფუნქციები. მიმღეობის არაძირითად ფუნქციებს განეკუთვნება: ა) **პრედიკატული**, ბ) **მასდარული**, გ) **პარონომაზიული**, დ) **ზმნის საგარემოებო ფორმათა ფუძისეული**.

ა) დიდოურ ენაში ნამყოს მიმღეობა პირველისათვის ძირითადი ფუნქცია ვერბალურ-პრედიკატულია. კერძოდ, იგი შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად გამოიყენება. ხსენებული მიმღეობა იხმარება ძირითადად მეშველ (საკ. დიდ. ᲓᲝᲚ' „არის", ზეᲡᲣს „იყო") ანდა მათთან გათანაბრებულ (ØესᲣა „პოვნა, აღმოჩენა") ზმნებთან და მორფოლოგიური ფუნქციის მქონე მეშველი ზმნის დროის მიხედვით ხან — აწმყოსა, ხან კი ნამყოს შედეგობითის სემანტიკა მოეპოვება [იხ. არაბული 1984: 137], მაგალითად: გულუზაჭ **ØიჩირᲔსი** ზეᲣნ ჟა უჟი „ცხენებთან **დაყენებული იყო** ის ბიჭი"; **ბესუნ** მადაზ **ბეჯურᲐსი** ბოწი „ქუჩაში **უპოვნია მოკლული** მგელი"; სის **ზეᲣნო** ზირუ აჟოლ' **ბიჩᲔსინი** „ერთი მელია **იყო დამჭდარი** ხის ძირში"; ჰოუდა უჟი ლ'ინ ტეტრა **ØიჟᲔსი ზოუს**, ლ'ინ ელ'ინ ნელ'Ა „აი, ეს ვაჟიო სასწავლებლად წაყვანილი იყო, — თქვა მან („ქალმა")"; დი **ØოდᲐსინი ᲓᲝᲚ'** შოფიჰ ცალ'Ა „მე **დაბადებული ვარ** სოფელ შოფიხში".

ამ ტიპის მიმღეობის ზმნური ფუნქცია რელიეფურად მჟღავნდება შემდეგ წინადადებაში: შუდატორ Øიკინოსი, **ცახᲔსი რესუს**, — ლ'ინ ელ'ინ „სასაფლაოზე წასვლის მერე **დაწერილი ვიპოვე**, — თქვაო". ამ წინადადებაში **ცახᲔსი რესუს**[1] შედგენილი შემასმენელია. ამ შემასმენლის პირველი კომპონენტის ადგილას რომ ნამყოს **-რუ** სუფიქსიანი მიმღეობა ჩავსვათ, შედგენილ მემასმენელს ვერ მივიღებთ, რადგან მსგავს

[1] საგულისხმოა, რომ ხუნძური ენის ნამყოს მიმღეობა ბათიზე („ნახვა, პოვნა, აღმოჩენა") შესატყვის ზმნასთან, ა. ბოკარევის სამართლიანი მოსაზრებით, შედგენილ შემასმენელს ვერ ქმნის [იხ. ბოკარევი 1949: 130].

ვითარებაში მიმღეობა დამატებად იქცევა.

დიდოურ ენებში აწმყოს მიმღეობა ხშირად ზოგადი აწმყოს ფუნქციით გვევლინება; იგი მიუთითებს საგნის მუდმივ მოქმედებასა და მდგომარეობას [იმნაიშვილი 1963: 219]. შესიტყვებაში მას ვერბალურ-პრედიკატული ფუნქცია აქვს, რადგან მასთან შეწყობილ სახელს ისევე მართავს, როგორც ზმნის საუღლებელი ფორმა. საილუსტრაციო მაგალითები: საკ. დიდ. ...ნელ'Ასი ლ'ი ჰალ'ურლ'ი, ႴეხუტᲮოსი **ჟეკუ ჰაგუ Ხოდხოსი** [იმნაიშვილი 1963: 284, 18] „...მისეულ (ქალის) წყალს თუ დალევს, მომაკვდავი **კაცი ცოცხლდება** (ზედმიწ. **„ცოცხლად მკეთებელი, მქმნელი“**)“; ელუს ჰონჯო ხალყი **ლ'ირბაბი რეთიხოსი** „ჩვენთან მთაში ხალხს **სტუმრები უყვარს** (ზედმიწ. **„სტუმრები მოყვარული“**)“...; ჰინ. ჰესგოზო გოლ' ჰუნე, ‚იტᲮიდო გოლ'ა რეკუე ჰეზზორთოუ ႴუთიმეტᲮოს „ერთი გზა არის, (იქითკენ) წასული **კაცი ვერ ბრუნდება** (ზედმიწ. **„მოუბრუნებელია“**)“...; ხვარშ. ჰაუდუ ჰინ'Ძოშ გოლ'ე **დე ბაცცოსა** „აი, ეს ვაშლი არის, მე რომ ვჭამ“ (სიტყვასიტყ. **„ჩემს მიერ საჭმელი“**); ლ'იბაჰასა-ლ'იბაჰა ილ'ე კარალ'ერუ ცგსანა **ბუხშესო** ჰონო ილბა „ყოველ წელს იმ ტბაში საბანაოდ **მოფრინავს** (ზედმიწ. **„მომფრინავები“**) სამი მტრედი“ და მრ. სხვ.

იშვიათად შეიძლება აწმყო-ზოგადის მიმღეობას დიდოურ ენაში მყოფადი განსაზღვრულის გაგებაც ჰქონდეს: ჭიქაᲫᲘ Ⴔეზუალ'ᲐᲫ **ᲫქუაᲫხოსი** დებერ ჟე „სარკეში ჩახედვისთანავე **დაინახავ** შენ მას (ზედმიწ. **„მჩვენები** შენდა იგი“)“...

ხვარშიულსა და ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენებში აწმყოს მიმღეობა ზმნის აღწერითი ფორმების წარმოებაშიც მონაწილეობს: ხვარშ. იშეტი უჟე **ქოქუხშესო გოლი** „დედა ბავშვს **აჭმევს** (ზედმიწ. **„მჭმეველი არის“**)“; ჟიკუო **ისანშესო გოლი** „კაცი **ბანაობს** (ზედმიწ. **„მობანავე არის“**)“...; ბეჟ.-ჰუნზ. დგ ბადრიჟან **ნგსგჩოს ლო** „მე პომიდორს ვყიდი (ზედმიწ.

„გამყიდველი ვარ“)“; ჰობოლ **Ø∂ტეჩოს ლო** [ბოკარევი 1959: 53, 23] „სტუმარი მოდის (ზედმიწ. **„მომავალი არის“)“**...

ბ) დიდოურ ენებში, რიგ იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად [ჩიქობავა 1953: 9-10; ფანჩვიძე 1948: 242], მიმღეობა მასდარის ფუნქციითაც დასტურდება [იმნაიშვილი 1963: 219]. ასეთი მნიშვნელობით ნახმარი მიმღეობა ამა თუ იმ მოქმედებას განზოგადებულად გამოხატავს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ნამყოს მეორე მიმღეობის სხვადასხვა ბრუნვის ფორმის ხმარება მასდარის ფუნქციით: დირ ეყ'ყ'ეჭუ ჟო ელი ლ'ირბა **დრლ'რუ** (სახ.) „მე ვერ გავიგე, რომ ის ჩვენი სტუმარია (ზედმიწ. „მისი ჩვენი სტუმრად ყოფნა“)“; **ცვხრუდ** (ინსტრ.) აქილ'სი დი **„წერით** (ზედმიწ:. „ნაწერით“) დავიღალე მე“; ...დოდუ ჯაცა **რადერრუს** (ნათ.) ქალათ ნელ' ელურ „ამ შეშის მოტანის (ე. ი. **„მომტანის“**) ხელწერილი მოგვეცი ჩვენ“...; ჰინ. **ტოტერრუდ** (ერგ.) დი ყ'იმუ **რიო'იო** [ლომთაძე 1963: 151, 25] „კითხვამ (ზედმიწ. „წაკითხულმა“) მე თავი ამატკია“; ჰადილნო ნოხნო **ბიო'შშორუს** (ნათ.) დი ყიმათ გომ მეჟუზ [ლომთაძე 1963: 151, 26] „მე თქვენ პატივისცემას („კვებას“) ვერ გადაგიხდიდით“ და ა. შ.

გ) დიდოურ ენაში აწმყო ზოგადისა და ნამყოს მეორე მიმღეობა, ჩვენი მასალის მიხედვით, პარონომაზიის საწარმოებლად,[1] კერძოდ, მის მეორე კომპონენტად გამოიყენება: საკ. დიდ. ხინძო ჟედური **კეშანვნენ კეშანვხოსი დოლ'** „შემდეგ ისინი თამაშითაც თამაშობენ (ზედმიწ. **„თამაშითაც მოთამაშენი არიან“)“**; დიდიდ ელ'ინ კოლ'იხოსი; **კოლ'ი კვლ'ირუ Øეხუხოსი** „რომელიაო მხტომელი; ხტომით გადახტა რა, კვდე-

[1] პარონომაზიის შესახებ [იხ. წერეთელი 1954: 461-467; ცხადაძე 1984: 41-43].

ბა (ზედმიწ. **„ხტომით გადამხტარი მომაკვდავი“**)“; დეჲ ბეტერჰან, მი **რაწრუნ რაწნო**, მი **შატიურუნ შეტიუნ**... „ჩემო მეუღლევ, შენ ჰამითაც ჰამე (ზედმიწ. **„შეჰმულიც შეგიჰამია“**), შენ ჩაცმითაც ჩაიცვი (ზედმიწ. **„ჩაცმულიც ჩაგიცგია“**)“...

დ) მიმღეობა საგარემოებო ფორმათა საწარმოებელ ფუძედაც გვევლინება [იმნაიშვილი 1963: 219]. იგი მოქმედების დროული თანამიმდევრობის (შემდგომადობის) გამოსახატავად შაიტლურსა და ქიდიროულ თქმებში **Øēხურუნ, ქაცრუნ, Øეხუალ'ēჲ, ქეცალ'აჲ** ტიპის ფორმები გამოიყენება. ასეთი ფორმები ნაწარმოებია ნამყოს მეორე მიმღეობისაგან **-ნ, -ლ'აჲ || -ლ'ēჲ** სუფიქსების დართვით [იმნაიშვილი 1963: 226], მაგალითად: **ქაცრუ-ნ** „დაძინებისთანავე“, **ბēწრუ-ნ** „ჰამისთანავე“...

ანალოგიური ფორმები ჰინუხურ'შიც შეინიშნება: ჰაჲშ **ბაყეჲორუნ** ზოკა ბაჲბიქ ბუს... „იქიდან მოსვლისთანავე ცემა დაუწყეს...“ და მისთ.

დიდოურ ენაში ნამყოს მეორე მიმღეობის საშუალებით იწარმოება ვითარების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზმნიზედა, რომელსაც ბოლოკიდურად **-ხო-რ** რთული სუფიქსი მოუდის: დეჲ ბეტერჰან, მი **Øაჩირუხორ** დინ ჲიჩან... „ჩემო მეუღლევ, შენი **გაჩერებისამებრ** მეც გავჩერდები“...; ბაჲნ ეჟენი ჟეკაბ **ჰალ'ირუხორ** ჟა სირჲო [იმნაიშვილი 1963: 226, 32] „მოხუცის ნათქვამისამებრ მოვიდა ის ფაშატი“ და სხვ.

ირკვევა, რომ სხვადასხვა დროის მიმღეობის ფორმები განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ წინადადებაში. სხვა მეტყველების ნაწილის ფუნქციით ყველაზე ხშირად ნამყოს მიმღეობა გამოიყენება.

მესამე ნაწილი

მასდარისა და მიმღეობის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი დიდოურ ენებში

VII თავი

მასდარის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი

§ 36. მასდარის წარმოების ისტორიული ინტერპრეტაციისათვის. დიდოურ ენათა პირველადი (საკ. დიდ. **ცახ-ნი** „წერა“ ტიპის) მასდარის ამოსავალი ზმნური ფუძისა და ფორმანტების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით ცალკეულ მოსაზრებებს, მაგრამ მათ შესახებ ამომწურავი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი[1] დღემდე არ მოგვეპოვება.

თავდაპირველად, მასდარის ისტორიულ-შედარებითი ასპექტით კვლევისას, უნდა გაირკვეს ამოსავალი ზმნური ფუძის საკითხი, რომელსაც ეყრდნობა მასდარული ფორმები. იმ ენებში (საკ. დიდ., ხვარშ., ბეჟ. ენის ჰუნზ. დიალ.), რომლებშიც სინქრონიულად დასტურდება მასდარის ორგანული წარმოება, მასდარული ფორმები ემყარება ზმნის სადა (**resp.** გამარტივებულ) ფუძეს,[2] რომელიც შეიძლება იყოს ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც. საილუსტრაციო მაგალითები:

---

[1] ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ დ. იმნაიშვილისა და მ. ალექსეევის მონოგრაფიები, თუმცა ისინი მასდარის სტრუქტურის საკითხებს მორფოლოგიის სხვა საკითხთა კონტექსტში განიხილავენ და, ბუნებრივია, ვერ იქნებიან ყოველმხრივ ამომწურავი [იხ. იმნაიშვილი 1963: 235-242; ალექსეევი 1988: 51, 119, 133, 199].

[2] ანდიურ ენებში მასდარი მეტწილად ნამყო დროის ფორმას ემყარება [ცერცვაძე 1965: 255; მაჰომედბეკოვა 1971: 153; გუდავა 1971: 149...].

საკუთრივ დიდოური		ხვარშიული		
ფუძე	მასდარი	ფუძე	მასდარი	
ბაწ-	ბაწ-ნი	ბაწ-	ბაწ-ნუ	„ჭამა“
ქეც-	ქეც-ნი	Øაჳე-	Øაჳე-ნუ	„დაწოლა“, „დაძინება“
გოტʰი-	გოტʰი-ნი	გოტʰა-	გოტʰა-ნუ	„დაძახება“
ჟეკ-	ჟეკ-ნი	ზოკ-	ზოკ-ნუ	„ცემა“
ცალ'ი-	ცალ'ი-ნი	ცალ'ი-	ცალ'ი-ნუ	„სროლა“

ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში ანალოგიური ვითარებაა, მაგრამ ხმოვანფუძიანი ზმნები იმის გამო, რომ ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს მასდარის საწარმოებელი სუფიქსის **-ი**-ს გავლენით იკვეცენ, ფუძის რაგვარობით თანხმოვანფუძიან ზმნებს ეთანაბრებიან, მაგ.: **Øიტʰ-ი** <***Øიტʰე-ი** (შდრ. აწმყ. კონკრ. **Øიტʰე-ჩ**) „მოკვლა“, **ჰეჰ-ი** <***ჰეჰე-ი** (შდრ. აწმყ. კონკრ. **ჰეჰე-ჩ**) „ცემა“, **ჩახ-ი** (შდრ. აწმყ. კონკრ. **ჩახ-ჩო**) „წერა“, **როხ-ი** (შდრ. აწმყ. კონკრ. **როხ-ჩო**) „ყიდვა“ და მრ. სხვ.

დაახლოებით ამავე სურათს გვიჩვენებენ ის დიალექტები (დიდ. ენის ქიდ.-ასახ. და ბეჟ. ენის საკ. ბეჟ.), რომლებშიც საანალიზო ფორმები სპორადულად გვხვდება. მასდარულ ფორმათა ფუძის წარმოებასთან ორგანულად არის გადაჯაჭვული ზოგადად ზმნური ფუძის წარმოებისა და სტრუქტურის საკითხები. განსაკუთრებით საპაექროა ფუძის წინამავალი და მომდევნო ხმოვნური ელემენტები, რომლებიც შეიძლება ფუძის მარკერებად მოგვევლინონ, ანდა თემატური ნიშნის ფუნქცია ჰქონდეთ [იხ. იმნაიშვილი 1956: 416; ბოკარევი 1959: 281; გუდავა 1959: 50; 1971: 53; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 247-248; ალექსეევი 1988: 152, 170, 189-192...].

მასდარულ ფორმათა ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ზმნური ფუძე შეიძლება ბოლოვდებოდეს როგორც თან-

ხმოვნით, ისე ხმოვნით. მეტად რთულია იმის ზუსტად დადგენა, თუ ენის ფუნქციონირების ადრეულ საფეხურზე ამ ხმოვნურ ელემენტებს რა დანიშნულება ჰქონდა. კვლევის ამ ეტაპზე ვვარაუდობთ, რომ ფუძის ასეთი ხმოვნური სავრცობები მორფონოლოგიურად უნდა ყოფილიყო შეპირობებული — ხელს უშლიდა არაკანონიკურ თანხმოვანთა თავყრის წარმოქმნასა და ფუძეთა უსასრულო ომონიმიის განვითარებას. ამასთანავე, თემატურ და ათემატურ ფუძეთა კორელაციის არსებობა რიგ შემთხვევაში თემატური ხმოვნის დაშვებისკენ გვიბიძგებს, მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია უფრო მეტად მოგვიანო ხანისთვის იქნებოდა საგულვებელი.

რაც შეეხება მასდარის დერივატებს, მათი გენეზისის დადგენა და ისტორიული ურთიერთმიმართების გამოვლენა საგანგებო ძიებას მოითხოვს. კერძოდ, ყველა დიდოურ ენაში, რომლებშიც მასდარი გვაქვს, დასტურდება **-ნ** ნაზალური სონორის შემცველი სუფიქსები: საკ. დიდ. **-ნი**: ხვაშ. **-ნუ**: ბეჟ. **-ი, -ნი**. ცნობილია, რომ **ნ** დიდოურ ენებში ბგერათიგივეობით არის წარმოდგენილი [გუდავა 1979: 62; არდოტელი 2009: 144-145]. გენეზისურად ეგევე **ნ** უნდა იყოს მოცემული ხუნძურის **-ი-ნ**[1] (**-ე-ნ**) სუფიქსით ნაწარმოებ მასდარში.

როგორც ჩანს, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში წარმოდგენილი იყო ორი ტიპის უღვლილება: I ტიპის (**-დ** ფუძიანი) უღვლილება და II ტიპის (**-ნ** ფუძიანი) უღვლილება. სწორედ II ტიპის უღვლილებაში ფუძის ფონეტიკური სახე **-Vნ** მორფემიანი უნდა ყოფილიყო.

კითხვა ისმის: რა ფუნქცია მოეპოვებოდა **-Vნ/-ნV** აფიქსს?

[1] თუ ხმოვნითი ელემენტები თემის ნიშნებია, მაშინ მასდარის საწარმოებლად ოდენ **-ნ** უნდა ჩაითვალოს (ამაზე დაწვრილებით სხვა დროს).

ტ. გუდავას მიაჩნია, რომ ასეთი აფიქსი (**-Vდ** ოდენობასთან ერთად) თემატური ნიშანი უნდა ყოფილიყო [გუდავა 1978: 217-219]. თუ ეს მოსაზრება სინამდვილეს შეეფერება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით განხორციელდა მათი ფუნქციური რეინტერპრეტაცია და მასდარის საწარმოებელ სუფიქსად გამოყენება ხუნძურში: **ბუკ-ინე** (< მასდ. **ბუკ-ი-ნ**)[1] „ყოფნა“, **ყოტ-იზე** (< მასდ. **ყოტ-ი-ზ**) < ***ყოტ-იდე** (< მასდ. ***ყოტ-ი-დ**) „ჭრა“.

ზემოწარმოდგენილი უღვლილების ტიპთა ბინარული ოპოზიცია იმასაც ნათელყოფს, რომ ე. წ. ნაზალურელემენტიანი უღვლილების ზმნებში ფუძისეული **ნ** თანმხლები ხმოვნითურთ მასდარის საწარმოებელ სუფიქსად გადააზრიანდა. სავსებით მისაღებია, რომ დიდოურ ენათა მასდარის **-ნი**-ს **ნ** ელემენტს უკავშირებენ დაღესტნურ ენათა სათანადო მონაცემს: დარგ. **-ნი**, ლაკ. **-ნ** [ალექსეევი 1988: 200].

მ. ალექსეევი ანდიურ ენათა მასდარის **ნ** სუფიქსს **რ**-სგან მიღებულად მიიჩნევს: „მასდარის სუფიქსად -ნ ანდიურ ენებშიც გვაქვს, თუმცა აქ იგი მომდინარეობს რ-სგან“ [ალექსეევი 1988: 200].

უნდა შევნიშნოთ, რომ **-ნ** კი არ არის მიღებული **რ**-სგან, არამედ **ნ** დასუსტებულია და ფუძის ბოლო ხმოვანზე (resp. თემატური ნიშნის ხმოვანზე) ნაზალიზაციის ელფერად დარჩენილი, რომელსაც დამატებით ერთვის **რ** (< **დ**). ამ ფონეტიკური პროცესის ნათელი მაგალითია კარ. **ბეცუ^{ნ}რ** („ზრდა“) < ***ბეკუნ** (შდრ. ხუნძ. **ბუკ-ინ-ზე** „ყოფნა“). რაც შეეხება **დ** > **რ** პროცესს, იგი რეალიზებულია ბაგვალურ ენაში: **თუ-რ-** < **თუ-დ-** დაფურთხება [იხ. გუდავა 1978: 220].

[1] თუ, რა თქმა უნდა, არქეტიპად არ მივიჩნევთ ხუნძურის სამხრულ დიალექტებში თავჩენილ **ბუკ-ინ-ზე** („ყოფნა“) სტრუქტურის ფორმებს.

საყურადღებო ფაქტია, რომ კარ. ჰაბ-**დ**- („უეფა“) ფუძეს იმავე მნიშვნელობით შეესატყვისება საკ. დიდ. ჰაფ-**ნ**-ი, ეს იმის მაუწყებელია, რომ ოდინდელი თემის ნიშანი (resp. დეტერმინანტი) და მასდარის მაწარმოებლის თანხმოვნითი ელემენტი გენეზისურად ერთმანეთს უკავშირდებიან. დიდოურ ენებში **ნ**-ს შემცველი სუფიქსის გაბატონება ყოველგვარ ზმნასთან უნიფიკაციის შედეგი ჩანს.

რაც შეეხება ხმოვნით ელემენტს **ი**-ს, იგი საკ. დიდოურსა და ბეჟიტურ ენებში კანონზომიერ შესატყვისობას გვიჩვენებს, თუ არ გავითვალისწინებთ **ი : ე** სპონტანურ მონაცვლეობას, რაც ამ ხმოვანთათვის ნიშანდობლივია. თვალსაჩინო გადახრას გვიჩვენებს ხვარშიული ენა, რომელშიც ფარდ ოდენობად **უ** (-**ნუ**) დასტურდება. აქ უნდა დავუშვათ ორი შესაძლებლობა: ა. მასდარის ფორმანტ -**ნუ**-ში **უ** შეიძლება მიგვეღო **ი**-სგან **გ**-ს საფეხურის გავლით: **ი** > **გ** > **უ** [იხ. ლომთაძე 1994: 184]. ბ. **ი** > **უ** პროცესი რეალიზებული ჩანს ფუძისეული წყვილბაგისმიერი **ჭ**-ს გავლენით, რომელიც უნიფიკაციის საფუძველზე შეიძლებოდა სხვა ზმნებზეც გავრცელებულიყო.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი კვალიფიკაცია იქნება უფრო დამაჯერებელი, ერთი რამ ცხადია: მასდარულ ფორმათა ჩამოყალიბება დამთავრებული უნდა ყოფილიყო დიდოურ ფუძეენაში [შდრ. ისაყოვი, ხალილოვი 2001: 272].

ბეჟიტური ენის ჰუნზიბური დიალექტი თავისებურებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ მასდარულ ფორმებში -**ნ** გაუჩინარებულია, მაგრამ მისი რეკონსტრუქცია შესაძლებელია ხმოვნითი -**ი** ელემენტისა და საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში სპორადულად თავჩენილ მასდარულ ფორმათა საფუძველზე.

VIII თავი

მიმღეობის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი

§ 37. გრამატიკული კლასისა და რიცხვის სახელზმნური კატეგორიები დიდოურ ენათა მიმღეობაში. ა) დიდოურ ენებში ისევე, როგორც ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, გრამატიკული კლასის ექსპონენტები მიმღეობას ზმნიდან უცვლელად გადაჰყვება. ეს ეხება კლასნიშნიან ზმნებს (უკლასნიშნო ზმნიდან ნაწარმოებ მიმღეობაში კლასი, როგორც წესი, არ აღინიშნება).

საილუსტრაციოდ წარმოდგენილია აწმყოს მიმღეობათა ფორმები:

დიდოური ენა

Ø-იკიხო-სი (||-სი-ნი) ჟეკუ	„მიმავალი კაცი“
დ-იკიხო-სი (||-სი-ნი) ღ'ანაბი	„მიმავალი ქალი“
ბ-იკიხო-სი (||-სი-ნი) ბოწი	„მიმავალი მგელი“
რ-იკიხო-სი (||-სი-ნი) ლ'ი	„მიმდინარი წყალი“

ჰინუხური ენა

Ø-იტხიტხო-ს რეკუ	„მიმავალი კაცი“
დ-ტხიტხო-ს ქედ	„მიმავალი გოგო“
ბ-იტხიტხო-ს ღუერო	„მიმავალი ძროხა“
რ-იტხიტხო-ს ლ'ე	„მიმდინარი წყალი“

ხვარშიული ენა

1. საკუთრივ ხვარშიული დიალექტი		2. ინხოყვარული დიალექტი	
Ø-უჰაჰა-სა რეკუე	„მომაკვდავი კაცი“	Ø-უშშე-სო რეკუე	"id."
დ-უჰაჰა-სა ბარუ	„მომაკვდავი ცოლი“	დ-უშშე-სო ბარუ	"id."
ბ-უჰაჰა-სა კეტუ	„მომაკვდავი კატა“	ბ-უშშე-სო კეტუ	"id."
რ-უჰაჰა-სა ჩირახ	„მიმქრალი სანთელი“	რ-უშშე-სო ჩირახ	"id."
(ზედმიწ. „მომაკვდავი სანთელი“)			

ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენა

1. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

Ø-უჰუჩო-ს ᾰდᾰმ	„მომაკვდავი კაცი“
დ-უჰუჩო-ს აჯო	„მომაკვდავი ცოლი“
ბ-უჰუჩო-ს ბილ'ო	„მომაკვდავი ჯიხვი“
რ-უჰუჩო-ს ბოხ	„დამჭკნარი ბალახი“

2. ჰუნზიბური დიალექტი

Øო^{ნ}ყოცა-ს აბო	„მომავალი მამა“
დ-о^{ნ}ყოცა-ს იდო	„მომავალი დედა“
ბ-о^{ნ}ყოცა-ს სოდრა	„მომავალი ცხენი“
რ-о^{ნ}ყოცა-ს ლ'გ^{ნ}	„მომდინარი წყალი“

ზემომოყვანილ მაგალითებში ასახულია პრეფიქსად წარმოდგენილი კლას-კატეგორიის ზმნური ნიშანი. იგი, როგორც ცნობილია [ჩიქობავა 1941: 55-56; გუდავა 1971: 55], ქვემდებარე-დამატების კლასს აღნიშნავს, ე. ი. სათანადო კლასის პრეფიქს-ექსპონენტი (ისტორიულად იგივე კლას-ნიშანი) მიმღეობაში აისახება უცვლელი მიმართებით სუბიექტ-ობიექტთან.

დიდოურ ენათა მიმღეობაში ამჟამად გრამატიკული კლასის ცოცხალი სუფიქსური ექსპონენტები არ დასტურდება. მათი პრეფიქსულ კლასიფიკატორებთან მიმართება შესაძლებლობას მოგვცემდა ვნებითისა და მოქმედებითი გვარის სემანტიკა გაგვერჩია.

ცნობილია, რომ დაღესტნის ზოგ ენაში (ხუნძური, ტინდური, ანდიური, არჩიბული, ლაკური...) გრამატ. კლას-კატეგორიას, პრეფიქსებთან ერთად, სუფიქსებიც გადმოსცემენ.

ბუნებრივია, დაისვას კითხვა: ისტორიულად დიდოურ ენათა მიმღეობას ჰქონდა სუფიქსად წარმოდგენილი კლასის ნიშნები (შდრ. ხუნძ. ყოტულ-ე-ბ „მჭრელი“) და შემდეგ დაეკარგა, თუ სუფიქსაცია მას ამოსავალშივე არ ახასიათებდა?

მართალია, სინქრონიულად მიმღეობაში კლასის სუფიქს-ექსპონენტები არ დასტურდება (თუ რელიქტურ ნიშნებს არ გავითვალისწინებთ), მაგრამ, საფიქრებელია, განვითარების ადრეულ საფეხურზე დიდოურ ენათა ზოგ მიმღეობას ჰქონდა კლას-ნიშანთა საშუალებით ხუნძური ენის ანალოგიური სუფიქსური წარმოება.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ გრამატიკული კლასის მქონე ენათა (მათ შორის ხუნძურსა და ანდიურ ენათა უმრავლესობაში) მიმღეობა კლას-ნიშნებს, პრეფიქსის გარდა, სუფიქსადაც დაირთავს, რომლებიც გენეზისურად ჩვენებით ნაცვალსახელებს უკავშირდება [ბოკარევი 1949: 224-236; საიდოვი 1948: 90-115; გუდავა 1963: 136; 1971: 53, 55; მაჰომედბეკოვა 1987: 155].

დიდოურ ენათა მიმღეობისთვისაც რომ ნიშანდობლივი იყო სუფიქსური დერივაცია კლასის ექსპონენტების მიხედვით, ამას ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის მასალაზე დამყარებით ე. ლომთაძე ვარაუდობს. იგი წერს: „ისტორიულად მიმღეობას უნდა ჰქონოდა როგორც პრეფიქსულ-სუფიქსური, აგრეთვე მხოლოდ სუფიქსური წარმოება კლასის მეშვეობით“ [ლომთაძე 1956: 388].

უნდა ითქვას, რომ დიდოურ ენებში კლასის გაუჩინარებული ნიშნების კვალი ან მთლიანად წაშლილია, ანდა — ძნელად მისაკვლევი. ფუნქციადაკარგული ოდინდელი კლასის ექსპონენტები ძალზე იშვიათად გაქვავებული სახით ამა თუ იმ თქმაშია შემონახული. სუფიქსური კლასიფიკატორიანი მიმღეობის არქეტიპების აღდგენა გარკვეულწილად ხერხდება როგორც შინაგანი, ისე გარეგანი რეკონსტრუქციის საფუძველზე.

მიმღეობის ბოლოკიდურ კლას-ნიშანთა რეკონსტრუქციისას ჩვენს ყურადღებას იპყრობს დიდოური ენის პოტენციალისის სემანტიკის აწმყოს მიმღეობის ფორმები: **რისალ'ხოჲ** „საყიდი, რისი ყიდვაც შესაძლებელია“, **Øიკალ'ხოჲ** „მიმავალი, ვისაც წასვლა შეუძლია“, **ცახალ'ხოჲ** „საწერი, რისი წერაც შესაძლებელია“...

ზემომოყვანილ ფორმათა თაობაზე დ. იმნაიშვილი წერს: „ასახური თქმის რიგი აულების მეტყველებაში გვხვდება **-ხოჲ** სუფიქსიანი აწმყო დროის მიმღეობა. ...ის, როგორც ჩანს, აწმყო ზოგადიდან (Øიკალ' — ნ. ა.) იწარმოება“ [იმნაიშვილი 1963: 220]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხმოვნის სიგრძე ამ რიგის ფორმებში არ შეიმჩნევა. რაც შეეხება მიმღეობურ **-ხოჲ** ფორმანტს, მისი პირველი (**-ხო-**) ელემენტი, შესაძლოა, წარმომავლობით აწმყოს ნიშანი იყოს (შდრ. **ბ-აწ-ხო** „ჭამს“ — **ბ-აწალ'-ხო** „ეჭმევა“, „იჭმება“...), ხოლო **-ჲ** კი — რელიქტის სახით შემონახული, რეინტერპრეტირებული II კლასის ნიშანი, მაგალითად: **ბ-ეხუალ'ხო-ჲ** „მომაკვდავი“, **ბ-აწალ'ხო-ჲ** „რაც ეჭმევა“, **ჰალიკალ'ხო-ჲ** „ვინც ითვრება“ და მრ. სხვ.

აწმყო დროის პოტენციალისის სემანტიკის ზმნებიდან ნაწარმოები მიმღეობის ბოლოკიდური **-ჲ**-ს მიჩნევას კლასის გაქვავებულ ნიშნად შემდეგი ანგარიშგასაწევი გარემოება განაპირობებს. აუსლაუტურ **-ჲ**-ს ფარდ ოდენობად დიდოური ენის თქმებში დასტურდება: ქიდ. **-ჳ**, მაგალითად: **ბიშრალ'ხო-ჳ** „მკვებავი, რასაც კვება შეუძლია“, **ლ'ისალ'ხო-ჳ** „გასაწევი,

რაც იწევა"...; ასახ. **-ჲ-უ** (←*-ჲ-ჳ), რომელშიც **-უ**-ს წინ **-ჲ**- განვითარებული ჩანს ხმოვანთგამყარად. შაიტლის მეტყველებაში საანალიზო ფორმების კორელატად **-რ** დადასტურდა, მაგ.: **ბაწალ'ხო-რ** ჰენეშ „საჭმელი ვაშლი", **ღიღალ'ხო-რ** აღ'ურ რიყის ლ'იჲ̃ „წისქვილი, რომლითაც შეიძლება დაფქვა, წყალმა წაიღო". აქედან ცხადი ხდება, რომ **-ხო-ჲ** ფორმანტი რთული შედგენილობისაა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მისი ბოლოკიდური წევრები გენეზისურად გაქვავებული კლასის ნიშნებად მივიჩნიოთ. კლასიფიკატორები, როგორც ირკვევა, დიდოური ენის სხვადასხვა თქმებმა შემოგვინახეს, თუმცა მათი პირვანდელი ფუნქცია დაიკარგა. მსგავს ფორმებში არ ჩანს III კლასის ნიშანი (**ბ**), რომელიც ნასესხებ ზედსართავ სახელებში გაქვავებული სახით ყოველთვის დასტურდება, მაგალითად: ხუნძ. ბერცინ-ა-**ბ** „ლამაზი".

მიმღეობის ზემონაჩვენებ სტრუქტურულ მოდელებს მხარს უჭერს ზედსართავთა წარმოებაც. დიდოური ენის თქმებში დასტურდება ნაირნაირ სუფიქსადრთული (**-ჳ**, **-უ**, **-ჲ**) ზედსართავი სახელები, რომელთა სუფიქსები მიმღეობათა ნიშნების ანალოგიურია, მაგალითად: საკ. დიდ. წოყი-**ჳ**, წოყი-ჲ-**უ**, წოყი-**ჲ** „მსხვილი"; სასი-**ჳ**, სასი-ჲ-**უ**, სასი-**ჲ** „სველი"... შესაძლებელია, ამ ზედსართავ სახელებში ბოლოკიდური ელემენტები ფუძეს შეხორცებულ კლასის ნიშნებს წარმოადგენდნენ, რაც მიმღეობაშიც, როგორც ადიექტიურ სახელში, კლას-ნიშნებს გვაგულვებინებს.[1]

საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ხუნძური ენიდან ნასესხები ზედსართავი სახელები კლასს ამჟამად აღარ განარჩევენ [ლომთაძე 1956: 388; ბოკარევი 1959: 194; იმნაიშვილი 1963: 70], სახელდობრ: **ბერცინ-აჳ** || **ბერცინ-აბ** ობიჳ, ქიდ

[1] აქვე დაისმის **წოყი-ჳ** („მსხვილი") ტიპის ზედსართავთა და შესაბამის მიმღეობათა ისტორიული ურთიერთობის საკითხი.

„ლამაზი მამა, გოგო“ და ა. შ. ეს ზედსართავი სახელები დღეს, კლას-კატეგორიის მიხედვით, სემანტიკურ ოპოზიციას აღარ ქმნიან, მაგრამ მათ ბოლოკიდურად გაქვავებული კლასის ექსპონენტები იმის ანარეკლია, რომ თავდაპირველად დიდოური ენის ზედსართავ სახელში (აგრეთვე მიმღეობაშიც, როგორც ნაზმნარ ზედსართავში) შესაძლებელია კლასის გრამატიკული კატეგორია გარჩეული ყოფილიყო. სხვანაირად, ხუნძურიდან ნასესხებ ზედსართავებს კლასნიშნიანი ვარიანტები აღარ ექნებოდა და კლასიფიკატორი ერთ რომელიმე ფორმაში იქნებოდა გაქვავებული ან მთლიანად დაკარგული.

არსებულ ლინგვისტურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხვარშიულ ენაში (უფრო კი ინხოყვარულ დიალექტში), რომელშიც კლას-ნიშნები შედარებით დაცულია, ვითარებითი ზედსართავების გარდა, კლასიფიკატორების გარჩევა ხელშესახებია მიმღეობის ბრუნებაში [იმნაიშვილი 1963: 80]. ანალოგიური ვითარება შეიმჩნევა დიდოური ენის მიმღეობის ბრუნების დროსაც. კერძოდ, როცა გრამატიკული კლას-კატეგორია კლასთა სუფიქსური ნიშნებით არაა გაფორმებული, მაშინ ორი კლასია გარჩეული: I კლასში თავს იყრიან მამრობითი სქესის გონიერი არსებანი, II კლასში კი ერთიანდება ყველა სხვა დანარჩენი სახელი: ქალები, ცხოველები, ნივთები და მისთ. კლასების გასარჩევად ამ შემთხვევაში გამოყენებულია ხმოვანთა ალტერნაცია, რაც გრამატიკული კლასების გაუჩინარების შემდეგდროინდელი უნდა იყოს. დ. იმნაიშვილი ვითარებითი ზედსართავების შესახებ წერს: „...-ზი სუფიქსიანი ფუძე გვხვდება I გრამატიკული კლასის მსაზღვრელებთან, ხოლო დანარჩენი გრამატიკული კლასების მსაზღვრელებთან განსაზღვრება წარმოდგენილია -ზა ნიშნიანი ფუძით“ [იმნაიშვილი 1963: 71-72], მაგალითად: **ჟუქ-ზი ჟეკურ** რიგუ ღუდი რუქ̌ანოლ'! „ავ კაცს ნუ ენახოს კარგი დღე!“; ...**ჟუქ-ზა მეჩოტორ** ქეზე Ø‿ონო „...ცუდ ადგილას მოხვდა“.

სათანადო მიმღეობაში ანალოგიური წესითვე განირჩევა I კლასი დანარჩენი კლასებისაგან.

ხვარშიული ენის ზედსართავ სახელებში კლასის სუფიქსურ ნიშნებზე ყურადღებას ამახვილებს ელ. ლომთაძე, თუმცა იგი ხუნძური ენიდან ნასესხებ ზედსართავ სახელს იმოწმებს და ცალკე გამოყოფს ოთხივე (**-უ**, **-დ**, **-ბ**, **-რ**) კლასის ნიშანს, მაგალითად: ინხ. **ჴ'უბა-უ** (I კლ.), **ჴ'უბა-დ** (II კლ.), **ჴ'უბა-ბ** (III კლ.), **ჴ'უბა-რ** (IV კლ.); მრ. რ. **ჴ'უბა-ბ** (I კლ.), **ჴ'უბა-რ** (II, III, IV კლ.) „ჭუჭყიანი“ [ლომთაძე 1960: 370-371]. საყურადღებო აქ ისაა, რომ ხუნძურისაგან ნასესხები ზედსართავი სრულიად იცვლება კლასების მიხედვით, რაც დიდოურ ფუძეენაში მსგავს ვითარებას გვაგულვებინებს (ამ ასპექტით საკითხს დამატებითი კვლევა სჭირდება).

ციტირებული ზედსართავი სახელები შემოსულია ხუნძურიდან და, შეიძლება კაცმა იფიქროს, მათი მიხედვით რაიმე კანონზომიერების დადგენა დამაჯერებლობას მოკლებული იქნებაო. ერთი რამ ცხადია: დიდოურ ენათა მსგავს ზედსართავებში ორი კლასია გარჩეული, რაც გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ამ სახელებში კლას-კატეგორიის დიფერენციაციის დროინდელი ვითარებაა ასახული.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჰინუხური ენის ზედსართავ სახელებს აუსლაუტში **-უ** მოუდით, რომელსაც საკუთრივ დიდოურ ენაში ეკვივალენტად კლასის ოდინდელ ნიშნებად მიჩნეული (**-გ**, **-უ**, **-დ**) ფონემები მოეპოვება. **-უ** ნიშანი ფუძისეული რომ არ არის, ირიბ ბრუნვებში მისი უქონლობა ცხადყოფს:

სახ.	‚ალდიდ-უ	„თეთრი“
ერგ.	‚ალდი-ა-დ	
მიც.	‚ალდი-ა-ზ...	

ზედსართავ სახელებზე თქმული მიმღეობის ანალოგიურ წარმოებაზეც ვრცელდება.

ხმოვანთა ცნობილი შესატყვისობის მიხედვით [ლომთაძე 1956ა: 42; იმნაიშვილი 1963: 42], ხუნძურ **ა** ხმოვანს დიდოურში, ჰინუხურ და ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენებში კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისად **ო** მოეპოვება. წარმოდგენილი შესატყვისობის საფუძველზე დიდოური ენის ნამყოს მიმღეობის საწარმოებელ **-რუ** (← **-რო**) ფორმანტს ხუნძურ ენაში ტოლფარდად ნამყოს მიმღეობის **-რა-ბ** (←* **-რა-აბ**) [ლომთაძე 1956: 377; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 308] რთული ფორმანტის **-რა-** ელემენტი უდასტურდება.

სავარაუდოა, რომ წინარე დიდოურში ხუნძ. **-ა**-ს კორელატად იყო **ო**, ხოლო ეს უკანასკნელი, დავიწროების შედეგად, ჰუნზიბურ დიალექტში, ჰინუხურ და საკ. დიდოურ ენებში **-უ**-დ ქცეულა. საკ. ბეჟიტურ დიალექტში ჩანს შემონახული ამოსავალი ვარიანტი **-რო**, რომელიც ნამყო განსაზღვრულს აწარმოებს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრება, რომლის მიხედვით დიდოური და ჰინუხური ენების ნამყოს მიმღეობური ფორმები ისტორიულად ნამყო განსაზღვრულის ფორმას უკავშირდება [ბოკარევი 1959: 282].

ვფიქრობთ, საკ. დიდოურ და ჰინუხურ ენებში წარმოდგენილ ნამყოს მიმღეობებს, რომლებიც, ე. ბოკარევის სამართლიანი მოსაზრებით, ნამყო დროის ფორმებია, დაკარგული უნდა ჰქონდეთ კლასის სუფიქსური (resp. ზედსართაული) ნიშნები. ირკვევა, რომ ნამყოს ფორმას, ხუნძურის ანალოგიურად [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 308], აუსლაუტურ პოზიციაში ერთვოდა კლასის შესაბამისი ექსპონენტები და მას ადიექტიურ ფუნქციას ანიჭებდა. კლასის ექსპონენტების მოშლის შემდეგ კლასის ნიშნის თანმხლებ (**-უ** ← **-ო**) ხმოვანს უნდა დაჰკისრებოდა მიმღეობის გადმოცემის ფუნქცია.

იბადება კითხვა: **-რუ** ფორმანტში შემონახულია თუ არა კლასის ნიშნის თანხმლები ხმოვანი და თუ შემონახულია, რა

ფუნქციას ასრულებს იგი?

ჩვენი აზრით, დიდოურ ენათა აორისტის მიმღეობის **-რუ** ფორმანტში შემონახული უნდა იყოს კლასის ნიშნის თანმხლები ხმოვანი **უ**-ს სახით. ამის თქმის საფუძველს ჰუნზიბური დიალექტის ჩვენება გვაძლევს, რომელშიც მკვეთრად გამიჯნულია ნამყო განსაზღვრული ნამყოს მიმღეობისაგან, შდრ. ნამყო განსაზღ. **ბიშკე-რ** „გატეხა“ > ნამყოს მიმღ. **ბიშკე-რ-უ** „გატეხილი“. აშკარავდება, რომ ჰუნზიბურში შემონახულია ნამყო განსაზღვრულისა და ნამყოს მიმღეობის ფორმათა წარმოების ოდინდელი დიფერენციაცია, რაც მათი მასალობრივი იდენტურობის მეორეულობას გვიმტკიცებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ **ბ-ოშკერ-უ** („გატეხილი“) ტიპის ფორმა ***ბ-ოშკერ-ობ** (შდრ. ბეჟ. **ნილ'ოდო** ← ხაშალხ. **ნილ'ორო** „მისცა, მიცემული“) წინარე ფორმიდან მომდინარეობს.

ამგვარად, დიდოურ ენათა **-რუ** (← **-რო**) ფორმანტის ხმოვნითი ელემენტი ხუნძური **-რა** ფორმანტის ხმოვნითი ელემენტის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია და იგი კლასიფიკატორისეული ჩანს. კლასის ექსპონენტების მოშლის შემდეგ, წინამავალ **-ო-** ხმოვანს უნდა დაჰკისრებოდა მიმღეობის სუფიქსური კლას-ნიშნის ფუნქცია. ამას ჰუნზიბურის ვითარება ადასტურებს. საკ. დიდოურ და ჰინუხურ ენებში, რომლებშიც ახლა არ დასტურდება **-რ** ფორმანტიანი აორისტი, გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს [იმნაიშვილი 1963: 184] და იგი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ზემოთქმულის საფუძველზე დიდოურ ენებში ნამყოს მიმღეობის რეკონსტრუირებული ფორმები ასეთ სახეს მიიღებს:

ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენა

ა. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

I.	Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ოუ ოჟე	„წასული ვაჟი“
II.	დ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ოდ ის	„წასული და“
III.	ბ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ობ ცან	„წასული თხა“
IV.	დ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ოდ ე^{ნ}ხე	„ჩავლილი მდინარე“

ბ. ჰუნზიბური დიალექტი

I.	Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-უუ ← *Ø-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ოუ ოჟე	„წასული ვაჟი“
II.	დ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-უდ ← *დ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ოდ ქიდ	„წასული გოგო“
III.	ბ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-უბ ← *ბ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ობ ო^{ნ}ს	„წასული ხარი“
IV.	რ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ურ ← *რ-ე^{ნ}ტ^{ი}ერ-ორ ყგრა	„წასული ბავშვი“

დიდოური ენა

I.	Ø-ჳკირ-უუ ← *Ø-ჳკირ-ოუ ჟეკუ	„წასული კაცი“
II.	დ-ჳკირ-უდ ← *დჳკირ-ოდ ქიდ	„წასული გოგო“
III.	ბ-ჳკირ-უბ ← *ბჳკირ-ობ ჩანიდა	„წასული თხა“
IV.	რ-ჳკირ-ურ ← *რჳკირ-ორ ლ'ი	„წასული წყალი“

ჰინუხური ენა

I.	Ø-იტ^{ი}იდორ-უუ ← *Ø-იტ^{ი}იდორ-ოუ რეკუე	„წასული კაცი“
II.	დ-იტ^{ი}იდორ-უდ ← *დ-იტ^{ი}იდორ-ოდ აჳილი	„წასული მეუღლე, ცოლი“
III.	ბ-იტ^{ი}იდორ-უბ ← *ბ-იტ^{ი}იდორ-ობ ,უშ	„წასული ხარი“
IV.	რ-იტ^{ი}იდორ-ურ← *რ-იტ^{ი}იდორ-ორ ლ'ე	„წასული წყალი“

ანალოგიურად უნდა აიხსნას კლასის სუფიქსური ექსპონენტების საკითხი **-სი** მაატრიბუტივებელი ფორმანტით დასრულებულ მიმღეობებში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მიმღეობა კლასიფიკატორიანი იყო.

თუკი ჩვენი ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დიდოურ ენათა ერთი რიგის მიმღეობებში გრამატიკული კლასის სუფიქსური ექსპონენტები განვითარების ადრეულ საფეხურზე უნდა არსებულიყო.

თეორიული მოსაზრებით, შესაძლებლად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ დიდოურ ენათა **-სი** სუფიქსიანი მიმღეობის არქაული ფორმები:

დიდოური ენა

აწმყოს მიმღეობა

Ø-, ჲ-, ბ-, რ-ისხო-სი ←***Ø-ისხო-სი-ჳ** (I კლ.), ***ჲ-ისხო-სი-ჲ** (II კლ.), ***ბ-ისხო-სი-ბ** (III კლ.), ***რ-ისხო-სი-რ** (IV კლ.) „ამღები, მყიდველი“

ნამყოს მიმღეობა

ჭურჳსი ←***ჭურჳ-სი-ჳ** (I კლ.), ***ჭურჳსი-ჲ** (II კლ.), ***ჭურჳ-სი-ბ** (III კლ.), ***ჭურჳ-სი-რ** (IV კლ.) „ნასროლი, ნატყორცნი“

ჰინუხური ენა

აწმყოს მიმღეობა

ნოხტოო-ს ←***ნოხტოო-სე** ←***ნოხტოო-სე-ჳ** (I კლ.), ***ნოხტოო-სე-ჲ** (II კლ.), ***ნოხტოო-სე-ბ** (III კლ.), ***ნოხტოო-სე-რ** (IV კლ.) „მომავალი“.

ანალოგიური ვითარება იგულისხმება სხვა ახლომონათესავე ენებში იმ განსხვავებით, რომ ზოგ ენაში კლას-ნიშნები ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის და მათ ექსპონენტიც შესაბამისი ექნება.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: რამ გამოიწვია დიდოურ ენათა მიმღეობურ ფორმებში კლას-კატეგორიის სუფიქს-ექსპონენტების მოშლა?

ვფიქრობთ, აღნიშნული პროცესი განპირობებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ფაქტორებით. კლას-ნიშანთა მოშლის ტენდენცია რომ ახასიათებდა დიდოურ ენებს, ამაზე მთელი რიგი ფაქტები მეტყველებს:

1. დაიკარგა I კლასის გრამატიკული (-ჳ) ნიშანი, იგი სპორადულად ხვარშიულ ენაშიღა იჩენს თავს.

2. კლას-ნიშნები მოშლილია ჩვენებით ნაცვალსახელებში, თუმცა მათი რეკონსტრუქცია ხშირად ხერხდება [ლომთაძე 1956: 269-305].

3. „დისა“ და „ძმის“ აღმნიშვნელ სახელწოდებებში გაუჩინარდა კლასის სათანადო ნიშნები და სტრუქტურულად გაუდიფერენცირებელი ლექსიკური ერთეულის განსასხვავებლად ენა სხვა ხერხს მიმართავს: კერძოდ, ატრიბუტივისა და ზმნის პრეფიქსული ნიშნის საშუალებითღა ცდილობს ოპოზიციის დამყარებას.

4. დაბოლოს, ატრიბუტივებმა (ზედსართავებმა და მიმღეობებმა), როგორც თვალსაჩინოვდება, დაკარგეს კლასის სუფიქსური ნიშნები.

გრამატიკული კლასის სუფიქს-ექსპონენტების მოშლა გამოწვეული უნდა იყოს როგორც კომბინატორული, ისე სპონტანური ცვლილებების შედეგად. უთუოდ უნდა აღინიშნოს გარეგანი ფაქტორის — ქართულის, როგორც უკლასკატეგორიო ენის ინტენსიური გავლენა დიდოურ ენებზე. ბუნებრივია, ეს გარკვეულწილად გააძლიერებდა მიმღეობაში კლასიფიკატორთა

მოშლის ზოგად ტენდენციას. ვარაუდს სამხრეთის მხრიდან უშუალოდ მოსაზღვრე ქართული ენის გავლენისა (მრავალმხრივი კონტაქტები ცნობილია ისტორიოგრაფიიდან), რაც ასაზრდოებდა ხსენებულ ტენდენციას, მხარს დაუჭერდა თვალსაჩინო მეცნიერთა ცნობილი დებულება, რომ გრამატიკული კლას-კატეგორიის უქონელ ენებთან ახლომეზობლობა ძლიერ აზიანებს კლას-ნიშნებს [დირი 1928; ჯავახიშვილი 1937: 257; ჩიქობავა 1979: 118].

ქართული ენის გავლენა ცხადი ხდება ხვარშიული ენის მონაცემებითაც. მას, როგორც ცნობილია, ქართულთან უშუალოდ მოსაზღვრე სხვა დიდოურ ენათაგან განარჩევს რიგი ნიშნები: I კლასის ნიშანი ხშირად დასტურდება, ნაცვალსახელებში შემონახულია მოქმედი კლას-ნიშნები, ზედსართავ სახელებში ხერხდება კლასის ექსპონენტების გამოყოფა. უნდა ვიფიქროთ, რომ ხვარშიული ენის არქაულობა, ამ თვალსაზრისით, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე ჩანს დამყარებული.

მეორე მხრივ, გრამატიკულ კლას-ნიშანთა სუფიქსური სისტემის მოშლა ფონეტიკური გზით უნდა წარმართულიყო. კერძოდ, ნამყოს მიმღეობა მეორის I კლასის -ⴖ ნიშანს ლაბიალურ (-ⴕ → -ⴖ) ხმოვანთან დისიმილაცია უნდა განეცადა, ხოლო II კლასის -ⴓ ნიშანთან — ჯერ ასიმილაცია, შემდეგ კი ასიმილირებული ხმოვანი უკვალოდ დაკარგულა. მაშასადამე, ცნობილი დებულება, რომ „...კლას-ნიშანი ⴑ- შეიძლება გაუჩინარდეს ფუძისეული უ ხმოვნის წინ და კლას-ნიშანი ⴓ- ფუძისეული ი ხმოვნის წინ...“ [ცერცვაძე 1965: 105], დიდოურ ენებსაც მიესადაგება, ოღონდ შებრუნებული ფორმულირებით: კლას-ნიშანი -ⴖ შეიძლება რედუცირდეს კლასის ნიშნისეული ⴕ-ს ან ⴖ-ს შემდეგ და -ⴓ კლასის ექსპონენტი კი ჯერ ⴕ-ს ასიმილაციას იწვევს, ხოლო შემდეგ თვითონ რედუცირდება. ამის შემდეგ კი სათანადო პარადიგმა, სუფიქსური წარმოების მიხედვით, დეფექტური ხდება და III-IV კლასის ექსპონენტებიც თანდათანობით ქრებიან, ვინაიდან ოპოზიციის დამყარების

ფუნქცია ეკარგებათ. ანალოგიური ახსნა ივარაუდება **-ხ** ფორმანტით ნაწარმოებ მიმღეობათა ანალიზისას.

ბ) დიდოური და ჰინუხური ენების ატრიბუტივად გამოყენებული კლასნიშნიანი ზმნიდან ნაწარმოებ მიმღეობათა მრავლობითობის მარკერად გრამატიკული კლასის ზმნური ექსპონენტები გამოიყენება, მაგალითად: დიდ. ოზურა-**ბი რ**-ოქხოსი ჟეკუ „თვალების მკეთებელი კაცი“, ჰინ. **ბ**-იტიდორუ რეკუე-**ბე** „წასული კაცები“...

გასუბსტანტივებული ან სუბსტანტივის ფუნქციით ნახმარი მიმღეობის მრავლობითობის გამოსახატავად, არსებითი სახელებისდა მსგავსად, გამოყენებულია **-ბი** ნიშანი: უკლასო ზმნებში ოდენ **-ბი** სუფიქსი, ხოლო კლასნიშნიანებში — პრეფიქსად კლასის ესა თუ ის ნიშანი, სუფიქსად კი — ზემოწარმოდგენილი აფიქსი, მაგალითად: დიდ. **როლ'ხოსინი-ბი ბ-იკ-ის** „ავადმყოფები წავიდნენ“, **ცახნაკუ-ბი ბ-აძს** „მწერლები მოვიდნენ“...; ჰინ. **რ-ეთიდორუ-ბე რ-იტიშ** „შეყვარებულები წავიდნენ“, **,ელ'იდორუ-ბე ქედ-ბე** „მოსაუბრე გოგონები“ **ცახდამუნი-ბე ბ-უშჰო** „მწერლები სადილობენ“...

დიდოური ენები სხვა მონათესავე ენების მსგავს ვითარებას ამყლავნებენ: გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობაში სუბიექტის მრავლობითობაა წარმოდგენილი, გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოებში კი — ობიექტისა. მაგალითები მოყვანილია შესაბამისად: საკ. დიდ. ჟაჯულ' **ცახნაკუ-ბი ბ-იკის** ჰონჯაღორ „დღეს მწერლები მთაში წავიდნენ“; ოზურა-ბი ანურუ ჟეკუს **ოზურა-ბი რ-ოქხოსი** „ბრმა (ზედმიწ. „თვალების უქონელი“) კაცისთვის თვალების მკეთებელი“...; ინხ. **ბ-ეღუჭლლუ სეძრო** ალახტიაღუ გოლი „გასაყიდი ცხენი მინდორში არის“; **სეძრო-ბა ლ-ეციცდოუ** უჟე „ცხენების მაქებარი ვაჟი“ და სხვ. მისთ.

მიმღეობაში მრავლობითობის გამოხატვის პრინციპი ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენაში შედარებით განსხვავებული ხასიათისაა.

ამ ენაში ზმნის მრავლობითობა, როგორც გარკვეულია [ლომთაძე 1953: 417-446], მორფოლოგიური საშუალებით — ინფიქსაციითა და ხმოვნის სიგრძით — გამოიხატება. საზღვრული სახელი ამჟამად სუფიქსურ ნიშნებს ვერ აჩენს, გარდა აწმყო კონკრეტულის მიმღეობისა, რომელშიც ოიკოეთნონიმების მსგავსად [ხალილოვი 1985: 142], ბოლოკიდურად **-ა** ნიშანს გვიჩვენებს, მაგალითად: **მ-ე'ტ'ეჩოს-ა** „მიმავლები“, **რ-ოცას-ა** „მკეთებლები“, **ზოლცას-ა** „მპოვნელები“ და მისთ.

ე. ლომთაძის მართებული მოსაზრებით, „...ამოსავალს სახელის ვითარება წარმოადგენს: რიცხვის (მრავლობითობის) კატეგორიის გადმოსაცემად ზმნაში სახელის მრავლობითობის აფიქსებია გამოყენებული“ [ლომთაძე 1953: 444].

ანალოგიური ვითარება შეინიშნება დიდოურსა და ჰინუხურ ენებშიც: თუ საზღვულის მრავლობითის ფორმა გამოტოვებულია, მაშინ მის საკომპენსაციოდ მსაზღვრელი (ამ შემთხვევაში, მიმღეობა) მრავლობითის ნიშანს გამოავლენს, ე. ი. ატრიბუტივი სუბსტანტივის როლს ასრულებს და მრავლობითის სახელურ **-ბი** (დიდ.), **-ბე** (ჰინ.) ნიშნებს აჩენს. თუ რა წარმომავლობისაა ამ ნიშანთა თანხმოვნითი ელემენტი — ეს ცალკე ძიების საგანია. ამჟამად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ხსენებულ ნიშანთა ხმოვნებს დიდოურ ენათა უმრავლესობაში კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა ეძებნება, რაც დიდოურ ენათა მკვლევრებს მათ ერთიან წარმომავლობას ავარაუდებინებს. მრავლობითობის შემდეგმა ნიშნებმა: დიდ. **-ბი**, ჰინ. **-ბე**, ხვარშ. **-ბა**, ინხ. **-ბო**, უნივერსალიზაციის საფუძველზე, ერთიანი წარმოება ჩამოიყალიბეს [ბოკარევი 1959: 268].

მრავლობითობის ნიშნის ხმოვნითი ელემენტების კანონზომიერი შესატყვისობის მართებულობას, როგორც ამას ე. ლომთაძე შენიშნავს, ხელს უშლის ის გარემოება, რომ დიდოური **-ბი** მრავლობითობის ნიშნის ხმოვანს ჰუნზიბურში უნდა ჰქონოდა ვიწრო **ა** და არა **ა** სრული, რაც სინამდვილეში დასტურდება.

ამჟამად, პრეფიქსული კლას-ნიშნის მქონე მიმღეობები მრავლობით რიცხვში ორ კლასს განარჩევენ და, შესაბამისად, ორგვარი ფორმა აქვთ: დიდ. **ბ-იკიხოსი** (I კლ.), **რ-იკიხოსი** (II, III, IV კლ.) „მიმავლები"; ჰინ. **ბ-ეტიიდორუ** (I, II კლ.), **რ-ეტიიდორუ** (III, IV კლ.) და სხვ. საფიქრებელია, ისტორიულად აქაც ისეთივე სრულკლასოვანი სისტემა გვქონდა, როგორსაც ხუნძურისათვის მანას-აულისა, არკასისა და ჭირკეის მეტყველების მასალაზე დაყრდნობით აღადგენს ზ. ჯაფარიძე [ჯაფარიძე 1964: 194]. ასეთ შემთხვევაში, მიმღეობაში მრავლობითობა სუფიქსური კლას-ნიშნებით გამოიხატებოდა, ხოლო პრეფიქსული კლასის ექსპონენტები მიმღეობაში წარმოდგენილ საგანთა კლასს აღნიშნავდა. მასთან, სუფიქსური ნიშნები პრეფიქსულს თანხვდებოდა და იცვლებოდა ერთდროულად. დიდოურ ენათა მიმღეობას ეს საფეხური გავლილი უნდა ჰქონდეს.

ამრიგად, მრავლობითობა მიმღეობებს ან მხოლოდ პრეფიქსული კლას-ნიშნების საშუალებით უფორმდებათ, ან კლასის ექსპონენტებისა და სუბსტანტივთა მრავლობითობის სუფიქსებით ეწარმოებათ.

§ 38. დიდოურ ენათა მიმღეობის აფიქსთა წარმომავლობისა და ურთიერთდამოკიდებულებისათვის. ა) **მაატრიბუტივებელი ფორმანტის (*-სა) გენეზისისათვის.** მაატრიბუტივებელი (resp. მაზედსართავებელი) ფორმანტი დიდოურ ენებში წარმოდგენილია **-ს-** თანხმოვნითა და სხვადასხვა თანმხლები მხოვნითი ელემენტით, რომელიც საკუთრივ დიდოურში, ხვარშიულსა და ბეჟიტურში კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობას იძლევა: საკ. დიდ. **-სი**, ხვაშ. **-სა** (საკ. ხვარშ.), **-სო** (ინხ.), ჰინ. **-ს**, ბეჟ.-ჰუნზ. **-სო** (ბეჟ.), **-ს** (ჰუნზ.). განმხოლოებით დგანან ჰინუხური ენა და ჰუნზიბური დიალექტი, რომლებშიც ცნობილი ხმოვანთშესატყვისობის [ლომთაძე 1955: 27] საფუძველზე რედუცირებული ხმოვნები რეკონსტრუირდება: ჰინ. ***-სე**, ჰუნზ. ***-სა**.

ზემოხსენებული ფორმანტი მიმღეობის სხვა საწარმოებელ აფიქსებთან შედარებით მეტად პროდუქტიულია.

თანხმოვნითი ელემენტი **-ს-** სპირანტია და ყველგან იდენტურია, ხმოვნითი სახესხვაობებიდან კი, ჩვენი აზრით, ამოსავალს **-ა** უნდა წარმოადგენდეს.

ზემოხსენებული მაატრიბუტივებელი ფორმანტი დიდოურ ენებში სხვადასხვა მოდალური ფუნქციით იხმარება:

1. საკუთრივ დიდოურ ენაში აწარმოებს: ა) იშვიათად ვითარებით ზედსართავ სახელებს [აბდულაევი 1981ა: 15; შდრ. უსლარი 1890: 48]: **ბ-იგუ-სი** „სახელდობრ ის, რომელიც კარგია“ (შდრ. **ბ-იგუ** „კარგი“), **ალუკა-სი** „სახელდობრ ის, რომელიც თეთრია“ (შდრ. ალუკა „თეთრი“)...; ბ) მიმართებით ზედსართავ სახელებს [ბოკარევი 1959: 194; იმნაიშვილი 1963: 77; აბდულაევი 1981ა: 15]: **მაჯ'ი-სი** „შორეული“, **ენტო-სი** „აქაური“, **ჟაჯულ'-სი** „დღევანდელი“ და სხვ.; გ) სადაურობის აღმნიშვნელ (ეთნიკურ) სახელებს [იმნაიშვილი 1963: 162; აბდულაევი 1981ა: 17]: **ასაჯო-სი** „ასახელი“, **ჰინუჯო-სი** „ჰინუხელი“, **ჯუარშე-სი** „ხვარშიელი“, **თუფლისჳ-სი** „თბილისელი“ (ზედმიწ. „თბილისში და იქაური“; შდრ. ხევს. **მთაჩიგ-ურ-ი**, **სახლ-ჩიგ-ურ-ი**...) და სხვ.; დ) მიმღეობას [ბოკარევი 1959: 194, 210; იმნაიშვილი 1963: 214]: **ბ-იკიხო-სი** „მიმავალი“, **ბ-ოდიხო-სი** „მკეთებელი“, **ქეცანირ-სი** „დასაძინებელი“, **ბ-იწჳ-სი** „გავსებული, სავსე“; ე) ფულის ერთეულების აღმნიშვნელ რიცხვით სახელებს [აბდულაევი 1981ა: 19]: **ლ'ორატო-სი** „სამმანეთიანი“, **ოწირატო-სი** „ათმანეთიანი“...; ვ) სხვადასხვა შინაარსის შემცველ არსებით სახელებს [აბდულაევი 1981ა: 8]: **ჰიდოტო-სი** „კალატოზი“ (ზედმიწ. „მეკედლე“), **ხოტოჯო-სი** „ფეხსაცმელი“...; ზ) ნამყო განსაზღვრულის ფორმებს: **რ-ეხუაჲ-სი** „დაკლა“, **რ-იქუაჲ-სი** „ნახა“ (ზედმიწ. „ეჩვენა“, მაგ.: ნესირ რიქუაჲსი „მას ეჩვენა“), **რ-აწ-სი** „შეჭამა“ და მრ. სხვ.

2. ჰინუხურ ენაში სათანადო ფორმანტი ან ოდენ **-ს** || **-შ** თანხმოვნითი ელემენტით დასტურდება, ანდა **-სო** || **-შო** ხმოვანდართული ვარიანტით [ლომთაძე 1963: 112]. იგი აწარმოებს: ა) აწმყო დროის მიმღეობას: **ესეროტოო-ს** „შემკითხველი, ის, ვინც ეკითხება“, **რ-იტიი-ტოო-ს** „მიმავალი“...; ბ) ნამყო განსაზღვრულს: **ბელ'ე-ს** „მოხნა“, **ბ-აყე-ს** „მოვიდა“, **ტოტერი-შ** (←***ტოტერი-ს**) „წაიკითხა“ და მისთ.

3. ხვარშიულ ენაში გამოიყენება: ა) ვითარებითი ზედსართავი სახელების საწარმოებლად [ბოკარევი 1959: 158; შარაფუტდინოვა, ლევინა 1961: 114]: **ლ-უყუ-სო** (ინხ.), **ლ-უყუ-სა** (საკ. ხვარშ.) „ის, რომელიც დიდია“ (შდრ. **ლ-უყუ** „დიდი“), **ლ-უწწუ-სო** (ინხ.), **ლ-უწწუ-სა** (საკ. ხვარშ.) „ის, რომელიც ცივია“ (შდრ. **ლ-უწწუ** „ცივი“)...; ბ) მიმართებითი ზედსართავი სახელების საწარმოებლად [იმნაიშვილი 1963: 163]: **ღოდჳო-სო** „წვიმიანი“, **სოდროტოო-სო** „ცხენიანი“...; გ) აწმყოს მიმღეობის საწარმოებლად: **რ-ე'ხეშე-სო** (ინხ.) „მავალი“, **კოლ'ე-სო** (ინხ.) „მორბენალი“, **ლუჰო-სა** (საკ. ხვარშ.) „მკეთებელი“, **კოლ'აჰა-სა** (საკ. ხვარშ.) „მხტომელი“ და სხვ. ეგევე სუფიქსი საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში მყოფადი დროის მიმღეობასაც აწარმოებს, მაგალითად: **ლუგალა-სა** „გასაკეთებელი“, **შვარადალა-სა** „სახტომი“, **წალიდალა-სა** „წასაკითხი“ და მისთ.

4. ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენაში აწარმოებს: ა) განსაზღვრებითი სემენტიკის ვითარებით ზედსართავ სახელებს საკ. ბეჟიტურ დიალექტში [ბოკარევი 1959: 93; მადიევა 1965: 96]: **წუდდო-სო** „ის, რომელიც წითელია“, **ატონა-სო** „ის, რომელიც პატარაა“...; ბ) მიმართებით ზედსართავ სახელებს: **ჰიცა-ს** „ახლობელი“, **ტოოდო-ს** „ზევითა“...; გ) რიგობით რიცხვით სახელებს: **ლ'ანა-ს** „მესამე“, **აჭენა-შ** (←***აჭენა-ს**) „მეცხრე“...; დ) აწმყო დროის მიმღეობას: **რ-ე'ტოჩა-შ** „მიმავალი“, **ნისოლცა-ს** „მოსაუბრე, მოლაპარაკე“, **კოშაჩო-ს** „მოთამაშე, **ნგსჩო-ს**

„მთქმელი“...; ე) მყოფადი დროის მიმღეობას განსაზღვრებითი მნიშვნელობით: **რ-უტალლ'ირო-სო** „ის, რომელიც დასაძინებელია“, **რ-ე'ტიალლ'იდო-სო** „ის, რომელიც წასასვლელია“.

ზემომოყვანილ ფორმანტს ბევრი მეცნიერი შეეხო, თუმცა მისი გენეზისი დიდოურ ენებში საბოლოოდ გარკვეული არ არის.

ლაკური ენის ზედსართავი სახელებისა და მიმღეობების (resp. ატიბუტივთა) **-სა** მაწარმოებელს ნ. ტრუბეცკოი დიდოურ (ხვარშიულ, საკ. დიდოურ და ბეჟიტურ) ენათა გენეტივის **-ს** ნიშანს უკავშირებს [ტრუბეცკოი 1987: 328]. ანალოგიურ აზრს ადგას ე. ბოკარევი. იგი წერს: „ჰუნზიბურსა და ჰინუხურ ენებში ნაწარმოებ (მიმართებით — ნ. ა.) ზედსართავ სახელებს საკუთარი ნიშანი არ აქვთ. ამ ენებში იგი თანხვდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს, რომელთანაც მიმართებითი ზედსართავების ნიშანი გენეტურად ჩანს დაკავშირებული“ [ბოკარევი 1959: 275]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. ბოკარევი **-ს-** სპირანტს ცალკე გამოყოფს და მას ხმოვნითურთ ერთ მთლიან ოდენობად არ მიიჩნევს [ბოკარევი 1949: 167; კიკვიძე 1958: 102].

დ. იმნაიშვილის ვარაუდით, ეს ფორმანტი საკ. დიდოურში, ჰინუხურსა და ხვარშიულში ნაცვალსახელისა და შორისდებულის ფუძეებს უკავშირდება, თუმცა იგი არ უთითებს კერძოდ — რომელს? მკვლევარი ამ ფორმანტის ირიბ ბრუნვათა ფონეტიკურ სახესხვაობებს (**-ზი**, **-ზო**, **-ზა**) უთანაბრებს პირველი პირის ნაცვალსახელს (**დი**, **დო**, **და** „მე“) [იმნაიშვილი 1963: 83], რაც ძნელად გასაზიარებელი ჩანს.

საგულისხმოა, რომ მაატრიბუტივებელ ფორმანტს დაღესტნურ ენებში პარალელები ეძებნება.

სპეციალისტთა მეტი წილი მხარს უჭერს ატრიბუტივთა მაწარმოებელი ფორმანტის დაკავშირებას დაღესტნის სხვა ენათა სათანადო სუფიქსთან [ბოკარევი 1949: 167; კიკვიძე 1958: 102; ბოკარევი 1959: 274; ლომთაძე 1955: 191; 1962: 55; გუ-

დავა 1976: 31; ცერცვაძე 1965: 187; ბურჭულაძე 1977: 166; 1982: 174; მაჰომედბეკოვა 1987: 222]: ხუნძ. **-სიებ**, ანდ. **-სიი**, ახვახ. **-სიე**, ჭამ. **-ისი**, კარ. **-ისი**, ბოთლ. **-სიე**, ლაკ. **-სია**, დარგ. **-სი**, თაბ. **-სი-ბ**, **-სუ-ჳ** (დიალ. ვარ.).

ზემოდასახელებულ ენებში ეს აფიქსი მასალობრივადაც და ფუნქციურადაც მსგავსია. ვფიქრობთ, ამავე რიგში ჩაერთვის დიდოურ ენათა შესაბამისი ფორმანტი. მისი ნასესხობა ნაკლებსარწმუნოა, რადგან „...ნაკლებად ხდება გრამატიკული ფორმანტის სესხება“ [შარაძენიძე 1952: 7].

ამ საკითხს სპეციალურად ეხება ზ. მაჰომედბეკოვა, რომელიც, ა. ბოკარევისდა კვალად, **-ს-** სპირანტის მომდევნო ხმოვანს ცალკე გამოყოფს და მას დამოუკიდებელ ოდენობად მიიჩნევს. ბოლოს კი ასკვნის: „ხუნძურ-ანდიურ-დიდოური საერთო **სი** სუფიქსის ეტიმოლოგია ჯერჯერობით გაურკვეველია“ [მაჰომედბეკოვა 1987: 222]. მ. ალექსეევი არ გამორიცხავს ზმნურ დროთა **-ს-** სპირანტის შემცველი აფიქსების კავშირს ნათესაობითი ბუნვის ნიშანთან, თუმცა ამოსავლად ადიექტიურ მნიშვნელობას თვლის [ალექსეევი 1988: 161].

ჩვენი აზრით, დიდოურ ენათა მაატრიბუტივებელი ფორმანტის თანხმოვნითი ელემენტი (**-ს-**) გენეზისურად კითხვითი ნაცვალსახელის ძირეულ მორფემას უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც დიდოურ ენებში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: საკ. დიდ. **შ-ევ** ←***ს-ევ** ‖ **შ-ებ-ი** ← **ს-ებ-ი**[1] „ვინ“ „რა“; ხვარშ.

---

[1] დ. იმნაიშვილის სამართლიანი მოსაზრებით, **შ** ფშვინვიერი სპირანტი მომდინარეობს **ს** ყრუ სპირანტიდან, ხოლო ნაცვალსახელებში გამოვლენილ ბოლოკიდურ თანხმოვნები (**-გ**, **-ბ**) კლას-კატეგორიის ექსპონენტებს უნდა უკავშირდებოდეს [იხ. იმნაიშვილი 1963: 129]. ილ. ცერცვაძე ხუნძურ ენაში ნაცვალსახელის ძველ ვარიანტად მიიჩნევს ირიბ ბრუნვებში დადასტურებულ **ს-** სპირანტის შემცველ ფორმებს [იხ. ცერცვაძე 1953: 176].

ჩვენი ვარაუდით, ხმოვნითი ელემენტი კლასის ნიშნის თანხმლები ხმოვანი ჩანს. შესაძლებელია, იგი, ცნობილი ხმოვანთშესატყვისობის საფუძველზე, **ი**-სგან მომდინარედ ვცნოთ (შდრ. ჰინ. **სე** „რა“): **შ-ევ** ←***ს-ევ** ←**ს-ეგ** [იხ. ლომთაძე 1956ა: 281].

ჰ-იბ-ა ←*შ-იბ-ა ←*ს-იბ-ა (საკ. ხვარშ.), **ჰ-იბ-ო ←*შ-იბ-ო ←*ს-იბ-ო** (ინხოყვ.), ჰინ. **სე ‖ სე̄** „რა“; ბეჟ.-ჰუნზ. **ს-ჲ-ო ‖ ს-ირ-ო ‖ შ-იჲ-ო** (ბეჟ.) „რა“; **შ-იჲ-ო ←*ს-იჲ-ო ‖ შ-იჟ-ო ←*ს-იჟ-ო** (შდრ. ბეჟ. **ს-იჲ-ო**) (ჰუნზ.) „რა“. სავარაუდოა, რომ კითხვით ნაცვალსახელებში გამოვლენილი (**-უ̄, -ბ, -ჲ-, -რ**) თანხმოვნები წარმოშობით რელიქტურად შემონახული და გაქვავებული კლასის ექსპონენტებია [იმნაიშვილი 1963: 129]. რაც შეეხება ამ თანხმოვანთა წინამავალ ხმოვნებს, ისინი კლას-ნიშანთა წინამავალ ხმოვნებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან „გრამატიკული კლასის თანხმოვნიან ნიშანს ფუძესთან დასაკავშირებლად ხმოვანი სჭირდება“ [ლომთაძე 1956ა: 280]. სხვანაირად ვერ აიცილებს თანხმოვანთა თავყრას, რაც ნიშანდობლივი არაა ამ ენათა ფონოტაქტიკისთვის.

ხვარშიული ენის კითხვითი ნაცვალსახელის აღდგენილი ფუძისეული **შ**, თავის მხრივ, **ს** სპირანტისაგან უნდა მომდინარეობდეს, რომლის არქეტიპი დაცული ჩანს ჰინუხურსა და ბეჟიტურში.

კითხვით ნაცვალსახელებში **შ-** ძირეული მორფემის ადგილას **ს-** ყრუ სპირანტის რეკონსტრუქციას მხარს უჭერს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარებაც: ჩაჩ. **სთ-იე**(ნ)-, ინგ. **სე-ნ**, ბაც. **სტ-ენ**, ქვემოადიღ. **სგ-დ**, ყაბ. **სგ-თ**, ქართ. ***სა** (→ **რა**): სა-ნამდის, სა-დ [ცერცვაძე 1953: 177; კიკვიძე 1958ა: 758; ბურჭულაძე 1982: 174].

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზედსართავ სახელებთან საანალიზო ფორმანტი თავდაპირველად განუსაზღვრელი ნაწევრის როლს ასრულებდა, ხოლო მოგვიანებით მას სადერივაციო ელემენტის ფუნქცია დაეკისრა [კიკვიძე 1958ა: 758].

დიდოურ ენათა მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უწინ ამ ფორმანტს მსაზღვრელი ნაწევრის ფუნქცია უნდა ჰქონოდა — იგი ერთვოდა სახელურ ფუძეს და მას განსაზღვრულობას ანიჭებდა [იმნაიშვილი 1963: 80-81]. ეს საკუთრივ დი-

დოური ენის ვითარებით ზედსართავ სახელებში სპორადულად, ხოლო ხვარშიულში სისტემებრ დასტურდება, მაგალითად: საკ. დიდ. **ბ-იგუ-სი** „ის, რომელიც კარგია“ (შდრ. ბ-იგუ „კარგი“), **ალუკა-სი** „ის, რომელიც თეთრია“ (შდრ. **ალუკა** „თეთრი“)...; ხვარშ. **ლ-უყუ-სო** (ინხ.) „ის, რომელიც დიდია“ (შდრ. **ლ-უყუ** „დიდი“), **ლ-უწუ-სა** (საკ. ხვარშ.) „ის, რომელიც ცივია“ (შდრ. **ლ-უჲწა** „ცივი“) და მრ. სხვ.

საფიქრებელია, საკუთრივ დიდოური ენის ატრიბუტივებს ბოლოკიდურად მსაზღვრელი ნაწილაკი **-ნი** რომ დაერთო, **-სი** ფორმანტმა უკვე განუსაზღვრელი ნაწილაკის ფუნქცია შეიძინა, მაგ.: **ჟაჴულ'-სი** „დღევანდელი“ — **ჟაჴულ'სი-ნი** „ის, რომელიც დღევანდელია“.

ამ მხრივ საგულისხმო ისაა, რომ საკ. ბეჟიტურ დიალექტში მაატრიბუტივებელ ფორმანტს გამორჩევითობა-გამოცალკევებითობის ფუნქციაც მოეპოვება [ბოკარევი 1959: 275; მადიევა 1965: 96], მაგ.: საკ. ბეჟ. **ჭილოს-სო** ფეჩ დაყა „რკინის ღუმელი აიღე“ (ზედმიწ.: „სახელდობრ ის ღუმელი აიღე, რომელიც რკინისაა“); **ჴოშალლ'ირო-სო** ტექ რაყა „წასაკითხავი წიგნი მომიტანე“ (ზედმიწ. „მომიტანე სახელდობრ ის წიგნი, რომელიც წასაკითხავია“).

ჩვენი ვარაუდით, დიდოურ ენათა მაატრიბუტივებელი ფორმანტი, ხუნძურის ანალოგიურად [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 178], დაშორებითი (resp. აბლატივის) ბრუნვის ნიშანს უნდა უკავშირდებოდეს. დაშორებითი ბრუნვის ნიშანი, დიდოურ ენათა მიხედვით, ასეა განაწილებული: საკ. დიდ. **-ჲ** ← **ი** ←***სი** (შდრ. ხუნძ. **-ა** ← **სა**); ხვარშ.: **-სო** || **-ზ(ი)** (ინახ.), **ჟო** (საკ. ხვარშ.), ჰინ. **-ს** → **-შ**, **-სო** → **-შო** (**ი**, **ი°**, **ჲ** ხმოვნების მომდევნოდ) [ლომთაძე 1963: 112]; ბეჟ.-ჰუნზ.: **-სო** (ბეჟ.) **-ს** (ჰუნზ.).

საკუთრივ დიდოურ ენაში დაშორებითი ბრუნვის ნიშანს დ. იმნაიშვილი რთული შედგენილობის მქონედ თვლის და

შემდეგნაირად აღადგენს: **-ъдо** ← **ъ** + **о** ← **ъ-до**) [იმნაიშვილი 1963: 153].

ვფიქრობთ, წინამავალი **ъ** არ უნდა იყოს ამ ბრუნვისნიშნისეული, რადგან იგი გრძელი ხმოვნის სახით დასტურდება. იგი უნდა იყოს ესივის ნიშანი (შდრ. ღუთკა „სახლში“), მისი მომდევნო ნახევარხმოვანი კი — დაშორებითი ბრუნვის ნიშნისეული ნაშთი. მაშასადამე, დაშორებითი ბრუნვის ნიშანი საკუთრივ დიდოურ ენაში ასე რეკონსტრუირდება: **-до** ← **-о** ← ***-ъо**. ამას ერთგვარად ახლო მონათესავე ენათა ჩვენებაც მოწმობს: ჰინ. **-ს**, ბეჟ. **-სო**, ჰუნზ. **-ს**, ხვარშ. **-სო** (ინხოყვ.), **-ჟა** ←***-ზა** ←***-სა** (საკ. ხვარშ.). აქ ისეთივე ვითარება უნდა გვქონდეს, როგორიც ზედსართავსა და მიმღეობათა სუფიქსებში შეიმჩნევა. ამრიგად, ირკვევა, რომ დაშორებითი ბუნვისა და ატრიბუტივთა ფორმანტი საერთო წარმომავლობისანი არიან.

ამგვარ ვარაუდს მხარს უმაგრებს ის გარემოებაც, რომ ატრიბუტივთა აფიქსი სადაურობის აღმნიშვნელი (ეთნიკური) სახელების საწარმოებლადაც გამოიყენება.

ამრიგად, დიდოურ ენათა მაატრიბუტივებელი ***-სა** ფორმანტი ნაცვალსახელური წარმომავლობისაა — იგი უკავშირდება კითხვით ნაცვალსახელებს. თავდაპირველად მას განსაზღვრებითი ნაწევრის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. საკუთრივ დიდოურ ენაში ზედსართავ სახელებსა და მიმღეობებში განსაზღვრებითობის ფუნქცია თანდათანობით დაიჩრდილა და ამჟამად უმთავრესად განუსაზღვრელობის ანდა გამოცალკევებითობის ფუნქცია შეიძინა. ეს იმანაც შეაპირობა, რომ განსაზღვრებითობის გამოხატვა **-ნი** ნაწილაკმა იკისრა.

საანალიზო ფორმანტი გენეზისურად წარმომავლობის სახელების მაწარმოებელსა და დაშორებითი ბრუნვის ნიშანს უკავშირდება.

მსგავსი სიტყვათწარმოებითი მოდელებისა და ფუნქციების მიხედვით, დიდოურ ენათა ამ ფორმანტს პარალელები სხვა დაღესტნურ ენებშიც ეძებნება.

ბ) ***-რო ფორმანტის გენეზისისათვის.*** როგორც ცნობილია, **-ჲო** || **-რო** ფორმანტი საკ. ბეჟიტურ დიალექტში ნამყო ძირითადსა და ნამყოს მიმღეობას აწარმოებს. მის ფარდ ოდენობად დიდოურ ენასა და ჰინუხურში **-რუ** ფორმანტი დასტურდება, რომელიც ნამყოს მიმღეობათა საწარმოებლად გვევლინება. ამავე რიგში შემოვა ხვარშიული ენის ნამყო ძირითადის სუფიქსი: **-ჲ-ა** (საკ. ხვარშ.), **-ი** (ინხ.). ჰუნზიბურ დიალექტში ოდენ **-რ** სონორი გვაქვს [ლომთაძე 1959: 13; ბოკარევი 1959: 282; იმნაიშვილი 1963: 184].

ვფიქრობთ, ნამყო განსაზღვრულის (**resp.** ძირითადის) ყველა ზემოწარმოდგენილი ფორმანტის თანხმოვნითი ელემენტი ერთ საერთო **-რ** ელემენტზე დაიყვანება. ხვარშიულ ენაში **-ჲ** რომ **-რ** სონორისაგან არის მიღებული, ამას დიდოური ენა ცხადყოფს, რომელსაც ნამყოს არქაულ ნიშნად **-ჲა** უდასტურდება, ხოლო საჰადურ დიალექტში **-ჲ** მოგვეპოვება. საკ. დიდოურის ვითარება გვევლინება გარდამავალ რგოლად **-რ** → **-ჲ** პროცესისა. **-რ** სონორი, თავის მხრივ, შესაძლოა **-დ**-საც დაუკავშირდეს [იმნაიშვილი 1963: 184].

რაც შეეხება საანალიზო ფორმანტის ხმოვნით ელემენტებს, ჩვენი ვარაუდით, ისინი კლასის ექსპონენტთა ოდინდელი თანმხლები მხოვნები უნდა იყვნენ [იხ. § 37].

გ) ***მიმღეობა-სუბსტანტივთა სუფიქსების წარმომავლობისათვის.*** დიდოურ ენაში მიმღეობა-სუბსტანტივებს აწარმოებენ **-კუ**, **-მუ**, **-ჴუ** და **-ხუ** სუფიქსები, რომლებიც პირდაპირ ზმნურ ფუძეებს ერთვიან.

საკუთრივ დიდოურ **-კუ** სუფიქსს უცვლელი პარალელი **-კუ** სუფიქსის სახით საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში ეძებნება. თავის მხრივ, ხსენებული სუფიქსი შეიძლება წარმომავლობით სხვა დიდოურ ენათა **-გ-** თანხმოვნის შემცველ ანალოგიური ფუნქციის ფორმანტს დავუკავშიროთ: ბეჟ. **-გი**, **-გო**; ინხ. **-გუ**, ჰინ. **-ტუ** ←***-კუ** ←***-გუ** (შდრ. ნახ. **-იგ**, **-იკ**).

ყველა ეს ფორმანტი შესაბამის ენებში თანაარსებობენ და მსგავს ფუნქციებს ასრულებენ.

ჩვენი ვარაუდით, ამოსავალს საანალიზო ფორმანტის სახესხვაობათათვის **-გ-** თანხმოვნიანი ვარიანტი უნდა წარმოადგენდეს [ლომთაძე 1962: 291].

ვფიქრობთ, რომ **-გ-** კონსონანტის შემცველი აფიქსი III პირის ნაცვალსახელურ ძირს უკავშირდება. ამგვარი ვარაუდის დაშვებას შესაძლებელს ხდის იქ მდებარე საგანზე მიმთითებელი III პირის ნაცვალსახელის აგებულება ბეჟიტურსა (**შაჰა-გი, შაჰა-გო** „ის“) და ჰინუხურში (**ჰა-გო, ჰიბა-გო** „ის“) [ლომთაძე 1956ა: 275; იმნაიშვილი 1963: 83], რომლებშიც ხმოვნები ზემოხსენებულ ფორმანტთა ხმოვნების ტოლფარდია. ჰინუხურში თანხმოვნის ფონეტიკური ცვალების გათვალისწინება ხერხდება.

რაც შეეხება დიდოური ენის **-ჲუ, -ხუ** ფორმანტებს, ჩვენი შეხედულებით, საერთო წარმომავლობა უნდა ჰქონდეთ, კერძოდ, არქეტიპს **-ჲო** სუფიქსი უნდა წარმოადგენდეს.

დიდოური **-მუ** სუფიქსის ტოლფარდად ჰინუხურ ენაში იგივე **-მუ** სუფიქსი გვაქვს.

§ 39. დიდოურ ენათა მიმღეობის ბრუნების შედარებითი დახასიათებისათვის. დიდოურ ენებში მიმღეობის ბრუნება ძირითადად ერთგვაროვანია. ბრუნვათა მიხედვით დამოუკიდებლად გამოყენებული მიმღეობა იცვლება, არსებით სახელთან ერთად ნახმარი კი ან საერთოდ უცვლელია, ანდა მინიმალურ ცვლილებას განიცდის.

როდესაც მიმღეობის ბრუნებას განვიხილავთ, უპირველეს ყოვლისა, ვითვალისწინებთ საბრუნებელი ფუძის რაგვარობას (ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი თემის მიზანს სცილდება).

ფუძის აგებულების მიხედვით, დიდოურ ენებში დასტურდება როგორც ერთფუძიანი, ისე ორფუძიანი, ანდა მხოლოდ ორფუძიანი ბრუნება (საკუთრივ ბეჟიტური და საკუთრივ ხვარშიული დიალექტები).

ა. დიდოურ ენაში ერთფუძიანი პრინციპით ბრუნებისას ერგატივის ნიშნად ფუძისეული **-უ**, **-ი**-ს ნაცვლად **-ა̄**, **-ა̆**, **-ი̄** ხმოვნები გვხვდება. დ. იმნაიშვილის მართებული მოსაზრებით, ეს ხმოვნები მიღებულია ფუძის აუსლაუტური ხმოვნების რედუქციითა და მათ საკომპენსაციოდ ბრუნვის **-ა**, **-ო** ნიშნების დაგრძელებით [იმნაიშვილი 1963: 69, 77, 222].

მართალია, სინქრონიული აღწერის კვალობაზე მიმღეობათა ასეთი ბრუნება ორფუძიანადაც შეიძლებოდა მიჩნეულიყო, რადგან ერგატივს განსხვავებული ფუძე მოეპოვება, მაგრამ, თუ ისტორიას გავითვალისწინებთ, აქ ტიპიური ერთფუძიანი ბრუნება გვექნება.

ჰინუხურსა და ხვარშიულ ენებში მიმღეობის ერთფუძიანი ბრუნება წმინდა სახით დასტურდება, ე. ი. რაიმე ფონეტიკურ პროცესს ადგილი არ ურჩება.

ბ. ორფუძიანი პრინციპით ბრუნებისას შეიძლება ორი ქვეტიპი განირჩეს: 1. პალეოერგატიული, 2. ერგატიული.

1. პალეოერგატიულ ქვეტიპში მოიაზრება პალეოერგატიულ ფუძეზე (resp. ერგატივისეულ ფუძეზე) დამყარებული ორფუძიანობა. ამ ქვეტიპის მიხედვით ბრუნებისას გამოიყოფა **-ზა** ფორმანტით მარკირებული მეორე ფუძე, რომელსაც ე. წ. ირიბი ბრუნვები ემყარება. **-ზა** მეორე ფუძის მაწარმოებელს ყველა ბრუნვაში უშუალოდ დაერთვის ბრუნვის ნიშნები. საილუსტრაციოდ მოგვყავს ჰინუხურის აწმყოს მიმღეობა:

სახ.	**Ø-უტ^იოს**	„მკეთებელი“ (I კლ.)
ერგ.	**Ø-უტ^იო-ზო-დ**	
მიც.	**Ø-უტ^იო-ზო-რ**	
ნათ.	**Ø-უტ^იო-ზო-ს**	

2. ერგატივზე დამყარებული ორფუძიანობის მიხედვით ბრუნება ძალზე პროდუქტიულია. ასეთ შემთხვევაში ერგატივის ფორმა გასდევს მიცემითსა და ნათესაობითს. სანიმუშოდ ხვარშიული ენის აწმყო ზოგადის მიმღეობას წარმოვადგენთ:

საბ.	ხულ'დოუ	„მსმელი“
ერგ.	ხულ'დოუ-ლა	
მიც.	ხულ'დოუ-ლა-ლ	
ნათ.	ხულ'დოუ-ლა-ს	

დიდ ინტერესს იწვევს მეორე ფუძის წარმოების თავისებურებანი. მეორე (resp. საბრუნებელ) ფუძეს აყალიბებს შემდეგი ფომანტები: საკ. დიდ. **-ზო**, **-ზი**; ჰინ. **-ზო**, **-ზა**, **-ჟა**; ინხ. **-ზე** (ერგატ.), **-ზუ-** (მიც.), **-ზო** (I კლ.), **-ზა** (დანარჩ. კლ.) (ნათ.); საკ. ხვარშ. **-ჯჟო**; საკ. ბეჟ. **-ლა**; ჰუნზ. **-დო**.

მრავლობით რიცხვში შედარებით ერთგვაროვნებაა: საკ. დიდ., ჰინ., ხვარშ. **-ზა**; საკ. ბეჟ. **-რა**, ჰუნზ. **-ბა**.

ბუნებრივია, დაიბადება კითხვა: მეორე ფუძის ფორმანტები რა წარმომავლობისაა?

მხოლოობით რიცხვში მეორე ფუძეს უპირატესად **-ზა** აწარმოებს, რომლის ხმოვნითი ელემენტი ან მახვილიანია, ან — გრძელი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ისტორიულად აქ ერგატივის საკუთარი ნიშანი არსებობდა.

საკუთრივ დიდოურისა და ჰინუხურის **-ზო** ფორმანტთან ერთად დასტურდება **-ზი** (საკ. დიდ.) ← **-ზა** (ჰინ.). **-ზო** გვხვდება ინხოყვარულის ნათესაობით ბრუნვაში, **-ზუ** კი — მიცემითში: **-ზუ** ← **-ზო**. ხვარშიულში **-ზო**-ს ნაცვლად **-ჯჟო** (←***-ჟჯო**) ვარიანტი დასტურდება [იმნაიშვილი 1963: 80]. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი **-ზჯო** პროტოფორმანტიდან უნდა მომდინარეობდეს.

ზემომოყვანილ სახესხვაობათა არქაული ვარიანტი შემონახული უნდა იყოს ჰუნზიბურში **-დო** სუფიქსის სახით [ლომთაძე 1956ა: 305]. ეს გარკვეულწილად ამაგრებს ვარაუდს **-ზო-ს -დო** სუფიქსისაგან მომდინარეობის შესახებ [იმნაიშვილი 1963: 83].

მეორე სიბრტყეზე დგას **-ზა** ფორმანტი, რომელიც ყველა დიდოურ ენაში დასტურდება, მასთან — მხოლოობითშიც და

მრავლობითშიც. ჰინუხურ ენაში მის სახესხვაობად **-ჟა** მოგვეპოვება. იგი **-ზა** ფორმანტის ფონეტიკური ცვლილების შედეგი ჩანს: **-ჟა ← -ზა**.

რაც შეეხება საკუთრივ **-ზა** ფორმანტს, იგი, როგორც ვარაუდობენ, მიღებული უნდა იყოს **-და** ფორმანტისაგან [ლომთაძე 1956ა: 304].

დ. იმნაიშვილის სარწმუნო დებულებით [იმნაიშვილი 1963: 82], **-ზა** სუფიქსიანი ფუძე მიმართებით ზედსართავ სახელებში გამოიყენებოდა მხოლოდ ნივთთა კლასის აღსანიშნავად. ეს მტკიცდება იმითაც, რომ მიმღეობა ნათესაობით ბრუნვაში კლასებს ხსენებული სუფიქსით განასხვავებს: **-ზო** I კლასის სახელებს აღნიშნავს, **-ზა** კი დანარჩენი კლასების აღსანიშნავად გამოიყენება. ისტოიულად მსგავსი ვითარება ივარაუდება დანარჩენ დიდოურ ენებშიც.

სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, მომდევნო საფეხურზე **-ზა**, როგორც ნივთთა კლასის მაწარმოებელი და განზოგადების მეტი ტენდენციის მქონე სუფიქსი, განზოგადებულიყო მრავლობითში.

რაც შეეხება ბეჟიტურ **-რა** მრავლობითის მაწარმოებელს, საგულვებელია, იგი **-და** სუფიქსს უკავშირდებოდეს: **-რა ← -და**.

არსებით სახელთან ერთად გამოყენებული მიმღეობა მინიმალური ცვლილებისას ერგატივიდან მოკიდებული საბრუნებელი ფუძის უცვლელობით ხასიათდება. ნიშანდობლივი აქ ისაა, რომ „ირიბ“ ბრუნვათა ფუძე განირჩევა სახელობითის ფორმისაგან (resp. ფუძისაგან). ბრუნების ნიმუში დიდოური ენიდან:

სახ.	**ბ-აწხო-სი მაგალუ**	„საჭმელი პური“ (III კლ.)
ერგ.	**ბ-აწხო-ზო მაგალ-ჲ̃**	
მიც.	**ბ-აწხო-ზო მაგალუ-რ**	
ნათ.	**ბ-აწხო-ზო მაგალუ-ს**	
ინსტრ.	**ბ-აწხო-ზო მაგალუ-დ**	

მსაზღვრელად გამოყენებული აწმყოს მიმღეობა ანალოგიურად იბუნვის სხვა დიდოურ ენებშიც.

§ 40. სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართებისათვის დიდოურ ენათა მიმღეობაში. დიდოურ ენებში, მთის სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, გარდაუვალი ზმნა სუბიექტის კლასის მიხედვით იცვლება, გარდამავალი ზმნა კი — ობიექტის კლასის მიხედვით [ჩიქობავა 1960: 6; 1979: 169; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 238-241].

რა ვითარებაა ამ მხრივ მიმღეობაში?

დიდოურ ენებში გარდაუვალი ზმნის მიმღეობა ქმნის ორწევრიანი შესიტყვების მხოლოდ ერთ ტიპს [შდრ. აბდულაევი 1969: 35], რომელიც გამოიხატება ფორმულით: **„გარდაუვალი ზმნის მიმღეობა + სუბსტანტივი ნომინატივში“**: საკ. დიდ. რალ'ადᲓოლ'ხორ **რ-იკიხოსი ლ'ი რ**-ეყე Დოლ' „ზღვისკენ მიმავალი წყალი დიდია („არის“)“; ჰინ. ჰალ'ო ბარუს ზეყუნ **Ø-ეთიტ᷇ოს რეკუე** „ამ ცოლს ჰყოლია საყვარელი (ზედმიწ. „საყვარელი კაცი“)“... ამგვარ მიმღეობურ ფორმაში ისევე, როგორც შესაბამის ზმნაში, რეალური სუბიექტის კლასი (და რიცხვი) გრამატიკულად აისახება: საკ. დიდ. ტო ციჴჴაღორ **ბ-იკიხოსი ჟეკუ-ბი Დოლ'** „აქ არიან ტყეში მიმავალი კაცები“.

წარმოდგენილი წინადადების გარდაუვალი ზმნის მიმღეობაში სუბიექტის მრავლობითობა **ბ-** კლას-ნიშნით გადმოიცემა; იგი კლასსა და რიცხვში უთანხმდება სუბიექტს (**ჟეკუბი** „კაცები“).

მეტად ნიშანდობლივია დიდოურ ენათათვის ის, რომ უკლასნიშნო გარდაუვალი ზმნის მიმღეობის ატრიბუტიულ შესიტყვებაში რეალური სუბიექტი (RS) გრამატიკულად არ გამოიხატება, რადგან ამ ტიპის მიმღეობებს კლასის სათანადო ნიშანი ზმნიდან არ გადმოჰყვება. სუბიექტის კლასის აღსანიშნავად არც სუფიქსური კლასის ექსპონენტები დასტურდება.

ისმის კითხვა: რა გამოიყენება კლასიფიკატორთა უქონლობის საკომპენსაციო საშუალებად, რომლებიც მიუთითებდნენ ან რეალურ სუბიექტზე, ანდა რეალურ ობიექტზე?

ჩვენი აზრით, კლასურ კუთვნილებაზე მიუთითებს გრამატიკული ფორმა და ლექსიკური მნიშვნელობა, რომელიც ნომინატიური ბრუნვის ფორმითაა გამოხატული, მაგალითად: აღურა დოლ' **მექუახოსი ჟეკუ** „წისქვილში მშიერი კაცია".

წარმოდგენილ წინადადებაში მიმღეობა **მექუახოსი** („მშიერი") შეიძლება ქალსაც გულისხმობდეს და ნივთსაც, მაგრამ მისი შინაარსობრივი კონკრეტიზაცია — კლასური კუთვნილების დადგენა **ჟეკუ** („კაცი") ლექსემის მიხედვით ხდება, ე. ი. **ჟეკუ** („კაცი") ამოგვაცნობინებს გრამატიკულ კლასს და გვევლინება რეალურ სუბიექტად. მიუხედავად იმისა, რომ მიმღეობაში კლასის ექსპონენტი არ გვაქვს, აზრობრივი კავშირი მიმღეობასა (**მექუახოსი**) და RS-ს (**ჟეკუ**) შორის მყარია.

შესაძლებელია, სხვა შემთხვევაში კლასის რომელობას მიგვანიშნებდეს ზედსართავი (თუკი კლასის მიხედვით იცვლება) და ზმნა, მაგალითად: საკ. დიდ. მექუახოსი ჟეკუ Øიკის ნაჰურალ' აღ'უხორ „მშიერი კაცი ნაჰურათლში (სოფელი) წავიდა დასანაყრებლად".

ანალოგიური სურათი გვეძლევა ახლომონათესავე ენებში: ჰინ. სასაჴ დიჟ ქეზე ურჴ' ჰადიდდრ **ნოხტოს რეკუე** „დილით მე შევხვდები აქეთ მომავალ კაცს"; ბეჟ. **ყეცექცას ოჟო** დიე გედ [მადიევა 1965: 130, 13] „წაქცეული ბავშვი ჩემია („არის")".

ცნობილია, რომ გარდაუვალი ზმნის მიმღეობაში დაჩნდება მხოლოდ RS-ის კლასის ნიშანი, რადგან გარდაუვალი ზმნა სუბიექტს გულისხმობს. ხსენებული ნიშანი წარმომავლობით ზმნურია — ზმნის შესაბამისი ფორმიდან გადმოყოლილი და მას მუდამ თავკიდური პოზიცია უჭირავს. აუსლაუტურ პოზიციაში კი დიდოურ ენათა მიმღეობას ამჟამად კლასის ექსპო-

ნენტები არ მოეპოვება. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ გრამატიკული კლასის ნიშნების ადგილას ნახმარი მიმღეობის ფორმანტი საზღვრული სახელის არც რიცხვსა და, მით უმეტეს, არც კლასს აღნიშნავს. იგი ოდენ ატრიბუტიულობის გამომხატველი აფიქსია.

მიუთითებენ, რომ გარდაუვალი ზმნის მიმღეობა ორწევრა შესიტყვებას ქმნის, თუმცა ზოგი წინადადება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ავიღოთ დიდოური ენის მარტივი წინადადება: ხალყი **რ-იკალ'ხოდ ჰუნი** ღოლ'ა? „ხალხის წასასვლელი (რომელზედაც შესაძლებელია წასვლა) გზა არის?“ და გავაანალიზოთ გრამატიკული მიმართებები წინადადების მთავარ წევრებს შორის.

ერთი შეხედვით გარდაუვალი ზმნის მიმღეობა **რიკალ'ხოდ** („წასასვლელი“) წარმოადგენს სამწევრა შესიტყვების ატრიბუტიულ კომპონენტს, სინამდვილეში კი იგი ორწევრა შესიტყვების მჭონედ უნდა ვცნოთ. მიმღეობა საზღვრულ სახელს (ჰუნი „გზა“), რომელიც იმავდროულად რეალურ სუბიექტსაც წარმოადგენს, კლასისა და რიცხვის მიხედვით უთანხმდება, ე. ი. გარდაუვალი ზმნის მიმღეობის კლასისა და რიცხვის ფორმა დამოკიდებულია რეალურ სუბიექტზე.

რა ოდენობად მიიჩნევა წინადადების მესამე წევრი?

ხალყი („ხალხი“) მარკირებული არ არის, ვინაიდან არ გააჩნია გრამატიკული გამოხატულება. იგი შედის შესიტყვებაში (**ხალყი რ-იკალ'-ხოდ** „ხალხის წასასვლელი“), როგორც სემანტიკური სუბიექტი ფორმობრივი კავშირის გარეშე და ატრიბუტიული კომპონენტის თანმხლები წევრის ფუნქცია აქვს საზღვრული სახელის (**ჰუნი** „გზა“) მიმათ. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ მიმღეობურ განსაზღვრებას[1] (resp. მიმღეობურ შესიტყვებას) კომპოზიტური ფუნქცია აქვს და,

[1] ტერმინი „**მიმღეობური განსაზღვრება**“ ა. ბოკარევს ეკუთვნის [იხ. ბოკარევი 1949: 235].

როგორც ჩანს, მასში მთლიანად ატრიბუტიულობა მოიაზრება. მართალია, შესიტყვების სუბიექტის (ხალყი) რელაცია მიმღეობისადმი გრამატიკულად არ რეალიზდება, უჩინარია, მაგრამ შინაგანი მიმართება მათ შორის მაინც არსებობს. რაც შეეხება შესიტყვების სახელად წევრსა და საზღვრულ სახელს შორის მიმართებას, იგი სემანტიკურ დონეზე არსებობს, თუმცა გრამატიკული კავშირი ფორმობრივ ასახვას ვერ პოულობს. წინადადების ატრიბუტიული კომპონენტი არის ის მაკავშირებელი რგოლი, რომლის მეშვეობითაც შინაარსობრივი მიმართება მყარდება.

მაშასადამე, საანალიზო წინადადებაში ცალკე უნდა გამოიყოს **„ხალყი რიკალ'ხოდ“**, როგორც მიმღეობური განსაზღვრება, რომელიც მთლიანად გვევლინება საზღვრული სახელის (**ჰუნი** „გზა“) მიმართ მსაზღვრელად. სპეციფიკურია ის, რომ მიმღეობაში მიმღეობური შესიტყვების საზღვრული სახელი აისახება: შდრ. ბაგვ. **შამილ ვ**-უკვა-**ბ ზამანალ'ირ** „შამილის დროს“ (ზედმიწ. „შამილის ყოფილ დროს“ [გუდავა 1971: 55].

საანალიზო დიდოურ წინადადებაში მიმღეობის თავკიდური **რ**- კლასიფიკატორი ზმნისეულია და, ბუნებრივია, მას პრედიკატული ფუნქცია გააჩნდეს — იგი ხომ რეალურ სუბიექტზე მიუთითებს.

კითხვა ისმის: რაღაა ატრიბუტიული კავშირის გამომხატველი?

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთდამოკიდებულებას მიმღეობური **-ხოდ** ნიშანი გამოხატავს, რის საშუალებითაც მიმღეობასა და **RS**-ს შორის ატრიბუტიული კავშირი მყარდება.

ირკვევა, რომ ორივე ნიშანი — პრეფიქსულიცა და სუფიქსურიც — საზღვრულ სახელზე მიუთითებს, უფრო სწორედ, საზღვრულს მართავს ბრუნვაში. ეს შეპირობებული ჩანს მიმღეობის ორბუნებოვნობით — მას ზმნის თვისებაც აქვს და ზედსართავი სახელისაც.

დიდოურ ენებში ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს გრძნობა-აღქმის (verba sentiendi-ს) ტიპის ზმნათა მიმღეობების სუბიექტურ-ობიექტური მიმართებები.

დიდოურ ენათა მონათესავე ხუნძურ ენაში, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით [ბოუდა 1931; ბოკარევი 1949: 34-38; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 241-242; ანდღულაძე 1968: 65] გრძნობა-აღქმის ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: ა. გრძნობის გამომხატველი **„მიყვარს"** ტიპის ზმნები, რომელთათვისაც ნიშანდობლივია დატიური კონსტრუქცია; ბ. აღქმის გამომხატველი **„ვხედავ"** ტიპის ზმნები, რომლებიც ლოკატიურ კონსტრუქციას ქმნიან.

დიდოურ ენებში, ხუნძურისა და ანდიური ენებისაგან განსხვავებით, ორივე ზემოხსენებული ტიპის გრძნობა-აღქმის ზმნათათვის ნიშანდობლივია დატიური კონსტრუქცია, რაც არქაულ ვითარებად მიიჩნევა. დ. იმნაიშვილი ამის თაობაზე წერს: „დატიური კონსტრუქცია უფრო ძველია, ვიდრე ერგატიული და ლოკატიული კონსტრუქციები" [იმნაიშვილი 1963: 260-261].

ამ ტიპის ზმნათა მიმღეობები ქმნიან სამწევრა შესიტყვების შემდეგ მოდელს: **„სუბსტანტივი (RS) დატივში + გარდაუვალი ზმნის მიმღეობა + სუბსტანტივი (RO) ნომინატივში"**.

გრძნობა-აღქმის ზმნებისაგან ნაწარმოებ მიმღეობებში, რომლებშიც რეალური სუბიექტი წინ უსწრებს მიმღეობურ ფორმას, შესაბამის ზმნათა ანალოგიურად [იმნაიშვილი 1963: 260; ჰაიდაროვა 1979: 162], წარმოდგენილია რეალური ობიექტის გრამატიკული კლასის ექსპონენტი ნომინატიურ ბრუნვაში, ხოლო რეალური სუბიექტის გრამატიკული კლასის ნიშანი მიმღეობაში არ აისახება, მაგალითად: საკ. დიდ. დებერ (RS) **ჲ**-ჰთირუ **ჭიდ** (RO) იდუ ჰნუ „შენი შეყვარებული გოგო სახლში არაა"; ჰოუჟი **ჲ**-ისირ (RS) **ჲ**-იქჩაჴრუ **მოლ'უ** (RO) ისე ბიტუნ ჭეზიცონ „ახლა მისი (ქალის) ნანახი (ზედმიწ. „მას

ჩვენებული“) სიზმარი მან სიმართლედ მიიჩნია“; ბეჟ. მუჰამადილ (RS) **დ**-ატირო **ჭიდ** (RO) ცე˝ხეც **დ**-ექნა „მაჰომედის შეყვარებული გოგო წყალში ჩავარდა“; ხვარშ. დილ (RS) **ლ**-აქუალასა **აჭ** (RO) გოლ'ე „ჩემი სანახავი სახლი არის“; ჰინ. **ბ**-უჰო გოლ'ა **ზერუ** (RO) **ბ**-იქეჱერუ მიხტჲო ღ'უადიჟაზ (RS)... „ნახეს რა ყვავებმა მკვდარი მელა...“

Verba sentiendi-ს ტიპის ზმნათა მიმღეობის **RS** მიცემით ბრუნვაში მაშინ არის წარმოდგენილი, როცა სამწევრა მიმღეობურ შესიტყვებაში იგი წინ დგას; თუ რეალური სუბიექტის ადგილს რეალური ობიექტი დაიჭერს, მაშინ გვექნება შესიტყვების ასეთი მოდელი: **„სახელი (RO) ნომინატივში + გრძნობა-აღქმის ზმნათა მიმღეობა + სახელი (RS) ნომინატივში“**. საილუსტრაციო მაგალითები: საკ. დიდ. **ბოწი** (RO — სახ.) **ბ**-იქუ̈ურუ **ჟეკუ** (RS — სახ.) „მგლის მნახველი კაცი“, შდრ. **ჟეკუ-რ** (RS — მიც.) **ბ**-იქუ̈ურუ **ბოწი** (RO — სახ.) „კაცის ნანახი (ზედმიწ. „კაცს ნაჩვენები“) მგელი“; ხვარშ. **ბოწა** (RO — სახ.) **ბ**-ა̈ქა ჟიკუა (RS -სახ.) „მგლის მნახველი კაცი“, შდრ. დი-ლ (RS-მიც.) **ბ**-ა̈ქა **ბოწა** (RO-სახ.) „ჩემი ნანახი მგელი“.

მართალია, შესიტყვებაში RS-ის ადგილმონაცვლეობა (მისი მოქცევა ობიექტის შემდეგ) სემანტიკურ ცვლილებას იწვევს — შესიტყვებას მოქმედებითი გვარის გაგებას ანიჭებს, მაგრამ სტრუქტურული თვალსაზრისით ატრიბუტიულ სინტაგმაზე გავლენას ვერ ახდენს. მიმღეობაში კვლავინდებურად RO-ის კლასი (და რიცხვი) დაჩნდება.

გარდამავალი ზმნის მიმღეობა ორ სტრუქტურულ ტიპს ქმნის: 1) **„სახელი (RS) ერგატივში + გარდამავლი ზმნის მიმღეობა + სუბსტანტივი (RO) ნომინატივში“**. მსგავსი ტიპის შესიტყვების მიმღეობა ძირითადად ვნებითი გვარის სემანტიკის შემცველია, მაგალითად: საკ. დიდ. ლ'აცა̈ (RS) **დ**-ა̈ჟირუ ისეს **წიღუ** (RO) სიდ აჰოზიზ ოზა̈ღორ ჰაყინ „ქარის წაღებუ-

ლი ხარის ბეჭი ერთ მწყემსს თვალში ჩაუვარდა"; ხვარშ. უჟა (RS) **ჲ**-ჳჲზა **ღინი** (RO) **ჲ**-აგუ ისაჲ „ვაჟის მოყვანილი ქალი კეთილი არ აღმოჩნდა"; ბეჟ. დო (RS) Ø-იტჲეჲო ოჟო (RO) გეჲ ჰუგი „ჩემი მოკლული ყმაწვილია („არის") ის".

ზემომოყვანილ წინადადებებში **RS**, რომელიც დგას ერგატიულ ბრუნვაში, მიმღეობაში არ აირეკლება, ხოლო **RO**, რომელიც ნომინატური ბრუნვით გადმოიცემა, ზმნაში სათანადო გრამატიკული კლასის ექსპონენტის თანხლებით რეალიზდება.

ამავე მოდელით წარმოდგენილ შესიტყვებაში ხშირად **RS** არ აისახება და, შესაბამისად, ფორმის მიხედვით არ ჩანს, თუ ვინაა მოქმედი. სემანტიკურად **RS** იგულისხმება, რადგან მის პოტენციურ არსებობას მიმღეობის ფუძის შინაარსი მიგვითითებს. საფიქრებელია, რომ **RS**-ის გაუჩინარებას მიმღეობაში მისი ფორმობრივი აუსახველობაც განაპირობებდეს, მაგალითად: საკ. დიდ. ხანზაჲ **ბ**-ჳრუ **‚ის** ჯაშოდერცე **ბ**-იკინ რილ'ულ' „მეფიდან მოყვანილი (ვის მიერ?) ხარი სადილამდე წავიდა რა სახნავშია".

ეს და ამის მსგავსი მოვლენები, როგორც ჩანს, ენობრივ სტილთან არის დაკავშირებული.

2) **„სუსტანტივი (RO) ნომინატივში + გარდამავალი ზმნის მიმღეობა + სუბსტანტივი (RS) ნომინატივში"**, მაგ.: ხვარშ. **ბოხ (RO) ლ**-აწდოდო ზი^{ნ}ჰი **(RS)** ლ'ონ ხულ'ი „ბალახის შემჭმელმა ძროხამ წყალიც დალია"; დიდ. **ჰალტი (RO) ბ**-ისხოსი ჟეკუ **(RS)** იდუღორ Øიკის „საქმის ამღები კაცი სახლში წავიდა". ბოლო წინადადების შესიტყვებაში **„ჰალტი ბ**-ისხოსი ჟეკუ" **ჰალტი** „საქმე" **(RO)** აირეკლება მიმღეობაში **ბ**- კლას-ნიშნის საშუალებით, ხოლო ლექსემას **ჟეკუ** „კაცი" **(RS)** მოეპოვება თავისი ნიშანი **-სი** ფორმანტის სახით, რომლის მეოხებთაც უთანხმდება საზღვრულს — რეალურ სუბიექტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემომოყვანილი შესიტყვების კიდური წევრები, მართალია, სემანტიკურ კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან, მაგრამ ფორმობრივი (მორფოლოგიურად რეალიზებული) დამოკიდებულება მათ შორის არაა გამოხატული. შესიტყვების შუალა კომპონენტი — მიმღეობა წარმოადგენს რეალური ობიექტისა და რეალური სუბიექტის დამაკავშირებელ რგოლს. ეს შეპირობებულია მიმღეობის ბუნებით — მას გააჩნია ორმხრივი მორფოლოგიური გამოხატულება: პრეფიქსული — კლასისა და რიცხვის ნიშნით (ზმნისეული), სუფიქსური — ადიექტიური ფორმანტით (ორგანული).

გარდამავალი ზმნის მიმღეობას დიდოურ ენებში ნაწილობრივ დაცული აქვს მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიური არქაული ვითარება, როცა გარდამავალი ზმნა (და აქედან ნაწარმოები მიმღეობაც) გვარის მიხედვით ნეიტრალურია [ჩიქობავა 1941ა: 55-56]. ეს შეპირობებულია იმით, რომ „მასდარში, მიმღეობაში მოქმედებით-ვნებითის (თუ: გარდამავლობა-გარდაუვლობის) გარჩევა მეორეულია“ [ჩიქობავა 1956: 517]. ამიტომ ერთი და იგივე ფორმა ერთდროულად მოქმედებითი გვარის სემანტიკასაც შეიცავს და ვნებითისასაც, მაგალითად: საკ. დიდ. **ბ**-აწრუ **მაგალუ** „შეჭმული პური“, მაგრამ: **მაგალუ ბ**-აწრუ ჟეკუ „პურის მჭამელი კაცი“.

პირველ მაგალითში მიმღეობა ვნებითი გვარის შინაარსისაა, მეორეში სუბიექტი წარმოდგენილია სემანტიკურ დონეზე, ობიექტი კი გრამატიკულადაც ასახულია მიმღეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ **RS**-ს გრამატიკული გამოხატულება არ აქვს, მიმღეობას მოქმედებითი გვარის სემანტიკა გააჩნია. ჩანს, რომ ანალოგიურ შემთხვევებში იქმნება ობიექტისა (patiens) და სუბიექტის (agens) ფორმობრივ-სემანტიკური ოპოზიცია. გარდამავალი ზმნის მიმღეობაში **RO** უფრო ძლიერია სტრუქტურული თვალსაზრისით, ვინაიდან მიმღეობაში გრამატიკულ ნიშანს აჩენს და მას წინა პლანზე სვამს, **RS** კი ჩამორჩება მას თავისი სინტაქსური ძალით.

სემანტიკური თვალსაზრისით **RS** უფრო აქტიური ბუნებისაა.

ისმის კითხვა: თუკი ზმნა გვარის მიხედვით ნეიტრალურია[1] და, შესაბამისად, მიმღეობაში გვარი მორფოლოგიური საშუალებებით არ განირჩევა, მაშინ რის მიხედვით გადმოიცემა სათანადო გვარის შინაარსი?

მართალია, გვარის ფორმობრივი დიფერენციაცია ნიშანდობლივი არაა დიდოურ ენათა მიმღეობური შესიტყვებისათვის, მაგრამ იგი შესაბამის კონსტრუქციებში დაჩნდება [ჩიქობავა 1941ა: 55-56].

დიდოურ ენათათვის სპეციფიკურია ის, რომ ხუნძური ენის ანალოგიური გრამატიკული კლასის ექსპონენტების თანამიმდევრობის პრინციპი კლას-ნიშანთა (შესაბამისად, RS-ისა და RO-ის) მიხედვით მოქმედებითისა და ვნებითი გვარის გარჩევის კრიტერიუმად ვერ გამოდგება, რადგან დიდოურ ენათა მიმღეობას ზმნისეული სუფიქსური (resp. ზედსართაული) ნიშნები სინქრონიულ დონეზე აღარ მოეპოვება. უკლასნიშნო ზმნათა მიმღეობებს, რაღა თქმა უნდა, კლას-ნიშნები საერთოდ არა აქვთ. ამიმტომ, ბუნებრვია, მიმღეობაში, სტრუქტურის მიხედვით, სუბიექტისა და ობიექტის მიმართების დადგენა მეტად რთულდება.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით გვარის მნიშვნელობა ყოველგვარ სინტაქსურ კონსტრუქციაში, გარდა ნომინატიურისა, წინადადებაში სუბიექტისა და ობიექტის ადგილმდებარეობით გადმოიცემა. თუ გვაქვს წყობა: **RO — მიმღეობა — RS** მიმღეობას მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა მოეპოვება, თუ წყობა შებრუნე-

[1] ამგვარი ვითარება გვაქვს ძირეულ ზმნათა ერთ წყებაში, მაგრამ ნასახელარი ზმნები და ზოგი ძირეული ზმნაც განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ [იხ. არდოტელი 2007: 95-96].

ბულია (**RS — მიმღეობა — RO**), მიმღეობა ვნებითი გვარის შინაარსის შემცველია [იმნაიშვილი 1963: 218], მაგალითად: საკ. დიდ. ბოწი **(RO)** ბ-ეხ̌არრუ ჳეკუ **(RS)** „მგლის მკვლელი კაცი“, მაგრამ: ნესხ̌ **(RS)** **ბ-ეხ̌არრუ** ბოწი **(RO)** „მის მიერ მოკლული მგელი“.

ანალოგიური სურათი შეინიშნება დიდოური ენის ახლომონათესავე ენებში:

ჰინ. ქეჭ **(RO)** **ˌელ'იჲორუ** რეკუე **(RS)** „სიმღერის (ზედმიწ. „სიმღერა“) მთქმელი კაცი“, მაგრამ: რეკუჲ **(RS)** **ˌელ'იჲორუ** ქეჭ **(RO)** „კაცის (ხედმიწ. „კაცმა“) თქმული სიმღერა“.

ბეჟ. ქიბბა **(RS)** ჲ-ოხცას კიმა **(RO)** „გოგოს მიერ (ზედმიწ. „გოგომ“) ნაყიდი ყველი“, მაგრამ: კიმა **(RO)** ჲ-ოხცას ქიდ **(RS)** „ყველის (ზედმიწ. „ყველი“) მყიდველი გოგო.

სავსებით ბუნებრივია, რომ მსგავს მაგალითებში მორფოლოგიურად რეალური ობიექტის კლასი აისახება, სუბიექტის კლასის ნიშანი, რომელიც ბოლოკიდურად უნდა დართვოდა მოქმედებითი გვარის სემანტიკის გადმოსაცემად, არ ჩანს. საგულისხმო ისაა, რომ წყობისას: **RO — მიმღეობა — RS** მიმღეობა სასუბიექტოა, ხოლო შებრუნებული წყობისას **(RS — მიმღეობა — RO)** — საობიექტო. ამ მოვლენას ანალოგია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც ეძებნება (შდრ. ბაცბ.: სო[ნ] ბოხკინო დეთ „ჩემთვის მოყიდული ძროხა“, მაგრამ: დეთ ბოხკინო ფხეჳ „ძროხის გამყიდველი ხევსური“ [ოსიძე 1956: 11]. როგორც ჩანს, რეალური სუბიექტი, რომელიც ერგატივში დგას, თავის აქტიურ ბუნებას ვერ ავრცელებს მიმღეობაზე, ხოლო სახელობითში მდგარი რეალური სუბიექტი მიმღეობას აქტიურ მნიშვნელობას ანიჭებს.

მაშასადამე, სემანტიკის მხრივ, მიმღეობასა და შესაბამის ზმნას შორის ერთგვარი განსხვავებაა: სახელობითსუბიექტიანი მიმღეობა აქტიური სემანტიკისაა, ხოლო ზმნა პასიურ სემან-

ტიკას შეიცავს, და პირიქით. რაც შეეხება გვარის მიხედვით გაუდიფერენცირებელი ტიპის (**ჟეკ-ხოსი ჟეკუ** „მცემელი კაცი" || „ნაცემი კაცი") უკლასნიშნო ზმნათა მიმღეობებს, ისინი არ იძლევიან რაიმე არსებითს არც სუბიექტ-ობიექტის კლასისა და არც საზღვრულთან შესათანახმებელი (resp. სამართავი) ელემენტის შესახებ.

უკანასკნელი ტიპის ზმნებიდან ნაწარმოები მიმღეობები მოქმედებითი შინაარსისაა თუ ვნებითისა, კლას-ნიშანი ვერ გაგვარჩევინებს. ასეთ შემთხვევაში კლასის ექსპონენტების როლს, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ასრულებს სუბიექტ-ობიექტის რეალცია და ადგილმდებარეობა, ე. ი. კლასის გრამატიკული ექსპონენტების ფუნქციას კისრულობენ სუბიექტი და ობიექტი გარკვეული დისტრიბუციით, რაც რეალიზებულია მხოლოდ სემანტიკურ დონეზე.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ გარდამავალი ზმნის „ობიექტის ნიშანი წინ უსწრებს სუბიექტისას" [ჩიქობავა 1941: 67]. ასევეა მიმღეობაში. უკლასნიშნო ზმნათა მიმღეობაში კლას-ნიშნის ანალოგიურად მხოლოდ წინ დასმული რეალური ობიექტი იქცევა, მიმღეობის შემდეგ მდგარი რეალური ობიექტი კვლავ თავკიდურ პოზიციაში ჰპოვებს გრამატიკულ გამოხატულებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრძნობა-აღქმის ზმნათა მიმღეობური კონსტრუქცია, რომელშიც რეალური სუბიექტი შესიტყვების ბოლო წევრს წარმოადგენს, გარდამავალი ზმნის სათანადო კონსტრუქციას ეთანაბრება; უფრო ნათლად: წყობისას: **RS + მიმღეობა + RO** სუბიექტ-ობიექტის მიმართება **verba sentiendi**-ს ტიპის ზმნათა და გარდამავალ ზმნათა მიმღეობებში იდენტურია, მაგალითად: საკ. დიდ. **ოზურაბი რ-ოქხოსი ჟეკუ** „თვალების მკურნალი" (ზედმიწ. მკეთებელი) კაცი", შდრ.: **ქიდ ჲ-ჴთირუ ჟეკუ** „გოგოს მოყვარული კაცი" და მისთ

კაუზატიური (კაუზატიური ზმნისაგან ნაწარმოები) მიმღეობები განსხვავებულია იმის მიხედვით — გარდაუვალი ზმნისაგანაა ნაწარმოები კაუზატივი თუ გარდამავლისაგან. სათანადოდ არსებობს ორგვარი კაუზატივი: ა) პირველადი და ბ) მეორეული [მაჰომედბეკოვა 1978: 235; ზვიადაური 1990: 219-220; არდოტელი 2008: 64-83].

ა) პირველადი კაზუტივისაგან ნაწარმოები მიმღეობები, სინტაქსური თვალსაზრისით, ძირითადად გარდამავალი ზმნების მიმღეობათა ბადალია. ასეთი მიმღეობები შესიტყვებაში ისეთსავე როლს ასრულებენ, როგორსაც ჩვეულებრივად გარდამავალი ზმნის მიმღეობები. დიდოური ენების ანალოგიური რიგის მიმღეობებში რეალური სუბიექტი დგას ერგატივში, ხოლო რეალური ობიექტი ნომინატივში, მაგალითად: საკ. დიდ. **მი (RS) (Ø)ეხარუ უჟი (RO)** დედ უჟი ზოუნო „შენ მიერ მოკლული ბიჭი ჩემი შვილი იყო“; ბეჟ. **დო (RS) Øუღოლლო სუკოს (RO) ,ოს** Øო^ნყორო ჟენშა „ჩემი მოკლული კაცის ძმა მოვიდა დღეს“; ხვარშ. **მე (RS) აჰჰუ უჟე (RO)** დიდო Øეჩი (სანტლ.) „შენ მიერ მოკლული ვაჟი ჩემი (შვილი) იყო“.

ბ) მეორეული კაუზატივისაგან (კაუზატივის ფორმანტთა რედუპლიკაციით) ნაწარმოები მიმღეობები ქმნიან ოთხწევრა შესიტყვების ერთ სტრუქტურულ ტიპს: **სუბსტანტივი (ერგატიულ ბრუნვაში) + სუბსტანტივი (ლოკატიურ ბრუნვაში) + კაუზატიური მიმღეობა + სუბსტანტივი (ნომინატიურ ბრუნვაში)**.

მიმღეობაში, როგორც წარმოდგენილი ტიპის შესიტყვების ერთ-ერთ კომპონენტში, ნათლად აისახება სუბიექტ-ობიექტების დამოკიდებულება. მიმღეობის აუსლაუტურ პოზიციაში

აირეკლება უახლოესი, „პირდაპირი“ ობიექტის კლასი და რიცხვი, ხოლო რეალური სუბიექტი და ირიბი ობიექტი გრამატიკულად გამოხატული არ არიან, მაგალითად: დიდ. **ნესპ (RS) ეჩრუ ჟეკუჯ (RO ირიბი) რ-ისერპსი ლ'ი (RO უახლოესი)** დი ჰალ'ინჭუს „მის მიერ (ზედმიწ. „მან“) მოხუცი კაცისათვის ნაყიდვინებელი („აღებინებული“) წყალი მე არ დავლიე“; ბეჟ. **დიჟელა ისტი (RS) ბისპჯიდ (RO ირიბი) ბ-ოხილლიჟო ბისა (RO უახლოესი)** ბერცინაბ გეჟ „ჩემი ძმის მიერ (ზედმიწ. „ჩემმა ძმამ“) მეთევზისთვის დაჭერინებული თევზი ლამაზი არის“.

შესიტყვებაში, რომელშიც კაუზატიური მიმღეობა გვევლინება მთავარ კომპონენტად, შესაძლებელია რეალური სუბიექტი ან ირიბი ობიექტი საერთოდ არ იხმარებოდეს, მაგრამ პირდაპირი ობიექტი ყოველთვისა იყოს წარმოდგენილი: ხვარშ. დიღო **ჰამაღე (RS) შუკუხხუ ჟიკუშო (RO უახლოესი)** უჰუნ „ჩემი მეგობრის ნაცემინებელი კაცი მოკვდა“; საკ. დიდ. ელო უალ' **ნესიჯ (RO ირიბი) ქურერპსი ზულ (RO უახლოესი)** ჟოლ' „იქ, ქვემოთ მისთკის ნასროლინებელი ქვა არის“.

როგორც ვხედავთ, მეორე წინადადებაში გამოხატულია ირიბი ობიექტი, პირველ წინადადებაში კი — რეალური სუბიექტი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის წინადადების სრულფასოვნებას, ვინაიდან ორივე მახასიათებელი სემანტიკურად მიმღეობის მიერ რეალიზებულია.

ამრიგად, დიდოურ ენათა მიმღეობა, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს. სხვადასხვა ტიპის ზმნათა მიხედვით ნაწარმოები მიმღეობები შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ:

ა) გარდაუვალი ზმნის მიმღეობა, რომლის RS ნომინატიურ ბრუნვაში დგას;

ბ) Verba sentiendi-ს ტიპის ზმნათა მიმღეობა, რომელშიც RS მიცემითში დგას, RO კი — ნომინატივში;

გ) გარდამავალი ზმნის მიმღეობა, რომელშიც RS ერგატივში დაისმის, ხოლო RO — ნომინატივში.

დ) კაუზატიური მიმღეობა, რომლის დროსაც RS ერგატივში დგას, ირიბი ობიექტი ლოკატიურ ბრუნვაში დაისმის, ხოლო უახლოესი ობიექტი — ნომინატივში.

მოქმედებითი და ვნებითი გვარის შინაარსი მიმღეობურ სინტაგმაში გადმოიცემა სუბიექტისა და ობიექტის გარკვეული წყობით შესიტყვებაში შემავალი ატრიბუტიული კომპონენტის — მიმღეობის მიმართ.

დასკვნითი დებულებები

1. მასდარს, როგორც ნაზმნარ არსებით სახელს, მოეპოვება ზმნური (ლექსიკური მნიშვნელობა) და სახელური (ბრუნვის კატეგორია) ნიშნები. მასდარის წარმოებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით, დიდოური ენები თავისებურებას ამჟღავნებენ — თვალშისაცემია მასდარის, ინფინიტივისა და მიმღეობის ფუნქციური გაუდიფერენცირებლობა.

2. საკუთრივ მასდარული ფორმები დასტურდება დიდოური ენის საჰადურ დიალექტში, ხვარშიულ ენასა და ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში, დანარჩენ ენობრივ ერთეულებში მასდარის წარმოება სპორადულად შეინიშნება.

დიდოურ ენათა წინამორბედი მკვლევრების მიერ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, მასდარად მიიჩნევა ისეთი ნაზმნარი აბსტრაქტული სახელები, რომლებიც ნაწარმოებია შესაბამისი დროის (მეტწილად, ნამყოს) მიმღეობისაგან **-ლ'ი** მასდარული წარმომავლობის სუფიქსის დართვით, მაგ.: საკ. დიდ. **ბატიშ-რუ** „მოტყუებული“ — **ბატიშრუ-ლ'ი** „მოტყუებულობა“, **ცუხ-რუ** „დაწერილი“ — **ცუხრუ-ლ'ი** „დაწერილობა“...; ბეჟ. **რაყო-რო** „მოტანილი“, „მოიტანა“, „მოყვანილი“, „მოიყვანა“ — **რაყორო-ლ'ი** „მოტანილობა“, „მოყვანილობა“, **ნისო-ჲო** „თქმული“, „თქვა“ — **ნისოჲო-ლ'ი** „თქმულება“, **ნიზუ || ნიზა-ჲო** „გარეცხილი“, „გარეცხა“ — **ნიზუ-ლ'ი || ნიზაჲო-ლ'ი** „გარეცხილობა“ და მრ. სხვ.

3. მართალია, ზემომოყვანილი ფორმები მასდარის ფუნქციით გამოიყენებიან, მაგრამ მათ, როგორც წესი, მეტ-ნაკლებად შერჩენილი აქვთ დროული გაგება და მეტწილად გასუბსტანტივებულნი არიან, ამიტომ მათ შეიძლება მეორეული მასდარები (resp. მასდაროიდები) ეწოდოთ.

4. საკუთრივ დიდოური ენის საჰადურ დიალექტში მასდარი იწარმოება სათანადო სადა ზმნური ფუძისაგან **-ნი** სუფიქსის დართვით: **ცახ-ნი** (ფუძ. **ცახ-**) „წერა“, **ჟეკ-ნი** (ფუძ. **ჟეკ-**) „ცემა“...

ანალოგიური ფორმები სპორადულად ქიდიროულ-ასახურ დიალექტშიც შეიმჩნევა, თუმცა მათი წარმოება აქ რეგულარობას მოკლებულია.

5. მასდარის წარმოების რეგულარულობით ხვარშიული ენა გამოირჩევა. მის ორსავე დიალექტში დასტურდება შესაბამისი ზმნური ფუძისაგან **-ნუ** სუფიქსის საშუალებით ნაწარმოები მასდარული ფორმები: საკ. ხვარშ.: ფუძ. **ბაჴე-** — **ბაჴე-ნუ** „დაწოლა“, ფუძ. **გოტ^ია** — **გოტ^ია-ნუ** „ძახილი“...; ინხოყვ.: ფუძ. **ბაჴ'-** — **ბაჴ'-ნუ** „დაწოლა“, ფუძ. **ლალ'-** — **ლალ'-ნუ** „ხვნა“...

მასდარის უარყოფითი ფორმები იწარმოება აწმყო კონკრეტულის უარყოფითი ფორმისაგან იმავე **-ნუ** სუფიქსის დართვით, მაგ.: **ბაწა-თე** „არ ჰამს“ — **ბაწათე-ნუ** „არშეჭმა“, **Øე^ნხეძა-თე** „არ დადის“ — **Øე^ნხეძათე-ნუ** „არწასვლა“ და მისთ.

6. ხვარშიულ ენაში მასდარის ბრუნება ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ ერგატივში არქაულ ნიშანს (**-დი** > **-ზი**) გამოავლენს: სახ. **ქულნუ** „სროლა“ — ერგ. **ქულნუ-დი**, მიც. **ქულნუ-ლ**, ნათ. **ქულნუ-ს**, ინსტრ. **ქულნუ-დ**.

7. ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში მასდარი ნაწარმოებია უცვლელი (თანხმოვანფუძიანი) ან მოდიფიცირებული (ხმოვანფუძიანი) ზმნური ფუძისაგან **-ი** სუფიქსით, რომელიც ხმოვანფუძიან ზმნათა ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს კვეცს: ფუძ. **ნიჟ^ჰ-** — **ნიჟ-ი** „თესვა“, ფუძ. **Øეჩე-** — **Øეჩ-ი** „დგომა“, „არსებობა“, ფუძ. **ბაჴ-** — **ბაჴ-ი** „მოხდენა“, ფუძ. **ბუჭ-** — **ბუჭ-ი** „ჭრა“ და მრ. სხვ.

8. მასდარს, როგორც ნაზმნარ სახელს, შეიძლება ჰქონდეს ნომინატიური, ერგატიული, დატიური, პოსესიური და ლოკატიური კონსტრუქციები. მასთან, მასდარს შერჩენილი აქვს ზმნური ნიშნები — კლასის, რიცხვის, გარდამავლობისა და კაუზატივის კატეგორიები, რომლებიც წინადადებაში სუბიექტისა და ობიექტთა ურთიერთმიმართებისას სათანადოდ აისახება.

9. დიდოურ ენებში მასდარის ფუნქციით ფართოდ გამოიყენება: ინფინიტივი, მიმღეობა, აბსტრაქტული სახელი, ზოგი საგარემოებო ფორმა და ა. შ. ამგვარი ალტერნატიული საშუალებებით მასდარის ფუნქციის გამოხატვა ნიშანდობლივია არა მარტო მასდარულ ფორმათა უქონელი ენობრივი ერთეულებისათვის (ჰინ., ბეჟ. ენის საკ. ბეჟ.), არამედ მეტ-ნაკლებად მასდარიანი ენობრივი ერთეულებისათვისაც (საკ. დიდ., ხვარშ.).

10. მასდარის ისტორიული ინტერპრეტაციის დროს თავს იჩენს არაერთი ისეთი საკითხი, რომელიც ზმნის საუღლებელი და სახელის საბრუნებელი ფუძის რაგვარობის საკითხს ორგანულად უკავშირდება. მასდარული ფორმები, რომლებიც ზმნის მარტივ ფუძეს ემყარებიან, შეიძლება იყვნენ ხმოვანფუძიანიც და თანხმოვანფუძიანიც. ამ მხრივ გადახრას ბეჟიტური ენის ჰუნზიბური დიალექტი გვიჩვენებს, რომელშიც მასდარის **-ი** ნიშნის გავლენით ზმნური ფუძის აუსლაუტური ხმოვანი უკვალოდ იკარგება, მაგ.: **ჰეჰ-ი** < ***ჰეჰე-ი** (შდრ აწმყ. კონკრ. **ჰეჰე-ჩ**) „ცემა“, **Øიტ-ი** < **Øიტ-ე-ი** (შდრ. აწმყ. კონკრ. **Øიტ-ე-ჩ**) „მოკვლა“ და სხვ.

11. დიდოურ ენათა მასდარის საწარმოებელი სუფიქსის **-ნი**-ს გენეზისი ასე წარმოგვიდგება: ხმოვნითი ელემენტი **-ნ** კანონზომიერი ბგერათიგივეობით (resp. იდენტური ბგერათშესატყვისობით) არის წარმოდგენილი და მოსაზრება მისი გენეზისური კავშირისა სხვა მონათესავე ენათა სათანადო მონაცემთან (ხუნძ. **-ი-ნ**, კარ. ***-ნ**, დარგ. **-ნი**, ლაკ. **-ნ**...) საფუძველს

მოკლებული არ უნდა იყოს.

რაც შეეხება ხმოვნით ელემენტს, დიდოური ენები ამ მხრივ გადახრას გვიჩვენებენ, თუმცა ხვარშიულში ამოსავალი *ი-ს ტრანსფორმაცია (ი > უ) შეიძლება პოზიციურად აიხსნას.

12. დიდოურ ენათა მიმღეობის წარმოების საკუთარი მოდელი სუფიქსურია. მართალია, მას მოეპოვება პრეფიქსული ანდა პრეფიქსულ-სუფიქსური კლასიფიკატორები, მაგრამ ამგვარი მარკერები არ მიიჩნევიან საკუთრივ მიმღეობურ ფორმანტებად, რადგანაც ისინი მოქმედის ან სამოქმედოს (სუბიექტის ან ობიექტის) კლასს ასახავენ. ამდენად პრეფიქსული (ზმნური) და სუფიქსური (ადიექტიური) ნიშნები — კლასიფიკატორები საკუთრივ მიმღეობის საწარმოებელ აფიქსებად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად ამისა, ამგვარ მარკერთა როლი მიმღეობათა წარმოებაში და მათი საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მცირე არ უნდა ყოფილიყო. მიმღეობათა ფორმირებისას ისევე, როგორც ზმნათა სტრუქტურაში, თავდაპირველად პრეფიქსაციაა სავარაუდები.

13. საკუთრივ დიდოურ ენაში მიმღეობის წარმოება მოკლედ ასე ჩამოყალიბდება:

ა) აწმყო კონკრეტულის მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულის მზამზარეულ ფორმაზე **-ხი** სუფიქსის დართვით. გარდა აწმყოს მიმღეობის ამ სახეობისა, დასტურდება დროული მიმდევრობის გამომხატველ ფორმაზე **-ხი** სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა, რომელიც მეტად კონკრეტული სემანტიკის შემცველია.

ბ) ნამყოს მიმღეობა, წარმოების მხრივ, სამ ტიპს განარჩევს: **-ხი** სუფიქსიანს, **-რუ** სუფიქსიანსა და **-ლი** სუფიქსიანს.

-ხი სუფიქსიანი დადებითი მიმღეობა ნამყო განსაზღვრულის არქაული ფორმებისაგან იწარმოება, უარყოფითი მიმღეობა კი — ინფინიტივის ფორმაზე **-ნი** || **-ნი-ხი** (ქიდ.-ასახ.), **-ლო** || **-ლო-ხი** (საჰ.) სუფიქსების დართვით.

ნამყოს მეორე ტიპის დადებითიცა და უარყოფითი მიმღეობაც იწარმოება აწმყო ზოგადის სათანადო ფორმებისაგან **-რუ** სუფიქსის დართვით. საჰადურ დიალექტში ხსენებული ტიპის უარყოფითი მიმღეობა იწარმოება აწმყო ზოგადის დადებითი ფორმებისაგან **-ერ-ჭუ** (საჰ. მეტყ.), **-ელ-ჭუ** (ტლაც. მეტყ.) სუფიქსის საშუალებით.

-ლი სუფიქსიანი მიმღეობა ინფინიტივისაგან იწარმოება და ძალიან იშვიათად იხმარება. მას უარყოფითი ფორმები არ მოეპოვება.

ნამყოს ზემოდასახელებულ მიმღეობათა შორის შინაარსობრივი სხვაობა ნიუანსურია.

გ) სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურით ცნობილია, რომ აწმყოს მიმღეობა მყოფადის მნიშვნელობითაც იხმარება, ე. ი. აწმყოს მიმღეობა არის მყოფადის მიმღეობის უქონლობის ერთგვარი კომპენსაცია. ამის მიუხედავად, დიდოურ ენაში საკმაოდ ჩამოყალიბებულია მყოფადის ორგანული მიმღეობა, რომელიც ნაწარმოებია მიზნის ზმნიზედაზე **-სი** მაადიექტივებელი ფორმანტის დართვით.

14. ძირითად მიმღეობათა პარალელურად დასტურდება იშვიათი ხმარების მიმღეობები და მიმღეობა-სუბსტანტივები.

ა) პოტენციალისის სემანტიკის აწმყოს მიმღეობა იწარმოება **-ხოჭუ** (ჭიდ.), **-ხოდი** (ასახ.), **-ხორ** (შაიტლ. მეტყ.) სუფიქსის მეშვეობით. ამ სუფიქსის აუსლაუტური თანხმოვნები (**-ჭუ**, **-რ**) და ნახევარხმოვანი (**-დ**) რელიქტურად შემონახული ოდინდელი კლასის გაქვავებული ექსპონენტები უნდა იყვნენ.

ბ) მიმღეობა-სუბსტანტივებს ვღებულობთ წმინდა ზმნური ფუძეებისაგან **-კუ**, **-მუ**, **-ჭუ** და **-ხუ** სუფიქსების დართვით.

15. ჰინუხურ ენაში აწმყოს მიმღეობას მოეპოვება ორგვარი წარმოება: ა) **ორგანული** და ბ) **აღწერითი**.

ა) აწმყოს ორგანულად ნაწარმოები მიმღეობის დადებით ფორმებს ვღებულობთ დროის ზმნიზედაზე **-ს** ფორმანტის და-

რთვით. უარყოფითი ფორმების წარმოებისას ზმნურ ფუძესა და ზმნიზედის **-ტო** ფორმანტს შორის ინფიქსად ჩნდება უარყოფითობის **-მე** (← **გომე**) ნაწილაკი.

ბ) აწმყოს ანალიზური მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულისა და მეშველი (**გოლ'** „არის“) ზმნის მიმღეობური (**გოლ'ა** „არსებული“, **გოდომერუ** „არარსებული“) ფორმის ურთიერთშესიტყვებით.

16. ნამყოს დადებითი მიმღეობა აწმყო კონკრეტულისაგან **-რუ** ფორმანტის დართვით იწარმოება, ხოლო უარყოფით ფორმებს ფუძედ გამოყენებულ აწმყო კონკრეტულსა და მიმღეობურ **-რუ** ფორმანტს შორის ინფიქსად ჩართული უარყოფითობის **-მე-** ნაწლაკი აყალიბებს.

17. ხვარშიულ ენაში აწმყო კონკრეტულის მიმღეობა იწარმოება აწმყო კონკრეტულის საუღლებელ ფორმაზე **-სო** (ინხ.), **-სა** (საკ. ხვარშ.) ფორმანტის დართვით.

18. საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში აწმყო ზოგადისა და ნამყოს მიმღეობის დადებითი ფორმები იწარმოება ნამყო განსაზღვრულისაგან ფუძის პირველი ხმოვნის დაგრძელებით, ხოლო უარყოფითი ფორმები — **-თი** სუფიქსის დართვით.

ინხოყვარულ დიალექტში აწმყო ზოგადის დადებითი მიმღეობა იწარმოება ზმნის სადა ფუძეზე **-დოჳ** || **-დოგუ** სუფიქსის დართვით, ხოლო უარყოფითი მიმღეობა იწარმოება უარყოფითი აწმყო კონკრეტულისაგან **-ჳ** || **-გუ** ფორმანტის საშუალებით.

სანტლადის მეტყველებაში აწმყო ზოგადის მიმღეობას სუფიქსად **-გუ**-ს ტოლფარდი **-გო** || **-დო** მოეპოვება. ამ სახესხვაობებიდან ამოსავლად **-გო** უნდა მივიჩნიოთ.

19. ინხოყვარულ დიალექტში ნამყოს დადებითი მიმღეობა ზმნის წმინდა ფუძეზე **-გუ** სუფიქსის დართვით ფორმდება, ხოლო ნამყოს უარყოფითი მიმღეობა ნამყოს უარყოფითი ფორმისაგან **-სო** სუფიქსითა და ზმნის ფუძის ბოლოკიდური

ხმოვნების დაგრძელებით იწარმოება.

20. ინხოყვარულ დიალექტში მყოფადის მიმღეობა **-ლლუ** (დად. ფორ.), **-ბუსო** || **-ბისო** (უარყ. ფორ.) სუფიქსებითა და ინფინიტივის საწარმოებელი ხმოვნის დაგრძელებით იწარმოება.

საკუთრივ ხვარშიულ დიალექტში მყოფადის დადებითი მიმღეობა მყოფადი განსაზღვრულის ფორმაზე **-სა** სუფიქსის დართვით ყალიბდება.

21. ხვარშიულ ენაში გვხვდება მიმღეობა-სუბსტანტივები, რომლებიც **-ზაკუ** სუფიქსის საშუალებით იწარმოება.

უხვად დასტურდება აგრეთვე მიმღეობათა აღწერითი ფორმებიც, რომელთათვისაც ნიშანდობლივია სათანადო საუღლებელ ფორმაზე ან ინფინიტივზე მეშველზმნათა მიმღეობური ფორმების დართვა.

22. ბეჟიტურ-ჰუნზიბურ (resp. ბეჟიტურ) ენაში მიმღეობის წარმოება ასეთი სახით წარმოგვიდგება:

ა) აწმყოს მიმღეობის დადებითი ფორმები იწარმოება **-ს** || **-შ** (ბეჟ.), **-ს** (ჰუნზ.) სუფიქსით, რომელიც აწმყო კონკრეტულის მზა ფორმას ერთვის.

აწმყოს უარყოფითი ფორმები ნაწარმოებია **-აც-** || **-ᲐᲪ** (ბეჟ.), **-ატ** (ჰუნზ.) ინფიქსების საშუალებით.

ბ) საკ. ბეჟ. დიალექტში ნამყო კონკრეტულსა და ნამყო დროის მიმღეობას ერთნაირი ყალიბი აქვთ. ნამყოს დადებითი მიმღეობა იწარმოება **-ᲓᲝ** (ბეჟ.), **-რო** (ხაშ., ტლად.), **-უ** (ჰუნზ.) ფორმანტების საშუალებით.

ბეჟიტურ დიალექტში ნამყოს უარყოფით მიმღეობას **-ცე-** ინფიქსი აწარმოებს, ჰუნზიბურ დიალექტში კი — **-უ** სუფიქსი, რომელიც ნამყოს უარყოფით ფორმას ერთვის.

გ) მყოფადის მიმღეობას აწარმოებს **-ლ'ᲝᲓო** (ბეჟ.), **-ლ'Ორო** (ხაშ., ტლად.), **-ლ'ერ** || **-ლ'ერუ** (ჰუნზ.) სუფიქსი, რომელიც ინფინიტივის მზამზარეულ ფორმას დაერთვის.

23. დიდოურ ენათა უმრავლესობას მოეპოვება **განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის** ბინარული ოპოზიცია. განუსაზღვრელად მიიჩნევა მიმღეობის მარტივი ფორმა, ხოლო განსაზღვრულ მიმღეობას სპეციალური ფორმანტები აწარმოებენ, რომელთა განაწილება, საკვლევ ენათა მიხედვით, ასეთია: დიდ., ჰინ. **-ნი**, ინხ. **-სო**, საკ. ხვარშ. **-სა**, ბეჟ. **-სო**. ეს ფორმანტები საგანთა სიმრავლიდან ცალკეულ საგანს გამოყოფენ და ხაზს უსვამენ მის რაიმე ნიშან-თვისებას.

24. დიდოურ ენებში დამოუკიდებლად გამოყენებული (resp. გასუბსტანტივებული) მიმღეობა მიმართებითი ზედსართავი სახელების ანალოგიურად იბრუნვის. იგი შეიძლება ორ ტიპად დაიყოს: ა) ერთფუძიანი, როდესაც ბრუნვის ნიშანი მიმღეობურ ფორმას უშუალოდ ერთვის; ბ) ორფუძიანი, როცა **-ზო**, **-ზი** (დიდ.), **-ზო**, **-ზა**, **-ჟა** (ჰინ.), **-ზე** (ინხ.), **-ᲫᲟო** (საკ. ხვარშ.), **-ლა** (ბეჟ.), **-დო** (ჰუნზ.) ფორმანტებით მოტივირებული ფუძე (resp. საბრუნებელი ფუძე) ერგატივიდან მოკიდებული ყველა ბრუნვას გასდევს, ე. ი. გვაქვს ერგატივზე დამყარებული ორფუძიანობა. ორფუძიანი ბრუნება, თავის მხრივ, შეიძლება ორ ქვეტიპად დაიყოს: ა) **პალეოერგატიული**, რომელიც ერგატივისეულ ფუძეზე დამყარებული ორფუძიანობით ხასიათდება და ბ) **ერგატიული**, როცა საბრუნებელ ფუძედ ერგატივის სრული ფორმა გამოიყენება.

25. დიდოურ ენათა მიმღეობის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება: ა) **ატრიბუტიული**, ბ) **სუბსტანტიური**.

არაძირითად ფუნქციებში გაერთიანდება: ა) **პრედიკატული**, ბ) **მასდარული**, გ) **პარონომაზიული**, დ) **ზმნის საგარემოებო ფორმათა ფუძისეული**.

26. მიმღეობაში პრეფიქსად წარმოდგენილია კლას-კატეგორიის ზმნური ექსპონენტები, რომლებიც სათანადო კლასის სახელზე მიუთითებენ. რაც შეეხება სუფიქსურ (resp. ზედსართაულ) კლასის ნიშნებს, მართალია, ისინი ამჟამად აღარ დას-

ტურდება, მაგრამ ისტორიულად მათი არსებობა სავსებით შესაძლებელია. ამგვარი ვარაუდის დაშვების საფუძველს იძლევა როგორც მონათესავე ენებთან შედარება, ისე დიდოურ ენაში რელიქტურად შემორჩენილი პოტენციალისის სემანტიკის მიმღეობები, რომელთაც ბოლოკიდურად კლასის გაქვავებული ექსპონენტები მოეპოვება. მიმღეობის საწარმოებელი სუფიქსების ხმოვნითი ელემენტები რიგ შემთხვევაში წარმომავლობით კლას-ნიშნის თანმხლებ ხმოვნებს ეთანაბრება.

ატრიბუტივად გამოყენებულ მიმღეობაში მრავლობითობა უპირატესად კლას-ნიშნით გამოიხატება, ხოლო სუბსტანტივის ფუნქციით ნახმარ მიმღეობაში იგი ფორმდება კლას-ნიშნითა და **-ბი** სუფიქსით (თუ ზმნა კლასნიშნიანია), ანდა მხოლოდ — **-ბი** სუფიქსით (თუ ზმნა უკლასნიშნოა).

27. დიდოურ ენათა მიმღეობის საწარმოებელ სუფიქსთაგან ყველაზე პროდუქტიულია **-ს-** თანხმოვნიანი ფორმანტი, რომლის ხმოვნითი ელემენტი კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობას გვიჩვენებს, ხოლო თანხმოვნითი ელემენტი — ბგერათიგივეობას: საკ. დიდ. **-სი**, ხვარშ. **-სა** (საკ. ხვარშ.), **-სო** (ინხ.), ჰინ. ***-სე**, ბეჟ. -ჰუნზ. **-სო** (ბეჟ.), ***-სა** (ჰუნზ.).

ამ სახესხვაობებიდან ამოსავალ ოდენობად ***-სა** ივარაუდება.

ზემოხსენებული მაატრიბუტივებელი ფორმანტი გენეზისურად კითხვითი ნაცვალსახელის ძირეულ მორფემას უნდა უკავშირდებოდეს. თავის მხრივ, იგი დაშორებითი ბრუნვის ნიშანთან პოულობს პარალელს.

წარმოდგენილია მიმღეობის ზოგი სხვა ფორმანტის გენეზისის ახსნის ცდა.

28. სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთმიმართების მხრივ, სხვადასხვა ტიპის ზმნათა მიხედვით ნაწარმოები მიმღეობები შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს: ა) **გარდაუვალი ზმნის მიმღეობა**, ბ) **გრძნობა-აღქმის ზმნათა მიმღეობა**, გ) **გარდამავალი ზმნის მიმღეობა**, დ) **კაუზატიური მიმღეობა**.

Книга посвящается светлой памяти
дорогого учителя и коллеги,
члена-корреспондента Академии наук
Грузии, профессора Г. В. Топуриа

Автор

Н. А. Ардотели

Отглагольные имена в дидойских языках (синхронно-диахронический анализ)

Резюме

Введение

Отглагольные имена в дидойских языках характеризуются богатством деривационных возможностей и относительной простотой системы склонения. В отличие от ряда других горских иберийско-кавказских языков, в дидойских языках, в отглагольных формах прослеживаются весьма значительные исторические изменения. Ныне реконструкция исхдного состояния отглагольных форм в большинстве случаев затруднена. С точки зрения функций причастий и системы их склонения различие между дидойскими и другими родственными языками незначительно.

Отдельные вопросы, затронутые в предлежащей работе, были предметом изучения и в прошлом. Однако эти исследования носили в некоторой степени фрагментарный характер. Эта работа является первым монографическим исследованием данной проблемы. В ней также впервые дается историко-сравнительный анализ масдара и причастия дидойских языков.

В вводной части дается определение отглагольных имен и общая характеристика работы.

Причастия, в отличие от масдара, в дидойских языках отличаются обилием деривационных аффиксов. Встречаются как суффиксальные, так и префиксально-суффиксальные образования. Рассматриваются проблемы производящей основы и происхождения формантов. В этой же части поставлен вопрос и о взаимоотношениях причастий и грамматической категории времени. Высказывается предположение, что формированию причастия в дидойских языках предшествовало формирование грамматической категории времени, что подтверждается наличием спрягаемых форм соответствующих глаголов, выступающих в качестве основ для причастий.

За введением следует история изучения вопроса, в которой рассматриваются различные точки зрения, высказанные в специальной литературе по данному вопросу.

В первой части работы дается описательный анализ образования масдара по всем дидойским языкам, выявлены диалектные особенности и представлены парадигмы образования в виде схем. Значительное внимание уделяется вопросам склонения и синхронному анализу функций масдара и причастия.

Во второй части представлен синхронный анализ образования, склонения и функционирования причастий, притом с учетом показаний всех диалектов и говоров (к каждой главе прилагаются соответствующие парадигмы образования).

В третей части делается попытка диахронического исследования масдара и причастий. В частности, проанализированны способы выражения категории грамматического класса и числа в формах причастий; исследован также вопрос изменений, имевших место в суффиксальных экспонентах грамматических классов, генезис аффиксов, образующих масдар и причастия, подробно рассматриваются субъектно-объектные отношения в причастиях.

Лингвистический материал был собран автором во время научных экспедиций в Дагестанской АССР в 1985-1990 гг. Ис-

пользован также соответствующий материал, представленный в работах предшествующих исследователей.

Основные выводы и положения данной работы могут быть использованы при разработке историко-сравнительных грамматик, при составлении школьных учебников аварского языка, изучении отдельных вопросов, связанных с глаголом и именем.

Настоящая монография, конечно, не лишена недостатков. Автор с признательностью примет замечания, пожелания и предложения по следующему адресу: Институт языкознания им. А. С. Чикобава, ул. Ингороква, 8, Тбилиси, 0108, Грузия. E-mail: **nardotcli@yahoo.com**

ЧАСТЬ ПЕРВАЯ

Масдар в дидойских языках

ГЛАВА I

Образование, склонение и функционирование масдара

§ 1. Масдар, как отглагольное абстрактное имя существительное, имеет глагольные (лексическое значение) и именные (категория падежа) признаки. Дидойские языки, с точки зрения образования и функционирования масдара, проявляют своеобразие – заметна слабая функциональная дифференцированность между масдаром, инфинитивом и причастием.

§ 2. Масдар встречается в сагадинском диалекте собств. дид. языка, в хваршийском языке и гунз. диалекте беж. языка, а в остальных языковых единицах масдарные формы замечаются лишь спорадически.

Согласно традиции, упроченной предшествующими исследователями дидойских языков, масдаром считаются такие отглагольные обстрактные имена, которые образуются от причастий соответствующего (чаще всего от причастий прошедшего) времени наращением суффикса обстрактности **-l'i**, напр.: собств. дид. **baƅă-ru** "обманутый (ая, ее)" – **baƅăru-l'i** "обман" (букв. "обманчивость"), **căx-ru** "написанный (ая, ее)" – **căxru-l'i** "писание" (букв. "письменность")...; беж. **raqo-ro** "принесенный" (resp. "принес") – **raqoro-l'i** "принесение" (букв. "принесенность"), **niso-jo**

"сказанный (ая, ее)" (resp. "сказал") – **nisojo-l'i** "сказание" (букв. "сказанность") и т. д.

Вышеприведенные формы хотя и используются в функции масдара, но они "...полностью еще не утратили семантику прошедшего времени" [Исаков, Халилов 2001: 272], поэтому их можно назвать вторичным масдаром (resp. масдароидам).

В гинухском языке для выражения функции масдара используются масдароидные формы, напр.: **ţoţeriš-l'i** "ученность", **caxiš-l'i** "письменность"...

§ 3. В сагад. диалекте собств. дид. языка масдар имеет собственную форму, которая образуется от соответствующей простой глагольной основы с помощью суффикса **–ni**: **cax-ni** (осн. **cax-**) "писание", **žeķ-ni** (осн. **žcķ-**) "биение", "битьё"...

Аналогичные масдарные формы спорадически встречаются и в кидеройско-асахском диалекте, хотя они не имеют регулярного образования.

§ 4. Хваршинский язык от других дидойских языков отличается регулярностью образования масдара. В обоих диалектах встречаются масдарные формы, образованные от соответствующей глагольной основы при помощи суффикса **-nu**: собств. хварш.: осн. **baqe- – baqe-nu** "лечь", осн. **goṭ̣a- – goṭ̣a-nu** "зов"...; инх.: осн. **baq'- – baq'-nu** "лечь", осн. **lal'- – lal'-nu** "пахание" и т. д.

Отрицательные формы масдара образуются от отрицательных форм настоящего конкретного времени наращением того же (**-nu**) суффикса, напр.: **baca-te** "не кушает" – **baca-te-nu** букв. "некушание", **Øe^{n}xeja-te** "не ходит" – **Øe^{n}xejate-nu** букв. "нехождение".

§ 5. Масдарное склонение в хварш. языке привлекает наше внимание тем, что в эргативе выявляет архаичный маркер **-di** (> **-zi**): им. **kulnu** "стреляние", "стрельба" – эрг. **kulnu-di**, дат. **kulnu-l**, род. **kulnu-s**, инстр. **kulnu-d**.

§ 6. Масдар в гунз. диалекте беж. языка образуется посредством присоединения суффикса **-i** к неизменной (с основой на согласный) или модифицированной (с основой на гласный) основе глагола, напр.: осн. **niž̌ǒ** – **niž̌-i** "сеяние", осн. **Øeče-** – **Øeč̌-i** "стояние", "существование", осн. **buč̣-** – **buč̣-i** "резание" и мн. др.

Масдар, как отглагольное имя существительное, может учавствовать в номинативной, эргативной, дативной, посесивной и локативной конструкциях. Наряду с этим, масдар имеет унаследованные от глагола признаки – категории грамматического класса, числа, переходности и каузатива, которые при взаимоотношении субъекта и объекта в масдаре надлежащим образом отображаются.

В функции масдара в дид. языках широко используются инфинитив, причастия, обстрактные имена, некоторые обстоятельственные формы и т. д. Выражение масдарной функции такими альтернативными средствами характерно не только для языковых единиц, не имеющих масдарные формы (гин., собств. беж. диалект беж. языка), но, в какой-то мере, и для языковых единиц, имеющих масдарные формы (кид.-асах. диалект собств. дид. языка, хварш.).

ЧАСТЬ ВТОРАЯ

Причастия в дидойских языках

ГЛАВА I

Образование причастия

